

სუნჯულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(56)

1978 3

15984

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

მთავარი რედაქტორი
ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ
პ. მგ. მდივანი
ᲜᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲐ
სარედაქციო კოლეგია
ᲛᲖᲘᲐ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ
ᲑᲐᲩᲐᲜᲐ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ
ᲛᲐᲒᲐᲚᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ
ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ
ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲔᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲠᲝᲛᲐᲜ ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ
ᲝᲗᲐᲠ ᲜᲝᲓᲘᲐ
ᲜᲘᲙᲝ ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ

«САУНДЖЕ»
литературно-
художественный
альманах
на
грузинском
языке

№ 3
1978

Главная
редакционная
коллегия
художественного
перевода
и
литературных
взаимосвязей

Тбилиси
улица
Шалвы
Дадиани, 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანზე: ᲒᲐᲕᲠᲘᲚᲐ ᲕᲐᲨᲩᲔᲜᲙᲝ. ᲡᲕᲔᲢᲚᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘ. ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

მხატვრული რედაქტორი ლ. ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ. მხატვარი ა. ᲕᲐᲠᲗᲐᲒᲐᲕᲐ. ტექრედაქტორი რ. ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გადაეცა წარმოებას 20/IV-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16. სააღრ.-საგამომ. თაბახი 17,1. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 518.

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ.

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

მაქს ფრიში

ვიქნები თუნდაც განტენბაინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ

შვეიცარიელი პროზაიკოსისა და დრამატურგის მაქს ფრიშის სახელი ქართველი მკითხველისათვის საკმაოდ კარგად არის ცნობილი. ქართულად თარგმნილია მისი რომანი „ჰომო ფაბერი“ და რამდენიმე მოთხრობა. მაქს ფრიშმა მსოფლიო სახელი მოიპოვა ჯერ როგორც დრამატურგმა, შემდეგ კი როგორც პროზაიკოსმა. მისი პიესები: „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებლები“, „ჩინური კედელი“, „ანდორა“, „გრაფი ოედერლანდი“, „დონ ჟუანი ანუ გეომეტრიის სიყვარული“ და მრავალი სხვა წარმატებით იდგმება მსოფლიო თეატრების სცენაზე. მრავალ ენაზეა თარგმნილი ფრიშის რომანები „შტილერი“, „ჰომო ფაბერი“, „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“, მის შემოქმედებაზე იწერება გამოკვლევები.

მაქს ფრიში პროფესიით არქიტექტორია, რაც უეჭველად მეღავნდება გარესამყაროს მისეულ აღქმაში — თითქმის ყველა ნაწარმოებში ვხედავთ არქიტექტორის პროფესიული თვალით დანახულ ჩვეულებრივ შენობებსა თუ კულტურის ძეგლებს. მწერალი დღეს 67 წლისაა, ცხოვრობს ციურიხის მახლობლად, ბევრს მოგზაურობს და კარგა ხნითაც ცხოვრობს ხოლმე სხვადასხვა ქვეყანაში. ნანახი თუ განცდილი ხან უშუალო აღწერის სახით შემოდის მის ნაწარმოებებში (მაგალითად „ჰომო ფაბერში“ აღწერილია ჰავანა, ათენი, აცტეკებისა და მაიას პირამიდები, „განტენბაინში“ — აკროპოლი და სხვა), ხან კი მხოლოდ გაიელვებს ხოლმე. მოგზაურობის შთაბეჭდილებების გარდა მწერალი ხშირად აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებს, გამოდის სიტყვით ამა თუ იმ თარიღისა თუ მოვლენის გამო, ილაშქრებს ომის წინააღმდეგ, წერს სტატიებს საკუთარ ნაწარმოებებზეც და თავის თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაზეც.

მაქს ფრიში უაღრესად თანამედროვე მწერალია ამ სიტყვის მრავალმხრივი გაგებით. მისი გმირები ჩვენი თანამედროვენი არიან, მწერალი გვიხატავს მით მძაფრ ვნებებს, თანამედროვე სამყაროში ადამიანის სულიერ სიმარტოვეს. მაქს ფრიშის გმირები თითქმის ყოველთვის ფიქრობენ და ბჭობენ ზოგად-საკაცობრიო პრობლემებზე, მწერლის მხატვრული სამყარო, შეიძლება ითქვას, მოაზროვნე, ინტელექტუალური ადამიანებითაა დასახლებული. ასეა რომანშიც „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“. ეს რომანი 1964 წელს გამოქვეყნდა. მოქმედება ვითარდება ხან განტენბაინის, ხან ენდერლინის, ხან სვობოდას ირგვლივ. თხრობა პირველი პირით მიმდინარეობს. ეს ფორმა, როგორც ჩანს, თანამედროვე

ადამიანის სულიერი სამყაროს გამოვლენის საუკეთესო ფორმა გამოდგა, იმდენად ხშირად მიმართავენ მას XX საუკუნის მწერლები. თვითონ მაქს ფრიში წერს: „რა თქმა უნდა, პირველი პირით თხრობა მწერლის პირადი „მეს“ გამოვლენა არ არის, მაგრამ ალბათ მწერალი კი უნდა იყო, რომ იცოდე, ყოველი პიროვნება, რომელიც თავის თავს სიტყვაში გააცხადებს, უკვე როლს თამაშობს, ყოველთვის, ყველგან, ცხოვრებაშიც, ამ წუთშიაც როლს თამაშობს. ყოველი ადამიანი (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ არა მწერალს, არამედ მის გმირს) ადრე თუ გვიან თხზავს ისტორიას, რომელსაც ხშირად დიდი მსხვერპლის ფასადაც თავის საკუთარი ცხოვრების ისტორიად მიიჩნევს. იქნებ ერთი კი არა, რამდენიმე ისტორიაც კი შეთხზას, რომლებიც სახელებითა და თარიღებით ისე იქნება დახუნძლული, რომ მის ნამდვილობაში თითქოს ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს. მაგრამ ყველა ისტორია, ჩემი აზრით, მაინც გამონაგონია და ამის გამო იოლად შესაცვლელიც“.

წინამდებარე რომანი ამ თვალსაზრისზეა აგებული. მწერალი ეძებს რომანის პერსონაჟებს და ცხოვრებისეულ მოვლენებს ხან ერთს აზომებს ტანსაცმელივით და ხან მეორეს. რომანის დედააზრი ასეთია: მსგავსი ამბავი შეიძლება ერთსაც შემთხვეოდა და მეორესაც, თვით ესა თუ ის ამბავი კი ასეც შეიძლებოდა მომხდარიყო და ისეც, მწერლის ეს ჩანაფიქრი რომანის სათაურშიც მჟღავნდება და ირონიით შეფერილ ენობრივ ქსოვილშიც.

მაქს ფრიში საერთოდ სადა ენით წერს. სადა ენობრივ ფონზე უფრო მკაფიოდ ჩანს ირონია. მისი პროზისათვის დამახასიათებელია ელიფსები, უზმნო წინადადებები, ლაკონური, ქვეტექსტით დატვირთული დიალოგები. ზოგან დიალოგი იმდენად ირეალურია, რომ მწერალი მას დიალოგის ფორმასაც კი არ აძლევს. ვარაუდებზე აგებული სიუჟეტი მწერალს ხშირად აიძულებს პერსონაჟები ნაცვალსახელებით მოიხსენიოს. ქართულში გრამატიკული სქესის უქონლობა აძნელებს ასეთი ადგილების თარგმნას. იქ, სადაც მწერალს მდედრობითი და მამრობითი სქესის ნაცვალსახელები აქვს, ქართულ თარგმანში „ქალი“ და „მამაკაცი“ უნდა ჩაისვას, რაც ასე თუ ისე უცვლის ეპიზოდს ელფერს.

თანამედროვე პროზა ველარ იტანს უხვი ფერებითა და ეპითეტებით შემკულ პეიზაჟს, ამას საუცხოოდ გრძნობს მაქს ფრიში. მისი ძუნწი შტრიხებით მოხაზული ურბანისტული თუ სოფლური პეიზაჟები, „თანამედროვე მასალით“ აგებული შედარებები, უჩვეულო რაკურსით დანახული საგნები, ბუნების ფერებისა და ხმების შერწყმა დასამახსოვრებელ სურათებს ჰქმნის. მაქს ფრიშის სტილის თუნდაც მოკლე დახასიათება სრული ვერ იქნება, თუ არ აღინიშნა მისი პროზის რიტმულობა, თვალშისაცემი კი არა, პროზას ცუდ ლექსს რომ ამსგავსებს ხოლმე, არამედ ფარული, ნერვიულად დამუხტული რიტმი, რომელიც ფრაზის სიგრძე-სიმოკლისა და ინტონაციის ცვალებადობას ემყარება და ფრიშის პროზას დინამიკასა და ექსპრესიას ანიჭებს.

მთარგმნელისაგან

ამ ამბის შემსწრე შემთხვევითი ნაცნობები, ვინც ბოლოს ელაპარაკნენ მას, ამბობენ, იმ საღამოს უჩვეულო არაფერი შეგვინიშნავს, ჩვეულებისამებრ მხიარული იყო და ქედმაღლობის ნიშანწყალი არ ემჩნეოდათ. მშვენივრად ივახშმეს, თუმცა სუფრას მდიდრული არ ეთქმოდა. მეინახენი ენამჭევრობდნენ, უფრო სწორად, ეს გახლდათ ლაყბობა საკმაოდ მაღალ დონეზე. სხვებზე ნაკლებს, ყოველ შემთხვევაში თავიდან მაინც,

ს. მარჯანიშ სახ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

მგონი, არც ის ლაპარაკობდა. ვილაცამ თქვა, სხვას რომ უსმენდა, ისეთი დალილილი მზერა ჰქონდა, გამიკვირდაო. შემდეგ, სხვებს რომ არ გამოთიშოდა, დროდადრო, საუბარში ჩაერეოდა ხოლმე, თურმე ენამახვილობდა კიდეც, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივ ეჭირა თავი. შემდეგ მთელ ჯგუფს ბარში გადაუნაცვლებია. იქ ჯერ პალტოგაუხდელნი მდგარან დახლთან, მერე კი მისთვის უცნობ ხალხს მიჰკედლებიან. ალბათ იმიტომაც აღარ ამოუღია ხმა. მხოლოდ ყავა მოუთხოვია. შემდეგ, ტუალეტიდან რომ მობრუნებულა, სახეზე ფერი აღარ ედო, ამბობენ, ოღონდ მისი სიფითრე მხოლოდ მაშინ შეუმჩნევიათ, როცა სუფრასთან აღარ დამჯდარა, ბოდიში მოუხდია, შინ უნდა წავიდე, რაღაც კარგად ვერა ვარო. ყველას ნაუცბათევად დამშვიდობებია, ხელი არავისთვის ჩამოურთმევია, ალბათ არ უნდოდა მათთვის საუბარი გაეწყვეტინებინა. ვილაცას კი უთქვამს, მოგვიცადე, არც ჩვენ ვაპირებთ აქ დაბერებასო, მაგრამ ვერ დაუყოლიებიათ. მეგარდერობეს როგორც იქნა, მოუტანია პალტო, მაგრამ არ ჩაუცვამს, მკლავზე გადაუკიდია, თითქოს ძალიან ეჩქარებოდაო. ყველა ამბობს, ბევრი არ დაულევია, არც კი დავუჯერეთ, შეუძლოდ ვარო, რომ თქვა. ისიც კი ვუთხარით, შეუძლოდ ყოფნას ხომ არ იმიზეზებ-თქო. ამაზე გაიმეებია. შეიძლება სხვაგანაც ჰქონდა დათქმული პაემანი. მანდილოსნები წაქლესავებიან, ვეჭვიანობთო. თითქოს შეუფერებია მათი ეჭვიანობა, მაგრამ სიტყვა აღარ დაუძრავს. იძულებულნი გავხდით მარტო გაგვეშვა, ჯერ ხომ შუალამეც არ იყო. როცა შევნიშნეთ, მაგიდაზე ჩიბუხი დარჩენოდა, დადევნება აღარ ღირდა, მაინც ვეღარ დავეწეოდითო... ეტყობა, სიკვდილმა მაშინ მოუსწრო, როცა ის იყო ჩაჯდა თავის მანქანაში; ფარები ენთო, ძრავაც ჩართული იყო. უკანა ლიფლიფა ისე ახამხამებდა თვალს, თითქოს მანქანა სადაცაა შუა ქუჩაში უნდა გავიდესო. იგი წელში გამართული იჯდა, თავი უკან გადაეგდო, ორივე ხელით ჩამოგლეჯილ საყელოს ჩაფრენოდა. ასე დახვდა პოლიციელს, რომელიც მანქანასთან მისულა, მოტორი ამუშავებულია და მანქანა რატომ აღარ იძვრისო. სიკვდილმა, ეტყობა, უეცრად უწია: ვინც მის სიკვდილს არ შესწრებია, ამბობს, ოღონ სიკვდილით მომკვდარაო, — ეს კი ვეღარ წარმომიდგენია, — პირდაპირ ნანატრი სიკვდილიაო...

წარმომიდგენია:

ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო ენდერლინის აღსასრული.

ან იქნებ განტენბაინისა?

არა, უფრო ენდერლინისა.

დიახ, მეც ვამბობ, იმ კაცს ვიცნობდი-მეთქი. მერე, რას ნიშნავს ეს? მე იგი წარმოდგენილი მყავდა, ახლა კი ჩემს წარმოდგენებს ძველმანებივით მესვრის უკანვე; ამიერიდან მას აღარც ისტორია სჭირდება და აღარც ტანსამოსი არგია რაშიმე.

ბარში ვზივარ. ნაშუადღევია, ამიტომ ბარში ჩემს მეტი არავინაა და ბარმენი მე მიყვება თავისი ცხოვრების ამბავს. კაცმა რომ თქვას, რისთვის? მიყვება და მეც ვუსმენ, ხან ვსვამ, ხანაც ვაბოლებ; მე ვილაცას ველოდები და გაზეთს ვკითხულობ. დიახ, ასე იყო ეს ამბავი! — ამბობს ბარმენი და თან ჭიქებს რეცხავს. ნამდვილ ამბავს გიყვებითო. მჯერა-მეთქი, ვეუბნები. იგი გარეცხილ ჭიქებს ამშრალებს. დიახ, ასე იყო ეს ამბავი! — ერთხელ კიდევ გა-

იმეორა მან. ვსვამ და ვფიქრობ: ადამიანს რაღაც გამოცდილება შეუძენია და ახლა იმ გამოცდილებას შესატყვის ქარგას უძებნის...

იგი ჩემი ხნისა იყო. იმ წუთიდანვე ავედევნე, როგორც კი მანქანიდან გადმოვიდა, — მანქანა, თუ არ ვცდები, სიტროენი იყო, — მანქანის კარი მიკეტა და გასაღებების ასხმული შარვლის ჯიბეში ჩაიდო. მე პერსონაჟის საერთო იერსახე მჭირდებოდა. ისე კი, იმ დღეს მუზეუმის მონახულებას ვაპირებდი, ჯერ ვისაუზმებდი, მერე მუზეუმში წავიდოდი, რადგან სხვა წვრილმანი საქმეები მოგვარებული მქონდა და ამ ქალაქშიაც არავის ვიცნობდი. ის რომ თვალში მომხვდა, ესეც შემთხვევითობას უნდა მიეწეროს, არც კი ვიცი, რით მიიპყრო ჩემი ყურადღება: სიგარეტს მოუკიდა და თავი ისე გაიქნია, თითქოს ტანი ეფხანებაო. ეს სწორედ იმ წუთში შევამჩნიე, როცა მე თვითონ დავაპირე სიგარეტის გაბოლება. სიგარეტს თავი გავანებე. უცნობს ისე ავედევნე, რომ ჯერ სახეზე არ შემეხედა მისთვის, გეზი მარჯვნისაკენ ავიღე, სიგარეტი უყოყმანოდ, მაგრამ აუჩქარებლად გადავაგდე. ეს იყო დილით, სორბონის მიდამოებში. თითქოს ტანმა რაღაც უგრძნოო, ისევ მანქანასთან მიბრუნდა, ალბათ დაეჭვდა, კარი ნამდვილად დავკეტე თუ არაო და გასაღებების ასხმულას სულ სხვა ჯიბეში დაუწყო ძებნა. ამასობაში მე ვითომ აფიშას ვათვალიერებდი, თან მისგან რომ განვსხვავებულიყავი, ჩიბუხს მოვუკიდე, უკვე შიში შემეპარა, ვაითუ ისევ მანქანაში ჩაჯდეს და წავიდეს, სანამ მე აფიშასთან ვდგავარ და ვითომ ტნპ-ს[1] რეპერტუარს ვათვალიერებ-მეთქი. მაგრამ მალე კარის მიჯახუნების ხმა გავიგონე და შემოვბრუნდი. იგი ფეხით მიდიოდა და მეც შემეძლო ავდევნებოდი. ვაკვირდებოდი მის სიარულს, მის ჩაცმულობას, მის მიხრა-მოხრას. მხოლოდ ის გეცემოდა თვალში, რომ სიარულისას ნიჩბებივით უსვამდა მკლავებს. აშკარად ეჩქარებოდა. კვარტალიდან კვარტალამდე კუდში მივდევდი. სენისკენ მივდიოდით. მივდევდი თუნდაც იმიტომ, რომ ამ ქალაქში სხვა საქმე არაფერი მქონდა. მას ახლა ტყავის პორტფელი ეჭირა ხელში. როგორც მერე გამახსენდა, პირველად რომ გადმოვიდა მანქანიდან, მაშინ პორტფელი ხელში არა ჰქონია.

გადასასვლელზე ჩემსკენ მომავალმა ხალხის ნაკადმა წამლეკა და იგი თვალიდან დამეკარგა. ის იყო ხელი ჩავიქნიე, რომ ახლა სხვა ნაკადმა გამიგდო წინ, რომელსაც წითელი შუქის ანთებამდე უნდოდა მოესწრო მეორე მხარეზე გადასვლა. გზა ჩემდა უნებურად განვაგრძე. მშვენივრად ვიცი, რომ აქედან არაფერი გამოვა. ადრე თუ გვიან ნიშანში ამოღებული კაცი დამეკარგება ან რომელიმე კარებში გაუჩინარდება, ან ტაქსს დაუქნევს უცებ ხელს და სანამ მეც თავისუფალ მანქანას ვიშოვიდე, დადევნებას ყოველგვარი აზრი დაეკარგება. მეც რაღა დამრჩენია, უაზრო დევნა-სირბილისაგან ქანცგაწყვეტილი სასტუმროში უნდა მივბრუნდე და ტანთგაუხდელი, ფეხსაცმლიანად მივეგდო საწოლზე. ახირებაც ამას ჰქვია! ის იყო ბედს დავმორჩილდი და გულში მიხაროდა კიდეც, ამ დევნას გადავრჩი-მეთქი, რომ ისევ დავინახე იგი, ხელების ქნევაზე ვიცანი. დილა იყო, მას კი ისეთი მუქი ფერის კოსტუმი ეცვა, თითქოს ეს-ესაა ოპერიდან გამოსულაო. იქნებ უცნობს იმ დილის მოგონებამაც მიმაჯაჭვა, მეც ასევე მუქ კოსტუმში გამოწყობილი ერთი ქალის ბინიდან რომ ვბრუნდებოდი. იგი ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა ან უკვე ველარ გრძნობდა, რომ

[1] „ტეატრ ნუვო პარიზიენ“ — პარიზის ერთ-ერთი თეატრი.

მივსდევდი. სხვათა შორის, ისიც ჩემსავით უქუდოდ მიდიოდა ქუჩაში. მართალია ჩქარობდა, მაგრამ ჩემზე სწრაფად მაინც ვერ მიიწევდა წინ. მეც რომ მისთვის ამეწყო ფეხი, არ ივარგებდა — გამვლელთა ყურადღებას მივიპყრობდი. ამიტომ ისე მივდიოდი, ვითომ სხვაზე მეტად არც მე მეჩქარებოდა. ასე იგებდა იგი კვარტალიდან კვარტალამდე მცირე მანძილს, მით უმეტეს, რომ მზად ვიყავი, უაზრო დევნისათვის თავი დამენებებინა, მაგრამ შუქნიშანთან კვლავ და კვლავ ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდებოდით ხოლმე. სახეზე ჯერ კიდევ არ შემეხედა მისთვის. ის იყო ერთხელ ბრბოში გავძვერ-გამოვძვერი და გვერდში ამოვუდექი, რომ მან პირი მიიბრუნა. ერთხელ ვიტრინის წინ შეჩერდა და მისი სახის ანარეკლი დავინახე, მაგრამ აღარ გამოვლაპარაკებივარ. სახეს რა თავში ვიხლიდი, ჰოდა მეც პირველსავე შემხვედრ ბარში შევუხვიე და საუზმეს შევუდექი...

მეორე კაცს, ვისაც თვალი დავადგი, ისეთი კანი ჰქონდა, როგორიც მხოლოდ ამერიკელებსა აქვთ ხოლმე — დაჭორფლილი რძის მსგავსი, საპონივით სლიპინა კანი. მაინც ავედევნე. ზურგიდან, ჩემი ჭკუით, ოცდათხუთმეტი წელი მივეცი. მშვენიერი ასაკია. ის იყო უკან დასაბრუნებელი ბილეთი დავიჯავშნე და ვაპირებდი გაფრენამდე დარჩენილი საათები თუნდაც სენტრალ-პარკში ხეტიალში გამეტარებინა, რომ იგი დამეჯახა. Sorry [1], — მითხრა მან. შემოვტრიალდი, მაგრამ მის ზურგსღა მოვკარი თვალი. ფიქალისფერი პალტო ეცვა. დავინტერესდი, აბა საით წამიყვანს-მეთქი. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა, ისე ზოზინობდა, გეგონებოდათ, ამ მანჰატენში რაღაც დაჰკარგვიაო. რაც უფრო დიდხანს მივდიოდით, მით უფრო მომწონდა. ვფიქრობდი, რით ირჩენს თავს, სად მუშაობს, როგორ ცხოვრობს, რა გამოუცდია ცხოვრებაში და რა არა, რას ფიქრობს, როცა ასე გაერევა მილიონობით უცხო ხალხში, თავი რად მიაჩნია-მეთქი. ფიქალისფერ პალტოს და უცნობის ქერა თავს კარგად ვხედავდი. ის იყო 34-ე ქუჩა გადავჭერით, რომ იგი უცებ შეჩერდა და სიგარეტს მოუკიდა. ეს ამბავი გვიან შევამჩნიე, თავს ანგარიში ვერ მივეცი და სანამ პირველ ნაფაზს დაარტყამდა, კარგა დიდ მანძილზე გავცდი, თორემ ამ შემთხვევას ხელიდან არ გავუშვებდი, ზრდილობიანად შევთავაზებდი კვესს და საუბარსაც გავუბამდი. როცა შემოვტრიალდი, ერთი ღერი თმაც ველარ დავუნახე თავზე და რა თქმა უნდა, გულში ვთქვი, ეს იგივე კაცი არ იქნება, ის ალბათ ბრბოში დამეკარგა და სხვაში შემეცვალა, ფიქალისფერ პალტოებს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე-მეთქი. ეს კი გავიფიქრე, მაგრამ მაინც შევცბუნდი, როცა უცნობი ორმოცდაათი წლის კაცი აღმოჩნდა. ამას კი აღარ მოველოდი.

— Can I help you? [2] — მკითხა მან და რაკი დახმარება არ მჭირდებოდა, თავისი გზით წავიდა და მხრებსზემოთ გაშლილი ბოლი თან გაიყოლა.

ლურჯად მოხასხასე მზიანი დღე იდგა, მაგრამ ჩრდილში სუსხი ძალობდა. ქარიც უბერავდა. მზედაფრქვეული ცათამბჯენები ჩრდილის მხარეს მოქცეულ მინის კედლებში ირეკლებოდნენ, ხოლო მათ შორის ხეობასავით ჩაღრმავებულ ქუჩებში ისე ციოდა, არ გაიძლებოდა. მერე რა, ყოფილიყო ის კაცი ორმოცდაათი წლის. მე ხომ მისი სახე მჭირდებოდა და ვითომ რა დაშავდე-

---

[1] უკაცრავად (ინგლ.).

[2] შემიძლია დაგეხმაროთ? (ინგლ.).

ბოდა, ეს სახე მელოტისა თუ იქნებოდა. კარგი იყო, ერთხელ კიდევ დამენახა წინადან, მაგრამ აღარ დამცალდა. იგი მის წინამორბედ ახალგაზრდა კაცზე უფრო დინჯად მიდიოდა, მაგრამ მაინც უეცრად გაუჩინარდა ერთ-ერთი შენობის კარებში, მეც მივყევი — სულ ორი-სამი წამის მეტი არ დამიყოვნებია, მაგრამ მხოლოდ ამის დანახვა მოვასწარი: იგი სწორედ იმ ლიფტში შევარდა, რომლის ბრინჯაოს კარები ნელ-ნელა იხურებოდა (კომბინატორიუმის კარებივით). ლიფტს ლივრეიანი ზანგი ემსახურებოდა. სიგარეტი მეც სილით სავსე ურნაში ჩავაგდე და მეორე ლიფტში შევვარდი. ლიფტის კაბინაში ისევე ვიდექი, როგორც ყველა იდგა, მაგრამ სხვები შემოდიოდნენ თუ არა, თავიანთი სართულის ნომერს ასახელებდნენ და ლიფტიდან უმალვე გადიოდნენ, როგორც კი მელიფტე შესატყვის ნომერს დაიძახებდა. მე კი ვიდექი და შევყურებდი, როგორ ინთებოდა სართულების მაჩვენებელი ნომრები. ბოლოს მე და ზანგილა შევრჩით ლიფტს. მან მკითხა, თქვენ სად ინებებთ გადმოსვლასო — შენობა ორმოცდაშვიდსართულიანი გახლდათ — და მე მხრები ავიჩეჩე...

ადამიანს რაღაც გამოცდილება შეუძენია და ახლა ამ გამოცდილების შესატყვის ისტორიას დაეძებს. ეტყობა, კაცი ისე ვერ იცოცხლებს ამ ქვეყანაზე, თავის გამოცდილებას რაიმე ისტორია თუ არ მოარგო, და ხანდახან მეჩვენება, ვილაც სხვასა აქვს-მეთქი მორგებული ზუსტად ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილების შესატყვისი ისტორია...

(არა, ოღონდ ბარმენი არ არის ის კაცი).

შვიდი იქნებოდა დაწყებული, როცა ღია ფანჯარაში კლდესავით აისვეტა რიჟრაჟი, რუხი და დაუბზარავი გრანიტი — უეცრად ამ გრანიტიდან უხმო ყვირილივით გამოიჭრა პირზე დუქმომდგარი, ფართოდ თვალგახელილი ცხენის თავი. ჭიხვინებს ცხენი, მაგრამ ხმა არ ამოსდის, ერთი კი სცადა სულიერმა გრანიტიდან ამოხტომა, მაგრამ პირველივე ცდაზე გაუცუდდა ნახტომი და მე ვხედავ, რომ ვერც ვერასდროს შესძლებს ამოხტომას, მხოლოდ ფაფარაშლილი თავი გამოუჩრია გრანიტიდან, გაშმაგებულია, შეძრწუნებული. სხეული გრანიტში ჩარჩენია უსასოოდ, გადარეული თეთრი თვალები შემომყურებენ, შეწყალებას ითხოვენ თითქოს.

შუქი ავანთე.

გამოფხიზლებული ვიწექი:

ვხედავდი:

წითელი ტერაკოტის უეცრად გაქვავებულ უსიცოცხლო ფაფარს, ტერაკოტზე თუ ხეზე ამოკვეთილ ცარცივით თეთრ კბილებსა და შავად მოლაპლაპე ნესტოებს. ყველაფერი ოსტატურადაა გაფერადებული. ცხენის თავი უხმოდ იხევს კლდეში უკან. კლდე უხმაუროდ იხურება, დაუბზარავია, როგორც ფანჯარაში ასვეტილი რიჟრაჟი, რუხი, როგორც გოტჰარდის გრანიტი. ქვევით, შორს, ღრმა ხეობაში გზატკეცილი მოჩანს, მოსახვევები ჭრელ-ჭრელი მანქანებითაა სავსე, ყველა მანქანა იერუსალიმისაკენ მიჰქრის (არ ვიცი, საიდან ვიცი ეს!), პატარ-პატარა ჭრელ-ჭრელი მანქანები სათამაშოებს ჰგავს.

ზარი დავრეკე. გარეთ წვიმდა.

თვალგახელილი ვიწექი.

როგორც იქნა, მოვიდა მედდა და მკითხა, რა გნებავთო. მე აბაზანა მოვითხოვე, ეს კი ამ დილაადრიან ექიმის ნებართვის გარეშე შეუძლებელი გახლდათ. სამაგიეროდ მედდამ ხილის წვენი მომიტანა და მითხრა, ჭკვიანად იყავითო. უნდა იძინოთ, თუ გინდათ ხვალ კარგი მაჩვენებლები გქონდეთ და შაბათს საავადმყოფოდან გაგწერონო, დასძინა და შუქი ჩააქრო...

წარმომიდგენია:

როცა ახალგაზრდა მორიგე მედდა, ეროვნებით ლატვიელი (მას ელკე ჰქვია), ბოლოს და ბოლოს შემოდის ოთახში, საწოლი ცარიელი დაუხვდება. ავადმყოფს თვითონ მოუშვია აბაზანაში წყალი. გაოფლიანებულა და ამიტომ დაუპირებია ბანაობა. ახლა შიშველი დგას ორთქლის ღრუბელში და ესმის ელკეს საყვედურები. იგი ჯერ ვერ ხედავს შეშფოთებულ მედდას, გაცხარებული რომ უმტკიცებს, თქვენ თვითონ არ იცით, რას სჩადიხართო, და მხოლოდ მაშინ ხვდება, შიშველი ვყოფილვარო, როცა ქალი ფანჯარას კეტავს. თანდათან იფანტება ოხშივარი, რომელსაც სარკეც დაუბურავს. იგი ილიმება. ახლავე გადაკეტეთ ონკანი და ლოგინში ჩაწექითო, ეუბნება ქალი და რაკი ავადმყოფი ხელს არ ანძრევს, თვითონ აპირებს ონკანის გადაკეტვას. მაგრამ ტიტლიკანა გზას უღობავს. კაცს იმ წუთში არაფერი აქვს ხელთ, რომ ქალიშვილს შიშველი არ დაენახოს და ხუმრობით ცდილობს თავის შველას: მე ადამი ვარ! — ამბობს იგი, მაგრამ ქალს არ ეცინება ამ ხუმრობაზე. თვითონ რატომ ეცინება არ იცის. მედდა პროფესიული ტონით ეკითხება, ამ დროს ბანაობა რატომ მოისურვეთ და ისიც ექიმის ნებართვის გარეშეო. შემდეგ ქალიშვილი მარდად იღებს კარადიდან ხაოიან პირსახოცს, რათა ბოლო მოუღოს ამ უმსგავსობას. უსიტყვოდ უწვდის პირსახოცს ავადმყოფს, არ გაცივდეთო, ის კი ისე შეჰყურებს, თითქოს პირველად ხედავდეს ელკეს. ქალიშვილს წყლისფერი თუ მომწვანო თვალები აქვს. იგი მხრებში სჭიდებს ქალიშვილს ხელებს. ქალიშვილს უფერული თმა და დიდრონი კბილები აქვს. ეს რა ამბავიაო, ამბობს იგი, ავადმყოფს კი ორივე ხელი ქალიშვილისათვის ჩაუვლია მხრებში და ესმის თავისივე ხმა: მე ვარ ადამი და შენ ხარ ევა! ეს ჯერ კიდევ ხუმრობას ჰგავს, ქალიშვილი ღამის მყუდროებაში ჩაფლულ საავადმყოფოში დაყვირებას ვერ ბედავს, მხოლოდ ზარს აჭერს ხელს, მეორე ხელით კი ჭკუიდან გადასულს იგერიებს. ქალი უკვე შიშმა აიტანა, რადგან მამაკაცმა წითელი ჯვრით დამშვენებული ცისფერი ჩაჩი სათუთად მოხადა თავიდან. ქალიშვილის სახეს იგი რამდენიმე კვირაა იცნობს, სამაგიეროდ, თმაა მისთვის ახალი, მისი უფერული, ამ წუთში ჩამოშლილი და აწეწილი თმა. მას სულაც არ უნდა ელკეს ტკივილი მიაყენოს, მხოლოდ უნდა უთხრას: მე ვარ ადამი და შენ ხარ ევა! თან თმებში ისე სჭიდებს ხელს, რომ ქალიშვილი თავს ვეღარ ანძრევს. გესმის ჩემი? ეკითხება იგი. საკმარისი იყო ერთი გაელიმა ღამის მორიგედ გამოცხადებულ ევას, ამ ცხენისყბიან, მწვანეთვალება სტუდენტს, ზღვისპირელ გლეხის გოგოს, რომ კვლავ ხუმრობად ქცეულიყო ეს ყველაფერი, მაგრამ იგი გაშტერებული მისჩერებია ავადმყოფს. მგონი, კაცმა არც იცის, რომ შიშველია. მედდა აღარ იგერიებს ავადმყოფს, თუმცა იგი ამას ვერცა გრძნობს, მედდა ახლა მხოლოდ თავისი ცისფერი ჩაჩის ხელში ჩაგდებას ლამობს, მაგრამ ამაოდ, თუმცა ამასობაში დერეფანში ღამის მორიგე ექიმიც გამოჩნდა. ექიმი, რაღა თქმა უნდა, ვერაფერს მიმხვდარა, ავადმყოფი კი უცხო ენის მასწავლებელივით დაუსრულებლად იმეორებს ერთსა და იმავეს, თითქოს უნდა

მოწაფეს ჩაუბეჭდოსო ტვინში: „მე ვარ ადამი და შენ ხარ ევა, მე ვარ ადამი და შენ ხარ ევა!“ ელკე ისე უმწეოდ ფართხალებს, თითქოს მთვრალს ჩავარდნოდეს ხელში, და მის მაგიერ ღამის მორიგე ექიმს უყვირის, მანდ რას უდგეხართ, რატომ არ მეშველებითო. თუმცა ელკეს საშველიც არაფერი სჭირს. მორიგე ექიმს თეთრი ხალათის ჯიბეებში ჩაუწყვია ორივე ხელი, იკრიჭება და ადგილიდან არ იძვრის, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, მართალია, უნებური მაყურებელი კი ვარ, მაგრამ ამ ამბავზე პასუხისმგებლობა მე მეკისრება თუ არაო. როგორ მოიქცეს? ამასობაში ტიტლიკანა ხვდება, რომ ეს ახლად გამოჩეკილი ადამ და ევა დერეფანში მარტონი აღარ ყოფილან და მორიგე ექიმისაკენ მიიწევს. ექიმს მყისვე ეკარგება კრეჭის ხალისი, ოღონდ ხელებს არც ახლა იღებს თეთრი ხალათის ჯიბეებიდან. თქვენ ვინ ბრძანდებით? — ისე ეკითხება ტიტლიკანა, თითქოს მორიგე ექიმი აქამდე არ არსებულიყოს ამ ქვეყანაზე. ექიმს კვლავ თეთრი ხალათის ჯიბეებში უწყვია ხელები, — ეს ხალათი ანსხვავებს მას ტიტლიკანასაგან, იგი აღარ იკრიჭება, მაგრამ უარესს სჩადის: ტიტლიკანას სახელით მიმართავს, მიმართავს მეგობრულად, მაგრამ ამ წუთიდან ხდება, რაც ხდება. ელკემ თავი დახსნილად დაიგულა და თმა აიკრიფა. თქვენ ხართ ეშმა! — ეუბნება ექიმს ტიტლიკანა. მორიგე ექიმმა ამასობაში, როგორც იქნა, ამოიღო თეთრი ხალათის ჯიბეებიდან ხელები, რათა მოაჯირს ჩასჭიდებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაპარულიყო კიბეზე. თქვენა ხართ ეშმა! — ამბობს ტიტლიკანა, არ ყვირის, მაგრამ მტკიცედ ამბობს, რადგან თეთროსანი შეჩერებასა და რაღაცის თქმას აპირებს: თქვენა ხართ ეშმა, თქვენა ხართ ეშმა! ელკეს კი ამასობაში ისევ წამოუკოსებია უფერულ თმებზე თავისი სულელური ჩაჩი და ავადმყოფის დაშოშმინებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. ტიტლიკანა არც ფიქრობს თავის ოთახში დაბრუნებას. მას ლიფტში უნდა შესვლა, ლიფტი სხვა სართულზეა გაჩერებული, მას კი დიდხანს ლოდინისათვის მოთმინება აღარ ჰყოფნის, კიბეს მივარდება და ისე სწრაფად ჩაუქროლებს მორიგე ექიმს გვერდით, რომ ექიმსა და ელკეს ისღა დარჩენიათ, ფსიტყვოდ გადახედონ ერთმანეთს... ორი წუთის შემდეგ იგი ქუჩაში მიაბიჯებს, ეტყობა, ვერც გაოგნებულმა მეკარემ შესძლო მისი შეჩერება, მიაბიჯებს ქუჩაში, სადაც რამდენიმე კვირაა ფეხი არ გაუდგამს, მიაბიჯებს ხალხში, ალაპლაპებულ ქოლგებს ქვეშ შეყუჟული ადამიანები ტრამვაის ელოდებიან, ისინი თვალს არ უჯერებენ: ტიტლიკანა კაცი ირიბად სჭრის ქუჩას, შუქნიშნებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს და უნივერსიტეტისაკენ მიეშურება. შუა ქუჩაში თავის მაჯის საათს მართავს, საათის გარდა არაფერი შერჩენია. სტვენა-სტვენით მოაქროლებს ველოსიპედს ხაბაზის შეგირდი, იძულებულია მისი გულისთვის დაამუხრუჭოს ველოსიპედი, სველ ასფალტზე ბორბალი უსხლტება და მიწაზე ეცემა. ამ ამბავმა ტიტლიკანა ისე შეაშინა, რომ უცებ სირბილზე გადავიდა, თუმცა არავინ გამოჰკიდებია, პირიქით, ხალხი უკან აწყდება მის დანახვაზე, ჩერდებიან და მხოლოდ თვალს აყოლებენ. მას კი მაინც ჰგონია, ვიღაც მომდევსო. მხოლოდ უნივერსიტეტთან ითქვამს სულს. წელში იხრება, ხელებით გალურჯებულ მუხლებს ეყრდნობა, მერე ისევ სწორდება წელში, განმკლავს აკეთებს, მერე ძირს უშვებს მკლავებს, ისევ მაღლა სწევს, თითქოს ტანვარჯიშის გაკვეთილზე იყოს და თან ხვნეშის, ეჰ, იმ გაკვეთილების შემდეგ რა დიდი დრო გავიდაო. საბედნიეროდ, წვიმს, არ იცის, რატომაა წვიმა ბედნიერება, მაგრამ ამ ბედნიერებას გრძნობს კი. იცის, რომ ადამი არ

არის, იცის, სადაც იმყოფება: ციურიხშია, სრულ ჭკუაზეა, მაგრამ შიშველია, ამიტომ იძულებულია ისევ გაიქცეს და რაც ძალი და ღონე აქვს ამუშაოს იდაყვები. არ იცის რატომაა შიშველი, არ იცის, როგორ მოუვიდა ეს. ერთი მოსინჯვა ისიც კი მოსინჯა ნაბიჯის შეუნელებლად, სათვალე თუ მიკეთია, ხოლო თავის სიშიშვლეში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როცა დაინახა, აქეთ-იქით როგორ უქანავებდა ასო. მაშ, წინ! რაც ძალი და ღონე გვაქვს ვამუშაოთ იდაყვები! ტიტველი რომ არ ყოფილიყო, დაღლილობისაგან ჩაიკეცებოდა. მაშ, წინ და წინ. ძალა რომ დაზოგოს, თავქვე ეშვება, ესე იგი ქალაქისაკენ მიექანება, თუმცა ერჩივნა ტყეებისაკენ აეღო გზა. ერთხელ გზიდან გადახვევა მოუხდა, რადგან უეცრად აინთო წითელი შუქი და ქუჩაში ავტომანქანების კოლონა გაიჭიმა, რომელიც, რა თქმა უნდა, იერუსალიმისკენ არ მიეშურებოდა. ერთმანეთს მიჰყვება მოქანავე მინის საწმენდებს შორის გამომკრთალი სახეები, უქოლგო ტიტლიკანა კი გზას მიიკვლევს ლაპლაპა თუნუქებს შორის: იგი ვერ დაიცდის, კაცი როცა არ მირბის, მაშინ უფრო შიშველი ჩანს. ისევ აგრძელებს გზას, გვერდით ჩაუქროლებს პოლიციელს, რომელიც თითქოს თვალს არ უჯერებსო, ისევ ისე მკლავგაწვდილი დგას თავის კვარცხლბეკზე. ნადირის ალღოთი პოულობს თავშესაფარს. ეს სამშენებლო ბოედანი გახლავთ: **„გარეშე პირთათვის შესვლა აკრძალულია“**. მესრის გადალმა სულს ითქვამს, მაგრამ დიდხანს ვერც იქ უდგება გული, ისევ უნდა გაიქცეს. ოღონდ საით? ახლა პარკს შეაფარა თავი, სადაც დილაადრიან, თანაც ამ წვიმაში, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. აქ შეეძლო სველ მერხზე ჩამომჯდარიყო, არავინ არ შეაწუხებდა, ისე მოცარიელებულია ხოლმე ამ დროს მერხები. მხოლოდ თავისი სიშიშვლე თუ შეაწუხებდა. ეს ამბავი როდი ესიზმრება, არა, სიშიშვლეს მაშინ ხედავს, როცა არ გარბის. არც სიზმარშია, რომ გამოეღვიძოს. იგი შიშველია, უფერულ სხეულზე შავი ბალანი, ასო, სათვალე და მაჯის საათი მოუჩანს. ქანცგაწყვეტილია, ხვნეშის, მაგრამ ერთხანს ნეტარებს, მიწას რომ გრძნობს ფეხის თითებში, ბალახს რომ გრძნობს ფეხის თითებში, ნელ-ნელა უკლებს ნაბიჯს, მაგრამ არ ჩერდება, სუნთქვაშეჭირვებული ისე ტოკავს, თითქოს მათრახს ურტყამენო, და სულ უფრო და უფრო ანელებს ნაბიჯს, მოციგურავესავით მოღვენთილი მიდის, ხელები ზურგსუკან შემოუწყვია, მოციგურავესავით მოწყვეტილი ხაზავს წრეებს, გაზონიდან გაზონზე გადარბის და მახლობელ ჭადარს ხან მარცხნიდან არტყამს წრეს და ხან მარჯვნიდან. თან ეცინება: მე ვარ ადამი და შენ ხარ ევა! ოღონდ ახლა ეს აღარაფერს ნიშნავს, რაკი ისევ გარბის და ქუჩის გადაჭრას ლამობს. რაც ძალი და ღონე აქვს მიიქნევს იდაყვებს, სანამ პოლიციელებს არ დაინახავს. ორი მოტოციკლისტი უკან კი არ მოსდევს, მისკენ მოემართება. რაკი ტიტლიკანა იცინის, იმათ ჰგონიათ, გვნებდებაო, და თავიანთ შავ ჯაბახანებს გზის პირას აყენებენ, ფეხს გამოუშლიან, ცოტას უკან დასწევენ, რომ მოტოციკლი არ წაიქცეს და მისკენ მოეშურებიან. პოლიციელებს შავი ტყავის ქურთუკები და ჩექმები აცვიათ, თავზე მუზარადები ახურავთ, მოკლედ, მყვინთავებივით არიან აღჭურვილნი და მისკენ მოიზლაზნებიან. სანამ ისინი ხელახლა აბობღდნენ თავიანთ შავ მოტოციკლებზე, სანამ მოტორი ჩართეს, სანამ ცალ ფეხს ასფალტზე დააბჯენდნენ და მოტოციკლს შემოაბრუნებდნენ, მან კიბემდე მიაღწია, კიბეზე კი მოტოციკლი ვერ ამოვა. ახლა მხოლოდ მისი სხეული გარბის. თითბრით შეჭედილი ნაცნობი კარი ჩარაზულია. ისევ მანქანის სავალ გზაზე გარბის, თითქოს მოტოციკლისტებს უნ-

და საქმე გაუიოლოსო, მირბის, მიჯირითობს, სანამ შავი მოტოციკლისტები არ წამოეწივნენ მოსახვევში და ერთი მარცხნიდან არ ამოუდგა გვერდში და მეორე მარჯვნიდან. ესკორტი ამხიარულებს. უყვირიან, შეჩერდიო. ეტყობა, დაავიწყდათ, რომ იგი დედიშობილაა...

მაგონდება:

შემდეგ რაც მოხდა, ერთმა კაცმა მიამბო, იმან კი ნამდვილად გადახდა ასეთი ამბავი თავს... მეგობრულად და გულისხმიერად მომექცნენო, აკანკალებული მჯდარა წინა საღამოს დეკორაციებით გაწყობილ სცენაზე. ფარდა გახსნილი ყოფილა, ცარიელ, ჩაბნელებულ პარტერში ბალკონიდან აღწევდა სუსტი დღის სინათლე და ამ შუქზე მუქად ბზინავდა სავარძლების საზურგეები. ორკესტრის ადგილიც ცარიელი იყო. სცენაზე სამუშაო შუქი ენთო, მაგრამ ჯერ რეპეტიცია არ დაწყებულიყო, მხოლოდ სცენის მუშები დაფუსფუსებდნენ. პოლიციელს შავი ჩექმები ეცვა და თავზე სფეროსებური მუზარადი ეხურა. იგი თავის სიცოცხლეში პირველად მოხვედრილიყო სცენაზე და ისე იყო დამფრთხალი, რომ დაჯდომის ვერ ბედავდა, თუმცა სავარძლების ნაკლებობა არ იგრძნობოდა. სავარძლები ისე განელაგებინათ, როგორც საკონაციო დარბაზს შეეფერებოდა, მაგრამ სუსტ შუქზე მაინც უბადრუკად გამოიყურებოდნენ. პოლიციელი გაოცებული მისჩერებოდა პროჟექტორებს. ამ დროს მაყურებელთა დარბაზის კარი გაიღო და დამლაგებელი ქალები შემოვიდნენ. პოლიციელმა ქალები გარეკა, სხვა საქმე არაფერი გამოსჩენია. დროის გასაყვანად ბოლთის ცემას ერიდებოდა. ასევე ერიდებოდა საუბრის გაბმას შიშველ კაცთან, თუმცა მაყურებელთა დარბაზში არავინ იყო, როგორც ვთქვით, ახლო-მახლო დამლაგებლებიც კი არ ჭაჭანებდნენ. პოლიციელი ბლოკნოტს ფურცლავდა და პარტერისაკენ ზურგშექცეული იდგა. პარტერი აშკარად უკარგავდა მხნეობას. ერთმა სცენის მუშამ, როგორც იქნა, მოუტანა სიცივისაგან აძაგძაგებულ შიშველ კაცს რაღაც მოსასხამის მაგვარი თეატრალური კოსტუმი, რომელსაც ქაფურის სუნი ასდიოდა. მუშამ იკითხა, რა მოხდაო, მაგრამ პოლიციელმა ცერები ქამარში გაირჭო და უსიტყვოდ ჩააკმედინა ხმა. ტიტლიკანამ მადლობა გადაუხადა მუშას და ეს მადლობა თავაზიანად და სავსებით ჩვეულებრივად ჟღერდა. მოსასხამი ცისფერი იყო, ოქროს ფუნჯებით გაწყობილი სამეფო მანტიას სარჩულად იაფფასიანი ჯუთი ჰქონდა გამოკრული. კაცს ფეხები სტკიოდა, ამ ფეხებმა ხომ გუდრონზე ატარეს, წვრილხრეშგარეულ გუდრონზე. ცოტა ხნის შემდეგ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი მობრძანდა, რომელსაც, მისდა გასაოცრად, არ უკითხავს ვინ ბრძანდებითო, ეტყობოდა, ისედაც იცოდა ყველაფერი. შემდეგ მოვლენები ჩვეულებრივად წარიმართა. მანქანაში — ეს სამედიცინო სამსახურის მანქანა არ იყო, მაგრამ მძღოლს ქალაქის ღერბიანი ქუდი ეხურა — საუბრობდნენ ამინდზე, ქალაქში ფიონის მასების შემოჭრაზე. წინ მდუმარე მძღოლი და მყვინთავი ისხდნენ. მყვინთავს მუზარადი ახლა მუხლებზე დაედო და ტანთან შედარებით საოცრად პატარა თავი მოუჩანდა. უკან ისხდნენ: ინსპექტორი (ასე მიმართავდა მძღოლი იმ კაცს) და ოქროს ფოჩებიან სამეფო მანტიაში გახვეული ფეხშიშველა კაცი. მაინცდამაინც ოპერაში რატომ შევარდითო, ვითომ სხვათა შორის ჰკითხა ინსპექტორმა, მაგრამ თვითონვე გაწყვიტა სიტყვა და ტიტლიკანას სიგარეტი შესთავაზა. მეფის მოსასხამში გახვეულმა კაცმა თავი გააქნია. გეზი კანტონის საავადმყოფოსკენ აღარ ეჭირათ, ბალგრისტის-

კენ გადაუხვიეს. რა თქმა უნდა, სად მიდიოდნენ, არ უთქვამთ. კროიცპლატცთან უკვე ცხადი გახდა, რომ მას სულით ავადმყოფად სთვლიდნენ და სულით ავადმყოფივითაც ექცეოდნენ. კროიცპლატციდან მოყოლებული ბურგვიზამდე უბრად იარეს, აქ კი მან საქმიანად იკითხა, ჩემს ფოსტას დღესვე თუ გადმომიგზავნიანო; იგივე კითხვა გაიმეორა მისაღებ ოთახში, როცა ახალგაზრდა ასისტენტის პირისპირ დასვეს მაგიდასთან. ასისტენტი ცდილობდა ოქროს ფუნჯებიანი ცისფერი მოსასხამი არ გაეკვირვებინა. თქვენს ტანისამოსს საცაა მოიტანენო, უთხრეს. კვლავ მეტისმეტად სათუთად ექცეოდნენ, ისე, რომ მისი გვარის ხსენებასაც კი ერიდებოდნენ, პროფესორი ჯერ არ იყო მოსული. მან საუბრის გაბმის მიზნით თქვა, ასეთი რამ ჯერ არ მომსვლიაო, და იმდენად დაუჯერეს, რამდენადაც ასისტენტი (მასაც თეთრი ხალათის ჯიბეებში ეწყო ხელები) უფლებამოსილი იყო პროფესორის მოსვლამდე თვითონ დაეჯერებინა რამე. ყვირილი მინდაო, თქვა მან. თან საკვებით მშვიდად და ჭკვიანად იჯდა და ჩვეულებრივად ეჭირა თავი. ხელები გუდრონითა და სისხლით ჰქონდა გათხიპნილი და სანამ იბანდა და იმშრალებდა, სარკეში იხედებოდა. კოსტუმმა შიში მოჰგვარა, გვირგვინიღა აკლდა მის მორთულობას. თქვენს ტანისამოსს საცაა მოიტანენო, უთხრეს ერთხელ კიდევ და თვითონაც ერთხელ კიდევ გაიმეორა, ყვირილი მინდაო. მისი ნათქვამი ყურად იღეს. ყვირილი გინდათო? მან თავი დაუქნია, დიახო, მუნჯის დაჟინებით დაუქნია თავი, რომელსაც ჰგონია, გამიგესო. რატომ გინდათ დაიყვიროთო? ეს კი აღარ იცოდა.

ამ დროს ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს სარკეში ხარ შეჭრილი, ხოლო რომ გამოგეღვიძება, არაფერი აღარ გახსოვს, ასე გგონია თითქოს ყველა სარკეში ერთად შეიჭერი, შემდეგ კი სულ მალე სამყარო ისევ შეიკრავს პირს და ისე დალაგდება, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ჰოდა აღმოჩნდება, რომ არც არაფერი მომხდარა თურმე.

ვზივარ ბინაში, ჩემს ბინაში... დიდი ხანი არ უნდა იყოს გასული მას შემდეგ, რაც აქ უცხოვრია ვიღაცას. ვხედავ ბოთლში ჩარჩენილ ბურგუნდულ ღვინოს, ობის პაწაწკინტელა კუნძულებს წითელი ხავერდივით ჩამუქებულ ღვინოზე, ვხედავ პურის ნარჩენებსაც, მაგრამ ისინი აგურივითაა გამაგრებული. მაცივარში (არ მშიოდა, შიგ ისე შევიხედე) ლორის ნაჭერი მოკრუნჩხულა, სიცივეში გამომშრალა და თითქმის გაშავებულა, ცოტა ყველიც დარჩენილა, ხის ქერქივით დახეთქილი და მომწვანო, ერთ ჭიქა ნაღებსაც ვხედავ, ოღონდ მას თხევადი აღარ ეთქმის, თასში კომპოტის ამღვრეული ნაშთი — გარგარის ლექი თხამპალებს. იქით კიდევ ბატის ღვიძლის პაშტეტით სავსე ჭურჭელი დევს. ვითომ მუმიის საგზალია, არა? არ ვიცი, სანაგვეში რატომ არ გადავუძახე ყველაფერს. არც პალტო გამიხდია და არც ქუდს ვიხდი, რადგან გარეთ წვიმს. რბილი სავარძლის საზურგეზე ვარ წამოსკუპული და კორპსაძრობს ვათამაშებ ხელში. კორპსაძრობი კორპსაძრობია, ეპოქის სტილში გადაწყვეტილი სტანდარტული საოჯახო ნივთი. ვხედავ: ვიღაცას ჩვენი ხალიჩები დაუგორგლებია, ქაფური უპკურებია და ისე დაუგორგლებია, ზედ ზონარი გადაუჭერია, დარაბებიც დაუხურავს, ფანჯრები დაუცავს წვიმის, მზისა და ქარისაგან, ზაფხულისაგან და ზამთრისაგან. დარაბებს არ ვაღებ. რბილ ავეჯს თეთრი ტილო აქვს გადაფარებული. სასაცილო საყურებელია: თითქოს საი-

დუმლო სამსჯავროობანა ეთამაშოთ, ან უცხო ადათ-წესებიან ქვეყანაში მოეწყოთ მიცვალებულის დაკრძალვა. ვხედავ, რომ საფერფლეებიც დაცლილია, არა მხოლოდ დაცლილი, გარეცხილიც კი. ყველა საყვავილე ვაზა დაცლილია და გარეცხილი, რომ შმორის სუნი არ დამდგარიყო ბინაში... მე ისევ პალტოთი და ქუდით ვზივარ, ხელები ჯიბეებში მაქვს ჩაწყობილი. მტვრისა და მასტიკის სუნი დგას. ერთი რამ აშკარაა: აქ თუ ოდესღაც ვინმეს უცხოვრია, ერთი მამრობითი სქესის ყოფილა, მეორე კი მდედრობითისა. კარადაში ვხედავ ქალის კოფთებს, მცირეოდენ საცვლებს, რომლებიც ჩემოდანში ვეღარ ჩატეულა ან უკვე მოდიდანაა გამოსული, მეორე მხარეს ჰალსტუხები და მამაკაცის მომჩვარული ქურთუკები კიდია, სამი საზამთრო და ორი საზაფხულო. ძირს თითქოს სააღლუმოდ გამწკრივებულან ფეხსაცმელები, ზოგიერთში კალაპოტია ჩადგმული. რატომაა ასე შემაძრწუნებელი ცარიელი ფეხსაცმელები? ხელში ვიღებ ქალის ფეხსაცმელს, ყვავილივით ჭრელსა და ფარატინას, და ვყნოსავ. მხოლოდ ტყავის სუნი უდის. სუნთქვას ვიკრავ, ბინაში ქურდულად შემოპარულივით მეშინია და ვაყურადებ. ვინ უნდა მოვიდეს! თუმცა რატომაც არა, ხომ შეიძლებოდა ზარი დარეკილიყო და ვთქვათ, კარდაკარ მოხეტიალე მეწვრილმანე მომდგომოდა, რომელსაც არ ეცოდინებოდა, რომ აქ ალარავინ ცხოვრობს. ვაყურადებ, ფეხსაცმელი ხელში მიჭირავს; არ მინდა შინ ვიყო. უწინდებურად მოშლილი ონკანის წკაპუნს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, ირგვლივ სიჩუმეა. სიჩუმეა, როგორც პომპეიში. ტელეფონიც დუმს. ვხედავ: მას როზეტი გამოუძვრია. სამწუხაროდ ასანთი არა მაქვს. რა სიჩუმე დგას, თუ არ ეწევი! გარედან ისმის ტრამვაის რახრახი, შიგადაშიგ პიპინიც, გარეთ წვიმს, აქ კი დახურული დარაბების უკან, სადაც მე პალტოთი და ქუდით ვზივარ თეთრად შებურვილი რბილი სავარძლის საზურგეზე, ყველაფერი ისეა, როგორც პომპეიში: ყველაფერი ჯერ კიდევ თავის ადგილზეა, მხოლოდ დრო გაგვფრენია ხელიდან. როგორც პომპეიში: შეიძლება იბორიალო ოთახებში, ხელები ჯიბეებში გეწყოს და წარმოიდგინო, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები აქ, სანამ ცხელი ფერფლი წაეყრებოდათ თავზე. და აქაც ისევე ისმის ნაბიჯების ექო (რადგან ხალიჩები აკეცილია), როგორც პომპეიში...

ერთხელ მართლა დარეკა ზარმა.

კარს არ ვაღებ...

ჩემი გვარის კაცი აქ ალარ ცხოვრობს, წასულია.

ამაოდ დავყუდებულვარ პალტოგაუხდელი და ქუდმოუხდელი, მოუკიდებელი ჩიბუხი პირში მაქვს. ვერ წარმოვიდგინე, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები აქ, აქაურობა პომპეიზე უფრო იდუმალი მეჩვენება, თუმცა მისი ცისფერი პენუარი ჯერ კიდევ კიდია სააბაზანოში... იქნებ სჯობდეს კიდეც, ასანთი რომ არა მაქვს; ამის წარმოდგენაც კმარა: აქ რომ ცხოვრობდა, ის კაცი როგორ ანთებს ასანთს, როგორ აფარებს ხელს პაწაწკინტელა ალს, სანამ ალი გაიზრდებოდეს, რათა ანთებული ასანთი ფარდასთან მიიტანოს, პირველი ღერი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე. ფარდა არ იწვის, არ აბრიალდა, მხოლოდ იტრუსება, ხრჩოლავს, არც აბაჟური იწვის წესიერად, მხოლოდ ტრუსის სუნს გამოსცემს და ზედ ყავისფერკიდეებიანი ნახვრეტი აჩნდება საცილოდ. კარგი იყო ბენზინი ჰქონოდა. ბენზინი უნდა გადაესხა, რომ მართლა აბრიალებულიყო ფარდებიც, რბილი სავარძლებიც, ხალიჩებიც, წიგნებიც,

ტანსაცმელიც. ასანთის ღერებით ვერაფერს გახდები, სასაცილო დღეში ჩავარდები მხოლოდ.

ვიყიდი ახალ ტანისამოსს, მაგრამ თან მეცოდინება: ეს არაფერს შიშველს, ტანსაცმელი მხოლოდ ვიტრინაში ჩანს სხვანაირი. გამყიდველი ტანსაცმელს მოსაზომებელ კაბინაში მომართმევს და თვითონ ტაქტიანად გაუჩინარდება, რომ ტანსაცმელი მოვიზომო. დავხედავ თუ არა, მეცოდინება, ორიოდე თვეში რას დაემსგავსება ეს ტანსაცმელი. მაგრამ რას იზამ, შიშველი ხომ არ ივლი ამ ქვეყანაზე. ჰოდა, მეც თავს ძალას ვატან, აქეთ-იქით ვტრიალებ მოძრავი სარკეების წინ და იმ ფასონს ვამოწმებ, ვიტრინაში ასე თუ ისე რომ მომივიდა თვალში. სიმართლე თუ გნებავთ, მხოლოდ გამყიდველის ხათრით ვყიდულობ ამ ტანსაცმელს, გამყიდველი აღტაცებულია, მე კი ჩემს კეფას ვუყურებ სარკეში, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებ. ტანსაცმელს ყოველთვის ნაჩქარევად ვყიდულობ და ყოველთვის ერთსა და იმავეს. უკვე ის წუთები მექცევა ტანჯვად, მკერავი რომ მონურად ჩაიმუხლებს ჩემს წინ, ქინძისთავებიან ბალიშს მოიმარჯვებს და გაწაფული ხელით აღნიშნავს ცარცით იმ ადგილებს, სადაც მზა ტანსაცმლის ნორმებს ვერ ეგუება ჩემი ტანი. სულერთია, იაფფასიან კოსტუმს ვყიდულობ თუ ძვირფასს, ინგლისურს, იტალიურს თუ აქაურს, ერთსა და იმავე ადგილზე ერთნაირად მასხდება ნაოჭი. ეს კარგად ვიცი.

სხვა ცხოვრება როგორიღა იქნება?

წარმომიდგენია:

ადამიანი ავარიაში მოხვდა, ვთქვათ, საგზაო ავარიაში, სახე ჭრილობებით დაესერა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ოღონდ შეიძლება მხედველობა დაკარგოს. მან იცის ეს, დიდხანს წევს საავადმყოფოში, წევს თვალახვეული. ლაპარაკი შეუძლია, სმენა აქვს: ესმის, ღია ფანჯარასთან როგორ გალობენ ჩიტები, ესმის თვითმფრინავების გუგუნი, ოთახში შემოჭრილი ხმები, ღამით ჩამოვარდნილი მყუდროება, რიჟრაჟზე წვიმის შხაპუნი. შეუძლია ყნოსვით გაარჩიოს: ვაშლის მუსი, ყვავილები, ჰიგიენა. ფიქრის უნარიცა აქვს და ფიქრობს კიდეც... ერთ დილას სახვევს ხსნიან და ხედავს, თვალისჩინი დაბრუნებია, მაგრამ დუმს, არ ამხელს ვხედავო, ამიერიდან აღარავის გაუმხელს, რომ ხედავს.

წარმომიდგენია:

მისი ცხოვრება ამიერიდან, ერთ კაცთან პირისპირ დარჩენილიც რომ ბრმას თამაშობს; მისი ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლებმაც არ იციან, ის რომ მათ ხედავს. მისი საზოგადოებრივი როლი და პროფესიული შესაძლებლობანი იმაზე იქნება დაფუძნებული, რომ არასდროს არ იტყვის, რასაც ხედავს. წარმომიდგენია თამაშად ქცეული მისი სიცოცხლე, ამ საიდუმლოების წყალობით შეძენილი თავისუფლება და ასე შემდეგ.

ვთქვათ, იყოს გვარად განტენბაინი.

ისტორიებს ტანსაცმელივით ვიზომებ ტანზე!

სოფლის სასტუმროში ვზივარ.

ბედმა გამიღიმა, თორემ ახლა შეიძლებოდა მკვდარიც ვყოფილიყავი და

დაუსჯელად დამდებოდა თერთმეტი ბავშვის ცოდვაც. ამის მაგიერ სოფლის სასტუმროში ვზივარ და ალუბლის ნაყენს ვუკვეთავ, ხოლო მანქანა (ის მანქანა ჩემი არც კია, ბურისა გახლავთ) გარაჟში დგას და სათადარიგო ნაწილებს ელოდება. იმაზე ფიქრსაც ვერ ვბედავ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო...

ბედმა გამიღიმა.

ნეტავ რას ვფიქრობდი, პირში ჩამქრალი ჩიბუხი რომ მეჭირა და მოლვენთილი, დალლილი კი არა, სწორედ რომ მოლვენთილი ვიჯექი საჭესთან, საჭე ორივე ხელით მეკავა და მხოლოდ თვალებს ვატანდი ძალას, თორემ ფიქრით სხვაგან ვიყავი და მოსახვევში ისე შევედი, არც კი მომგონებია, რომ შეიძლებოდა გზა მოლიპული ყოფილიყო (ბურისთან გატარებულ საღამოზე თუ ვფიქრობდი). როგორც მოწმეები ადასტურებენ, 60 კილომეტრი სიჩქარისათვის არ გადამიჭარბებია, და აქამდე მთელ გზაზე არსად შემხვედრია მოლიპული ყინული, ყინულის ნასახიც კი არსად შემხვედრია (ან იქნებ ჰარვარდში რომ მიმიწვიეს, იმაზე ვფიქრობდი).

აღარ თოვს.

ვსვამ ალუბლის ნაყენს.

როცა რამე მოხდება, ყოველთვის მიკვირს, ეს მარტო ფიქრი რომ არ ყოფილა და ისე სახტად ვრჩები, თითქოს სინამდვილეს გამოეცნოს ჩემი ფიქრები ან პირიქით, მცდარად გაეგოს რამე. უეცრად სოფლის მოედანზე აღმოვჩნდი, მოწმეებით გარშემორტყმული, წაკუზული ვდგავარ და მანქანის ქვეშ შემძვრალ ხელოსანს ვეთათბირები, თან ვაღიარებ, რომ სწორედ მე ვარ ის კაცი, კინაღამ რომ დახოცა ერთი დუჟინი ბერნელი მოწაფეები. შევყურებ ზამთრის სიცივისაგან ლოყებდაწითლებულ ბავშვებს, ცივ ჰაერში ალმებივით რომ დაჰფრიალებთ თავზე საკუთარი ამონასუნთქი. ცოცხლები არიან. ეს რომ მართლა მომხდარიყო, ასევე დაუჯერებლად მომეჩვენებოდა. ისევ ის ვიქნებოდი, ვინც ახლა ვარ და არც ვიქნებოდი, არ ვიქნებოდი ის, ვისაც ახლა ერთი დუჟინი ბერნელი მოწაფეები მახვევია გარს, პირდაღებულნი მომშტერებიან, ტლიკინებენ, ცოცხლები არიან, მოწმენი ამა და ამ დღეს და ამა და ამ ადგილას მომხდარი ავარიისა, ბედნიერებას ანიჭებთ ეს სენსაცია. მანამდე იტკარცალეს, სანამ არ დაირეკა სკოლის ზარი...

მეორე ჭიქა ალუბლის ნაყენს ვუკვეთავ.

ათი საათია, ესა და ეს რიცხვი, სამშაბათი...

ხელოსნები უკვე ერთი საათია მანქანას უჩხიკინებენ. მანქანა ჩემი არ არის. მოწაფე ბიჭუნებმა კარგად გამოიცნეს: ღერძი დაზიანებულია, ფერსო შეჭყლეტილი, ალბათ ბურთულა-საკისარიც გამოსაცვლელი გახდება — ამ ამბების ბევრი არაფერი გამეგება. იმის გაფიქრებაც კი მაშინებს, რომ ღამე აქ უნდა გავათიო, თუმცა სასტუმრო საკმაოდ რიგიანია. პალტო ჯერაც არ გამიხდია, ვზივარ და გაზეთის წაკითხვას ვცდილობ (შეიძლებოდა მატარებლით გამგზავრებაც, რომ ღამე აქ არ გამეთია. ადგილობრივი მიმოსვლის განრიგი საპირფარეშოს კართან ჰკიდია). მე აქ ჩიბუხს ვაბოლებ, ამ დროს კი ალჟირში (ამას გაზეთში ვკითხულობ) ადამიანებს აწამებენ.

ეს გახლავთ ის, რაც სინამდვილეში ხდება.

როცა ხელახლა ვკითხულობ, რა ხდება ალჟირში ან სხვაგან, რამდენიმე წუთის განმავლობაში თვალწინ მიდგას წაკითხული, სხვა აღარაფერი მახსოვს და ამის წარმოდგენაც კი ისე ძნელი მოსათმენია, რომ იმ წუთებში, მგონია

კ. მარქსის სახ. სპ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.

თავსაც გავწირავ, მაგრამ მე ვზივარ, ძველ გაზეთს ვკითხულობ და ყველაფერს ვითმენ. ვზივარ უმოქმედოდ... იმ მანქანის სათადარიგო ნაწილებს ველოდები, რომელიც ჩემი არ არის.

ეს უკვე მოგონებად იქცა:

(ალჟირში კი ამ დროს ადამიანებს აწამებენ).

თოვლი ცივი იყო და მშრალი, ძლივს აჩნდა ასფალტს, მტვერივით მჩატე ფიფქების კორიანტელი ყოველ ჩავლილ მანქანას კუდივით მიჰყვებოდა უკან, გზის შუაგულზე თითქმის არსად არ იდო თოვლი, გზა რუხი და მშრალი იყო, მხოლოდ კიდეებზე რჩებოდა მოთეთრო არშია, სანამ კიდევ არ ჩაივლიდა მანქანა. მანქანის კი არა, ველოსიპედის ნელა ჩავლაც კმაროდა, რომ თოვლის ბული დამდგარიყო და მერე კვლავ არშიასავით, მაგრამ ახლა სხვაგვარად შემოვლებოდა გზას. გადასწრება თითქმის არასოდეს მიცდია, დაუსახლებელ ადგილებშიც კი იშვიათად თუ გადავაჭარბებდი ოთხმოცს. ეს რომ დასახლებული ადგილი იყო, ვხედავდი, თუმცა ჯიუტად მოქანავე მინის მწმენდავებს მილმა უაზროდ ვიყურებოდი და სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. თვალებმა დაინახეს საფრთხე, ფეხმაც აუშვა გაზის პედალი, ერთი წუთითაც არ დამიკარგავს სულიერი მხნეობა, ლამის სასწაულს რომ უტოლდება ხშირად, თუმცა ჯერ საჭემ, შემდეგ კი საკუთარმა სხეულმა მაგრძნობინა, როგორ მოცურდა მანქანა. იმის მაგიერ, რომ დამემუხრუჭებინა, იმ წუთში კვლავ გაზი მივეცი, მოცურება რომ ვიგრძენი, მარცხნივ მოწაფეების გუნდი დავინახე, მარჯვნივ კი სოფლის სარძევე მაღაზიის ვიტრინები, სადაც ყველისა და შოკოლადის რეკლამა მოჩანდა. ერთ წამს სავსებით მშვიდად ვიყავი და იმედი მქონდა, რომ მანქანას შევაჩერებდი, მაგრამ მივხვდი, რომ საჭეს ველარ ვიმორჩილებდი! ამას რომ მივხვდი, კბილები ისე მაგრად მოვუჭირე ჩიბუხს, თითქოს ეს ყოფილიყოს ახლა მთავარი. ასე მეგონა მარადისობად იქცა ის წამი, როცა რაღაც ძალამ შემომაპროწიალა, თუმცა მე საჭეს მაინც ვატრიალებდი. ცოტა არ იყოს, ბედის დაცინვას ჰგავდა, რომ მარცხნივ კი არ მიმატრიალა იმ ძალამ, ციგასავით გამასრიალა მარჯვნისკენ და ქუჩაში გარდიგარდმო გამჩხირა. აღარ ვიცოდი, მარჯვენა და მარცხენა საით იყო, ყველაფერი აირ-დაირია. ჩემს ბედზე იმ წუთში გზაზე არაფერი მოდიოდა, მძიმე მისაბმელიანი საბარგო მანქანა, რომელიც, ასე ვთქვათ, ჩემს ცნობიერებაში ამოტივტივდა, სინამდვილეში უკვე ჩავლილი იყო. მხოლოდ ის დავინახე, როგორ დატრიალდა სოფელი. წინ ვიყურებოდი, გონზე ვიყავი, მაგრამ ძალ-ღონე წართმეული მქონდა. მარცხნივ რძის მაღაზიის ვიტრინები მოექცა, მარჯვნივ — მოწაფეები, — კარუსელივით. როცა ბოლოს და ბოლოს გაისმა ჭახანის ხმა, დაგვიანებულ ექოსავით სასაცილოდ მეჩვენა და ჩემზე აღარ უმოქმედია. უკვე დიდი ხანია ვიცოდი, რომ იმ შეჩვეულ სასწაულს მიტოვებული ვყავდი. ჩიბუხი დამეკარგა; ეს იყო და ეს, უკულმა შებრუნებული მანქანა კი ბორდიურს შეეჩერებინა, თორემ ახლა ვიტრინაში მექნებოდა თავი ამოყოფილი. მინის მწმენდავები ისევ ქანაობდნენ. უცებ ნერვები ამეშალა და მოწაფესავით დავუწყე მანქანას ჩხიკინი, რომ გზა გამეგრძელებინა, მაგრამ მანქანა ადგილიდან არ იძვროდა. მესამე სიჩქარე მქონდა ჩართული, მოტორი სდუმდა, მანქანა პირველ სიჩქარეში გადავრთე და გაზის პედალს ფეხი დავაჭირე, რომ ძრავა ამემუშავებინა, მაგრამ მანქანას არაფერი ეშველა. ძლივს მიღოღავდა, მეტი რაღა დამრჩენოდა — გადმოვედი და მანქანა დავათვალიერე. თუნუქი არსად არ იყო შეჭყლეტილი,

გულზე მომეშვა. მაგრამ ახლა ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მთელი სოფელი ფანჯრებში იყო გადმომდგარი და სირცხვილმა ამიტანა. ირგვლივ მოწაფეები მეხვივნენ და მეგონა მე მომშტერებოდნენ, სინამდვილეში კი ისინი მხოლოდ „პორშეს“ მისჩერებოდნენ, რომელიც ასე მხიარულად დატრიალდა მათ თვალწინ. ერთი ბიჭუნა წამდაუწუმ გაიძახოდა: აუჰ, რას დატრიალდა, აუჰ, რას დატრიალდა! ჩიბუხი დამეკარგა და უიმისოდ გამიჭირდა უდარდელი პოზა მიმეღო. შუა ქუჩაში გავედი და ფეხით მოვსინჯე მიწა, რათა მთელი ქვეყნისათვის დამენახვებინა, რომ ამ ადგილზე მიწა მოლიპული იყო. მხოლოდ ახლა გაიღო ირგვლივ ყველა ფანჯარა.

იძულებული ვიყავი დამეცადა, სანამ მანქანას გადაათრევდნენ, ხელები ჯიბეებში მეწყო და ციდან ჩამოვარდნილივით ვკითხულობდი, ამ სოფელს რა ჰქვია-მეთქი.

ლენგნაუში ვყოფილვარ, ბერნის კანტონში. შემდეგ სასტუმროში ალუბლის ნაყენს რომ ვსვამდი, ოფიციანტი ქალი მიყვებოდა, ამ მოსახვევში რა არ მომხდარა, სასიკვდილოდაც კი დაშავებულა ხალხი.

არ ვიცი, რისთვის ვყვები ამ ამბავს.

ჩემი ავარია სულაც არ მაინტერესებს...

ვიქნები თუნდაც განტენბაინი.

დაწყება ალბათ არ იქნებოდა ძნელი:

დილაა, შევდივარ მაღაზიაში და ვდგავარ. რა გნებავთო, მეკითხებიან. თავს ვიკატუნებ, ვითომ შვეიცარიული გერმანული არ მესმოდეს. ვიხედები ირგვლივ: აწყვია სათვალეები, ლუპები, ჭოგრიტები, ყოველნაირი სათვალე, პენსნეები, თეატრალური ბინოკლები, მაგრამ უპირველეს ყოვლისა სათვალეები. მე რაც მინდა, ის რა ხანია ფრაუმიუნსტერშტრასეზე დევს ვიტრინაში (წინა პლანზე, მარჯვნივ). მესმის თეთრი ქალიშვილის ხმა, რომელიც ადგილობრივ დიალექტზე დასმულ კითხვას, რა გნებავთო, ჯერ ამერიკულ ყაიდაზე მიმეორებს, მერე კი ლიტერატურულ გერმანულ ენაზე მეკითხება, თან სხვა კლიენტს ემსახურება და ჯერჯერობით ჩემი თავის დაქნევა კმარა იმის ნიშნად, რომ მოთმინება მყოფნის ან ყოველ შემთხვევაში თავაზიანობა მაინც გამაჩნია (მირჩევნია ჩემი როლის თამაშს ლიტერატურულ გერმანულ ენაზე შევუდგე. ყოველთვის როლში მგონია თავი, როცა ლიტერატურული გერმანულით ვლაპარაკობ და როლის თამაშიც უფრო მიადვილდება ხოლმე. ჩემი საცოდავი ინგლისური ვერ გასწვდებოდა სათქმელს, ინგლისური მხოლოდ იმდენზე მყოფნის, რომ ასე თუ ისე გამოვთქვა რაიმეზე თანხმობა. ფრანგულს ხომ ნულარ იკითხავთ: ყველა იმ ფრანგთან დაჩაგრულად ვგრძნობ თავს, ვისაც მხოლოდ თავისი მშობლიური ენა ესმის). ჰოდა, ვდგავარ ფეხმოუცვლელად, ქალიშვილი ერთ ქალბატონს ემსახურება. ქალბატონი, რამდენ ახალ სათვალეს მოირგებს ცხვირზე, იმდენჯერ წყალს დაწაფებული ჩიტივით იწვდის კისერს, მე კი მხოლოდ იმით ვიიმედებ თავს, რომ მაღაზიაში ჩემი ნაცნობი არავინ შემოვა. ქალბატონი ამერიკელია. რამდენ ახალ სათვალეს გაიკეთებს, იმდენჯერ მიდის სარკესთან და ყოველთვის იმედგაცრუებული რჩება, ეტყობა ვერ ერიგდება იმ სახეს, სარკე რომ უჩვენებს და ეს ამბავი შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს. დრო მაქვს, შემიძლია ერთხელ კიდევ ავწონ-დავწონო გან-

ზრახული, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება ურყევია. როცა ქალიშვილი ბოლოს
ღა ბოლოს იცლის ჩემთვის, გაგულისების კვალიც არ ეტყობა, პირიქით, ამერი-
კელ ქალბატონს ყოველ წუთს აგრძნობინებს, აქაურებს მხოლოდ სხვათა შო-
რის ვემსახურებიო. ესე იგი, მე მინდა, — რატომ მებმება ენა? — მზის სათვა-
ლე. ინებეთ! ქალიშვილი ერთ სათვალეს მაწვდის და თან ამერიკელ ქალბა-
ტონს ეტიტინება. მე კი ვხედავ მზის სათვალეებით გაჭედილ ყუთს, მზის სათ-
ვალეების მთელ არსენალს, სულაც რომ არ მჭირდება. როგორ ვუთხრა? თეთ-
როსანი ქალიშვილი, ჩვეულებრივი გამყიდველი გოგონა, მეცნიერმუშაკივით
რომ გამოწყობილა, მიმტკიცებს, უფრო მუქი არაფერი გვაქვსო, უფრო მუქ
სათვალეებში ვერაფერს ველარ დაინახავთო, ხოლო ის სათვალე, ბატონს ვიტ-
რინაში რომ დაუნახავს, მზის სათვალე კი არ არის, ბრმის სათვალე გახლავთო.
მე ვთხოვ, მომცეს ის სათვალე. იგი გაოცებულია, მაგრამ ამასობაში ამერიკელმა
ქალბატონმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ქალიშვილმა იგი კარამდე
უნდა მიაცილოს, ქალბატონი ხელცარიელი მიდის და მით უმეტეს, განსაკუთ-
რებული თავაზიანობით მართებს მისი გაცილება. სანამ ამერიკელ ქალბატონს
გაისტუმრებდა, გაოცებამაც გაუარა, ახლა ერთადერთი მუშტარი შევრჩი ხელთ
და კვლავ მე მემსახურება. პირდაპირ არ მეუბნება, ბრმის სათვალეს ვერ მოგ-
ყიდითო, მაგრამ თხოვნას ვითომ ხუმრობად მითვლის და კვლავ მზის სათვა-
ლეებს მთავაზობს. რამდენიმე ცხვირზეც კი ჩამომაცვა, სანამ მოთმინებიდან
არ გამოვედი და ნათლად არ ავუხსენი, რაც მინდოდა: მე მინდა მხოლოდ და
მხოლოდ ბრმის შავი სათვალე. ბატონი ბრძანდებით! იმედია, ახლა ბოსი არ
გამობრძანდება და ამ საგანგებო შემთხვევით თვითონ არ დაინტერესდება.
ვინ იცის, იქნებ ექიმის ცნობაც იყოს საჭირო! ქალიშვილი ბოლოს და ბოლოს
დაჰყვა ჩემს სურვილს და ამიხსნა, ბრმის სათვალე მხოლოდ და მხოლოდ ბუ-
ტაფორიაა, მან მხოლოდ ბრმა თვალები უნდა დაფაროს, ამიტომაა ასეთი მუ-
ქიო. მე ფასს ვკითხულობ. სათვალე მოგერგოთ თუ არაო, მეკითხება თეთრო-
სანი ქალიშვილი, რომელიც ახლა ფერფლივით რუხი, უფრო სწორად მორუ-
ხო ლილისფერი ჩანს, და ხელებს საფეთქლებზე მკიდებს. უცებ სულ ახლოს
ვხედავ მის სახეს, მის სავსე, რბილ ტუჩებს, ახლა მწიფე ქლიავივით იისფერი
რომ გამხდარა. უცებ მოსალამოვდა, ბინდ-ბუნდი ჩამოდგა, მზე დაბნელდა. თან
კი დილაა, მესმის, რომ ასეა, რადგან მხოლოდ ცინცხალ დილით ყღერს ასე
ხმები. ახლა მზეს ისე ვხედავ, დიდი ხნის წინათ რომ ვხედავდი, სიყმაწვილე-
ში, როცა მზეს გაჭვარტლული შუშით ვაკვირდებოდი ხოლმე, მზე მკრთალი
ჩანდა და იმაზე გაცილებით პატარა, ვიდრე გვეგონა, სხივების გვირგვინი
ალარ ერტყა გარს, მოყვითალო, თითქმის მოთეთრო-მორუხო ფერი დაჰკრავ-
და, მკვახე გარგარისა თუ რაღაც ამდაგვარი ფერი, ოღონდ ლითონისებური.
სათვალე ჩინებულად მომერგო-მეთქი, ვეუბნები, ის ერთხელ კიდევ ამოწმებს
და მეც ერთხელ კიდევ ვხედავ მის ქლიავისფერ ტუჩებს. საკოცნელ მანძილ-
ზე ვხედავ. ალარასოდეს ალარ ვაკოცებ არავის, ვფიქრობ მე. ის მასალა, რომ-
ლისგანაც ტუჩებია გაკეთებული, მეტისმეტად უცხოა ჩემთვის, ვიცნობავ მისი
სუნამოს სურნელს და სულ ახლოს ვხედავ მის მამლის ფრთასავით მომწვანო-
მოშავო-მოლურჯო თმებს, მის სათოვლიასავით კანს. სარკეში ჩახედვას ვერ
ვბედავ. სათვალეს ვიხსნი. არავითარი დაისი, დილაა, გარეთ ქუჩაა, ხალხი,
მანქანების ფერად-ფერადი თუნუქი, მზე, ვიტრინები, მზეში ჩაფლული ქუჩა,
ყველაფერი ძველებურადაა. ფრაუმიუნსტერის თოლიები შესევიან, ისმის თერ-

თმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნი. საბედნიეროდ, მორიგი მუშტარი შემოდის. თეთროსანი ქალიშვილი ბოდიშს მიხდის, ცოტა ხნით მანებებს თავს და შემოსულს ეგებება. მე ისევ ვიკეთებ სათვალეს, ვხედავ ჩემს ხელს, ვხედავ საკუთარ ხორცს, იმ მარციპანივით ფაშარსა და გარუხებულს, თავის დროზე რომ არ შეუჭამიათ. სარკეში, დიახ, იმასაც ვხედავ, რომ ეს გარეთ გასასვლელი კარი კი არა, სარკეა, ვხედავ ჩემი ტანის კაცს, ოღონდ არ ვიცი, სარკეში ესვეტილი თვალებდაფარული კაცი მეც ასევე მცნობს თუ არა. მისი თვალების დასანახად სარკეს ვუახლოვდები, ის კაცი ჩემსკენ ბრმასავით მოდის, გზიდან არ უხვევს, ისე მოდის, თითქოს ჩემს სხეულში აპირებდეს გავლას — ამ დროს მოვიხსენი სათვალე.

— ინებეთ! — ვამბობ და ფულს ვიხდი...

ეს იქნებოდა დასაწყისი.

მერე?

რა თქმა უნდა, ჯოხიც დამჭირდება...

წარმომიდგენია:

განტენბაინის პირველ გამოსვლას ქუჩაში გულის კანკალის გარეშე არ ჩაუვლია, მაგრამ არც საფავიდარაბო გამხდარა. მისი პირველივე თანამედროვე, რომლისკენაც ჯიქურ მიემართება მუქი სათვალეებითა და შავი ხელჯოხით აღჭურვილი განტენბაინი და ბრმების წესისამებრ ქვაფენილზე ჯოხს მიაკაკუნებს, ისე უხეშად მიაძახებს, თვალები არა გაქვსო, რომ განტენბაინი სახტად რჩება. იმის მაგიერ, რომ გახარებოდა თავისი სიბრმავის პირველი დადასტურება, წყენისაგან ენა ჩაუვარდება და იმ ტუტუცს მოუხედავს. ბრმა უკან იხედება! უკვე მოუვიდა პირველი მარცხი. მისი ჩანაფიქრი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, არავისათვის არ დაეთმო გზა, შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ პირველივე ცდა მეტისმეტად თამამი და შემზადებული გამოუვიდა. თავიდან კაცი ყოველთვის აჭარბებს ხოლმე. განტენბაინი ერთხანს დგას. ცოტა უნდა დაშოშმინდეს, სანამ გზას გააგრძელებდეს ქვაფენილზე ჯოხის კაკუნით. რა თქმა უნდა, მიდამო ნაცნობი აირჩია. კროიცპლატცი, ცელტვეგი, ჰაიმპლატცი. ამ გზით ოდესღაც ყოველდღე დადიოდა სკოლაში და ხუთი თითივით იცის ეს გზა. ბულვარზე, ხეივანში მარტო რომ დარჩა, სათვალე მოიხსნა. ციურიხი ცისფერი ქალაქია, ჩემი სათვალე კი ისე რუხად აჩვენებს, რომ შიში აგიტანს, აჩვენებს ფერფლისფრად, ოდნავ მოლილისფროდ. ვერ უარყოფს, რომ სათვალის გაკეთებისთანავე გარესამყაროსთან გამომშვიდობების გრძნობა ეუფლება. მაშ განვაგრძოთ გზა. მგონი, დროც სწორად შეურჩევია: შესვენებისას გამოსულა გარეთ, როცა ხალხი სასადილოდ მიიჩქარის და სხვების სათვალიერებლად არა სცალია. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ჰელმჰაუსთან ვილაც კაცი მაინც იჩენს გულისხმიერებას, ხელს ჰკიდებს და ქუჩაზე გადაჰყავს, თავი გაიძვერა ჰგონია. განტენბაინი ამას უნდა მიეჩვიოს. შტორჰენგასე, ვაინპლატცი, რენვეგი. თანდათან გაიწაფა. ჯოხის მეტისმეტი კაკუნიც არ ეარგა, თითო-თითოჯერ აქეთ-იქით მიკაკუნება, მე მგონი, საკმარისი უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია: რაც არ უნდა დაინახო, არ შეიმჩნიო. რატომაა, რომ ბრმის დანახვაზე ნაღველი კი არ გერევა, არამედ სიმშვიდე გეუფლება? მგონი, განტენბაინი თანდათან უგებს ამ გრძნობას გემოს, მაგრამ ამ დროს ზურგს უკან—მისი სათვალე წითელ ფერს არ ატარებს — უეცრად აჭრიალდნენ დამუხრუჭებული საბურავები, დიახ, ზედ მის ზურგს უკან. მან-

ქანა არც შეჰხებია, მაგრამ ისე შეშინდა, რომ ჯოხი გაუვარდა ხელიდან. განტენბაინმა მაშინვე დაინახა, ჯოხი დამუხრუჭებულ საბურავებს შორის რომ ეგდო ასფალტზე და წამსვე მეორე მარცხიც მოუვიდა: ბრმამ ველარ მოითმინა, დაიკუზა და თვითონ აიღო თავისი ჯოხი. ვაითუ უკვე გასცა თავი? მოწმეების ნაკლებობა არ იგრძნობა, საბურავების ღრჭიალმა ბევრი შეაჩერა, იგი ხედავს ლემურებს, ზოგიერთები ახლოს მოდიან, ცნობისმოყვარეობისაგან თუ ბრაზისაგან გალურჯებულები, იისფერ სპორტულ მანქანაში კი („კარმანის“ მარკის მანქანაში) სახეშეთხიპნილი ქერა ქალი ზის და თავს აქნევს. ამ მომწვანოთმიან უნდინესაც ქლიავისფერი ტუჩები აქვს. ბრმა ხომ არა ხარო? მისი ქურქი დამპალი წყალმცენარის ფერისაა. ბრმა ხარო? დიახ, ეუბნება იგი, დიახ, პირველად ეუბნება ქვეყანას, ბრმა ვარო, დიახ, და მიმოიხედავს, დამიჯერეს თუ არაო... საბედნიეროდ, პოლიციელი არ გამოჩენილა, ლემურები ჯერ ერთმანეთს ეკამათნენ, ვის უნდა უმადლოდეს ეს კაცი სიცოცხლესო და მერე აღელვებულ კარმანოსანს მხარი აუბეს, ვალდებული ხართ ყვითელი სამკლავური გეკეთოთო. განტენბაინს ამაზე კი აღარ უფიქრია. იგი სდუმს. თავზე ქუდი აღარ ახურავს, ქუდს იქვე ხედავს ასფალტზე, მაგრამ ქუდს რაღას დაეძებს, რაკი დავიდარაბას გადარჩა: არც მარცხენა წვივის ძვალი დაშავებია და არც იმ ქალის პრიალა ბუფერს დასტყობია რამე. რატომ არავინ მიაწოდა ქუდი? მომწვანო უნდინე ჯერაც არ დაწყნარებულა, გაიძახის, რა ბედზე გადარჩითო და გზის გაგრძელებას აღარ აპირებს, სანამ ყველა არ დაუდასტურებს, უმწიკვლოების განსახიერება ხართო, მათ შორის ის დიასახლისიც, ჯიუტად რომ ჩაუკმენდია ხმა. განტენბაინი ხედავდა, რომ ახლა იგი აღარავის ენაღვლებოდა, ყველა ერთხმად ყაყანებდა, განა შეიძლება ასეთ მანქანას ასეთი ვინმე ატარებდესო? ქალი შეეცოდა, უეცრად ყველამ მის წინააღმდეგ რომ გაილაშქრა. ქალს თვალები შარშანდელი შემოდგომის სველი ფოთოლივით ჰქონდა ამოშავებული, უპეები მოშავო-მოყავისფროდ თუ მოშავო-მოლურჯოდ მოუჩანდა. დიასახლისს, განტენბაინისათვის მკლავში ჩაევლო ხელი და ხმამაღლა ჩასჩიჩინებდა, ერთი შეხედეთ ამ კოკოტს, დიახ, კოკოტს, კინაღამ არ გაგიტანათო, მაგრამ განტენბაინს მისთვის ხმა არ გაუცია. ბრმა ვერავის განსჯის. ხომ არ დაშავდითო, ჰკითხა დიასახლისმა, თითქოს შეღებილ კარმანოსანს უკვე დიდი ხანია არ ეკითხოს მისთვის იგივე. არათუ არ დაშავებულა, განსჯის უნარიც სწრაფად დაუბრუნდა. განტენბაინმა ახლა იკითხა, რა მოხდაო. სანამ უსურათხატებდნენ, ბეწვზე ხართ სიკვდილს გადარჩენილიო, მან ქუდი დაიხურა თავზე. ქუდი ყველას თვალწინ აიღო საკუთარი ხელით და თავზე დაიხურა. ხედავდა, რომ მის სიბრმავეში არავის შეუტანია ეჭვი. ლემურებს აღარ უნდოდათ მოსაწყენ ყოველდღიურობას დაჰბრუნებოდნენ და მოჰყვნენ საყვედურებს, ქუჩაში მოძრაობა მოუგვარებელიაო. აქ ერთხელ უკვე გაიტანა კაცი მანქანამ, გაიძახოდნენ გაცხარებულნი. არ ივარგებდა, განტენბაინი გზას პირველი დასდგომოდა. ამიტომ ქუდი ხელახლა მოიხადა და ქუჩის მტვერი ჩამოფერთხა, დიასახლისი კი ამ დროს სულ უფრო და უფრო უშვერი სიტყვებით ლანძღავდა კოკოტს. ბოლოს განტენბაინმა თავისი გაწმენდილი ქუდი დაიხურა, წასვლის დრო იყო. აღარ უნდოდა პოლიცია წამოსდგომოდა თავზე. პოლიცია მძღოლის მოწმობას მოითხოვდა, ვინ იცის, იქნებ ბრმის მოწმობაც მოეთხოვა და განტენბაინმა კარმანოსან ქალბატონს უთხრა, სიცოცხლეს თქვენ და მხოლოდ თქვენ გიმადლითო. ქალმა ლილისფერ ხელთათმანში გამოკვარ-

თული ხელი სპორტული ყაიდის ბერკეტს მოჰკიდა, იაფფასიანი ძრავა ჩართო და მადლობის ნიშნად ჰკითხა, საით გნებავთ წაგიყვანოთო. შინ! — უპასუხა მან. სად ცხოვრობთო, ჰკითხა ქალმა. უკან ხელახლა ატყდა პიპინი, განტენბაინმა შუა გზაში გაჩხერილი ტრამვაიც დაინახა და უყოყმანოდ ჩაუჯდა ქალს მანქანაში. პატარა ძაღლმა შესწკავწკავა, ძაღლი კი მართლა არ დაუნახავს განტენბაინს. ეს იყო გაკრეჭილი პუდელი. ქალმა ნერვიულად ჩართო სიჩქარე და მანქანა ბიძგით დაძრა.

ახლა რაღაზე ვილაპარაკოთ?

ყვითელ სამკლავურს რატომ არ ატარებთო, სასაყვედუროდ კი არა, დედაშვილურად ჰკითხა ქალმა. აქაოდა, ბრმა ვარო, მან კითხვა შეუბრუნა, ეს თქვენი ძაღლი, კინალამ რომ გავსრისე, ფოქსტერიერი ხომ არ არისო. ეს დილეტანტურად, დამწყებივით გამოუვიდა. მერე სულ ჩაიკმინდა ხმა. რა საშინელი მოძრაობაა, თქვა ქალმა, რომ მოებოდიშებინა, ბიძგებით ამიტომ მიმყავს მანქანაო. ქალაქის გარეუბნისაკენ მიდიოდნენ. იგი ხედავდა: ტბა ისე ლაპლაპებდა, თითქოს მთვარის შუქი ეცემაო, თითქოს ღამის ნათელში გახვეულ, ტოტებგაბარდნილ შავ ხეებს ბრინჯაოს ფოთლები გამოსხმოდა, ირგვლივ არავის ეცვა თეთრი პერანგი, ხიდზე გამოკიდებული ნაცნობი დროშებიც უცხოდ აჭრელებულიყვნენ, რომელიღაც არარსებული დროშის ფერები მიეღოთ და გულს უხალისებდნენ. არ შეცვლილიყვნენ მხოლოდ კოშკების ნაცნობი სილუეტები. ბედნიერებას ჰგვრიდა ის, რომ არავის ეცვა თეთრი პერანგი, საითაც არ გაიხედა, გულზე მოესალბუნა, კმაყოფილება იგრძნო. თოლიები ლილისფერნი არიან. პოლიციელების მუზარადებიც ლილისფერია. განტენბაინი ალტაცებას ვეღარ მალავს. „კარმანით“ კმაყოფილი თუ ხართო, ჰკითხა ქალს. საიდან უნდა სცოდნოდა ბრმას, რომ „კარმანში“ ისხდნენ, მაგრამ ესეც გაუვიდა და გაოცდა. სიბრმავის დასამტკიცებლად ისიც კმაროდა, რომ ხანდახან სიგარეტის ფერფლს საფერფლეს ააცილებდა და ძირს ყრიდა. მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ფილმებზე ვერ ისაუბრებდნენ. ფილმებზე სიტყვის ჩამოგდებით იოლია საერთო ენის გამოძებნა. ეტყობა, არც ქალმა იცოდა, ბრმასთან რაზე უნდა ელაპარაკა და დიდი იყო ცდუნება, ამასობაში ინტიმურ საუბარზე არ გადასულიყვნენ. ცოლი თუ გყავთო? ამ დროს იგი შეშინებული უყურებდა, როგორ გადაკვეთა ქალმა ქუჩის გამყოფი მოთეთრო-მოლილისფრო ხაზი და პასუხის გასაცემად ენა ვერ მოატრიალა, ხოლო შემდეგ ტრამვაიც უკან მოიტოვეს და ეს კითხვაც. მან შვებით ამოისუნთქა. დიახ, თქვა ქალმა, „კარმანის“ კმაყოფილი ვარო. ხანდახან ქალი გვერდიდან შესცქეროდა ცნობისმოყვარედ, ვის შევუნარჩუნე სიცოცხლეო. იმედი მაქვს, გზა ძალიან არ გაგიგრძელეთო, უთხრა მან ქალს. ნამდვილი მისამართი, რა თქმა უნდა, არ უთქვამს, მხოლოდ თავისი სახლის ახლომახლო ქუჩა დაუსახელა ყასიდად. ქალს ლილისფერხელთათმანიანი ხელი საჭეზე ედო და უცდიდა მოლურჯო ლემურების ჯგრო როდის გადავიდოდა ქუჩაზე. მან ხელახლა ჰკითხა ბრმას, ნუთუ მიმხედავი არავინ გყავთო? ამ დროს, საბედნიეროდ, ისევ აინთო მწვანე შუქი, მანქანები დაიძრნენ და მანაც ჩართო სიჩქარე. იგი უკვე გრძნობდა, რა ძნელი იქნებოდა ყოველდღე ბრმის როლის თამაში, მაგალითად, რა ძნელი იყო ქალის გვერდით მანქანაში მჯდარიყავი და სიტყვა არ დაგცდენოდა, ერთიც არ ამოგეხვნეშა, არც ერთი მამაკაცური დარიგება არ მიგეცა, წარბიც კი არ შეგეხარა, როცა დაინახავდი იმას, რაც ქალს მხედველობიდან გამოეპარე-

ბოდა, ვთქვათ, ვერ შეამჩნევდა მარჯვენა მხარეს მომავალ საბარგო მანქანას. ძნელი იყო, ამ დროს მეგობრული კილო არ შეგეცვალა, ქალი კი თავის შეცდომას ვერც შეამჩნევდა და ერთხელ კიდევ გასხლტებოდა მშვიდობიანად.

— გმადლობთ, — თქვა მან, — მოვედი.

— აქ გაგიჩეროთ? — ჰკითხა ქალმა, მუხრუჭი მოსწია და დასძინა, — მეზობლები ვყოფილვართ.

განტენბაინი ამას კი აღარ მოელოდა.

— დიახ, — გაუმეორა ქალმა, — მეზობლები ვართ.

გაჩერებულ მანქანაში ისხდნენ, ქალმა ძრავაც გამორთო, განტენბაინი კი გაოგნებული იჯდა. შემდეგ? ბრმამ რომ მიმავალი მანქანიდან, ესე იგი ბორდიურზე ჯოხის მიუკაკუნებლად შესძლო ეთქვა, აქ არის ჩემი სახლიო, ეს ქალს არ გაჰკვირვებია. მას ნამდვილად სჯეროდა ბრმის მეექვსე გრძნობისა და ალბათ გახარებულიც იყო, ისეთი მეზობელი რომ იშოვა, რომელიც ვერასოდეს დაინახავდა მასთან მოსიარულე მამაკაცებს. იმის გაფიქრებამ, რომ ამ კაცის წინაშე მაინც შეეძლო მანდილოსნის როლი ეთამაშა, ფრთები შეასხა. ყავას ხომ არ მიირთმევთ? განტენბაინს ამ წუთში ნამდვილად კონიაკი ერჩივნა. ან იქნებ ჩაი დაგელიათო. უარის თქმა ველარ გაბედა, თუ უნდოდა ბრმის როლი გადაერჩინა, მას მანდილოსანივით უნდა მოჰქცეოდა, ხოლო, როცა ქალმა უმანკო სახით ჰკითხა, რა გვარი ბრძანდებითო, არც გვარი დაუმალავს.

— განტენბაინი? — ჰკითხა ქალმა, — თქვენი ნათესავი ხომ არ არის...

— არა, — უპასუხა მან.

— არა, — თქვა ქალმა, — ასეთი დამთხვევა ნამდვილად საოცარია.

ეს სიტყვები მან რამდენიმეჯერ გაიმეორა, თან ხელი ნიანგის ტყავის ხელჩანთაში მოაფათურა და კუწუწებიანი სადარბაზო ბარათი ამოიღო. ბარათს თვითონაც მშვენივრად წაიკითხავდა, მაგრამ ქალმა მაინც წაუკითხა: კამილა ჰუბერი. სახელის ქვეშ რა ეწერა, ის აღარ გაუმხელია. მემანიკიურე. მის ხელობასთან ბრმას არაფერი ესაქმებოდა. არც ის შენიშვნა იყო საიმისო, მიღება მხოლოდ ტელეფონით წინასწარ შეთანხმებითო. რაც გაიგონა, მხოლოდ ის გაიმეორა: კამილა ჰუბერი.

ეს საკმარისი გახლდათ. ბარათი ჯიბეში ჩაიდო, ქალმა კი იკითხა, მაინც სად ცხოვრობს ჩემი მეზობელიო.

— აი, იმ ლურჯ სახლში, — მიუგო მან.

ქალმა ვერსად დაინახა ლურჯი სახლი.

— ჰმ, — თქვა განტენბაინმა, — სადა ვართ?

იძულებული გახდა ახალი ტყუილი მოეგონებინა.

— განა ეს ფელდეგშტრასე არ არის? — ჰკითხა მან ქალს.

— სწორედ ფელდეგშტრასე გახლავთ.

მაშინ ეს ფელდეგშტრასეს დასაწყისი კი არა ბოლო იქნება, ხოლო ფელდეგშტრასე საკმაოდ გრძელი ქუჩაა და გამოდის, რომ მეზობლობაზე ლაპარაკი ზედმეტი ყოფილაო. მან დაინახა, რომ ქურქოსან ქალიშვილს გულიც დასწყდა და შეწუხდა კიდეც, ბრმის მეექვსე გრძნობა სანდო რომ არ გამოდგა. თავს იმის უფლებას როგორ მივცემ, მიგატოვოთ, თანაც ასეთ გარემოებაშიო.

ქალმა ისევ ჩართო ძრავა, რომ განტენბაინი თავისი სახლის წინ ჩამოეს-

ვა, რაკი ყავაზე არ დამეწვიეთ, ვერ მოვისვენებ, შინამდე თუ არ მიგიყვანეთო და ასე შემდეგ.

განტენბაინი ღებულობს მიპატიჟებას.

ლიფტში ქალი დაინტერესდა, ხშირად იბნევით ქალაქში თუ არაო. კაცი თვალებს ხუჭავს, რომ როლში შევიდეს, იგი ხომ პირველად მიდის სტუმრად როგორც ბრმა, და ლიფტიდან გამოსვლისას დამაჯერებლად (ოღონდ მეტისმეტი არ უნდა მოუვიდეს) წაიფორხილოს. კამილა გულის ამაჩუყებლად იქცევა. ბინაში წესიერად არც ჰქონდათ ფეხი შედგმული, რომ პალტო, ქუდი და ჯოხი ჩამოართვა. არც კამილამ იცის, ბინაშიც საჭიროა შავი ჯოხი თუ არა — ის პირველი ბრმა სტუმარია მისი. თვითონ კი ჰგონია, რომ აუცილებლად საჭიროა, რადგან ჯოხმა როლი უნდა შეასრულოს ხოლმე.

— დაბრძანდით!

ქალს ავიწყდება, რომ იგი სავარძელს ვერ ხედავს.

— რა მშვენივრად ხართ მოწყობილი! — ამბობს განტენბაინი.

— ჰო, არა? — ეუბნება ქალი, მის წინდაუხედაობას ვერ ამჩნევს და დასძენს: — თქვენ რომ ჩემი ბინიდან გადაშლილი ხედი დაგანახათ! აქედან მთელი ტბა მოსჩანს.

კამილა აზვიადებს.

— მთები თუ მოსჩანს? — ეკითხება იგი.

კამილას ჯერ არ გაუხდია თავისი წყალმცენარისფერი ქურქი, მან ჩუმად გამოაღო ფანჯარა, რომ სტუმარს სუფთა ჰაერით ესუნთქა და ერთხელ კიდევ ჰკითხა, მართლა ხომ არაფერი დაგშავებიათო. განტენბაინი უთვალთვალებს, როგორ უხმაუროდ აფარებს კამილა დივანზე პლედს, ასევე უხმაუროდ იღებს კონიაკის ორ სასმისსა და ლიფს, თითქოს თავისი სტუმრის სიბრმავეში მაინც ეჭვი ეპარებაო. ამ ფაციფუცში იატაკზე რჩება ერთმანეთში აბურდული წინდები. ქალმა როგორც კი ზურგი შეაქცია, განტენბაინმა დრო იხელთა და ფეხით შეჰყარა ის წინდები დივანქვეშ. სხვა მხრივ, ისევე იქცევა, როგორც სხვის სახლში პირველად შემოსულ კაცს შეეფერება: ოდნავ უხერხულად გრძნობს თავს, ცდილობს ბინა არ შეათვალიეროს, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება მაინც ექმნება და ლაპარაკით ცდილობს დამალოს ეს შთაბეჭდილება. იგი ბინის ქირაზე და სიძვირეზე საუბრობს, კამილა კი ღამით გავსებულ საფერფლეს ცლის და ყველაფერზე თავს უქნევს სტუმარს. შემდეგ ოთახს მოავლებს თვალს. ახლა, როცა აბურდული წინდებიც მიმალულია, ბინას შეეხედება. ეს დამოუკიდებელი ქალის ბინაა. შემდეგ განტენბაინი ქალს ეუბნება, ნუ სწუხდებითო და რაღაც ამდაგვარებს, მაგრამ ამაოდ. კამილა უკვე სამზარეულოშია და წყალს ადგამს.

განტენბაინი მარტო დარჩა.

შემდეგ, ბრმის გამოცდილებას რომ შეიძენს, სითამამე მოემატება და ყოველნაირ საზოგადოებაში გაბედავს გამოჩენას განტენბაინი.

ბრმის სათვალე ექნება გაკეთებული, ერთ ვილაში შევა და შვეიცარიელ პოლკოვნიკს გაუბამს ლაპარაკს, რომელიც ვითომ ნაცნობ სპეკულიანტში შეეშალა. ბრმას ვერაფერს უსაყვედურებ. იგი ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევს ვექილსა და ყალბისმქნელს, იმავე სპეკულიანტს ბიძაშვილად რომ ერგება. განტენბაინს ყოველთვის შეეშლება რაღაცა, რომ დაამტკიცოს, ბრმა ვარო. განტენბაინს სუფრასთან დასვამენ და სუფრულ საუბარში გაანათლებენ, ბატო-

ნებს რისი დანახვა სურთ და რისი არა. მას ისე წარმოუდგენენ ქვეყანას, როგორც გაზეთებში ხატავენ ხოლმე და რაკი განტენბაინი თავს მოიკატუნებს, ასეც მჯერაო, კარიერაც განაღდებული ექნება. ნიჭისა და უნარის ნაკლებობა ნუ შეაშინებს. ქვეყანას სწორედ განტენბაინისთანა ხალხი სჭირდება, ასეთები არასდროს არ ამბობენ იმას, რასაც ხედავენ. ზემდგომნი მის ღვაწლს დააფასებენ და ამ დაფასების მატერიალურ გამოვლენასაც არ დასჭირდება დიდხანს ლოდინი. იმის შიშით, როლიდან არ გამოვიდეო, განტენბაინი ხელს ვერ აიღებს თავის შეხედულებებზე, ვერც მათ შეცვლას გაბედავს, აქაოდა ჩემი შეხედულებების საწინააღმდეგო მოვლენებს ვხედავო. იგი პოლიტიკურ კარიერას გაიკეთებს, ნამდვილს თუ არა, საპატიოს მაინც. არც ერთ თავშეყრას არ გამოაკლდება, ყველგან დაინახავთ თავის ხელჯოხზე დანდობილს და რაკი ერთხელ და სამუდამოდ ცნობილი იქნება, განტენბაინი ვერ ხედავს, მის თვალწინ რა თამაშდებაო, მის აზრს ყველგან სიამოვნებით მოისმენენ. ხანდახან უხერხულ მდგომარეობაშიც ჩავარდება, ვთქვათ, ვინმე თავს მონსენიორად გააცნობს, განტენბაინი კი ბრმად შეეკითხება, ის ვინღა იყო, ებრაელებს ღორებს რომ უძახდაო. თურმე ის კაცი თვითონ მონსენიორი ყოფილა. თან ამ დროს ხიზილალას მიირთმევენ. იგი შეხვდება ერთ ვაჟბატონს, რომელიც ეს-ესაა კულტურის თავისუფლებაზე ლაპარაკობდა და შეეკითხება, ჰიტლერის დროს რომ ასეთსავე წამყვან როლს თამაშობდა, დარბაზში ისიც თუ არისო და ვერ დაინახავს, რომ სწორედ იმ კაცს ელაპარაკება. თან ამ დროს სიგარებს აბოლებენ და ასე შემდეგ... მემანიკიურე კამილა ჰუბერთან სტუმრობა მისი პირველი ცდაა მხოლოდ და როცა ქალი ფინჯნებით ხელში ოთახში შემობრუნდება, განტენბაინს ჯერ კიდევ ახალბედა ეთქმის.

— რა ჰქვია თქვენს ძაღლს? — ეკითხება იგი ქალს.

— ტედი.

— დიდებული ვინმეა.

— ჰო, არა? — ამბობს ქალი და თავის თავს ეკითხება, საიდან უნდა იცოდეს განტენბაინმა ჩემი ძაღლი რანაირიაო? სანამ ქება ამოსდის პირიდან, ბრმასაც შეუძლია ყველაფერზე ილაპარაკოს, მაგრამ განტენბაინი თავს ვერ იკავებს და საწინააღმდეგო ცდასაც აჭარებს.

— ერთი მითხარით, — ცოტა ხნის შემდეგ ამბობს იგი, — განა მილერის სავარძლები საძაგელი არ არის? მე თუ მკითხავთ, ნამდვილად საძაგელია.

ქალი ამ დროს სწორედ ყავას ასხამს.

— თქვენ რას შეატყობთ? — მოკლედ პასუხობს იგი, რომ აგრძნობინოს ამ საქმეში არაკომპეტენტური ხართო და შემდეგ ალერსიანად დასძენს, მაქარს ხომ არ ინებებთო.

განტენბაინი თავს უქნევს.

— ტორტს?

განტენბაინი ყოყმანობს.

— ენგადინური[1] ტორტია, — ეუბნება ქალი, — სამწუხაროდ, უკვე გაჭრილი გახლავთ, — გულახდილად დასძენს იგი, — მაგრამ სულ ახალია.

განტენბაინს ნამცხვარი საერთოდ არ უყვარს, მაგრამ მაინც უქნევს თავს. ეს მისი პირველი ტრაპეზია ბრმის როლში! ტორტი ოღი საჭმელია. ბრმად

[1] ენგადინი ხეობაა შვეიცარიაში (მთარგმნ.).

მოაფათურებ თეფშზე ჩანგალს, სანამ ტორტის ნაჭერს მიაგნებდე (აი, კალმახის ჭამა კი უფრო ძნელი იქნება. მიყვარს, როცა კალმახს მე თვითონ ვაცლი ხოლმე ფხებს. რა გაეწყობა, განტენბაინს აქედან ნომრის გაკეთება მოუწევს: ბრმა საკუთარი ხელით ისე მარჯვედ აცლის კალმახს ფხებს, რომ ვერც ერთი ოფიციანტი ვერ შეედრება. პირდაპირ საზღაპრო ამბავია. თანამესუფრეებს ჯულწრფელად აოცებთ ეს და დაუჯერებელი ამბით აღტაცებულნი ბრმას ეხვეწებიან, ჩვენც გაგვირჩიე თევზიო).

— ღმერთო ჩემო, კოვზები დამავიწყდა, — ამბობს ქალი. იგი გამოუცდელი დიასახლისის როლს თამაშობს.

— რა საშინელებაა, — იცინის ქალი, — დიასახლისობა სულ არ მემარჯვება.

მაშ, კამილას ამ როლის თამაში ნდომებია: იგი დიასახლისი არ არის. იქნებ ფიქრობს, რომ განტენბაინს იგი განათლებული ქალი ჰგონია? მაშასადამე, დიასახლისი არ არის, ეს ცხადია. ხელოვანი ხომ არ არის? ყველაფერი გასაგებია: ასეა თუ ისე, ამ ქალს აქვს პროფესია. ასე რომ არ იყოს, ყოველი კოვზისათვის არ ირბენდა აქეთ-იქით. თან წყალმცენარისფერი ქურქი ჯერაც არ გაუხდია და ისე გახარებული დაფუსფუსებს, თითქოს თავიდან დაეწყოს ცხოვრება. ეს აღმაფრენა ალამაზებს, ყოველ შემთხვევაში, თუ არ ალამაზებს, აახალგაზრდავებს მაინც. სიამოვნებს, ვერავინ რომ ვერ ხედავს, როგორ ირთხამს ტახტზე ფეხს, მანამდე კი უჩუმრად იხდის თავის იისფერ ფეხსაცმელებს, რომ განტენბაინმა ცუდი არაფერი იფიქროს და ასევე უჩუმრად აწყობს მისაწვდომ მანძილზე.

— **არა უშავს! — ამბობს ქალი.**

— **რას არა უშავს?**

— ტედი მოულხენს, — დასძენს იგი.

ალბათ ტორტის ნაჭერი თუ დავარდა ხალიჩაზე, მაგრამ რაკი ეს განგებ არავის უქნია, დამაჯერებელი ჩანს. ოღონდ განტენბაინი ახლაც ვერ უნდა მიხვდეს ვერაფერს, არც მადლობა არ უნდა გადაუხადოს კამილას, როცა იგი გუშინდელი ტორტის კიდევ ერთ ნაჭერს გადმოუღებს თეფშზე. ისე ურჭობს ჩანგალს ტორტში, თითქოს იგივე ნაჭერი ყოფილიყოს, რომელსაც ამასობაში ძაღლი მიირთმევს ხალიჩაზე. ბრმა კაცს ძაღლი რატომ არა გყავთ, წარმომიდგენია, როგორ შეშინდებოდით, უეცრად მანქანის ბამპერს რომ იგრძნობდით ფეხზეო. შემდეგ როცა განტენბაინი ამ შიშის გახსენებაზე გულის მოსაბრუნებლად კონიაკს სთხოვს, ქალი ამაოდ დაეძებს ბოთლს, რომელსაც კარგა ხანია ხედავს განტენბაინი. კამილა ბოთლს ვერ ხედავს. იგი იძულებულია დაეხმაროს ქალს, ვითომ ლამბაქის გადადგმა უნდოდეს, ლამბაქს გასწევს და კონიაკის ბოთლს უჯახუნებს. კამილა საუბრის გაუწყვეტლად (ამასაც თუ საუბარი ჰქვია), სამზარეულოში გადის კონიაკის ჭიქების გასარეცხად, განტენბაინს კი, როგორც ეს კონიაკის მცოდნე კაცს შეეფერება, გული არ უთმენს, რომ საეჭვო ბოთლი ხელში არ აიღოს და ეტიკეტი არ წაიკითხოს. კამილა უხმაუროდ შემოდის ოთახში, ქურქი ჯერ ისევ ტანზე აცვია, მაგრამ როგორც ვთქვით, ფეხსაცმელები გახდილი აქვს და ამიტომ უჩუმრად წაადგა განტენბაინს თავზე, განტენბაინს კი მარცხენა ხელში ბოთლი უჭირავს, ხოლო მარჯვენაში ბრმის სათვალე, რომ უკეთ შესძლოს ეტიკეტის წაკითხვა. ამაზე უფრო აშკარად როლიდან ვერ გამოვიდოდა განტენბაინი, მაგრამ კამილა მხო-

ლოდ ბოდიშს უხდის, სხვა მარკის კონიაკი არა მაქვსო. ის კი, ეტყობა, შიშმა იხსნა, თავი საბოლოოდ რომ არ გამოიაშკარავა: სათვალე მაშინვე რომ გაეკეთებინა, კამილა სახტად დარჩებოდა. შიშისაგან სათვალე ხელში შერჩა. შემდეგ ჯერ გულის მოსაბრუნებლად კონიაკი გადაჰკრა და სათვალე ისე გაიკეთა. გაიკეთა ჩვეული ჟესტით, ძალდაუტანებლად, ვითომ სხვათა შორის, შეუმჩნევლად, ისე რომ საუბარიც არ შეუწყვეტია. საუბრობდნენ კოსმოსში უკანასკნელ გაფრენაზე, მაშასადამე, მომავალზე და კაცობრიობაზე, ესე იგი ისეთ მოვლენებზე, რომელთა დანახვა არავის ძალუძს. სხვათა შორის, უსათვალოდ დაადგინა, რომ მისი ქუჩა ქარვისფერი ყოფილა, თმა რა თქმა უნდა, მომწვანო-მოლურჯო კი არა, ქერა აღმოჩნდა, წყალბადის ზეჟანგით შეღებილი ქერა. არც ტუჩები ჰქონია ქლიავისფერი, მაგრამ განტენბაინი ისე შეეჩვია ქლიავისფერს, რომ ახლა უსათვალოდ დანახული პომადის ნამდვილი ფერიც ასევე არაბუნებრივი ეჩვენება. მაინც ღირდა ცოტა ხანს სათვალის მოხსნა. განტენბაინმა ახლა იცის, რომ კამილას ოთახი იისფერი კი არ არის, ერთი ჩვეულებრივი, გემოვნებით მოწყობილი ოთახია. ეს ბინა ნამდვილად შეიძლებოდა განათლებული ქალის ბინაც ყოფილიყო და უბრალო მხაზველისაც, ან ვისიც გნებავთ. მხოლოდ წიგნები აკლდა აქაურობას. ფირფიტას ხომ არ მოისმენთო? ასე მყუდროდ ფეხის მორთხმა მეტისმეტი იყო და იკითხა, რომელი საათიაო. კამილა ეუბნება, ორი დაიწყოო. მის საათში კი ორს აკლდა ათი წუთი. ქალს, როგორც ჩანს, არ უნდა მისი გაშვება, სიამოვნებს, რომ ვერ ხედავენ. ქალი თავისი როლით ტკბება. განტენბაინი მეორე ჭიქა კონიაკს ცლის და საათიც ორს რეკავს. კამილა, ეტყობა, სადმე ბიუროში არ უნდა მუშაობდეს. არც გათხოვილი უნდა იყოს. როგორც ჩანს, თავი მოაქვს ბურჟუა ქალბატონისაგან განსხვავებული შეულამაზებელი ლექსიკით. კამილა კვლავ ფეხებს იკეცავს და განტენბაინს აინტერესებს, ქალს როგორი უნდა გამოჩნდეს მის თვალში. თავის ასაკზე უფრო ახალგაზრდად რომ სურს მოაჩვენოს თავი, ეს ცხადია. ჩემისთანა ახალგაზრდა ქალიც კიო. ბევრჯერ თქვა მან. განტენბაინი თვალებს ხუჭავს, რათა უკეთ გაუგოს ქალს. კამილა განათხოვარი ყოფილა. ერთხელ გათხოვილა და მეტად აღარც გათხოვდება. მამაკაცებს ჰგონიათ, ფული ყველაფრის უფლებას აძლევთ, სამსახურში ჩამდგარ ქალს კი იგივე უფლებები აქვს, რაც მამაკაცსო, ამბობს კამილა. კაცი თუ გიყვარს და ამიტომ უდგები დიასახლისად, ეს კიდევ მესმისო. მხოლოდ ესო, ამბობს კამილა. კამილა საკუთარ თავს არ ჰყიდის. ის დრო წავიდა. რა თქმა უნდა, ასე ახალგაზრდა ქალი ხანდახან მეგობარს გაიჩენს ხოლმე, მაგრამ ყველას ფეხის ხმას ვერ აჰყვება, რაც უნდათ ის იფიქრონ მეზობლებმა, იგი დამოუკიდებელი ქალია, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი გახლავთ. არც ერთი ხელის დაქნევით გაეკიდება ვინმეს. თავისთავად გასაგებია, არც ბურჟუაზიული ქორწინება სწამს დიდად. ქორწინებაც ხომ გაყიდული დამოუკიდებლობაა და მეტი არაფერი. განტენბაინს ესმის მისი. კამილა თანამედროვე ქალია, მსახურობს, თუმცა განტენბაინი ხომ ვერასოდეს დაინახავს, როგორ მუშაობს იგი. ეს არის ქალი, რომელიც თვითონვე პატრონობს საკუთარ თავს, საკუთარ მანქანას ატარებს, თავისთავად გასაგებია, საკუთარი შრომით შეძენილ მანქანას. კამილას ვერც წარმოუდგენია სხვაგვარად აწყობილი ცხოვრება, დამოუკიდებელი ქალი ვარ, თანამედროვე ქალი ვარო, ამბობს კამილა, ოღონდ ამის მრავალჯერ გამეორებას აზრი არა აქვს. განტენბაინი უკვე მიხვდა, რა როლის თამაში

აქვს მის წინაშე კამილას ჩაფიქრებული და ისიც ირწმუნებს ამ როლს, თუკი კამილა სამაგიეროდ ბრმის როლს დაანებებს.

განტენბაინი კარებში დგას. ქალმა უკვე მისცა შავი ხელჯოხი, კინალამ რომ დარჩა ოთახში.

— რაკი მეზობლები ვყოფილვართ, უეჭველად შევხვდებით ისევ ერთმანეთს... — ეუბნება იგი ქალს.

კამილა ბედნიერი ღიმილით უქნევს თავს.

ინტელიგენტმა მამაკაცმა ორმოცდაერთ წელს ისე მიატანა, რომ არც განსაკუთრებული წარმატებებისათვის მიუღწევია და არც განსაკუთრებული დაბრკოლებანი შეხვედრია ცხოვრების გზაზე. ახლა კი, მიეცა თუ არა განსაკუთრებული წარმატების შესაძლებლობა, შეეშინდა იმ როლის, რომელსაც აქამდე აშკარად თამაშობდა.

ნამდვილად შეფერებული ჰქონდა კი ეს როლი?

ეს ამბავი ხდება პატარა მეგობრულ წრეში, იცის, რომ ამ წრეში პატივს სცემენ, თან დღეს ისეთი არაფერი ხდება, საერთოდ არ ხდება არაფერი, ჩვეულებრივი საღამოა, მას კი ვერ გაუგია, რა აშინებს. საკუთარ თავს ჩააგონა, ბევრი დავლიეო (დალია ორი ჭიქა! ალბათ მეტს ვერც აიტანდა) და სასმელზე უარს ეუბნება სტუმართმოყვარე მასპინძელს, რომელსაც ხელში ბოთლი უჭირავს და ჭიქებს უვსებს მოსაუბრეებს. ენდერლინი ხელს აფარებს თავის ცარიელ ჭიქას, უსიტყვოდ აფარებს ხელს, რომ სხვების ყურადღება არ მიიქციოს, სამაგიეროდ მტკიცედ, გამწარებითაც კი ირიდებს სასმელს, თითქოს ასე შეიძლებოდეს შიშის თავიდან მოშორებაც და თან ცდილობს ყურთასმენად ქცეული მოსაუბრის გამომეტყველება შეინარჩუნოს. რა მოგვიდათო, ეკითხება ერთი მანდილოსანი, რომელიც კარგა ხანია გამოეთიშა საუბარს. მასპინძელი ეს-ესაა შეახურა ცოლმა დაცარიელებული ჭიქების გამო და ისიც განსაკუთრებით იდებს თავს, რა მოუვიდა ენდერლინსო? თვითონ კი იცის, რომ არაფერი აქვს სათქმელი. შემდეგ ენდერლინი კვლავ ავსებინებს ჭიქას, რადგან ატყობს, რომ ალკოჰოლი არაფერ შუაშია, პირიქით, გრძნობს, რომ სასმელი სულ არ მოჰკიდებია. სამწუხაროდ, ჯერ თერთმეტი საათია და შეუმჩნევლად გაპარვა თითქმის შეუძლებელი ჩანს. იგი სვამს. სწორედ იმ დღეებში გამოჩნდა პრესაში და არა მარტო მისი მშობლიური ქალაქის, არამედ საზღვარგარეთის პრესაშიც (ეს გარემოება ყოველთვის განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა ფაქტი უცვლელი რჩება) სამსტრიქონიანი ცნობა, ენდერლინი ჰარვარდში მიიწვიესო და უხერხულად გრძნობს თავს, ამ ცნობაზე მაინცდამაინც ახლა რომ ჩამოვარდა ლაპარაკი. განსაკუთრებით კი ის ეხამუშება, დიასახლისმა მის გამოსაცოცხლებლად რომ აიჩემა, ამ ამბის ალსანიშნავად სადღეგრძელო უნდა შევსვათო. ენდერლინი ცდილობს საუბარი სხვა საგანზე გადაიტანოს, მაგრამ ამაოდ ირჯება. ტორშერის ჩრდილში შეყუჟულ ქალიშვილს არ სცოდნია, ჰარვარდი რა არის. ამის გამო სადღეგრძელო ფერხდება. მასპინძელი იძულებულია იმ ქალიშვილს აუხსნას, რა არის ჰარვარდი და რას ნიშნავს ჰარვარდში მიწვევა. მაშ გაუმარჯოს! სადღეგრძელო საზეიმოდ არ ისმევა, მაგრამ იმდენი მეგობრული სერიოზულობა ახლავს თან, რომ ენდერლინის გარშემო სუფრაზე წამით სიჩუმე ისადგურებს. მიწვევა ჰარვარდში, ჰო, კარგით ერთი, ვითომ ცდილობს გააბიაბროს ეს მიწვევა, მაგრამ

მაინც უფუჭდება გუნება, რადგან ატყობს, რომ აღარავის ჰქონია მისი წარმატების იმედი. ღვინოს სვამენ, 1947 წლის ბურგუნდულს, მაგრამ ენდერლინის გარშემო ჩამოვარდნილი სიჩუმე გრძელდება. ბოლოს და ბოლოს (ენდერლინს რაღაც ხომ უნდა ეთქვა, რომ ძეგლივით არ ყოფილიყო დადუმებული), ჰარვარდში შარლატანებსაც კი იწვევენ და, ესეც არ იყოს, უცხო უნივერსიტეტში პირველად როდი მიმიწვიეს. ეს ისე, სხვათა შორის თქვა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უფრო პატარა უნივერსიტეტებიც, მაგალითად ბაზელის უნივერსიტეტიც, დამსახურებულად სარგებლობს ავტორიტეტითო. ან თუნდაც ტიუბინგენის უნივერსიტეტი ავიღოთო. მაგრამ ამაზე ენდერლინს არც მართებდა ლაპარაკი და, კაცმა რომ თქვას, არც უნდოდა ელაპარაკა. ესეც ერთ კაცს უთხრა მხოლოდ, რაკი საზოგადოებამ სწორედ ამ დროს პუდელს მიაპყრო თავისი ყურადღება, რომელიც ოთახში დაკუნტრუშებდა და მალაყებზე გადადიოდა. რა დიდებული ცხოველია! ენდერლინიც ამ აზრისაა, უხარია, რომ ჯერჯერობით მაინც ყველას ყურადღება პუდელისკენაა მიპყრობილი. ჰარვარდში როდის მიბრძანდებითო, ეკითხება ერთი მანდილოსანი, ისიც პასუხობს, მაგრამ სამწუხაროდ ისე ჩუმად, რომ ტორშერის იქით მოქცეულებიც იმავე კითხვას უსვამენ. ენდერლინიც იძულებულია ერთხელ კიდევ უპასუხოს ამ კითხვაზე, უპასუხოს ხმამაღლა, ყველას გასაგონად, როდის აპირებს ჰარვარდში წასვლას, და, ბუნებრივია, კვლავ ექცევა ყურადღების ცენტრში, აკუნტრუშებული პუდელი აღარავის აინტერესებს. ახლა ერთი მხიარული ამბის, ერთი კარგი ანეგდოტის მოყოლა სულ სხვა გუნებაზე დააყენებდა საზოგადოებას, მაგრამ ისეთი არაფერი აგონდება. მის პასუხს დაძაბულად არ ელოდებიან, მაგრამ სიამოვნებით მოუსმენენ. მაინც რას მოყვება უკვე სახელმოხვეჭილი კაცი? თითქმის ყველა სახელმოხვეჭილი კაცი ირწმუნება, სკოლიდან ერთხელ გამონაგდები ვარო. ეს ყველამ იცის, მაგრამ მაინც ყოველთვის სიამოვნებთ ამის მოსმენა. ენდერლინი კი გაოგნებულია, რაღაც უნდა თქვას, მაგრამ მხოლოდ ის იცის, რომ სათქმელი არაფერი აქვს. ამასობაში მასპინძელი სიგარებს სთავაზობს სტუმრებს, მისმა მეუღლემ კი დრო იხელთა და აკუნტრუშებული პუდელი ოთახიდან გაიყვანა, რადგან ძაღლს ეგონა, დადუმებული საზოგადოების ყურადღების ცენტრში მე ვარ მოქცეულიო. შუაღამის დადგომას კი არა და არ დაადგა საშველი...

„შემოვიდა ჰერმესი“.

მხოლოდ ამ ანტიკურ ანდაზას თუ იტყოდა ახლა ენდერლინი, რადგან იგი ამ წუთში გამეფებულ უხერხულ სიტუაციაზეა ზედგამოჭრილი. მაგრამ ამის თქმა რომ არ ივარგებს? მას სწორედ ჰერმესზე დაწერილი შრომის გამო იწვევენ ჰარვარდში. ბოლოს და ბოლოს, მასპინძელს აწუხებს ოთახში გამეფებული უხერხული დუმილი და რაკი საზოგადოება თვითონ აღარ ირთობს თავს, მასპინძელი ცდილობს მათ გართობას, დიახ, ანეგდოტებით ლამობს საზოგადოების გართობას, მაგრამ მისი ანეგდოტები მიზანს ვერ ხვდება. ყველა ენდერლინს შესცქერის. ის კი ვერაფერს გამხდარა, სდუმს, მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეში უდევს, მეორე ხელში ჭიქა უჭირავს და ერთადერთი ის უსმენს მასპინძელს, დანარჩენები, ასე ვთქვათ, მხოლოდ ენდერლინის მეშვეობით ისმენენ ანეგდოტებს. მხოლოდ მაშინ იცინიან, როცა ენდერლინი იცინის, ენდერლინი მით უფრო ექცევა ყურადღების ცენტრში, რაც უფრო დიდხანს სდუმს. საქმეს ვერაფერს შველის ის ამბავი, მასპინძელი რომ ბრწყინვალე

მთხრობელია. შემდეგ მასპინძელი სარდაფში ჩადის და კვლავ ისადგურებს უწყინარი სიჩუმე. ვინ ფეხს ინაცვლებს, ვინ ფერფლს ფერთხავს სიგარიდან, ვიღაც ფანჯარას აღებს, მიხვედრილობას უწონებენ, მაგრამ დუმილი გრძელდება, ვიღაცა ნამცხვარს ჩამოატარებს სუფრაზე, ეწევიან, ქანქარიანი საათი თორმეტჯერ რეკავს, მასპინძელს ახალი ბოთლები მოაქვს, ჰგონია, ენდერლინის გამოსვლას ვერ მოვუსწარით, საზოგადოებას გადახედავს. მითხარით, რაზე ლაპარაკობდითო, და ბოთლს საცობს აძრობს.

ნელ-ნელა აეწყო საუბარი.

ენდერლინმა დრო იხელთა და საზოგადოებას გამოემშვიდობა. მხოლოდ მისთვის მოხდა რაღაც, ეს არც პირველი შემთხვევაა და ალბათ არც უკანასკნელი იქნება, ოღონდ სანამ ნათლად გაიაზრებდე ამას, ბევრი პატარ-პატარა ელდა უნდა გამოიარო. თავის მანქანაში მარტო რომ დარჩა, გასაღები ზანტად გადაატრიალა და გულზე მოეშვა, მოტორი მაინც რომ მუშაობდა, და ამაზე მეტი აღარ უფიქრია. ეს იყო უღიმღამო საღამო...

წარმომიდგენია, რა გრძელი, გულის გამაწვრილებელი და სანერვიულო იქნებოდა ის საათი, განტენბაინმა ქალაქის ჯანმრთელობის სამმართველოს მოსაცდელში რომ გაატარა. განტენბაინს ლურჯი სათვალე ეკეთა, ჯოხი მუხლებშუა ჩაედო და თავის რიგს ისე უცდიდა. იძულებული გახდა შეეგნო, რომ ბრმაც საზოგადოების წევრია და ყვითელი სამკლავურის გარეშე არავითარი უფლებები არ გააჩნია. განტენბაინი მარტოდმარტო იჯდა ამ მიუსაფარ ოთახში და ადგილობრივი მხატვრის სურათს შეჰყურებდა, რომელსაც ეტყობოდა, სახელმწიფოსათვის თავი რომ შეესაღებინა, ახლა ცოდვა აქ უნდა მოენანიებინა. განტენბაინი ალბათ პირველი ბრმა იყო, ვინც ამ სურათს ხედავდა, სამაგიეროდ, ჯიბეში რომ გაზეთი ედო, იმას ვერ წაიკითხავდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა ვინმე წამოსდგომოდა თავს. მასზე ადრე ერთ გნომივით დალეულ ბებრუცუნას მოუწია რიგმა. დედაბერს ყველაფერი დასრულებოდა — მოჯღანული ფეხსაცმელებიც, მომჩვარული ქუდიც და ხელოვნური ყბაც. იგი ციურიხის იმ თავშესაფარში მოხვედრისათვის იკლავდა თავს, ყველა გაზეთში სამართლიანად რომ იყო ნაქები და განტენბაინი შეჰპირდა, შენთვის ვილოცებო, მაგრამ როგორც კი ატყდა თერთმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნი, დანაპირები, რა თქმა უნდა, დაავიწყდა. სადარდებლად თავისი საკუთარი მომავალიც ეყოფოდა, ის დალეული, ყბამოყანყალებული, ულვაშიანი დედაბერი კი უკვე ათი წუთი იქნებოდა, ქალაქის ექიმის კაბინეტში იჯდა და ხედავდა, გულკეთილობის მიუხედავად ექიმს მისი შველა რომ არ შეეძლო. თერთმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნი, ციურიხის ეს ყველაზე ხალისიანი გამოგონება, ღია ფანჯარაში უფრო მშვენიერი მოსასმენი და დამატკბობელი იქნებოდა, მაგრამ განტენბაინი ვერ ბედავდა ამდგარიყო და ფანჯარა გამოეღო. სათვალე ეკეთა, შავი ჯოხი მუხლებშუა ედო, ისე იგი, იჯდა ისე, როგორც შეეფერება კაცს, რომელიც ყვითელ სამკლავურს თხოულობს და მოთმინებით ელოდა რიგს. ცნობები და მოწმობები ორი სპეციალისტისგან მაინც უნდა აეღო. აქეთ-იქით სირბილში (ბორდიურზე ჯოხის კაკუნით!) და ქაქანში, სანამ ორი ადგილობრივი ექიმი, თანაც ყოველგვარი განსაკუთრებული გასამრჯელოს გარეშე, მოიტყუებდა თავს, განტენბაინს, ნერვიულობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ერთი თვე დაეკარგა. ახლა მოწმობები ჯი-

ბეში ედო და ოფიციალური დაწესებულების ბეჭედიღა აკლდა, ეს დაწესებულება წესით გულისხმიერი უნდა იყოს, განტენბაინს კი იმდენხანს ალოდინებდა, თითქოს ბრმას ამ ქვეყანაზე აღარაფერი ჰქონოდეს დასაკარგავი. სიბრმავეს სიყრუე ხომ არ აჯობებდაო, ერთხელ კიდევ ჰკითხა განტენბაინმა საკუთარ თავს, მაგრამ ახლა გვიანღა იყო... თერთმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნი ჩაჩუმდა; სამაგიეროდ, საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმოდა. ალბათ ბებრუცუნას სანუგეშებლად თუ აკაკუნებდნენ, ერთხელ კიდევ იწერდნენ დაწვრილებით მონაცემებს: დაბადების თარიღს, მამის სახელს, რომლის საფლავიც აღარ არსებობდა ამ ქვეყანაზე, დედის ქალიშვილობის გვარს, უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილს, გადატანილ სნეულებებს, ოკეანის გადაღმა გადახვეწილ ჯერ კიდევ ცოცხალი ვაჟიშვილის მისამართს, რომელსაც შეეძლო ტვირთისაგან გაეთავისუფლებინა სოცუზრუნველყოფის ორგანო. მოკლედ, რაღაცას კი ბეჭდავდნენ. განტენბაინს უკვე გული უფანცქალებს, იმ საბეჭდი მანქანისათვის გასაცემ პასუხებზე რომ ფიქრობს. იქნებ სინდისი ქენჯნის? ხან გამოშვებით თვალებს ხუჭავს, რომ როლში შევიდეს, მერე მალიმალ ახელს, მაგრამ ეს ხილული სამყაროს დანახვის წადილით არ მოსდის — ყველამ იცის, როგორი შეიძლება იყოს დაწესებულების მოსაცდელი ოთახი. იქნებ სიბერის ნიშანია, ყველაფერი, რისი დანახვაც თვალებს ძალუძთ, მოსაცდელი ოთახივით რომ გვეჩვენება? მაგრამ ადამიანი მაინც კვლავ და კვლავ ახელს თვალებს. თვალის ბადურა გვიქარწყლებს იმ წარმოდგენებს, რასაც თითქმის ყოველი ფაჩუნი აღვიძებს ჩვენში, იგი დრო-ჟამისაგანაც გვიფარავს. კაცი ხედავს, რა დროს უჩვენებს სანკტ-პეტერის საათი ქუჩის მეორე მხარეს, საათები კი ყოველთვის ახლა დამდგარ წამს უჩვენებენ. ბადურა გვიფარავს მოგონებისა და მისი უფსკრულებისაგან. განტენბაინს უხარია, რომ მართლა ბრმა არ არის. საბოლოოდ იგი თითქმის მიეჩვია სათვალის წყალობით შეცვლილ ფერებს: ფერფლით ნაგები შენობების თავზე დაკიდულ რძისფერი შუშის მზეს, ბრინჯაოსფერ ფოთლებს, თითქოს საავდროდ მოქუშულ ჩამელნისფერებულ ღრუბლებს, ოღონდ ვერაფრით ვერ შეეგუა და კვლავ უცნაური ეჩვენება ქალების სათოვლიასფერი კანი.

ერთხელ განტენბაინმა საათზე დაიხედა და სწორედ ამ დროს მოსაცდელში დაწესებულების თანამშრომელმა გაიარა. მოლურჯო ხელში შავი პორტფელი ეჭირა (მხოლოდ შავი რჩება შავად), ისე ჩაიარა, განტენბაინისათვის თავი არ დაუქნევია, ალბათ, იცოდა, რომ მოსაცდელში ბრმა იჯდა, ასე იყო თუ ისე, არ მისალმებია და არც განტენბაინს დასჭირვებია თავის დაქნევა, შემდეგ კვლავ მარტო ზის განტენბაინი, ჯოხი მუხლებს შორის უჭირავს და დრო აქვს, ერთხელ კიდევ აწონ-დაწონოს თავისი თამამი წამოწყება: უპირატესობა, ნაკლი...

გადაწყვეტილებას არ იცვლის.

ნელ-ნელა რწმუნდება, რომ ახლა რიგი არ მოუწევს, რამდენადაც იცის, ქალაქის დაწესებულებანი, თორმეტს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, ქუჩების ტრანსპორტით გადატვირთვას ერიდებიან და სარკმლებს კეტავენ. მოკლედ, იფიქრა, ნაშუადღევის ორ საათზე მომიწევს ექიმთან შესვლაო და ჩიბუხის გაწყობას შეუდგა. ჩიბუხს ჩვეულებრივად ტენის, ეს ისეთი ოპერაციაა, რომელიც თვალდახუჭულმა შეიძლება თითებს მიანდო... უპირატესობებმა გადასძლია... ახლა მხოლოდ ჩიბუხის გაჩაღებისას ახელს თვალს და აფარფატე-

ბულ ალს უყურებს, თუმცა ენამ მანამდეც იგრძნო, რომ თამბაქო იწვის. ყველაზე უფრო ერთი ნაკლი აშინებს: ბრმის როლი გულჩახვეულობას უქადის. ჩიბუხი გაღვივდა. განტენბაინმა კვლავ შვება იგრძნო, რომ მართლა ბრმა არ არის. კვამლს რომ არ ხედავდე, ჩიბუხს სულ სხვა გემო ექნებოდა, მწარე გემო, აბივით ან ინექციასავით გამაბრუებელი, მაგრამ უხალისო. კამილა ჰუბერთან ხანმოკლე შეხვედრამ ერთხელ კიდევ განუმტკიცა იმედი, რომ შესძლებს ადამიანებს ცოტა უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭოს, გაათავისუფლოს შიშისაგან, ვინმე ჩემს სიცრუეს არ ხედავდეს. უპირველეს ყოვლისა კი, განტენბაინს იმედი აქვს, რომ ადამიანები ბრმის წინაშე ნაკლებად შეინიღბებიან, ამიტომ უკეთ გაიცნობს ადამიანებს და რაკი მათ სიცრუესაც გაუწევს ძალაუნებურად ანგარიშს, ურთიერთობაც უფრო რეალური და უფრო სანდო გამოუვათ.

როგორც იქნა მიიღო ექიმმა.

თეო განტენბაინი, დაბადებული ამა და ამ წელს, ამა და ამ ადგილას — ყველა მონაცემი მოწმობაში წერია. ექიმი ჯერ თვითონ დაჯდა და მერე გადაათვალიერა მოწმობები, დიდი ცნობისმოყვარეობა არ გამოუჩენია. ქალალდებს ზერელედ არა, მაგრამ შედარებით სწრაფად გადაავლო თვალი, რადგან საკაა შესვენების დრო დადგებოდა. ექიმი ისე გულგრილად ათვალიერებს მოწმობებს, რომ ეტყობა, ყველაფერი რიგზე უნდა იყოს. ბრმის ოფიციალური საბუთი, ორივე გვერდზე ნაბეჭდი ფორმულარი, მდივანმა ქალმა უკვე ჩადო საბეჭდ მანქანაში. განტენბაინმა თავიდან ბოლომდე სწორი პასუხები უნდა გასცეს ყველა კითხვას, რაც ყოველთვის არ არის იოლი, მოგეხსენებათ, ყოველი ფორმულარი ისეთ ტიპიურ შემთხვევებს ვარაუდობს, ქვეყანაზე საერთოდ რომ არ არსებობს; მაგალითად, განტენბაინს საერთოდ არა ჰყავს დამსაქმებელი. ქონება? ეს კითხვა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, იგი ხელყოფს ანაბრის საიდუმლოების დაცვის შვეიცარიულ წესს, რასაც ეს ქვეყანა ამდენ სიკეთეს უმადლის, მაგრამ განტენბაინი გართულებებს არიდებს თავს და თანხას ასახელებს, შეწუხებულ სახელმწიფოს გულზე ეშვება, ქალიშვილი კი ბეჭდავს გამალებული. სულ არ ენაღვლება „დიახს“ დაბეჭდავს თუ „არას“, ოღონდ შეცდომა არ მოუვიდეს. განტენბაინი თან ქალაქის ექიმის სახეს აკვირდება და ხედავს: ექიმი თავის მდივან ქალს არ ენდობა, თორემ ბრმისა ყველაფერი სჯერა. ეს განტენბაინს ხელს აძლევს. ახლა ერთი მდივან ქალს რაიმეს წაშლა რომ დასჭირდეს, ქალაქის ექიმს ზედ ეტყობა, არ დაუყვირებს, მაგრამ იმით დასჯის, რომ ბრმას მასზე უფრო დაუტკბება. ექიმი წინასწარ ხსნის თავს ავტოკალამს, რომ ბრმის ყვითელ მოწმობას დაბეჭდვისთანავე მოაწეროს ხელი. მგონი, ყველაფერი რიგზეა. განტენბაინს უფრო თავისი ზედმეტი ეჭვები ანერვიულებს. მაგალითად, ვაითუ დაფიცება დამჭირდეს ოკულისტების მოცემული მოწმობების თაობაზეო. ქალაქის ექიმი სწორედ ახლა ეუბნება, ბევრი კარდაკარ მოსიარულე მეწვრილმანე შანსავს ასეთ მოწმობებს, რომ დიასახლისებს გული აუჩუყოსო. რატომ ამბობს ამას? ნღობით რომ ეკიდებიან, მგონი, იმ ბებრუცუნას უნდა უმადლოდეს — ალბათ დაიმოწმებდა, მოსაცდელში რომ უსინათლო კაცი ზის, იმან ასე და ასე თქვაო. განტენბაინი გრძნობს, რომ მისი შემოსვლა დრამატურგიულად შემზადებული ყოფილა. სათქმელად იოლია! — მეგობრულად ეუბნება ქალაქის ექიმი და განტენბაინის შეხედულებებს არ ეთანხმება: აბა ყველა მოხუცს სად მოვუნახოთ თავშესაფარი? ექიმი

ციფრებს იშველიებს, რათა შემდეგ ჰკითხოს, თქვენ თუ ხედავთ გამოსავალსო. საუბარს ტელეფონის ზარი აწყვეტინებთ და განტენბაინი აზრის მოკრებას ასწრებს, სანამ კვლავ დაუსვამდნენ კითხვას, გამოსავალს თუ ხედავთო. განტენბაინი მხოლოდ უთანაგრძნობს ექიმს, მესმის, ქალაქის ექიმი რა სიძნელეებს აწყდებაო. ბებრუცუნას გასამხნევებლად მოსაცდელ ოთახში გამოთქმული შეხედულებანი კარგად გამოადგა: ისინი მის სხვაგვარ სიბრძავეს ხდიან სარწმუნოდ. ექიმს უნდა მდივანი ქალის უგერგილობისაგან მოგვრილი ბრაზი სიგარეტით დაიოკოს და უსიტყვოდ ეძებს ასანთს, განტენბაინი კი ამ დროს თავაზიანად აგებებს კვესს. ექიმს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ახლა მდივანი ქალი რაღაცას შლის. აი ამას კი აქცევს ექიმი ყურადღებას. ჩვენს გონებას არ ძალუძს ერთდროულად ყველაფერს გასწვდეს, ექიმს სიგარეტიც ავიწყდება და განტენბაინიც, მდივან ქალს უყურებს და ცდილობს მოთმინებიდან არ გამოვიდეს, სანამ ბრმის მოწმობას ბოლოს და ბოლოს აღირსებენ, განტენბაინი კი ამ დროს ჯიბეში მალავს თავის კვესს. ექიმი ხელს აწერს მოწმობას. ყვითელ სამკლავურს ფასდადებით გამოგიგზავნითო, ეუბნება განტენბაინს მდივანი ქალი. განტენბაინი, როგორც კი მიიღებს რომელიმე დაწესებულებისაგან სასურველ ცნობას, იმ დაწესებულებისადმი თანაგრძნობით განიმსჭვალება ხოლმე, ექიმი თავის მხრივ მადლობელია ამ თანაგრძნობის გამო, თან ალბათ თავისი მდივანი ქალის შეხედულების გაბათილებასაც ლამობს (მდივანი ქალი მას აუტანელი ხასიათის კაცად თვლის) და განტენბაინს თვითონვე მიაცილებს ლიფტამდე, არც ნუგეშისცემა ავიწყდება, ცხოვრებაში მაინც არ დაიკარგებითო. განტენბაინი ცდილობს დაამშვიდოს ექიმი, თანაგრძნობა უხერხულ დღეში აყენებს და ექიმს არწმუნებს, დაბრმავებამდე ამ წუთისოფელში ბევრი რამ მინახავსო: საბერძნეთი და ესპანეთი ხომ მომივლია და მომივლია, მაროკოშიც კი ვყოფილვარო. მაროკოში, მაგალითად, ექიმი არ არის ნამყოფი. პარიზი, ლუვრი, ხომ თქმა არ უნდა, ნანახი მაქვს, დამასკოშიც ნამყოფი ვარ და ახალგაზრდობაში ერთხელ მატერჰორნზეც კი ავედი, დიახ, თუმცა მწვერვალი ნისლში იყო გახვეული. რაკი ლიფტიც იგვიანებს, გაცხოველებული საუბარი ჩაღდება მოგზაურობის გარშემო. სამ ან ოთხკვირიანი შვებულების შემყურე სახელმწიფო დაწესებულების ექიმმა აბა რა უნდა იმოგზაუროს. განტენბაინი განსაკუთრებით ურჩევს ჰავანას. გაისად ესპანეთში ვაპირებ წასვლასო, ეუბნება ექიმი. განტენბაინი უპირველეს ყოვლისა ამ ქვეყნის შიდა რაიონებს უსახელებს — სალამანსას, ავილას, სეგოვიას, კორდოვას, ესპანეთზე უფრო ცუდი გზები, ირწმუნება განტენბაინი, დღეს თურქეთში თუ იქნება, ირანზე რომ აღარაფერი ვთქვათო. ამ დროს ლიფტიც ამოდის, მაგრამ შიგ არავინ შედის და კარები ისევ იხურება. რა არ მინახავს, ამბობს განტენბაინი, მხოლოდ რუსეთში არ ვყოფილვარ, ალბათ არც თქვენ იქნებით ნამყოფი. იწყება პირველი პოლიტიკური საუბარი, რომელშიაც განტენბაინი ბრმის კვალობაზე ჩაება და გრძნობს, რომ ასე არასოდეს გაიოლებია პოლიტიკაზე ლაპარაკი: საკმარისია დაანებო სხვას, ჭკუა გასწავლოს... ლიფტი მეორედ იღება და განტენბაინს ბევრი რჩევა-დარიგებისათვის დრო აღარ რჩება: ესპანეთში თუ ჩახვალთ, ალტამირის მღვიმეები არ დაგრჩეთ უნახავიო, სეგოვიაში თუ მოხვდებით, „კანდიდოში“ ისადილეთ, ჰემინგუეის რესტორანში, იქვე აკვადუკთან რომ არისო, თურქეთში თუ იმოგზაუროთ, ედირნის მეჩეთი არ დაგრჩეთ მოუნახულებელიო, იერუსალიმში თუ მოგიწევთ ყოფნა, მაშინ

ერთ პარასკევს... განტენბაინი უკვე ლიფტში დგას, მაგრამ ექიმი ხელს კი არ ართმევს, თითზე ჰკიდებს ხელს, და განტენბაინი მაშინვე ვერ ხვდება, რაშია საქმე. ექიმი საჩვენებელ თითზე ავლებს ხელს და ასწავლის, რომელ ღილაკს უნდა დააჭიროს თითი, როგორც კი ლიფტის გარეთა კარის ჯახუნს გაიგონებს. განტენბაინი იძულებულია ერთხელ კიდევ გაიმეოროს, ქვემოთ ჩელოდებიანო. სამკლავურს გამოგიგზავნიანო, ერთხელ კიდევ ეუბნება ექიმი...

ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა.

ლიფტში მარტო დარჩა თუ არა, ისე მოეშვა, როგორც მსახიობს ემართება ხოლმე კულისებში, როცა იცის, რომ აღარავინ უყურებს. განტენბაინმა ოფიციალური მოწმობა წაიკითხა. იგი უკვე ოფიციალურად არის ბრმად აღიარებული. ეს მყისვე სულ სხვა შეგრძნებას განიჭებს, თვით ქალაქის მთავარი ექიმის წინაშეც კი სხვაგვარი რიხით შეგიძლია წარსდგე. ასე დაემართა განტენბაინს, როცა ალმა-დალმა ატარა ლიფტი და კვლავ ექიმის წინაშე წარსდგა ხუთიოდე წუთის შემდეგ. განტენბაინს თავისი შავი ჯოხი დარჩენია ექიმის კაბინეტში. სწორია! — ამბობს ექიმი და განტენბაინისაკენ იხედება. იგი ხელებს ისაპნავს და იბანს, სასადილოდ ემზადება. რაკი მდივანი ქალი უკვე წასულია, განტენბაინი, აქაოდა გულისხმიერი ექიმი არ შევაწუხოო, თვითონ იღებს სავარძლის საზურგეზე მიყუდებულ ჯოხს და თან შიშისაგან კანკალებს ასეთი წინდაუხედაობის გამო. ამით მხოლოდ საკუთარი თავი კი არ გასცა, ორი ექიმიც ჩაგდო საფრთხეში. ახლა რაღა ქნას? მაგრამ ქალაქის ექიმი ამას, ეტყობა, არაფრად აგდებს, იმდენად სჯერა თავისი საკუთარი ხელმოწერისა. იგი მხოლოდ თავს უქნევს განტენბაინს და თან დაბანილ ხელებს იმშრალებს. ექიმს, ცოტა არ იყოს, თვითონაც ეუხერხულება პერანგის ამარას რომ შემოუსწრეს. ხოლო ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, როგორც ეს შვეიცარიული დაწესებულებისაგან იყო მოსალოდნელი, განტენბაინს მოსდის სამკლავური და ცხოვრებას უიოლებს.

მხოლოდ ქალებთან ურთიერთობა უჭირს.

ახალი სამკლავურის გამოსაცდელად განტენბაინი, რა თქმა უნდა, პირდაპირ იმ კაფეს არ მიაშურებს, სადაც დაბრმავებამდე დადიოდა, მიდის სხვა კაფეში, სადაც ოფიციანტები არ იცნობენ და აღტაცებულია, ამდენ ახალ სახეს რომ ხედავს და ქალებსაც სულ სხვა თვალით რომ ჭვრეტს. იგი ხედავს, მისი აღტაცება ქალებს მოსვენებას რომ უკარგავს. განტენბაინი კამპარის სვამს, შავი ჯოხი მუხლებშუა უდევს, ყვითელი სამკლავური მკლავზე აქვს შემოხვეული. სიგარეტს საშაქრეში დებს და კიდევ ვინ იცის, რა ოინებს არ სჩადის. ვითომ არ სჯერათ მისი ოფიციალური სამკლავურის? გრძნობს, როგორ უთვალთვალებენ. ცდილობს მამაკაცური, ძალდაუტანებელი პოზა მიიღოს, მაგრამ ამ ცდამ გასცა და შედეგსაც ხედავს: მეზობელ სუფრასთან მჯდომი ქალიც ცდილობს თავისუფლად დაიჭიროს თავი — ხან ცხვირს იპუდრავს, ხან ტუჩებს იღებავს, ხან თავს ისე აჭრიალებს, თითქოს უნდა მამაკაცის მზერას გაექცესო, ხან კი უეცარი ღიმილით ცდილობს ტყუილში გამოიჭიროს იგი. ეტყობა, გაუჭირდება განტენბაინს. ქალები საკვლევით არასდროს არ ირწმუნებენ მის სიბრმავეს, სამკლავური გინდ ჰქონია და გინდა არა, ქალი ზურგით გრძნობს, უყურებს თუ არა ვინმე.

ბარში ვზივარ. ნაშუადღევია. ამიტომ ბარში ჩემს მეტი არავინაა და ბარმენი მე მიყვება თავისი ცხოვრების ამბავს. დიდებული მთხრობელია! მე ვი-

ლაცას ველოდები. ის ჭიქებს რეცხავს და ამბობს: დიახ, ასე იყო ეს ამბავი! მე ვსვამ. ნამდვილ ამბავს გიყვებითო. მჯერა-მეთქი, ვეუბნები. იგი გარეცხილ ჭიქებს ამშრალებს. დიახ, ასე იყო ეს ამბავი! ერთხელ კიდევ გაიმეორა მან. მე ვსვამ და მშურს ამ კაცის — მისი რუსეთში ტყვედ ყოფნა ოდი მშურს, თავისი ისტორია რომ სჯერა, ის აღმიძრავს შურს...

— ჰმ, — ამბობს იგი, — ისევ არ გაწვიმდა!

ამ სიტყვებს არ გამოვკიდებივარ, კვლავ ვსვამ.

— ყოველი ისტორია გამონაგონია,—ვამბობ ცოტა ხნის შემდეგ, განა ეჭვი მეპარება, რუსების ტყვეობაში საშინელ დღეში არ იქნებოდა-მეთქი, საერთოდ ვამბობ: ყოველი გამომყლავნებული „მე“ უკვე როლია.

— ბატონო დოქტორო, — მეუბნება იგი, — კიდევ ხომ არ ინებებთ ვისკის?

ბატონო დოქტორო!

— ადამიანს სწყურია ისტორიის გამოგონება, — ვამბობ და ვამჩნევ, რომ უკვე ბევრი შემისვამს. შეზარხოშება იმაში მეტყობა, რომ წინადადებას არ ვასრულებ, ვვარაუდობ, მე თუ მესმის რასაც ვამბობ, მსმენელიც გამიგებს-მეთქი.—ადამიანს ორი ან სამი, დიდი-დიდი ორი ან სამი ამბავი თუ გადახდება თავს ისეთი, მოსაყოლად რომ ღირდეს, სულ ერთია, საკუთარ თავგადასავალს გვიამბობს თუ საერთოდ მოყვება რაიმეს: ეს თავს გადახდენილი ამბის ნიმუშია მხოლოდ და არა ისტორია, დიახ, ეს არ არის ისტორია, — ვამბობ მე და ცარიელ ჭიქას ვიყუდებ.

— ადამიანი საკუთარ თავს ვერ ხედავს, ისტორია კი მხოლოდ უცხო თვალით იქმნება, — განვაგრძობ მე, — ჰოდა, სწორედ ამიტომ გვწყურია მისი გამოგონება.

არ ვიცი, ბარმენი, ექვსი წელი ურალში რომ გაატარა, მას შემდეგ ყურს მიგდებს თუ არა და თავი რომ არ შაევაწყინო, სიგარეტს ვუკიდებ.

— თქვენ გაქვთ ცხოვრების ისტორია? — ვეკითხები მერე, თუმცა მან უკვე მიამბო ის, რასაც აშკარად თავის ისტორიად თვლიდა, და ვეუბნები, — მე კი არ გამაჩნია.

სიგარეტს ვეწევი და ვაკვირდები, როგორ იღებს ჩემს ჭიქას თუთიის დახლიდან და გასავლებად წყალში დებს, როგორ იღებს სხვა ჭიქას, სუფთა, მშრალ ჭიქას და უარს ვერ ვეუბნები, ახალ ვისკის რომ მიმზადებს. ვერ ვეუბნები, იმიტომ რომ ვაკვირდები... იმ კაცზე ვფიქრობ, კეშზე რომ გადავეყარე. ეს ამბავი დღემდე არავისთვის გამინდვია, თუმცა გამუდმებით თანა მდევს, თანა მდევს ერთი მკვლელობის ისტორია, რომელიც არ ჩამიდენია. ჭიქას ვატრიალებ და ბარმენს ვეკითხები:

— ოდესმე თუ ყოფილხართ კეშზე?

— კეშზე? — მეკითხება იგი, — ეს რა არის?

— კეშის პიკზე გეკითხებით, მთაა ასეთი, — ვეუბნები მე.

— არა, რატომ მეკითხებით?

სისულელეა! როგორ შეიძლება ეს ის კაცი იყოს, ათას ცხრაას ორმოცდაორში კეშზე რომ შევხვდი? გავჩუმდი. ნამდვილად სისულელეა. სასმელს ვეწაფები.

— ყოველი კაცი ადრე თუ გვიან თხზავს ისტორიას, რომელსაც თავის ცხოვრებად თვლის, — ვამბობ მე, — ერთს ან რამდენიმე ისტორიას ერთად, —

ვამბობ, მაგრამ იმდენად მთვრალი ვარ, რომ თვითონ ველარ მივყვები საკუთარ აზრებს, საკუთარ თავზე გული მომდის და ვჩუმდები.

ვილაცას ველოდები.

— ერთ კაცს ვიცნობდი, — ვცდილობ სხვა საგანზე გადავიტანო საუბარი, — მერძევეს, რომელმაც ცუდად დაასრულა თავისი ცხოვრება. მან საგიჟეთში ამოყო თავი, თუმცა თავს არც ნაპოლეონად თვლიდა და არც ანმტანინად, პირიქით, მხოლოდ მერძევე ეგონა თავი და ჰგავდა კიდეც მერძევეს. შიგადაშიგ მარკებსაც აგროვებდა, მაგრამ მის ხასიათში მხოლოდ ეს ერთი შტრიხი თუ ერია ფანატიკური. საიმედო კაცად რომ თვლიდნენ, იმიტომაც დააყენეს ათისთავად სახანძრო რაზმში. ახალგაზრდობაში, მგონი, ტანმოვარჯიშე ყოფილა, ყოველ შემთხვევაში ჯანმრთელი და მშვიდი კაცი გახლდათ, ქვრივი იყო, სმა არ უყვარდა და იმ არემარეზე ვერავინ იფიქრებდა, თუ ოდესმე საგიჟეთში ამოყოფდა თავს. ნაფაზი დავარტყი და განვაგრძე.

— ოტო ერქვა, დიახ, ოტო, — კიდევ დავარტყი ნაფაზი, — ის „მე“, რომელიც ამ კეთილმა კაცმა გამოუგონა საკუთარ თავს, საკამათოდ არავის გაუხდია მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე, მით უმეტეს, რომ ირგვლივ მყოფი ადამიანებისაგან ეს არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვდა, პირიქით, ყველა სახლში რძე და კარაქი დაჰქონდა ოცდაერთი წლის განმავლობაში, კვირაობითაც კი. ბავშვებს გვიყვარდა ეს კაცი, ხშირად წამოგვასკუპებდა ხოლმე თავის სამთვალაზე, — ნაფაზი დავარტყი და განვაგრძე: — ეს იყო გაზაფხულზე. ერთ შაბათ საღამოს ოტო საკუთარი სახლის აივანზე გამოსულიყო და ჩვეულებისამებრ ჩიბუხს აბოლებდა. სტანდარტული სახლი შარაგზის პირას იდგა, მაგრამ იმოდენა ბაღჩა ერტყა ირგვლივ, რომ ნამსხვრევები ვერავის დაეშავებდა. ჰოდა, მისთვისაც სამუდამოდ გაურკვეველი მიზეზების გამო, ოტომ უეცრად ხელი დაავლო ყვავილების ქოთანს, თუ არ მეშლება, გერანის ქოთანს, და ბაღჩაში გადაუძახა, რასაც მსხვრევაც მოჰყვა და საყოველთაო ყურადღებაც მიიპყრო. ყველა მეზობელმა მაშინვე მოაბრუნა თავი, ზოგი მასავით პერანგისამარა იდგა აივანზე და შაბათ საღამოთი ტკბებოდა. ზოგი ბაღჩაში კვლების მორწყვით იყო გართული. ყველამ მაშინვე მოაბრუნა თავი. ამ საყოველთაო ყურადღებამ, ეტყობა, ისე გააღიზიანა ჩვენი მერძევე, რომ დაერია ქოთნებს და ჩვიდმეტივეს გადაუძახა ბაღჩაში, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ქოთნებისა არ იყოს, მისივე საკუთრება გახლდათ, მაგრამ მაინც მოჰკიდეს ხელი და წაიყვანეს. მას შემდეგ ოტო შეშლილად ითვლებოდა და ასეც იყო, რადგან მასთან დალაპარაკება აღარ შეიძლებოდა, — ვამბობ და თან სიგარეტს ვეწევი. ჩემი ბარმენი იღიმება, რამდენადაც ამ ამბავს შეჰფერის, მაგრამ თამამად ვერა, რადგან ვერ გაუგია, ამით რისი თქმა მინდა. — ჰოდა, ასე, — ვამბობ მე და სიგარეტს თუთიის დახლზე დადგმულ საფერფლეში ჩავსრესავ, — მისი „მე“ გაცვდა, ეს შეიძლება მოხდეს, ხოლო სხვა „მე“ ველარ გამოიგონა. ეს საშინელება იყო.

არ ვიცი, ბარმენმა გამიგო თუ არა.

— დიახ, — ვამბობ მე, — ასე იყო ეს ამბავი.

მეორე სიგარეტს ვიღებ.

ვილაცას ველოდები.

ჩემი ბარმენი ცეცხლს მაგებებს.

— კიდევ ერთ კაცს ვიცნობდი, — ვამბობ მე, — იგი, მართალია, საგიჟეთ-

ში არ მოხვედრილა, მაგრამ სულ გამონაგონი ცხოვრებით ცხოვრობდა, — ვამბობ და თან სიგარეტს ვეწევი,—ჰოდა იმ კაცმა დაიჩემა, ერთი პატიოსანი და უიღბლო, ბედისაგან დაჩაგრული კაცი ვარო. იგი ყველას გვეცოდებოდა. ქონებას შეაკოწიწებდა თუ არა, დევალვაცია მოუსწრებდა. და ასე იყო მუდამ. სახურავიდან კრამიტი არ ჩამოვარდებოდა, იგი თუ ქუჩაზე არ გაივლიდა. უიღბლო ვარო, ამის გამოგონება, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხელსაყრელი და ამიტომაც ასე გავრცელებული ხერხია. თვე არ გაივლიდა, კვირა არ ჩაივლიდა, დღე არ დაღამდებოდა ისე, რომ ამ კაცს დაჩივლების საბაბი არ მისცემოდა. ვინც ასე თუ ისე იცნობდა, ყველას ეშინოდა ეკითხა, როგორ ხარო. ჩივილით, კაცმა რომ თქვას, არ დაიჩივლებდა, მხოლოდ გაიღიმებდა თავის საოცარ ბედუკულმართობაზე. და მართლაც, ყოველთვის ის წააწყდებოდა ისეთ რამეს, რასაც სხვა გვერდს აუვლიდა. უიღბლო რომ იყო, ამას ვერ უარყოფდი, დიდ თუ პატარა საქმეში ბედი ნამდვილად არ სწყალობდა. თან თავის უბედობას მამაცურად უძლებდა, — ვამბობ მე და ვაბოლებ, — უძლებდა მანამ, სანამ სასწაული არ მოხდა.

სიგარეტს ვაბოლებ და ველოდები, როდის მკითხავს ბარმენი უგულოდ, რა სასწაულია. ბარმენი ძირითადად თავისი ჭიქების წმენდითაა გართული.

— ეს იყო მეხის დაცემა, — ვამბობ მე, — დიახ, მეხის დაცემას ჰგავდა, ლატარიაში დიდი თანხა რომ მოიგო. ეს ამბავი გაზეთში გამოაქვეყნეს და ხომ ველარ უარყოფდა. ქუჩაში რომ შევხვდი, კაცის ფერი არ ედო, დაბნეული იყო, ოლონდ თავის გამონაგონში კი არ ეპარებოდა ეჭვი, უიღბლო ვარო, არა, ლატარიისა არა სჯეროდა, თუმცა ლატარია რა სათქმელია, არც ამქვეყნისა სჯეროდა რამე. სასაცილოდ არ ჰქონდა საქმე და მეც იძულებული გავხდი მენუგეშებინა, მაგრამ ამაოდ. ვერ გაეგო, რატომ გაუღიმა ბედმა, ვერც იჯერებდა და არც უნდოდა დაეჯერებინა, უიღბლო აღარა ვარო, და მართლა ისე აებნა თავგზა, რომ ბანკიდან გამოსულს საფულე დაეკარგა. და მე მგონი, ასეც სჯობდა მისთვის, თორემ სხვა, უკეთესი „მე“ ექნებოდა გამოსაგონებელი, აბა თავს უიღბლოს ხომ ველარ დაუძახებდა. კარგად მესმის, რომ ახალი „მეს“ გამოგონება გატენილ საფულეზე უფრო ძვირი დაუჯდებოდა, მთელ თავის ცხოვრებაზე უნდა ეთქვა უარი, ყველაფერი, რაც თავს გადახდომოდა, ხელახლა უნდა განეცადა და თანაც სხვაგვარად უნდა განეცადა, თორემ მის ახალ „მეს“ აღარ მოუხდებოდა.

ვსვამ.

— ამ ამბიდან დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ცოლმაც უღალატა, — ვამბობ მე, — ის კაცი მეცოდება, ნამდვილად უიღბლო იყო.

ვეწევი.

გარეთ კვლავინდებურად წვიმს... აღარ ვიცი, ამით, ბოლოს და ბოლოს, რისი თქმა მინდოდა და ჩემს ბარმენს ვაკვირდები. უარი კი თქვა, მაგრამ იქნებ მაინც ის არის? ჩემი კეშელი კაცის სახე აღარ მახსოვს და ალბათ, ამიტომაც ვერ ვიცილებ თავიდან. ვეწევი, ვფიქრობ, ვდუმვარ, ვეწევი.

ეს იყო 1942-ში, აპრილის თუ მაისის ერთ კვირა დღეს. ზამადენში, გრაუბიუნდენის კანტონში ვიყავით დაბინავებულნი. უღრუბლო დღე იდგა. კვირის ბოლოს ორდღიანი შვებულება მომცეს, მაგრამ შინ არ წავსულვარ, მარტო მინდოდა ყოფნა და მთებისაკენ გავსწიე. კაცმა რომ თქვას, შვებულებაში მყოფთ საფრთხის გამო სასტიკად ეკრძალებოდათ მთებში მარტო სია-

რული, მაგრამ მე ჩემი არ დავიშალე და მთებში, თანაც კეშზე წავედი. ღამე სათივეში გავათენე. საშინლად ცივდა, სათივეში თივის ერთი ბულულიც კი არ მოიძებნებოდა, გამჭოლი ქარი მიბერავდა, ვარსკვლავიანი ღამე იდგა. კეშის თავშესაფარ ქოხს განგებ ავუარე გვერდი, რადგან იქ ოფიცრები იქნებოდნენ და მე, რიგით არტილერისტს, შვებულების მიზანი საპატაკო გამიხდებოდა. სწორედ ეს არ მინდოდა, არ მინდოდა ჩემი შვებულება პატაკებს დაემძიმებინა. მთელი ღამე ვერ გავთბი და ადრიანად ავდექი, მზის ამოსვლამდე დიდი ხნით ადრე. რუხი ქვა-ღორღის ნაყარში ვერავინ შემამჩნევდა, რადგან მეც რუხი ფერის ტანსაცმელი მეცვა. მალლა სწრაფად ავედი. თოვლის საფარს რომ მივაღწიე, თოვლი ჯერ კიდევ ისეთი მაგარი იყო, რომ ზარივით რეკავდა. ნაპრალს მივაგენი და ცოტა ხანს სული მოვითქვი. მზე ის-ის იყო ამოდიოდა, იმ არემარეზე ძეხორცელი არ ჭაჭანებდა. ყავის კონცენტრატით ვისაუზმე. თან წერაყინი მქონდა და არ მინდოდა მარტო მიმავალი ხეობაში ვინმეს დავენახე; ახლა კი მიხაროდა, ეს პატარა, პრიალა წერაყინი რომ მქონდა თან, თუმცა უიმისოდაც გავიდოდი იოლად, რადგან თოვლი სულ მალე მოლბა მზეზე და მხოლოდ ჩრდილში მჭირდებოდა საფეხურების გამოჭრა. ხეშეში მუნდირი გავიხადე და ქამარზე გამოვიბი. ხანგამოშვებით კვლავ ვზვერავდი მიდამოს, ვინმე ოფიცერი არ გამოტყვრეს საიდანმე-მეთქი. ჩემი ფიქრით, მწვერვალზე თუ ავასწრებდი, მერე ველარაფერს დამაკლებდნენ, დიდი-დიდი ეკითხათ, ბრძანებას არ იცნობო, და მთამსვლელთა ადათ-წესების ხათრით არაფერს მეტყოდნენ. მაგრამ, როგორც ვთქვი, ირგვლივ არავინ იყო, ყოველ შემთხვევაში თოვლიან ფერდობებზე ვერავის ვხედავდი და თუ მეც არ ვუკაკუნებდი წერაყინს, ჩამი-ჩუმიც არსაიდან მესმოდა. თავი მთვარეზე მეგონა, ასე მარტოდმარტო რომ ვიყავი. მესმოდა კლდეებზე ჩამომქვლეული თოვლის ხმაური, მეტი არაფერი, ხანდახან კი ჩემი წერაყინი თუ გაიწკრიალებდა სალ კლდეზე, ისმოდა ქარის ზუზუნი, მეტი არაფერი. სალ კლდეებში ქარი დათარეშობდა. მწვერვალს რომ მივაღწიე და ზედ აღმართული ჯვარი შემომეგება, თავი ბედნიერად ვიგრძენი. თანდათან დათბა. ნაყარი ქვებით ქარისაგან დაცული, ნიშისებური თავშესაფარი ავიშენე, გაოფლილი პერანგიც გავიხადე. მუნდირი მუთაქასავით დავაგორგლე და უძილო ღამისაგან მოღლილმა დავიძინე. რამდენ ხანს მეძინა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში თვალი მაინც წავატყუე, სხვა საქმე მაინც არაფერი მქონდა. უცებ ვიღაც დამელაპარაკა. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უცნობი ვითომ შვეიცარიულ ყაიდაზე მომესალმა, აშკარად გერმანელი კი იყო. შეცბუნება რომ შემატყო, მითხრა, თქვენი შეწუხება არ მინდოდაო. მე, რა თქმა უნდა, წამოვიწიე, მაგრამ ჯერ ხმას არ ვიღებდი. კარგა ხნის მოსული უნდა ყოფილიყო, ზურგჩანთა მოშორებით მიეტოვებინა. შვეიცარიულ სალამზე გერმანული გამარჯობით ვუპასუხე, წელში საბოლოოდ გავიმართე და ახლა ერთმანეთის გვერდით ვიდექით. მან დურბინდი მოიმარჯვა და მკითხა ბერნინას მთები რომელიაო. თქვენ ხომ ჯარისკაცი ხართო, მითხრა და ჩემს ჩაფართხუნებულ შარვალს რომ შეხედა. ცოტა არ იყოს დამცინავად გაიღიმა. რაც უნდოდა, ის რომ დავანახე, შევამჩნიე, რა კარგად იცოდა ეს მხარე. ენგადინის მოტრფიალე იქნება, უცხოელია, მაგრამ ეტყობა, აქურობას კარგად იცნობს. ყოველ შემთხვევაში სახელები არ ეშლება: ბერნინა, პალიუ და როზაჩი ხომ იცის და იცის, ქვემოთ, ხეობაში ჩაკარ-

გული სოფლების სახელებიც კარგად მოეხსენება. როგორც მთამსვლელს შეეფერებოდა, რუკაც ჰქონდა და ლაიკაც [1], თუმცა მაშინ რუკები ყველას ჩამორთმეული ჰქონდა. ჩვენს საუბარს ქარზე უფრო ის აძნელებდა, რომ უცნობი ჯიუტად ცდილობდა ჩვენებურად ელაპარაკა. და თან ისე, თითქოს ბავშვს უჩლექდა ენას, თუმცა შვეიცარიულ კილოს ვერ ბაძავდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა და მაინც ამ გზით ცდილობდა ჩემთან დამეგობრებას, გულკეთილად და თან მფარველური ტონით მელაპარაკებოდა და ვერ ამჩნევდა, რომ ამით გუნებას მიწამლავდა. მე, რა თქმა უნდა, ალემანური აქცენტით, თუმცა მაინც ლიტერატურული გერმანულით ვპასუხობდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა — მან ისიც კი იცოდა, საბზარეულოს კარადას ჩვენში როგორ ეძახდნენ. ეს ისე, სხვათა შორის თქვა, საუბართან ამას არავითარი კავშირი არ ჰქონია. აქ სამხედროები ბლომად არიან, არაო? ვხედავდი, როგორ ატანდა თავს ძალას, რომ ჩემს ჯარისკაცულ ფორმას სერიოზულად მოჰკიდებოდა, იქნებ მე ვიჩენ უყმურობას-მეთქი, გავიფიქრე, როცა მან თავისი დურბინდი შემომთავაზა, და სამაგიეროდ ჩემი ველტლინური მათარა მივაწოდე. მისი დურბინდით ვხედავდი, რომ უცნობი ჩემს ნაკვალევს გამოჰყოლოდა. აქეთ სხვას არავის გამოუვლია. დურბინდისათვის მადლობა გადავუხადე. იგი დაახლოებით ნახევარ საათს დარჩა. ჩვენი საუბარი უპირველეს ყოვლისა მთებსა და ფლორას შეეხებოდა და იგი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა. სახეში შეხედვა ისე მიჭირდა (კაცმა რომ თქვას, რატომ?) თითქოს უტაქტობაში დავეჭირო ვისმეს. ეს უტაქტობა კი წინასწარ მაგდებდა სირცხვილში და სიტყვას სიტყვაზე ვეღარ ვაბამდი. იმ კაცს ვინ ვეგონე, არ ვიცი, მაგრამ დოყლაპიად კი ნამდვილად ჩამთვლიდა. რომ ვთქვი, ბერლინს ვიცნობ-მეთქი, საშინლად გაუკვირდა. რაც უფრო გაცხოველდა საუბარი (გაცხოველდა კი იმის წყალობით, რომ იგი ჩვეულ კილოს დაუბრუნდა) მით უფრო ვნატრობდი იმ წუთის დადგომას, როცა თავის ზურგჩანთას დაავლებდა ხელს. ჩემი რჩევა — აქედან მადულაინში ჩასვლა როგორ აჯობებდა — ზედმეტი აღმოჩნდა. ღამე კეშის თავშესაფარ ქოხში გაეთია და იმ ქოხს ისე მიქებდა, თითქოს ჩემი აშენებული ყოფილიყოს. იქ ბევრი ოფიცერი ვნახე, დიახ, კარგი ბიჭები არიანო. მისი შეკითხვა, მთამსვლელობაში თუ გწრთვნიანო, ქარს გავატანე. ოთხ საათზე მადულაინში რომ მოახერხებდა ჩასვლას, არც მეეჭვებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაავლო ხელი თავის ზურგჩანთას და ერთი ვაშლიც მომცა. ცოტა არ იყოს, შემრცხვა. ამსიმაღლეზე ვაშლი ძვირად ფასობდა. ამასობაში ზურგჩანთა ბეჭებზე მოიგდო, უკვე ხელიც ჩამოვართვით ერთმანეთს და აღარც მეგონა კიდევ თუ მომიბრუნდებოდა, რომ უცნობს გულახდილობა მოუნდა. რა მითხრა, სიტყვა-სიტყვით აღარ მახსოვს. მაგრამ რაიხის ხსენებაც კმაროდა, რომ მისი ნათქვამის აზრი ჩემთვის ნათელი გამხდარიყო. ამაზე პასუხი არ გამიცია, საერთოდ არ დამიძრავს კრინტი, ვდუმდი და ვიდექი. ხელები საძულველი ჩაფართხუნებული ხაკისფერი შარვლის ჯიბეებში მეწყო და იმ ქვეყანას გავყურებდი, მისი სიტყვით, მალე რაიხის საკუთრება რომ უნდა გამხდარიყო. აი, რას ვხედავდი: კლდეს, მოშავოს, ზოგან მოწითალოსაც. ქვა-ღორღსა და შუადღის შუქმოფენილ თოვლს, რუხი ქვა-ღორღით დაფარულ ქარაფებს, შემდეგ ალპურ მდელოებს, მოტიტვლებულს, ქვიანს,

[1] ლაიტცის ფირმის ფოტოაპარატი (მთარგმნ.).

მზის ათინათებიან ნაკადულებს, იალაღებს, ნახირს, რომელიც შორიდან პატარ-პატარა მატლების გროვას ჰგავდა, ტყეშერეულ, ღრუბლის ჩრდილებით მოფენილ ველს. ახლოს შავი ჭკები დაფარფატებდნენ. მან თავის ლაიკა შეინახა, ხელიც დამიქნია, მომაძახა. აბა, შენ იცი, სამსახურში თავს როგორ გამოიჩენო და მხოლოდ მერე მომივიდა ჩემს თავზე გული, რატომ სიფათში არ ვლეწე-მეთქი. უცნობის განსაკუთრებული ნიშნებითაც მხოლოდ მერე დავინტერესდი და შვერილზე გადავდექი, მაგრამ გვიანღა იყო: იგი მხოლოდ მაშინ დავინახე კვლავ, როცა კლდის თხემს შემოუარა და ახლა ჩემს ქვემოთ გამოჩნდა ოცდაათი მეტრის სიღრმეზე. ასე რომ, მისი მწვანე თექის ქუდის ხილვაღა მერგო წილად. ფეხი დაუცდა, მაგრამ თავი შეიკავა და შემდეგ უფრო ფრთხილად მიბობღავდა. დავუძახე, იქნებ ამოიხედოს-მეთქი, მაგრამ ვერ გავაგონე. მინდოდა მეთქვა, ჩამონაშალ ქვებს უფრთხილდი-მეთქი, მესმოდა დაგორებული ქვების ხრიალი, მაგრამ, ეტყობოდა, ქვების ცვენას აინუნშიაც არ აგდებდა, ის ხომ ზევით იყო. რაც უფრო ვცდილობდი მისი სიტყვებით მოგვრილი ბრაზი დამეოკებინა, მით უფრო უზომოდ მომდიოდა ახლა გული, ეს იდიოტი როგორ მარჯვედ მიცოცავს-მეთქი. ისევ ხრიალებდნენ ქვები! თითები პირში ჩავიწყე და დავუსტვინე. მოიხედა, მაგრამ, ეტყობა, ჩემი ხმა ზაზუნას სტვენად ჩათვალა, რომელიც ასევე მალე გახდებოდა ჰიტლერის რაიხის კუთვნილება. მანამდე ვიდექი კლდეზე, სანამ თოვლში მიმავალმა შავმა კაცუნამ კეშის ნაპრალს არ მიაღწია. ალბათ ისევ სურათებს თუ იღებდა, ყოველ შემთხვევაში, დიდხანს კი დააბოტებდა თოვლში. მუნდირს ხელი დავავლე, უცებ გადავწყვიტე ქვევით ჩავსულიყავი და დავწეოდი. რისთვის? მწვერვალზე დავრჩი, მაგრამ მისთვის მაინც არ მომიცილებია თვალი, სანამ თოვლიანი ველიდან არ გააღწია. შემდეგ ფლატეზე დავლანდე, მაგრამ მალე იალაღს შეერწყა თავისი წყალგაუმტარი რუხი ქურთუკის წყალობით და მეც ამაო თვალთვალს მოვეშვი.

მერე მეძინა...

ეტყობა, სიცივემ გამომაღვიძა და უცებ ერთმა აზრმა შემაშინა: ვითომ ის კაცი კლდიდან გადავაგდე, თუმცა ვიცოდი, რომ ეს არ ჩამიდენია. ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა ჩამედინა? ეს კი არ დამსიზმრებია, ამ ფხიზელ აზრთან ერთად გავიღვიძე: ერთი ხელის წაკვრა კმაროდა, როცა ზურგჩანთის ასაღებად დაიხარა, და... ამას ვფიქრობდი და თან მის ვაშლს ვჭამდი.

რა თქმა უნდა, მიხარია, ასე რომ არ მოვიქეცი. ეს ხომ მკვლელობა იქნებოდა. ამ ამბავზე არავისთან დამცდენია სიტყვა, თუმცა არაფერი ჩამიდენია... ვხედავდი: ირგვლივ ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. თითო-ოროლა შავი ჭკა დაფრინავდა მხოლოდ. ვერც ვისიმე თვალი გახდებოდა ამ ამბის მოწმე და ვერც ვისიმე ყური. მხოლოდ ქარი ქროდა. საღამოს ზამადენში სიის ამოკითხვისას უკანა რიგში დავდგებოდი. თავს მარჯვნივ მივაბრუნებდი. სწორდითო, ხელებს ჩავასწორებდი. სმენაო, გავიჯგიმებოდი, მერე კი ლუდს დავლევდი. მჯერა, ვერაფერს შემატყობდნენ. მას შემდეგ ბევრ მკვლელთან მისაუბრია, ვაგონ-რესტორანში იქნებოდა ეს, კონცერტის ანტრაქტზე თუ სადმე სხვაგან და სახეზე ვერაფერი შემიტყვია. ვაშლი შევჭამე და კვლავ შვერილზე გავედი, მინდოდა დამენახა, სად იქნებოდა იგი უკვე ჩასული. ყინულის ბრჭყვიალა ქერქგადაკრული ნაბუქის მეტი ვერაფერი დავინახე. შავი ჭკები

უხმოდ მინანაობდნენ შორეული მყინვარის თავზე. სულ ახლოს მოჩანდა ჩრდილოეთის პატარა, მაგრამ თითქმის შვეული კედელი. საათს დავხედე. ჩასვლის დრო იყო. ავიღე ჩემი ხეშეში მუნდირი, ქამარი, წერაყინი. თოვლი ახლა საკმაოდ მომბალიყო და ვალიარებ, რომ ერთხელ მეც დამიგორდა ქვა. კეშის ნაპრალში რომ ჩავედი, ის კაცი აღარც კი მახსოვდა. ჯერ ერთი, ფაშარ თოვლში სიარული ხანგამოშვებით ჩემგან ყურადღების დაძაბვას მოითხოვდა და მერე იმ კაცზე უფრო მნიშვნელოვანი სადარდებელი სხვაც ბევრი მქონდა. ჯარში ერთი საზიზღარი ფელდფებელი მყავდა გადაკიდებული და ვიცოდი, ისევ საგუშაგოზე მიკრავდა თავს. ყველაზე უფრო ის მადარდებდა, რომ ჩემი პროფესია შინ დამატოვებინეს — აბა სალდათი კი არ ვიყავი ხელობით. ნაშუადღევს კეშის ნაპრალში ვიჯექი, მისი ნაფეხურებით გადაჭრელებულ თოვლს ვუყურებდი და ვერაფრით ვერ გამეხსენებინა, სინამდვილეში რა მითხრა იმ კაცმა მწვერვალზე, სადაც ახლა თეთრი ჯვარიღა იდგა ეულად. მხოლოდ ის მაგონდებოდა, რომ გასაკეთებელი არ გავაკეთე. ჰოდა, ამიტომაც ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. ახლა, ისე, უბრალოდ მაინტერესებდა, სად შეიძლებოდა იგი გადაჩეხილიყო. გეზი კეშის პიკის ძირისაკენ, ჩრდილო-დასავლეთისაკენ ავიღე, თუმცა იქ პატარა მყინვარი მეგულებოდა. შორს არ წავსულვარ, მხოლოდ იმ ადგილის დანახვა მინდოდა და სულ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. თოვლი აქ ისე ფაფუკი იყო, რომ მუხლებამდე ვეფლობოდი. გავიხვითქე. კარგი იყო, თხილამურები წამოგელო. მყინვარზე გადასასვლელი გზა ვიცოდი. ზურგზე კარაბინი და სხვა საჭურველი რომ არ მქონოდა წამოკიდებული, იმ გზით სიარულს არაფერი აჯობებდა; მარჯვნივ სერტიგისაკენ მიემართებოდა გზა, მარცხნივ — ბერგიუნისაკენ. ნაბიჯს ხვავი ვერ დავატანე. მაგვიანდებოდა. სამი შესრულდა! უცნობი ამასობაში ხეობაში ჩავიდოდა, საიდანაც წყალგამყოფს იქით მადულაინის ხედი იშლებოდა. სიარულიც თუ ისევე ემარჯვებოდა, როგორც ლაპარაკი, მაშინ ახლა პირველ ფიჭვებამდე იქნება მისული. მე კი ჯერ ისევ მუხლამდე თოვლში მივაბოტებდი! ასე იყო თუ ისე, უკვე იმ პატარა კედლის ძირს მივაღწიე და რადგან არ ვიცოდი გაჩეჩქვილი თავის ქალის დანახვაზე რა დამემართებოდა, საქმიანად ვფიქრობდი, ის კაცი მართლა ამ ქარაფზე დაეცემოდა თუ არა-მეთქი. რამდენიმე მეტრზე ავცოცდი, რომ უკეთ დამეთვალიერებინა კედელი, თანაც აქ ფეხს კარგად მოვიკიდებდი. ჩემს ქვემოთ გაწოლილი ნაპრალის შემხედვარეს გული მისკდებოდა, ვქოშინებდი. ვინ იცის, იქნებ თვითონ კლდეზე გარჩენილიყო და მხოლოდ მისი ლაიკა დავარდნილიყო თოვლზე, იქნებ არც ეს მომხდარიყო. კაცმა რომ თქვას, ახლოდან ამ კლდეს კედელი არც კი ეთქმოდა. არა, ალბათ აქამდე ვერც ჩამოაღწევდა, სადმე ჭიუხში გაიჩხირებოდა-მეთქი, ვფიქრობდი. ნეტავ მაცოდინა, რაც არ მომხდარა, იმაზე თავს რად ვიმტვრევდი. აქამდე მწვერვალზე მონავარდე ქარი ვეღარ აღწევდა და სამარისებური სიჩუმე იდგა. მხოლოდ წყლად ქცეული თოვლის წკაპუნი ისმოდა, რადგან ნაშუადღევს ამ ნაპრალშიც ჩამოეხედა მზეს. ცხელოდა და ვინ იცის, მერამდენჯერ ვწყევლიდი ჩვენი არმიის უხეირო მუნდირს. ნაშუადღევის შუქით განათებული კლდე ახლა ქარვასავით ბდღვრიალებდა, კლდის თავზე გადმომხობილ ცას იისფერი დაჰკრავდა, პატარა მყინვარს კი, ყოველ შემთხვევაში, ნაპრალებს მაინც, მოლურჯო ფერი ედო, თოვლი უფრო რძეს წააგავდა და ზედ მხოლოდ ჩემი

ღრმა ნაფეხურები აჩნდა შუშასავით მოლურჯოდ. მიდამო გაოიხდულიყო. მხოლოდ შავი ჭკები მინანაობდნენ მაღლა ცაში. მწვერვალზე აღმართული ჯვარი აქედან არ მოჩანდა. კვლავ კეშის ნაპრალისაკენ გავემართე. მეგონა, ალაგ-ალაგ ჩავსრიალდებოდი, მაგრამ ეს იმედიც გამიცრუვდა. ჩასრიალება ბევრჯერ ვცადე, მაგრამ თოვლი გალხობილიყო. კვალს დათოვლილი მინდვრის ბოლომდე მივსდიე, თუმცა ფიქალის ნაშალზეც შეიძლებოდა მისი ნაფეხურების ცნობა. ზოგან ნაფეხური გადაგლესილი იყო, მაგრამ სამაგიეროდ, ზოგან ბეჭედივით აჩნდა მიწას. ნაფეხურებზე ვატყობდი, საუკეთესო ხარისხის სამთო ფეხსაცმელი ეცვა. მხოლოდ იალაღზე დამეკარგა მისი კვალი სამუდამოდ.

სულ ეს იყო.

საღამოს, ზამადენში, სიის ამოკითხვისას უკანა რიგში დავდექი, მაგრამ არაფერმა მიშველა. საგუშაგოზე გამამწესეს, ლუდმაც ჭირი მოგჭამა და ძილმაც, ჯოჯოხეთურად ვიყავი მზისაგან დათუთქული და სიცხეც მქონდა. თანდათან დავრწმუნდი, რომ ის კეშელი კაცი უწყინარი ტურისტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არავისთვის არაფერი მიამბნია. ჩემი საგუშაგო სოფლის მოედანზე გახლდათ. სხვა აღარაფერი დამრჩენოდა — ხელში კარაბინი უნდა დამეჭირა და მეყურებინა, სოფლის მოედანზე მწვანე თექის ქუდი არ გამოჩენილიყო. ჩემი ბელეტრისტული იმედი, რა თქმა უნდა, არ გამმართლებია. ამაოდ ვგუშაგობდი, ათი ნაბიჯი წინ, ათი ნაბიჯი უკან. მაშინ, 1942-ში, საერთოდ არ არსებობდნენ ტურისტები. რომ შემხვედროდა, უეჭველად ვიცნობდი, მაგრამ მაინცდამაინც ზამადენში არ გამოუვლია.

მაშ ხაზი გადავუსვათ ამ ამბავს!

რას გადავუსვათ ხაზი?

მომდევნო წლებში, როგორც ვიცით, ბევრი რამ მოხდა და ნამდვილად მოხდა. ეს ამბავი აღარ მომგონებია, ღმერთმა კი იცის, წვრილმანებისთვის არავის სცხელოდა და მით უმეტეს ქიმერისათვის, გამოგონილი მკვლელობისათვის ვინღა მოიცლიდა, როცა ყოველდღე საკმარისად ხდებოდა ნამდვილი მკვლელობა. ამგვარად, ამაზე აღარ მიფიქრია და არც არავისთვის მიამბნია კეშის პიკზე გატარებული იმ ლურჯად მოხასხასე კვირა დღის ამბავი. სასაცილოდ ამიგდებდა ყველა. აღარც კეშის პიკზე ავსულვარ როდისმე. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ამბავი თურმე არ დამვიწყებოდა, თუმცა ბევრი ნამდვილი ამბავი მართლა დამავიწყდა სამუდამოდ. საოცარია. ეტყობა, ჩვენს მეხსიერებას ყველაზე იოლად ნამდვილად ჩადენილი საქმეები ავიწყდება. მხოლოდ ქვეყანა ამჯობინებს გაიხსენოს დიდი მოწიწებით ჩემი ნამოქმედარი, რაკი ჩაუდენელი საქმეებისა არაფერი იცის, ხოლო ნამდვილი ამბები, სიმართლე თუ გნებავთ, ჩემში მოწყენილობის გრძნობას ბადებს მხოლოდ. ჩვენი ნამოქმედარის გაზვიადების ცდუნება სიკეთისა თუ ბოროტების მეტად წარმოჩენის მიზნით სწორედ ამ მოწყენილობის ბრალი გახლავთ. აღარ შემიძლია იმის მოსმენა, რომ ჩემდა სანაქებოდ თუ სამარცხვინოდ ესა და ეს მაქვს გაკეთებული, მხოლოდ დაუვიწყარი მომავლის სახით, თუნდაც ქიმვრის სახით წარსულში გადატანილი ჩემი ცხოვრება არა მგვრის მოწყენილობას: აი ის კეშელი კაცი წანამქრული ბორცვიდან თავდაყირა რომ გადამეშვა...

მე ეს არ ჩამიდენია.

ჯალათი ხელს ვერ აღმართავს ჩემზე.

მაშ ხაზი გადავუსვათ ამ ამბავს!

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ კვლავ მომაგონდა ეს ამბავი. ერთ დღეს გაზეთში სხვა ცნობებთან ერთად ისიც ამოვიკითხე, რომ კლოსტერსისა და გრაუბიუნდენის მიდამოებში გერმანელები საკონცენტრაციო ბანაკის აშენებას აპირებდნენ თურმე. გეგმები მზად ყოფილა, ხოლო ასეთი გეგმები, მოგეხსენებათ, მიდამოს საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ვერ მომზადდებოდა. ვინ შეისწავლა კლოსტერსის შემოგარენი? იქნებ იმ კაცმა, 1942 წლის ერთ კვირა დღეს ვითომ ბუნების სიყვარულმა რომ ამოიყვანა კეშზე და მე წანამქრული ბორცვიდან თავდაყირა არ გადავუშვი...

არ ვიცი.

ვერასდროს ვერ შევიტყობ, ვინ იყო იგი.

მეორეჯერ მაშინ მომაგონდა ეს ამბავი, ახალგაზრდა ექიმი ბური საბერძნეთიდან რომ დაბრუნდა. ბური იქ საერთაშორისო წითელ ჯვარში მსახურობდა და ბევრი ამბავი მოგვითხრო საკუთარი თვალით ნანახი. მათ შორის ასეთიც: თურმე ერთი დამშეული ბერძენი ბავშვი ათენის ცენტრში ვერმახტის მანქანიდან პურის მოპარვას ცდილობდა, ვიღაც ჯარისკაცს დაუჭერია ბავშვი და იქვე მიუხვრეტია ქუჩაში. რა თქმა უნდა, ბურიმ სხვაც ბევრი ნახა: ყველა ჯარისკაცს არ მიუხვრეტია ასე ტყუილუბრალოდ ბერძენი ან პოლონელი ბავშვი, მე ვიცი ეს. მე მხოლოდ ვკითხე, ის ჯარისკაცი, ათენში რომ ნახე, როგორ გამოიყურებოდა-მეთქი, ისე ვკითხე, თითქოს შემძლებოდეს იმ ჯარისკაცის ამოცნობა.

ნეტავი რისთვის?

ჩვენ ისე ვსაუბრობდით, როგორც მთის მწვერვალზე ისაუბრებდა ორი კაცი, უბრალოდ, ამხანაგურად, ისე, როგორც თოვლის უდაბნოში მარტო დარჩენილ ორ მამაკაცს შეეფერებოდა. ამხანაგურად, სიტყვაძუნწად, — მწვერვალზე მონავარდე ქარი გრძელ-გრძელი წინადადებების წარმოთქმას მაინც არ დაგვანებებდა. თავისთავად გასაგებია, რომ ყოველგვარი ფორმალობის გარეშე წავისაუბრეთ, ხელიც ჩამოვართვით ერთმანეთს, გვარი კი არც ერთს არ გვითქვამს. ორივემ მივაღწიეთ იმ მწვერვალს. ესეც კმაროდა, ორივეს ერთი და იგივე ხედი გვქონდა თვალწინ გადაშლილი. თუმცა ერთმანეთს ხელი მართლა ჩამოვართვით თუ არა, ეს კარგად აღარ მახსოვს. შეიძლება ჯიბიდან არც ამომიღია ხელები. შემდეგ მის ვაშლს გეახლებოდით, ეს იყო და ეს, და წანამქრული ბორცვიდან ძირს ვიყურებოდი. რაც არ ჩამიდენია, ის კი მახსოვს მტკიცედ. იქნებ კარგი კაცი იყო ის უცნობი, იქნებ ძალიან კარგიც-მეთქი, ჩავჩიჩინებ ჩემს თავს, რათა იმას აღარ მივსტიროდე რაც არ ჩამიდენია. იქნებ ომის შემდეგ კიდეც შევხვედრივარ სადმე და არაფერი მიგრძვნია, შევხვედრივარ ალბათ სხვაგვარად ჩაცმულს, შევხვედრივარ ისე, ძალიანაც რომ მომენდომებინა, ველარ ვიცნობდი. იქნებ იგი ერთი მრავალთაგანია, ვისაც პატივს ვცემ და ვერასოდეს ვერ შევველევი. მხოლოდ ხანდახან ვჭოჭმანობ ასე, უეცრად მომივლის ხოლმე. მას შემდეგ ხომ ოცი წელიწადი გავიდა. ვიცი, რომ სასაცილოა, არ გავიწყდებოდეს საქმე, რომელიც არ ჩაგიდენია. მე ხომ არც არავის ვუყვები ამ ამბავს. დროდადრო კი სულაც აღარ მაგონდება ეს ამბავი...

მხოლოდ მისი ხმა მიდგას ყურში.

ჭიქას ვცლი.

დროა დანახარჯი გადავიხადო.

— დიახ, დიახ, — ვამბობ მე, — ეს რუსები!

ვხედავ, რომ ჩემი ბარმენიც სხვა ფიქრებში ყოფილა ამასობაში გართული... ჰოდა, რაც არ მომხდარა, იმასაც მოვეშვათ და მისი რუსული მაღაროების ამბავსაც, ჩემს გამონაგონთან მოკლე ჩართვით რომ არის დაკავშირებული.

— ბატონო დოქტორო, კიდევ ხომ არ ინებებთ ვისკის? — მეკითხება იგი.

— მითხარით, — კითხვას ვუბრუნებ მე, ბარმენი ამ დროს საფერფლეს ცლის და ჩვრით წმენდს თუთიის დახლს, რომელიც; ეტყობა, ფერფლით დავსვარე, — მითხარით, კეშის პიკზე თუ ყოფილხართ ოდესმე?

— არა, — მეუბნება იგი, — ეგ ერთხელ უკვე მკითხეთ.

ბევრი შემისვამს... ამასობაში ბარში ვიღაც ქალი შემოდის და თვალებს აცეცებს. მის დანახვაზე მაგონდება, რომ საათ-ნახევარია აქ ვიღაცას ველოდები. როგორც იქნა მივხვდი, რომ ეს იმ ვიღაცის მეუღლეა, ის ვიღაცა სამწუხაროდ, იძულებული გამხდარა სადღაც გამგზავრებულიყო და მისი მეუღლე აქ მოსაბოდიშებლადაა მოსული. ტაბურეტიდან ჩამოვხტი და ზრდილობის გულისათვის ქალს სველი პალტო ჩამოვართვი... ამით ისიც მინდა გამოვხატო, რომ ბოდიშს ვღებულობ, თუმცა სიმართლე თუ გნებავთ, საბოდიშოდ საქმე მე მქონდა, რადგან სულ გადამავიწყდა, ვიღაცას რომ ველოდებოდი. ასევე ზრდილობის გულისათვის ვეკითხები ქალს:

— რამეს ხომ არ დალევდით?

თავს უხერხულად ვგრძნობ. ზუსტად დათქმულ დღეს ლონდონში წასულა ის კაცი, თვითონ ჯერ თვალით არ მინახავს და მის მეუღლეს კი ვხედავ. ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენი თავი.

— ისევ წვიმს? — ვეკითხები ქალს.

ის იყო დანახარჯის გადახდას ვაპირებდი.

— არ მინდა მოგაცდინოთ! — მეუბნება იგი და ტაბურეტზე ჯდება დახლთან. — ნამდვილად არ მინდა მოგაცდინოთ...

— რას დალევთ? — ვეკითხები მე.

— არა, მაინც როგორ წვიმს, — ამბობს იგი.

ქალმა ჯერ თმა გაისწორა და რაკი შემატყო, ბევრი მქონდა დალეული, თავისთვის ჯინჯერეილი[1] შეუკვეთა... ახლა რაღაზე ველაპარაკო? შევხედე თუ არა, გავიფიქრე, მსახიობია-მეთქი. არ ვიცი, საიდან მომივიდა თავში ეს აზრი. ამ ქალს პირველად ვხედავ და ალბათ უკანასკნელადაც. რა პროფესიის ბრძანდებით-მეთქი რომ ვკითხო, უზრდელობაში ჩამომერთმევა, ამიტომ ალარაფერს ვეკითხები. იქნებ ცნობილი მსახიობია და ჩემმა შეკითხვამ გული ატკინოს. მოკლედ, მე კრენდელებს ვახრამუნებ, რამდენსაც მოვფოთნი მარცხნივ და მარჯვნივ და თან ყურს ვუგდებ, სვობოდას, მის ქმარს, რატომ მოუხდა ლონდონში წასვლა, დროდადრო კვესს ვაწვდი ქალს და ერთხელ კიდევ ვანიშნებ უსიტყვოდ, ბოდიშს ვღებულობ-მეთქი. იგი, ცოტა არ იყოს,

[1] ჯანჯაფილით შემზადებული ლუდისებური სასმელია, მეტწილად ვისკის გასაზავებლად ხმარობენ (მთარგმნ.).

გამალებით ეწევა, როცა ქმარზე ლაპარაკობს. წვიმაში დასველებული თმა შავად უბზინავს. გადაწყვეტილი მაქვს, არავინ შემიყვარდეს. ფართო ლურჯი თვალები აქვს. რაღაც მეც ხომ უნდა ვთქვა, რომ ქალს დაბნეული ან გამოთაყვანებული არ ვეგონო. ვორჭოფობ, მსახიობია თუ არა-მეთქი და კიდევ უფრო ვიბნევი, ის კი, არ ვიცი რატომ, პერუზე ლაპარაკობს. ჩემს თავს ვეკითხები, ამ ქალს რა როლს მივცემდი-მეთქი. თვალებად გადაქცეული, უსიტყვოდ ვუსმენ და აშკარად ჰგონია, რომ ყველაფერი გავუგე. თუმცა ამასობაში მასაც ოდნავ შეეტყო უხერხულობა. ჯინჯერეილს ისე დაეწაფა, თითქოს უეცრად მოჰგონებოდეს რაიმე საშური საქმე. არ მინდა უცხო მამაკაცი მოვაცდინოო. პერუს ამბებს ვეკითხები, მაგრამ მხარს აღარ მიბამს, ისედაც მოგაცდინეთო. მე მხოლოდ სვობოდას მაგიერ მოსაბოდიშებლად მოვედიო, ამბობს და დანახარჯის გადახდას აპირებს, მაგრამ მე არ ვანებებ. როგორ გეკადრებათ-მეთქი, ვეუბნები. ბარმენი პეპეც ამ დროს ყურს იყრუებს, აქეთ აღარც კი იხედება, რომ დანახარჯი გადავიხადო და იძულებულნი ვართ განვაგრძოთ საუბარი. მაგრამ რაზე? ქალს ქმარზე ჩამოვუგდე სიტყვა, მისი ქმრის გაცნობა ოღონდაც რომ მმართებდა. ის, როგორც ვთქვით, ლონდონში იმყოფება. ისე ერთბაშად გამოვფხიზლდი, თითქოს განგაშის ხმა ჩამესმოდეს ყურში, ის უცხო მამაკაცი, ქალს რომ არ უნდოდა მოეცდინა, უწინდებურად მთვრალია, მაგრამ ისე მაგრად არა, რომ საკუთარი თავისა და იმ უცხოს ერთმანეთისაგან გარჩევა გამიჭირდეს. პერუ ჩემი აღთქმული ქვეყანაა, ამბობს ის კაცი, ვიცი, სისულელეს როშავს, მაგრამ ქალი ყურთასმენადაა ქცეული; ეტყობა, მოსწონს მისი ლაპარაკი და ასე გრძელდება ჩემთვის უცნობ ქვეყანაზე საუბარი. მას კი თავის მეუღლესთან ერთად უმოგზაურია პერუში. ჩემს თავს გამოვუტყდი: იაშვიათად დამაინტერესებს ქალის საუბარი, თუ იგი ქალადაც არ მომეწონა. სწორედ ამიტომ ვაკვირდები ბაგეზე. ჩამესმა, ერთგული ცოლი ვარო, მაგრამ არ ვიცი, რაზე თქვა ეს — ყურს არ ვუგდებდი. როცა ლაპარაკობს, სახე ცოცხალი და ლამაზი აქვს. უსიტყვოდ, ღიმილით ვაკვირდებოდი (უცხო მამაკაცი კი ამ დროს ლაპარაკობდა), სახამ სიწითლე არ მოედო სახეზე. ქალმა თმა უკან გადაიყარა და სიგარეტი ჟინიანად ჩამობერტყა, თუმცა სიგარეტს ჯერ ფერფლი არ ჰქონდა მოდებული, თან თავს ისე მაჩვენებს, ვითომ ბარის თავზე დაკიდული რეკლამის ამოკითხვას ლამობდეს: „Johnnie Walker, highest awards“! [1]. თვალებს ჭუტავს, რადგან საკუთარი სიგარეტის კვამლი სახეზე მოეფინა. „Guaranteed same quality throughout the world“ [2]. მისი სახე გვერდიდანაც ღირს საყურებლად და მისი ხელიც უცხოდ არ მეჩვენება. მისი თმაც კი, ადამიანის სხეულზე ამოსული ეს საოცარზე საოცარი მატერია, უცხოდ არ მეჩვენება. იგი თავის პაწაწკინტელა საათზე იყურება.

— ·ო, — ამბობს იგი, — სამი საათი გამხდარა!

მე კი დრო მაქვს.

კაცმა რომ თქვას, მასაც აქვს დრო.

— მართლა არ მიირთმევთ ვისკის? — ეკითხები მე.

პეპე, როგორც ყოველი ბარმენი, ადამიანების ცნობაში კარგადაა დახე-

---

[1] ჯონი უოკერი, უმაღლესი ჯილდოები (ინგლ.).

[2] ვიძლევით მთელ მსოფლიოში ერთნაირი ხარისხის გარანტიას (ინგლ.).

ლოვნებული, მას უკვე სუფთა ჭიქა უჭირავს ხელში და მხოლოდ ისლა დამრჩენია ვუთხრა, ორი-მეთქი.

მერე, მერე როგორ გრძელდება ეს ამბავი?

ნაშუადღევის სამი საათი საშინელი დროა, უდალმართო, გლუვი და უპერსპექტივო. მაგონდება, ჩემს შორეულ ბავშვობაში ავად რომ გავხდებოდი ხოლმე, მაშინაც ასე უღიმღამო იყო სამი საათი, სურათებიანი წიგნები, ვაშლის მუსი, მარადისობა... მხოლოდ სიტყვის მასალად ვკითხე, შვილები თუ გყავთ-მეთქი, რაც, კაცმა რომ თქვას, მე სულაც არ მეკითხებოდა. ვუყურებთ, როგორ საქმიანობს ბარმენი: ყინული, ვისკი, სოდა... ამ უცხო მამაკაცს, რომელიც შემდეგ (დაახლოებით 15. 30) ქალს შიშველ მკლავში ჰკიდებს ხელს, მისი კი არა, ჩემი რცხვენია. მოლოდინი გამიცრუვდა, ქალს დამცინავი ღიმილით არ შემოუხედავს ჩემთვის, ბატონო ჩემო, ეს რას ნიშნავსო, არც თბილი მკლავი წაურთმევია და რახან სდუმს კიდეც, სხვა გზა არ არის — უცხო მამაკაცის ჟესტს ბოლომდე უნდა გავუძლო. გულწრფელად მეწყინა, ძარღვი რომ არ შემტოკებია. უფრო მეტიც: ჩემმა უნდილობამ შემაცბუნა. უცხო მამაკაცმა ბოლოს და ბოლოს ხელი უშვა ქალის მკლავს, რადგან ის ხელი მე დამჭირდა — ჩემი ვისკი უნდა ამეღო, სანამ გათბებოდა — ქალმა შენიშნა ჩემი შეცბუნება და მგონი არასწორად გაიგო. ასე იყო თუ ისე, იმანაც ჭიქას მოჰკიდა ხელი და თან ისე ამოიხვნეშა, თითქოს გული თან ამოატანაო, შუბლიდან თმა გადაიწია და მე შემომხედა, მე! მიყურებს დიდრონი ლურჯი თვალებით და ვერ ხვდება, რომ მარტო ყოფნა მინდა. სიგარეტს ვეწევით, გარეთ კი ისევ წვიმს. ვეწევით. უკვე ვგრძნობ, საცაა ის მელანქოლია დამრევს ხელს, მამაკაცებს ასე რომ უხდებათ და ქალებს ქედს რომ ახრევინებს. ვერაფერს მშველის, იმ უცხო მამაკაცს გულმოდგინედ რომ ვაკვირდები. იგი, როგორც მოსალოდნელი იყო (მე ხომ ვიცი მისი ამბავი!), ახლა ხუმრობანარევი გულწრფელობით აგრძელებს საუბარს და იმაზე უფრო ინტიმურად და მიუკიბ-მოუკიბავად ლაპარაკობს ცხოვრებისეულ საკითხებზე, ვიდრე ეს ჩემს გუნება-განწყობას შეეფერება. უნდა ჰყავდეს თუ არა პროფესიის მქონე ქალს შვილი? რას ნიშნავს ქორწინება? ამ თამაშს კარგად ვჭვრეტ. ოღონდ კი სიტყვები წარმოითქვას, სანამ ისინი რაღაც პირადულ-ისტორიულ მნიშვნელობას არ შეიძენენ, ისეთი სიტყვები, როგორიცაა სიყვარული, მამაკაცი და ქალი, სქესი, მეგობრობა, ლოგინი და პროფესია, ერთგულება, ეჭვი, ტიპი და ცალკეული პიროვნება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. და ვინაიდან და რადგანაც ასე ზოგად ცნებებამდე დასული საკუთარი შეხედულებანი მე თვითონვე მბეზრდება, უცხო მამაკაცი მათ თავისი გამონაგონი პატარ-პატარა მაგალითებით აზავებს. ვთქვათ, ამბობს იგი, ორი ჩვენისთანა ადამიანი ერთმანეთს მკლავებში უვარდება. ანდა ასე: ჩვენ ვახვრეტთ, რომ აქედან არავითარი ისტორია არ გამოგვივიდეს, ვთქვათ, თავს ვარიდებთ ყოველგვარ განმეორებას. უცხო მამაკაცი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს წინ, რათა ზოგადი მაგალითი ოდნავ უფრო თვალსაჩინო გახადოს. ისეთ დიალოგებს იგონებს, მოულოდნელად შენობით მიმართვის საშუალებას რომ იძლევიან, მაგალითი მოითხოვს ამას და ქალსაც ესმის, რომ უცხო მამაკაცი მხოლოდ მაგალითისთვის ეუბნება „ჩვენო“ ან „მე და შენო“. ანდა: შენც იცოდი და მეც, რომ ერთმანეთს მივატოვებდითო. ქალი სიგარეტს ეწევა, ესმის, რომ მამაკაცი ბრჭყალებში სვამს თავის ნათქვამს. ქალი ეწევა,

ის კი ჩემს ჭიქას ავლებს ხელს, ქალს რომ აჩვენოს, ამ ცარიელ ბარში ვსხედვართ და არა სხვაგან სადმეო და კვლავ თქვენობით მიმართავს. თამაში დამთავრებულია. ქალი კარგა ხანს არ იღებს ხმას, ოდნავ გაპობილი ბაგედან კვამლი ამოსდის და მოცისფრო პირბადესავით ეკვლება სახეზე, იგი უსიტყვოდ ეთანხმება მის დებულებებს, ამ დებულებათა პრინციპულ, ზოგად, საყოველთაო ხასიათს. სიყვარულზე სიტყვა არ თქმულა, არა, რას ბრძანებთ, ბაგრამ შენობანას თამაშმა ისეთი რამ შემოიტანა მათ ურთიერთობაში, ისე შეცვალა საუბრის კილო, რომ ამ ამბავს თქვენობით ლაპარაკით აღარაფერი ეშველება. დროს ვიხელთებ თუ არა, საათზე ვიხედები, რათა უცხო მამაკაცი გავაფრთხილო, მაგრამ ამაოდ. ამიერიდან რაც არ უნდა ხშირად მიმართონ ერთმანეთს „თქვენობით“, ამ სიტყვამ უკვე შეიძინა ერთგვარი მომხიბლავობა, მოწყენილობას რომ აქარვებს. ამგვარად, მე ახლა უწყინარ თემებზე, მაგალითად, მსოფლიო მოვლენებზე, წარმოვთქვამ მონოლოგს. დროდადრო, ვითომ კვამლისაგან შეწუხებული ქალი ისე ნაბავს თვალებს, თითქოს ვიღაცას ეხვევაო და ეს მართლაც ასე იქნება, უცხო მამაკაცმა, ხუმრობით, ანდა უსიტყვო, ძალღური მზერით შიშველ მკლავში რომ მოჰკიდოს ისევ ხელი, ჯერ ხელზე მოჰკიდოს ხელი, საფეროფლესთან ჩამოდებულ ხელზე, რომელშიაც სიგარეტი უჭირავს, შემდეგ კი მხრებამდე და კეფამდე აუყვეს. იგი ამას არ სჩადის. მე რომ არ ვდარაჯობდე, იქნებ ეს უნებურად ეცადა კიდეც...

ახლა კი მართლა მინდოდა გადამეხადა დანახარჯი...

— პეპე! — დავიძახე მე.

ბარმენი, აქაოდა შეყვარებულებს ხელს არ ვუშლიო, ფანჯარას მიჰყინოდა და თავი ისე ეჭირა, ვითომ პირველად ხედავდა მანქანებს წვიმიან ამინდში. ბარმენმა იმდენჯერ წამიყრუა, რამდენჯერაც დავაკაკუნე მონეტით თუთიის დახლზე. უცებ ისევ მომერია მოწყენილობა და წყნარად და დუნედ განვაგრძე კაკუნი.

— თქვენ წასვლას აპირებთ, — მითხრა მან.

— დიახ, სამწუხაროდ, — გამოვუტყდი მე.

— მეც, — მომიგო მან.

ისევ დავაკაკუნე მონეტით დახლზე.

არ ვიცი, რა მოეპრიანა იმ უცხო მამაკაცს (იგი მე უფრო მაბეზრებს თავს ვიდრე ქალს — პირველად როდი ვუსმენ მის ლათაიებს), რომ მოულოდნელად ჰომოსექსუალისტი მამაკაცების მომხიბლაობაზე ჩამოაგდო სიტყვა. მის ლაპარაკს ცალი ყურით ვუსმენდი, იმ წუთში მინდოდა უყურადღებო ბარმენს ჩემთვის ყურადღება ეღირსებინა. ქალიც კვერს უკრავდა, დიახ, დიახ, კოხტაობის მოყვარულ მამაკაცებს ნამდვილად აქვთ მომხიბლაობა (ახლა მაგონდება: ჩვენ ჯერ ერთ რომელიღაც მსახიობზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, მერე კი საერთოდ მსახიობებს გადავწვდით). ისინი ქალის კოსტუმებშიც კარგად ერკვევიან და ნელსაცხებლის ყადრიც კარგად იციანო. ქალს ყვითელი კოსტუმი აცვია. უცხო კაცი აღიარებს, თქვენი კოსტუმი ძალიან მომწონს, მაგრამ კიდევ ერთ რამეში უნდა გამოგიტყდეთ, რომც არ მომწონდეს, ვერაფრით ვერ მოვიფიქრებ, მისი გაუმჯობესება რითი შეიძლებაო. გეფიცებით, ასეაო. იმ ყაიდის მამაკაცი კი პირიქით, მაშინვე, — ამას მხოლოდ მაგალითისთვის მოგახსენებთო, — ჩააფრინდებოდა კოსტუმის საყელოს, რაღაცას შეუსწორებდა, ვთქვათ, აი ასე, და მთლად გადაასხვაფერებდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმორცხვა. ვხედავ. როგორ გაამშვენიერა და შეცვალა ქალი შეცბუნებამ...

დანახარჯს ვიხდი.

არ მინდა სასიყვარულო თავგადასავალში გავეხვიო. მინდა ვიმუშაო.

სანამ ხურდას ჯიბეში ჩავიდებდი, მან უკვე იღლიაში ამოიდო თავის თმასავით შავი ხელჩანთა, რომელიც მშვენივრად ეხამებოდა მის ყვითელ კოსტუმს და მითხრა, მიხარია, რომ შეგხვდითო. შემდეგ მე პალტო მივაგებე. ვახშამზე დაპატიჟებას არაფერი ედგა წინ, რაკი ქმარი აქ არ იყო, მაგრამ ამაზე არც მაშინ ამომიღია ხმა, როცა შარფს იხვევდა ყელზე. მეც იგივე ვუთხარი, მიხარია, რომ შეგხვდით-მეთქი, და სანამ პალტოში გაეხვეოდა, თავიდან ფეხებამდე პირველად შევავლე თვალი. თან იმედი მქონდა, პირველად და უკანასკნელად ვხედავდი. მე თუ მკითხავთ, სასიყვარულო ამბების უმრავლესობა, ჯობია, საერთოდ არ იწყებოდეს.

— ხომ არაფერი გრჩებათ? — ისე ვკითხე, თითქოს უკვე მცოდნოდეს მისი გულმავიწყობის ამბავი. ეს მოეწონა. ვინ იყო ეს, მე თუ ის უცხო მამაკაცი — ქალი შემცბარი შეჰყურებდა ხან ერთს და ხან მეორეს — ვითომ ხუმრობით, მაგრამ თამამად, თან ნამდვილად დამცინავად რომ გადაუსვა ქალს შუბლზე ხელი, აქაოდა ბედისწერას ვერსად გაექცევიო, — არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ასე კი მოხდა. როგორც კი გამოჩნდა ტაქსი, ერთმანეთს წვიმაში ნაჩქარევად და ოფიციალურად გამოვემშვიდობეთ და მხოლოდ მაშინ მიკბინა გულზე იმ რაღაცამ, რასაც გრძნობას ეძახიან, როცა მას უკვე თავზე აღარ აწვიმდა და ჩემდა გულსატკენად მხოლოდ თავის შავი ხელჩანთის ჩხრეკაში იყო გართული. მე მგონი, შემატყო, რაც მჭირდა. მძღოლს აქ გაჩერების უფლება არ ჰქონდა და შუბლმოღუშული იცდიდა. წარბი არც მერე გაუხსნია, ისე დასძრა მანქანა წვიმაში და ქალი თან წაიყვანა, მე კი ამაოდ ველოდი, იქნებ ქალმა ხელთათმანი დამიქნიოს-მეთქი და თან შიშისაგან გული მეწურებოდა, ვაითუ ჩემს თავისუფლებას ბოლო მოღებოდა...

ქუდი ჩამოვიფხატე.

ქუსლებზე შემოვტრიალდი — არ მინდოდა ის „მე“ ვყოფილიყავი, ჩემს წარმოდგენილ ისტორიას გულთან ახლოს რომ მიიტანდა. ქუსლებზე შემოვტრიალდი, რათა რაც შეიძლება სწრაფად გავმიჯნოდი იმ უცხო მამაკაცს.

ქუსლებზე შემოვტრიალდი — როცა ერთხელ კიდევ მივიხედე, წვიმის ღვარებში მიმავალი მისი ტაქსი სხვა ტაქსებისაგან აღარაფრით გამოირჩეოდა, გზაჯვარედინზე მაინც ხომ უამრავი ტაქსი შეგროვდა და ყველა ერთნაირად აშხეფებდა წყალს...

სასტუმროსაკენ წავყიალდი.

საწოლზე ტანსაცმლიანად მივწექი. სასტუმროს წინ, ქუჩაში, პნევმატური ბურღი დგანდგარებდა, ლაძინება მინდოდა და ეს ხმაური ჯოჯოხეთურად ჩამესმოდა ყურში. ვერც ფანჯრის დაკეტვამ მიშველა და ვერც დარაბების ჩამოშვებამ. მინები ზანზარებდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ხანგამოშვებით ბურღი ჩერდებოდა, მაგრამ ამით ხმაურის ტონალობა იცვლებოდა მხოლოდ — ახლა კომპრესორს გაჰქონდა დგანდგარი. მართლა არ ვიცოდი, ამ ქალაქში რა

უნდა მეკეთებინა და ვითომ ხუმრობით მისი ნომერი ავკრიფე. იგი შინ იყო. ასევე ხუმრობით, მისი ხმა გავიგონე თუ არა, ყურმილი უცხო მამაკაცს გადავეცი. დიახ, გისმენთ! მე სათქმელი არაფერი მქონდა! სხვათა შორის, არც იმას. მაშინ რაღა გვალაპარაკებდა? მე გავიხუმრე. მისი სიცილი (სახეს რომ ვერ ვხედავდი) მიწყენილობას მგვრიდა. ამ გაჯანჯღლებული საუბრისას საწოლზე ვიწექი და ვაკვირდებოდი, როგორ ირხეოდა ჩემი შარვლის მარცხენა ტოტი თოკზე დაკიდებული ჯამბაზივით, ვაკვირდებოდი უცხო მამაკაცის ლურჯ წინდებს, შემეძლო ჩემს ნებაზე მემოძრავებინა იმ უცხო მამაკაცის ფეხის თითები, ცერს სოლისაც კი ვაცეკვებდი და თან ნიშნის მოგებით ვუგდებდი ყურს ქალის ხმას, რომელიც მეუბნებოდა, ამ საღამოს არა მცალია, „ლა სკალას“ საგასტროლო სპექტაკლზე უნდა წავიდე ოპერაშიო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავიგე მისი ნათქვამი. სამაგიეროდ, მისი ქმრის ბილეთს ეცალა. სამწუხაროდ, ჩემი ქმარი, თქვენც იცით, აქ რომ არ არისო. ჯოჯოხეთური დგანდგარი უეცრად შეწყდა. ახლა, როცა უეცრად ჩაჩუმდა ჩემსა და მას შორის გაწოლილი ქალაქი, მისმა ხმამ, რომელიც, სხვათა შორის, სულაც არ იწვევდა ლამაზი ქალის ასოციაციებს, წყნარად და ყოყმანით იკითხა, ამ საღამოს თქვენ რას აკეთებთო. მე გულახდილად ვუპასუხე, ოპერას დიდად არაფრად ვაგდებ-მეთქი. უცხო მამაკაცი კი მაინც არ მორჩა ლაყბობას. არავითარი სურვილი არ მქონდა კიდევ მენახა იგი. ყურმილი დავკიდე და როგორც ხშირად მემართებოდა ხოლმე მას შემდეგ, როცა რაიმეს ჩავიდენდი, სასაცილოდ მეჩვენა ყველაფერი: უცხო მამაკაცისა და ქალის ბუნდოვანი შეთანხმება მე არაფერს ძავალდებულებდა, ტვირთად მაწვა, თორემ არაფერს მავალდებულებდა. ვითომ უამისობა არ იქნებოდა-მეთქი, ვფიქრობდი, როცა ჩემი შავი კოსტუმი ჩუმოდნიდან ამოვიღე და საკიდზე ჩამოვკიდე. ერთბაშად გამოვფხიზლდი. ჩელახლა წამოვწექი და სიგარეტს მოვუკიდე... თვალწინ ჩემს შავ საგარეო კოსტუმში გამოწყობილი უცხო მამაკაცი მედგა, ვხედავდი, როგორ იჯდა იმ ქალის ქმრის ადგილზე. ხოლო ჩემს თავს იმ ქალის ქმრის როლში ვხედავდი, რომელიც წასული გახლდათ: წვიმს და არ იცის უცხო ქალაქში საით მიაწყდეს, ჩაცმული წამოწოლილა სასტუმროს ზუსტად ასეთსავე ოთახში და სიგარეტს აბოლებს...

შევეცადე წიგნი ამეღო ხელში.

(ხანდახან მეც მეჩვენება, რომ თუკი წიგნი ომის წინააღმდეგ არ არის მიმართული, თუკი უკეთესი საზოგადოების შექმნისაკენ არ მოგვიწოდებს და ასე შემდეგ, იგი უაზროა და უმაქნისი, უპასუხისმგებლოა, მოსაწყენი, მისი წაკითხვა არა ღირს, იგი მიუღებელია საზოგადოებისათვის, „მე“-ს ირგვლივ შეთხზულმა ამბებმა თითქოს თავისი დრო მოჭამა. მაგრამ ცხოვრება ხომ მაინც ცალკეულ „მე“-ში აღსრულდება, ცალკეულ „მე“-ში გარდატყდება და სხვაგან არსად?).

უსაქმურობისაგან ვწრიალებდი.

შვიდის წუთებზე სასტუმროდან გამოვედი (ქალი შემპირდა ექვსიდან შვიდამდე დაგირეკავო, მე კი არ მინდოდა ტელეფონის ზარს დავლოდებოდი) და გადავწყვიტე კინოში წავსულიყავი, რომ ხელახლა ამუშავებული პნევმატური ბურღის ხმა აღარ გამეგონა. წვიმამ გადაიღო... სველ ასფალტში ცის სილურჯე და გაზაფხული ირეკლებოდა, ქუჩაში უპალტოოდ გამოვედი. უკვე საოპეროდ ვიყავი გამოწყობილი, ესე იგი, შავი საგარეო კოსტუმი მეცვა.

ხელები ჯიბეებში მეწყო. ასე შევედი შუა ფილმზე, ვერ გავიგე, რატომ ისროდნენ იმ ფილმში და მომეწყინა. შემდეგ ჯერ ერთ ბარში შევედი, მერე მეორეში და ერთხანს რომელიღაც ავტომატთან გავერთე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო მამაკაცი: ენდერლინი.

მეორე დილით ჩვეულებრივზე ადრე გამოვიდა ქუჩაში და ხალხში გაერია. დილის შვიდი საათი იყო. შავკოსტუმიანი კაცი უცხო ქუჩაზე ჩამოდიოდა ყოველდღიურ სამუშაოზე მიმავალი სხვა ხალხის მსგავსად. პალტო არ ეცვა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ცდილობდა რაც შეიძლება ნაკლებად მოხვედროდა ვინმეს თვალში. მერე ბარში იდგა მუშების ჯგროში, მუშები ყავას ყლურწავდნენ, ისიც ყავას წრუპავდა, სიგარეტი იყიდა. რაც ჰქონდა ხომ წუხელ გააჩანაგეს, და მიხვდა, რომ წუხელ მის მკლავებში მოქცეული ქალი იმ უცნაურ რიცხვს მიემატებოდა, რომელსაც ზუსტად არასოდეს ასახელებენ ხოლმე: Mille e tre![1] ფუნთუშებს უანგარიშოდ ყლაპავდა და შემდეგ მეორე ფინჯანი ყავაც შეუკვეთა. სჯეროდა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო, უფრო სწორად, იმედი ჰქონდა, მჯერაო. გაფითრებულ სახეზე არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა ჰქონდა, ყველა მატყობს საიდან მოვდივარო. ეს ამბავი ისევე აკრთობდა, როგორც გარეთ მოჩახჩახე მზე, როგორც ბოთლებს უკან ასვეტილი სარკე, როგორც უცხო ქალაქის ქუჩებში გაცხოველებული მოძრაობა, როგორც ის ფაქტი, რომ დღეს სამშაბათი იყო, ამა და ამ რიცხვის სამშაბათი, ოღონდ არ იცოდა, რატომ აკრთობდა ყველაფერი ეს. აქ მას არავინ იცნობდა. მართალია, დაუგვიანდა და ღამის სიბნელე ვეღარ იფარა, მაგრამ იმედი ჰქონდა, მაინც მოვახერხე იმ სახლიდან უცხო თვალისგან დაფარულად გამოვსულიყავიო. ამ იმედს მისი გულისთვის ელოლიავებოდა. 'შემდეგ სულ მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით იარა და ალბათ მარტო ქუჩის მხვეტავი თუ დაინახავდა. პირი შადრევანზე დაიბანა. ის შადრევანი არასოდეს დაავიწყდება... შარვლის ჯიბეში ჩაჩურთული სველი ცხვირსახოცი ახლა აწუხებდა, იდგა, მეორე ფინჯან ყავას სვამდა ზეზეურად და აქაც კი წამოუვლიდა ხოლმე სურვილი ფეხის წვერებზე ევლო, აქ, სადაც ყავის სახარში ქშინავდა და ხალხის გაუთავებელი ყაყანი და ფინჯნების ზრიალი იდგა. ეს განცდა ისე უბნევდა თავგზას, თითქოს მის იროგვლივ შეჯგუფული მამაკაცები, ტყავის ფეშტამლიანი მზიდავები, არასოდეს მოხვეოდნენ ქალს! სხვათა შორის, მისი ბინის გასაღების საქმე კარგად მოგვარდა; გასაღები შეთანხმებისამებრ საფოსტო ყუთში ჩააგდო, საფოსტო ყუთის გასაღები კი სასთუმალთან ედო ქალს — თავზე თუ არ დაათენდებოდა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მეორე ფინჯანმა ყავამ ისე გამოაფხიზლა, თითქოს კარგად გამოეძინოს და დაღლილობაც გაუქარვა. ყველაზე უფრო ის უხაროდა, მარტო რომ იყო და თან მამაკაცებში იდგა. ქალს ალბათ ჯერ კიდევ ეძინა, ძილზე უშორესი ქვეყანა კი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. ამას მხოლოდ გულში როდი ფიქრობდა, გრძნობდა კიდეც: რაკი ეძინა, ამ ქალაქშიც ვერ იქნებოდა და თვითონ გუშინდელივით მარტოდმარტო იყო. ლურჯი კოლოფი გახსნა და იმ პირველი სიგარეტის დანახვა გაეხარდა, კვლავ მარტოს

[1] სამი ათასი (იტალ.) — აქ ნახმარია უამრავის მნიშვნელობით.

რომ უნდა მოეწია. ამ დროს შეამჩნია, რომ კვესი აღარ ჰქონდა, მარჯვენა ჯიბეში მხოლოდ სველი ცხვირსახოცი ედო. კვესი ღამეში მირჩენოდა სადღაც. თავს მართლა ბედნიერად გრძნობდა, რადგან გულწრფელად სჯეროდა, წუხანდელი ღამე აღარ განმეორდებაო. მოუკიდებელი სიგარეტი პირში გაიჩარა და მიმოიხედა. კვესი რომ ველარ იპოვა, თვალებს უაზროდ აცეცებდა. ერთი მზიდავი წამდაუწუმ იპურჭყებოდა ნახერხმოყრილ მოზაიკის იატაკზე. ნეტავ სად არის კიდევ, რომელ ქვეყნებშია ასე ნახერხმოყრილი მოზაიკის იატაკი? უეცრად მოიღვენთა, რაც კვლავ იმ ქალთან უქადდა სიახლოვეს, მერე ყოყმანი დასძლია და ერთ მუშას ასანთი სთხოვა, მაგრამ ასანთის მაგიერ მუშამ დახეთქილ, გაზეთილ მუშტში მომწყვდეული კვესი გაუწოდა, იმ ერთადერთი სიგარეტისათვის მიაგება პატარა ალი, კვლავ მარტოს რომ შეეძლო მოეწია. ეს იყო და ეს. მადლობა ვიღაცის კეფას გადაუხადა. ერთადერთი სახე ამ ბარში, რომელიც ხანგამოშვებით აკვირდებოდა, ბოთლებს უკან ასვეტილ სარკეში არეკლილი საკუთარი სახე იყო: რქის სათვალიანი მოგრძო პირისახე, მოკლედ შეკრეჭილი თმა. ვერ გაეგო, ქალებს რა მოსწონდით მისი. მხოლოდ წყლისფერ თვალებზე სცნობდა საკუთარ თავს... ეს თვალები ისე იყურებოდნენ, თითქოს მართლა სარკეში ყოფილიყვნენ ამოკვეთილნი, ხოლო სხეული სარკის გარეთ დარჩენილიყო. ნეტარებას ჰგვრიდა ახლახან ნაყიდი უცხო გაზეთის კითხვაც და იმ სიგარეტის მოწევაც, წუხანდელივით თამაშ-თამაშით ბაგედან ბაგეზე რომ არ გადადიოდა. სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ, ბოლოს და ბოლოს, არსებობდა გარესამყარო. მარცხენა ხელში ფინჯანი ეჭირა, მარჯვენაში კი გაზეთი, სადაც ისევ ალჟირზე კითხულობდა რაღაცას, რომ თავისდაუნებურად ქალის წუხანდელი ვერაგობა მოაგონდა. წუხელ საქმიანი და ასე განსაჯეთ, თავშესაქცევიც კი ეჩვენა, ქალმა საქალაქთაშორისო ხაზით ლონდონში რომ დარეკა, ჩემი ქმარი ნამდვილად იქ არის ისევ თუ არაო, დღეს კი ამ ფანდის გახსენებამ უსიამო გრძნობა მოჰგვარა. თან არ იცოდა, ფიქრით თავს რატომ იტეხდა. ბოლოს და ბოლოს, ეს იმ ქალის საქმე იყო. თვითონ მხოლოდ ის აზრი უკლავდა გულს, რომ ერთ შორეულ დღეს, რომელსაც, სხვათა შორის, დასაბამი უკვე დასდებოდა, სხვა დანარჩენზე უფრო ცხადად მისი ვერაგობა მოაგონდებოდა, როგორ ეკავა ლოგინიდან წამოწეულს მარცხენა ხელში ყურმილი და ლონდონს ეტიკეტიკებოდა, მარჯვენა ხელი კი მის მკერდზე ედო. თვალები დახუჭა, რომ ამ სურათისათვის აღარ ეცქირა, მაგრამ ყურებსაც ხომ ვერ დაიხშობდა. შემდეგ დიდხანს ეწეოდნენ და დუმდნენ. ბოლოს და ბოლოს, რა მისი საქმე იყო, თავის ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში ქალი ამ ამბავს როგორ ჩააკერებდა, რა დროს ამაზე ფიქრი იყო, როცა ხელში ფინჯანი ეჭირა და ალჟირის ამბებს კითხულობდა. თუმცა სიმართლე თუ გნებავთ, მას არც ალჟირის საქმე ეკითხებოდა და ამიტომ ამჯობინა დანახარჯი გაესტუმრებინა. თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე ამ ბარში იყო, სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდა, ყოველ შემთხვევაში, დასაბნევი მაინც არაფერი სჭირდა. დანახარჯი რომ გაისტუმრა, აღარც ფეხისწვერებზე გაუვლია და აღარც ის გაჰკვირვებია, დღეს რომ ამა და ამ რიცხვის სამშაბათი იყო. დღეს ამ ქალაქიდან მიემგზავრებოდა — ეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. დაამთქნარა და უცხო გაზეთი პირზე მიიფარა, მერე ბარიდან გამოლასლასდა და ტაქსს ხელი დაუქნია, რომ სასტუმროში

წასულიყო. ახლა ძილი უნდოდა, აბაზანა და ძილი. მისი გვარი რომ იცოდა, ესეც მეტისმეტი იყო... ტაქსში ჩაჯდა, ხელი გაქექილ ღვედს ჩამოადო და შეეცადა მეხსიერებაში ჩარჩენილი ამბები დაელაგებინა: ეს იყო გუშინ ნაშუადღევს ბარში. წვიმდა. ის ვილაცას ელოდებოდა. შეხვედრა იმ ვილაცის ცოლთან, მისი ყვითელი კოსტუმი, მისი სველი თმა, ჯინჯერეილი, იმ უცხო მამაკაცის თამაში... ეს თამაში ნაცნობია და თავმომაბეზრებელი, არაფერი აქვს მასთან საერთო, მასა და იმ უცხო მამაკაცს შორის უფსკრული ძევს. თვითონ ერჩია თავისი გზით წასულიყო...

ეს იყო გუშინ.

დღეს კი ეჩვენებოდა, რომ არსებობს დემონი, რომელიც მხოლოდ თავის თამაშს ითმენს, სხვისას კი არა, იგი ჩვენს თამაშს ისაკუთრებს, ხოლო ჩვენ სისხლი ვართ და სიცოცხლე, სიცოცხლე როლი არ გახლავთ, ჩვენ ხორცი ვართ, რომელიც კვდება და სული ვართ, რომელიც მარადისობაში დაეხეტება ბრმად, ამინ... ხელი გაქექილ ღვედზე ჰქონდა ჩამოდებული და მიმავალი ტაქსიდან გაჰყურებდა სამყაროს: ხედავდა გუშინდელ ფასადებს, გუშინდელ მოედნებს, ისინი სულ არ შეცვლილიყო, ქუჩებიცა და გზაჯვარედინებიც ისეთივე იყო, როგორც გუშინ, ავიოკომპანიის უშველებელი რეკლამა, ჯერ კიდევ გუშინ რომ მოხვდა თვალში, ისეთივე იყო, როგორც გუშინ. არაფერი არ შეცვლილა: ოღონდ ამას გუშინ აღარ ჰქვია, ეს დღესაა. რატომაა ყოველთვის „დღეს“? ეს უმაქნისი კითხვა, ასე უნდა ყოფილიყო თუ არა, ისევე აწუხებდა, როგორც შარვლის ჯიბეში ჩაჩურთული სველი ცხვირსახოცი. ფანჯარა ჩამოუშვა, იქნებ სველი ცხვირსახოცი მაინც გადავაგდო სვლის დროს შეუმჩნევლადო, მაგრამ ვერ გაბედა. ის ორგულობა როდი აწვა ტვირთად, რომელიც ორთავემ ჩაიდინა, — ამაზე ფიქრი ჯერ კიდევ არ აწუხებდა — მხოლოდ ის ადარდებდა, რომ ეს ამბავი უკვე ფაქტი იყო და უფლებებით ამქვეყნად არსებული ყველა სხვა ფაქტს გაუტოლდებოდა. ცოტა არ იყოს, უკვირდა. აბა ეს ისე თუ ისე გამოცდილი კაცი ნეტავ სხვას რას მოელოდა? დილის რვა საათზე, როცა ქალს თმაგაშლილს ეძინა ისევ, ხვევნა-კოცნაში გატარებულ ღამეში უსახელოდ ჩაფერფლილი სამყარო კვლავ აღმდგარიყო და მის ხვევნაზე უფრო რეალური ჩანდა. უცვლელი სამყარო, თავისი მომწვანო, ჭუჭყისფერი ავტობუსებითა და რეკლამებით, უკიდეგანო სამყარო, დახუნძლული ქუჩების სახელებით, ძეგლებითა და თარიღით, რომლის დამახსოვრება მას არ უნდოდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რაც არ უნდა ულიმლამო და უჩინარი იყოს იგი, სველი ცხვირსახოცივით მაინც ვერ მოიშორებ თავიდან. იგი ცოდვას არ ინანიებდა, არავითარ შემთხვევაში. მხოლოდ ის ეუხერხულებოდა, რომ დღეს გუშინ არ იყო. თუმცა ქალაქს არაფერი ეტყობოდა და ეს ისე გაუხარდა, სიხარულს ვეღარ მალავდა. ისევ შეხვედრას აზრი არა აქვს. მისი ნახვა ძალიან უნდა, მაგრამ არ დაურეკავს, აეროდრომიდანაც კი არ დაურეკავს, რადგან იცის, რომ ამას არავითარი აზრი არა აქვს... სასტუმრომდე არ მისულა, მანქანა გააჩერებინა, ფული გადაიხადა და გადმოვიდა. მუზეუმში უნდოდა შესვლა, რომ ქვეყანას განრიდებოდა, მარტო დარჩენილიყო და დროის მიღმა ეგრძნო თავი, მაგრამ ამ დილაადრიან მუზეუმის კარი დაკეტილი დახვდა. ტაქსი უკვე თვალს მიეფარა, იგი კი იდგა კიბეზე, ხელები ჯიბეებში ეწყო, უპალტოო, შავ კოსტუმში გამოწყობილი გაუპარსავი მამაკაცი, პირში სიგარეტი გაერჭო, მაგრამ ჯიბეში არც ასანთი

ჰქონდა და არც სხვა რაიმე, რომ მოღუღუნე მტრედები მაინც დაებურებინა, ჯიბეში არაფერი ედო სველი ცხვირსახოცის გარდა.

ხელის ზურგს უყნოსა.

მისი სუნამოს სურნელი აქროლებულიყო...

კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, თუ დღეს სამუდამოდ გაფრინდება აქედან, სულ ერთია, მაინც დამთავრდება ყველაფერი. კარგად იცის, რომ დამთავრდება, დრო-ჟამთან ვერაფერს გააწყობ: კარგა ხანს იდგა ასე, შესცივდა და პიჯაკის საყელო წამოიწია, მერე სვეტის ძირში ჩამოჯდა. მის ფეხებთან თეთრი და ნაცრისფერი მტრედები დაღუღუნებდნენ, ზოგჯერ დაფრთხებოდნენ (რისგან?) და კლასიცისტურ ლავგარდანებზე შეფრინდებოდნენ ფრთხიალ-ფრთხიალით.

ნეტავ კიდევ თუ სძინავს?

შეთანხმდნენ, წერილები არ მიეწერათ ერთმანეთისათვის. არ უნდოდათ მათ ურთიერთობას მომავალი ჰქონოდა, ეს იყო მათი ფიცი:

არავითარი განმეორება...

არავითარი ისტორია!

მათ მხოლოდ ახლანდელი წამი უნდოდათ, აღარასოდეს რომ არ განმეორდება, ეს ნაშუალამევს შეჰფიცეს ერთმანეთს და ფიცის შესრულება იმასაც მართებდა, ვინც ახლა სვეტის ძირში იჯდა თეთრი და ნაცრისფერი მტრედებით გარშემორტყმული. მტრედები ამჯერად უხმაუროდ ჩამოფრენილიყვნენ ძირს და ცარიელ მოედანსა და კიბეზე დაგოგმანებდნენ. სვეტის ძირში ჩამომჯდარმა კაცმა არ იცოდა რა ელონა მომავლის წინააღმდეგ, რადგან იცოდა, რომ მომავალი ეს მე ვარ, იმ ქალის მეუღლე, მე ვარ განმეორება, ისტორია, წარმავლობა და ყველაფრის წყევლა-კრულვა, მე ვარ დაბერება წუთიდან წუთამდე...

საათს დახედა, რომელიც სხვათა შორის, მაჯაზე არ ეკეთა. ისე ეჩქარებოდა მისი ბინიდან გამოსვლა, რომ საათი შარვლის ჯიბეში ჩაიდო. ახლა 9.05 იყო, თუკი საათი კიდევ მუშაობდა. 11.30 საქმიანი პაემანი ჰქონდა დანიშნული, ამ პაემანს ალბათ სადილი მოჰყვებოდა. სანამ მაჯაზე გაიკეთებდა, საათი ყურთან მიიტანა. საათი მუშაობდა. მაშ 9.05. მას შემდეგ რაც ერთმანეთი პირველად ნახეს — გუშინ ნაშუადღევს იმ უკაცრიელ ბარში — ოცდაოთხი საათი ჯერ არ იყო გასული. ესე იგი, მათთვის ჯერ დროც კი არ განმეორებულა. არ არსებობდა არავითარი გუშინ, არავითარი დღეს, არავითარი წარსული, დროს ჯერ არ გაუსწრია მათთვის; ყველაფერი ახლაა: მათი პირველი დილა, მათი პირველი შუადღე. იმ ორიოდე უმნიშვნელო სიტყვის გარდა, ყავა რომ შეუკვეთა, სიგარეტი იყიდა და მუშას ცეცხლი სთხოვა, სხვა სიტყვა არ ჩამდგარა მათ შორის, სხვა ხალხს ამის მეტად არ დალაპარაკებია. სამყარო ჯერ კიდევ მის მიღმა არსებობდა. ამ წუთში სიგარეტს ეწეოდა. უცაბედად ასანთი იპოვა სველი ცხვირსახოცის გვერდით და ერთი ცალი აინთო კიდეც. იჯდა ასე, სიგარეტს აბოლებდა, დაჰყურებდა თავის დამტვერიანებულ შავი ლაქის ფეხსაცმელებს და არ იცოდა, რა ელონა მომავლის წინააღმდეგ, რომელსაც მისმა მოგონებებმა უკვე დაუდო სათავე... აგონდებოდა ის ბინა: შინ ოპერაში წასაყვანად მიაკითხა, ქალს კი უნდოდა მისთვის პერუს ფოტოსურათები ეჩვენებინა და თავისი აღარ დაიშალა, თუმცა ოპერაში უკვე აგვიანდებოდათ. იგი ჰოლში იდგა და მოუთმენლად ცმუტავდა, თუმცა ოპერა ქალს აინტერესებდა და არა მას. თვითონ ოპერას ჯერ კინოში შესვლა და მერე ერთი ვახშამი ერჩივნა. ხელებს ველარაფერი მოუხერხა და ჯიბეში ჩაიწყო. ასე იდგა და ელოდა

პერუს გზამკვლევებს, რომლებიც, ქალის აზრით, უეჭველად უნდა გამოსდგომოდა. ერთი წამოსცდა, თუ ოდესმე პერუში წავედი, მეც მანქანით უნდა შემოვიარო ეს ქვეყანაო, და ქალიც ასე თავგამოდებით ამიტომ ეძებდა პერუს სამანქანო გზების რუკას. იმ ამბამდე სულ ერთი წუთის წინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ეს შესაძლებელი იყო. ქალი იდგა და გულმოდგინედ შლიდა პერუს სამანქანო გზების რუკას. ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს შესაძლებელი იყო, უფრო სწორად, ამაზე სულ არ უფიქრია და როცა იგრძნო, ჯიბეში ნაგულები ხელი ქალს შუბლზე ეფერებაო, თვითონ უფრო გაუკვირდა. ქალმა არაფერი შეიმჩნია. განა ეს მსუბუქი და უგერგილო ხუმრობისმაგვარი ჟესტი პირველი იყო მისთვის? ეს მერეღა გაახსენდა და განმეორებისა შერცხვა. ჯერ კიდევ ნაშუადღევს, იმ ბარში, მისი ხელი უნებურად შეეხო ქალის შუბლს: ვითომ ხუმრობით, ვითომ გამომშვიდობების ნიშნად. ქალმა მაშინ უბრალო ჩვეულებად ჩაუთვალა ის ჟესტი, ახლა კი პერუს გზების გაქექილ რუკას ათვალიერებდნენ, რომელსაც მას შემდეგ სამახსოვროდ ვინახავ. მისი ჟესტი ქალს საწყენად არ მიუღია, მაგრამ მაინც სიჩუმე ჩამოვარდა. სანამ კვლავ პერუს გზების ავ-კარგზე გააბამდნენ უწინდელზე უფრო საქმიან საუბარს. ეს იყო რვა საათზე. ქალს პალტო ეცვა, ისინი ხომ ოპერაში აპირებდნენ წასვლას. თავს არ იკატუნებდნენ, ორივეს ჯერ კიდევ ნამდვილად სჯეროდა, რომ პირველ მოქმედებაზე დააგვიანებდნენ. მაგრამ ოპერაში მაინც წავიდოდნენ. ქალს მანქანა ისეთ ადგილზე ჰყავდა ჩაუკეტავად მიტოვებული, სადაც მხოლოდ ჩასხდომა-გადმოსხდომა იყო ნებადართული. მეორე დილით ნახა, რომ ქალს შუქიც კი არ გამოერთო. პერუს რუკის წინ, რომელიც დილასაც, ბინიდან გამოსვლისას ისევე გადაშლილი დაუხვდა სკივრზე, ისინი სხვაგვარად ლაპარაკობდნენ, ისე არა, როგორც ნაშუადღევს, იმ გამოცარიელებულ ბარში. იქ უხერხულობის გამო ეარშიყებოდა ქალს, არ იცოდა, რაზე ელაპარაკა, ახლა კი, პერუს რუკაზე დახრილნი ისე საუბრობდნენ, როგორც ეს ორ გონიერ ადამიანს შეეფერებოდა. ქალი წუხდა, რაღა ახლა არ არის ჩემი ქმარი აქ, პერუზე ის გაცილებით უფრო ზუსტ ცნობებს მოგაწვდიდათო, ქალს ეგონა, კაცი მართლა აპირებდა პერუში წასვლას. გაეღიმა. პერუ! ეს იყო ერთადერთი სიტყვა, რომელიც მერე ხვევნა-კოცნაში წამოსცდა. მაგრამ როცა გაეღიმა, მაშინ ეს ჯერ კიდევ არ იცოდა და ძისმა ღიმილმა ქალი შეაცბუნა, თუმცა კაცი თავაზიანად ცდილობდა, ინკებზე თუკი რაიმე იცოდა მისთვის გაეზიარებინა. ქალი კი არც თვითონ ჯდებოდა და არც მას სთავაზობდა საკარძელს. მერე სიგარეტი აიღო. სიმართლე თუ გნებავთ, ორივე ღობე-ყორეს ედებოდა. ერთმანეთს შეხედეს, ცხრა საათი შესრულდა, ქალს კი არაფერი შემოუთავაზებია, ისევ ისე იდგნენ ფეხზე, სიგარეტს ეწეოდნენ. ქალს ისევ პალტო ეცვა. როგორც ჩანს, ენაზე ადგა ქმრის სახელი, თითქოს ეშინია არ დაავიწყდესო. აშკარად მოეშვა გულზე, როცა კაცმა ახსენა მისი ქმარი, რომელსაც მხოლოდ გვარით იცნობდა. ქალმა თქვა, რა სასაცილოა, ამდენ ხანს ფეხზე რომ ვდგავართო და პალტოგაუხდელი ჩამოჯდა. კაცმა ოპერა გაახსენა, სპექტაკლი უკვე დიდი ხნის დაწყებული იქნებაო. თვითონ კარგა ხანს იდგა ფეხზე. პალტო რომ არ ეცვა, ეუხერხულებოდა — უკვე ერთი წუთით შემოსულ კაცს აღარ ჰგავდა. ზეზეურად ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ბევრს, მაგრამ გრძნობდა, საცაა მოწყენილობა მოერეოდა. ხელები შარვლის ჯიბეებში ეწყო. საკუთარი ხელების ეშინოდა, რადგან ხელები აღარ უგონებდნენ.

ეშინოდა წამით ჩამოვარდნილი სიჩუმის. უკვე მესამეჯერ შეხედეს ერთმანეთს მამაკაცმა და ქალმა, უსიტყვოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს, უსიტყვოდ, გაუღიმებლად და დაუმოცხვებლად. ამასობაში კაცი მაინც დაჯდა, ოღონდ ისე, რომ მათ შორის მაგიდა მოექცა. თითქოს ორივეს ეშინოდა, ისეთი რამ არ ჩაედინათ, რაც თუნდაც გარეგნულად შეცვლიდა რაიმეს. ამიტომ ფირფიტის დაკვრასაც კი მოერიდნენ. ისხდნენ და ეწეოდნენ. კაცმა კატებზე ჩამოაგდო სიტყვა. საიდან სადაო. თერთმეტს აღარაფერი უკლდა, როცა ერთმანეთს გამოუტყდნენ, სასმელზე უარს არ ვიტყოდიო. ქალმა სიგარეტი მაშინვე ჩასრისა საფერფლეში. გაცილებით მოსახერხებელი იყო შინ დაელიათ რამე, მაგრამ ორივემ იგრძნო, ჯობდა ქალაქში გასულიყვნენ და იქ რომელიმე ბარში მოეკლათ წყურვილი. ამ უსიტყვო შეთანხმებამ გააოცა. რომ მოსწყურდათ, ორივეს გაეხარდა და ფეხზე წამოიჭრნენ, თუმცა კაცი გრძნობდა, რომ ქალისათვის საჩოთირო არ უნდა ყოფილიყო, ამ შუალამისას სტუმარს შინ თუ გაუმასპინძლდებოდა. ქალმა ტორშერი ჩააქრო. რაც პეროს რუკას დაუწყო ძებნა, მას მერე მთელ ბინაში სინათლე ჩახჩახებდა და ყველა კარი ღია იყო, სამზარეულოს კარიც კი ღია იყო, თითქოს დაკეტილი კარის ორივეს ეშინია. უცნაური გრძნობა გაუჩნდა, როცა ქალმა ჯერ ტორშერი, ხოლო შემდეგ ჭაღიც ჩააქრო. იგი ჰოლში იდგა, პალტოგაღებული ქალი კი ოთახებში დაწრიალებდა. კაბინეტშიც რომ დააპირა ქალმა შუქის ჩაქრობა, პირველად მაშინ დაუარა კაცს ტანში ტკბილმა გრძნობამ, რომ ეს სხეული არასოდეს დაავიწყდებოდა, თორემ მას კი დაივიწყებდა! ეს მაშინაც იცოდა, სვეტის ძირში რომ იჯდა თეთრი და ნაცრისფერი მოღუღუნე მტრედებით გარშემორტყმული და ვერ გადაეწყვიტა, ქალი ისევ ენახა, თუ არა. წასვლა უნდოდა. სად? გუშინდელივით წამოდგა, ხელები ისევ ისე ეწყო შავი კოსტუმის ჯიბეებში, როგორც გუშინ, მის ბინაში. სწყუროდა. ეს იყო გუშინ: ორივეს წასვლა უნდოდა. სად? უკვე ჰოლში იდგნენ წასასვლელად გამზადებულები და იგი მხოლოდ ელოდა, ქალი როდის იპოვიდა თავისი მანქანის გასაღებს. შუქი ჰოლშიღა ენთო, ქალმა მარცხენა ხელი უკვე გამომრთველს შეახო და ერთხელ კიდევ მიმოიხედა, უწესრიგოდ ხომ არაფერი მრჩებაო, მერე წავიდეთო, თქვა. და ამ დროს მისმა ხელმა თითქოს რაღაცის შანსთან გამომშვიდობების ნიშნად, უნებურად და თან დამცინავად გაისრიალა ქალის შუბლზე, აქაოდა კარგად მესმის, ისევ იმ ჟესტს რომ ვიმეორებო, წავიდეთო, თქვა მანაც, ქალმა სინათლე ჩააქრო და მას შემდეგ შუქი აღარ ანთებულა, სანამ ფანჯრებში რიჟრაჟმა არ შემოიხედა. ქალს ჯერ კიდევ პალტო ეცვა, როცა კოცნამ არარად აქცია ყოველგვარი სამოსი და ერთბაშად სასაცილო გახდა ბეწვეულის, შალისა და აბრეშუმისაგან შეკოწიწებული სიცრუე, რომლის შემოძარცვა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ ამას ვნების წესი და რიგი მოითხოვდა. ქალმა თქვა, მანქანაზე ნამდვილად ჯარიმის ქვითარი დამიხვდებაო. ეს იმ დროს უთხრა, როცა კაცი ვითომ ზოზინით უფათურებდა ხელებს, აშკარად კი ეტყობოდა, ქალის თეთრეულში მშვენივრად იყო გათვითცნობიერებული. ოღონდ ქალი დამცინავი ღიმილით რომ არ მიხმარებოდა, მაინც ვერ გაერთმევდა საქმეს თავს. თან გონებაში უკვე უტრიალებდა აზრი, რომ ყველაფერი ისევე მოხდებოდა, როგორც ყოველთვის ხდებოდა. იგი ფხიზელი იყო, დიახ, ოღონდ ირონია აღარ ეტყობოდა. ფხიზელი იყო და დუმდა. ქუჩის სინათლემ გაანათა ოთახის ჭერი, ჭერმა კი ოთახს

მოჰფინა შუქი, როცა საოპეროდ გამოწყობილმა მამაკაცმა ქალის უცხო სხეული შეიგრძნო. მამაკაცს საოპერო ლაქის ფეხსაცმელები და თეთრი პერანგი ეცვა, ჰალსტუხი ეკეთა, საათი მაჯაზე შერჩენოდა. სათვალე ქალმა თვითონ მოხსნა და ახლა მისი უცხო ბაგეებიდან ღიმილს თითებით კითხულობდა. ერთმანეთს მოყირჭებამდე რომ არ იცნობდნენ, ეს მშვენიერი იყო.

ზუსტად ათ საათზე გაიღო მუზეუმი.

მან იმ ბავშვივით დახუჭა თვალები, რომელმაც თქვა, თვალებს იმიტომ ვხუჭავ, ღამის წყვდიადი თვალში არ ჩამივარდეს და არ დამაბრმაოსო... ახლა იგი შუშისჭერიან დარბაზში იჯდა მერხზე... საბარგო სადგურიდან სტვენის ხმა მოდიოდა. ის სადგური თვალით არ უნახავს, ესმოდა პატარა ორთქლმავლის ქშენა, ბუფერების დგანდგარი, სტვენა, სტვენის ექო, შემდეგ კვლავ სატვირთო მატარებელი მიგრუხუნებდა ღერძის ჭრიალ-ჭრიალით, ისრებზე გადასვლისას ისმოდა ბორბლების დაგა-დუგი, სტვენა, მუხრუჭების ღრჭიალი, სტვენის ექო, ისევ ბუფერების დგანდგარი, შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდებოდა და მერე ისევ ისმოდა ქშენა. ასე გრძელდებოდა მთელი ღამე. რომ გამოელვიძა, სტვენა ველარ გაიგონა და ვერ გამოერკვა სად იყო, აღარც მტრედების ღუღუნი ისმოდა, აღარსად ჩანდნენ მტრედები, აღარც თეთრი და აღარც ნაცრისფერი მტრედები, ერთი მტრედიც კი არსად ჩანდა. იგი შუშისჭერიან დარბაზში იჯდა, სადაც კუსტოსი სცემდა ბოლთას და მას უთვალთვალებდა.

ასე სახალხოდ სძინებია.

ამან შეაძრწუნა.

ალბათ სულ ორი ან სამი წუთით თუ ჩამოეყვინთა, ისე როგორც მატარებელში ან თვითმფრინავში ჩაეძინება კაცს, იდიოტივით პირდაღებულს, სახემომჩვარულს. ეტყობა, დარბაზში ხალხმა გაიარა, ჯგუფი იქნებოდა ექსკურსიამძღოლთან ერთად; ისმოდა ხმები... ღამე და ქალის ღამეული სხეული როდი ეჩვენებოდა სიზმრად, სიზმარში ახლა ეგონა თავი, ამ შუშისჭერიან დარბაზში, ხოლო მტრედების ღუღუნი გონებაში თითქოს შორეულ მოგონებად ჩარჩენოდა. სინამდვილედ მხოლოდ იმას აღიქვამდა, რომ მის პატარა სხეულს ველარ გრძნობდა გვერდით, თვითონ კი იდგა გულხელდაკრეფილი, ქალაქის ხმაური შორიდან ჩაესმოდა ტალღების დუდუნივით, ჩაესმოდა ყრუდ, მონოტონურად და გრძნობდა, რომ ის ტალღები მწვანე იყო. იქნებ კუსტოსს ის ეხამუშებოდა, მუზეუმში ამ დილაადრიან შემოსულ კაცს შავი კოსტუმი რომ ეცვა და თან საყელო ჰქონდა წამოწეული. ნამდვილად ასე იქნებოდა! საყელო ჩამოუშვა.

თავს ძალა დაატანა და წაიკითხა წარწერა:

„ჰერმესი. დაახლ. მესამე საუკუნე ქრისტეს დაბადებამდე. ნაწილობრივ აღდგენილია, შეცვლილია მარცხენა ფეხი და ყელი. თავი (ორიგინალი) ასე ედგა თუ არა, საბოლოოდ არ არის დადგენილი“.

ჰერმესის თავს კარგად დააკვირდა.

სამშაბათი იყო.

ვერ მიმხვდარიყო, მაინც რა ინავლებოდა საათიდან საათამდე, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ მისი მოგონებები ნამდვილად არსებულ ქალს შორდებოდა და გული ეტკინა. თუმცა შვებაც იგრძნო, რომ მის თავისუფლებას საფრთხე აღარ ემუქრებოდა. საფულე ამოიღო, თვითმფრინავის ბილეთი ხომ არ

დამკარგვიაო. ბილეთი აღმოაჩნდა. 18.40 აეროდრომზე უნდა ყოფილიყო. მანამდე საქმე არაფერი ჰქონდა. მეხსიერებას მხოლოდ ისეთი ნიშნები შემოენახა იმ ქალისა, რომელიც მის არსებას დაპატრონებოდა, ადამიანის საძებრად გამოქვეყნებულ განცხადებაში რომ არის ხოლმე ჩამოთვლილი. ეს ნიშნები ყოველმხრივ ზუსტია, მაგრამ იმ განცხადებასავით უმაქნისია და არაფრისმთქმელი, თუ მოსაძებნი პიროვნება გვერდით არა გყავს: აქვს ასეთი და ასეთი თმა, აცვია ყვითელი კოსტუმი (ოღონდ ეს ნაშუადღევს იყო ბარში, საღამოს თეთრი კოსტუმი ეცვა), უჭირავს შავი ხელჩანთა, ლაპარაკობს ძლივს შესამჩნევი აქცენტით, ეტყობა, ელზასელია, ასაკი — დაახლოებით ოცდაათი წლისა, ტანკენარია...

კუსტოსი წავიდა.

ხანდახან ისევ ისმოდა ხმები, შუშისჭერიან დარბაზში ვიღაცეები შემოდიოდნენ და გადიოდნენ, ხანგამოშვებით შუშის სახურავის თავზე თვითმფრინავის გუგუნი ისმოდა, გარეთ მზე ანათებდა, მაგრამ უცხო ქალაქის ცაზე დროდადრო ღრუბლები მიცურავდნენ. ღრუბლების გადავლას იმაზე შეატყობდით, რომ დარბაზში ჯერ უეცრად ჩამოწვებოდა ნაცრისფერი ბინდი და მარმარილოს სიგლუვე ემატებოდა, შემდეგ კი კვლავ განათდებოდა იქაურობა და მარმარილოც ხოშორა ხდებოდა...

რატომ არ გადიოდა სხვა დარბაზებში?

იჯდა მარტო ამ ვეებერთელა შუშისჭერიან დარბაზში ღა ხელი ზურგსუკან ისე დაებჯინა, თითქოს იმ საკამათო მარმარილოს ქანდაკების ჭვრეტით ყოფილიყოს გართული. ამდენ ხანს ისევ იმ რბილ მერხზე იჯდა. უეცრად ეულად იგრძნო თავი, მაგრამ მასთან დასარეკად არ წასულა. იცოდა რა მოჰყვებოდა ამას. დადგება დღე, როცა ერთმანეთს ჰკითხავენ, თუნდაც მხოლოდ ასე: რას აკეთებდი გუშინ საღამოს? მე სამჯერ დაგირეკე. სად იყავი? ეს კითხვა ჯერ კიდევ უწყინარია და შენს თავმოყვარეობას ელამუნება, ადამიანი მართლა კი არ ჩაგეძიება, ამით გეუბნება, ძალიან მომენატრეო...

ახლა კი წამოდგა ფეხზე.

ვინძლო მომავალს არ ჩავარდნოდა ბრჭყალებში...

სასაცილოა: ვდგები, ვჯდები, ვეწევი, ვდგავარ, მძინავს, ვილვიძებ, ვდგები, მივდივარ, ვჯდები, ვდგები. გარეთ კვლავ ღუღუნებენ მტრედები...

ტაქსს ხელი დაუქნია.

ღამით თითქმის არ უძინიათ, მაგრამ ერთმანეთს კანტი-კუნტად ეხმიანებოდნენ, რომ სიტყვებითა და სახელებით გარესამყარო არ მოეშვათ ახლოს. განა სდუმდნენ, ეარა, მაგრამ ისე ჩურჩულებდნენ, თითქოს მხოლოდ ისინი არსებობდნენ ამქვეყნად, თითქოს არ არსებობდა არავითარი „მანამ“ და არავითარი „შემდეგ“, არ არსებობდა არც ერთი სახელი, არსებობდნენ მხოლოდ თვითონ და თვითონაც უსახელონი იყვნენ.

საათმა ოერთმეტჯერ ჩამოჰკრა.

11.30 დანიშნულ თათბირზე წასვლა არ უნდოდა. სასტუმროში ოთახის გასაღებთან ერთად ბარათიც მიართვეს. ვისგანაა? ბარათი და გასაღები ასე წყვილად და თან იდუმალი სახით რომ მიაწოდეს, ქალის მაგიერ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. ხომ შეიძლებოდა წუხელ მამაკაცების საზოგადოებაში გაეთია ღამე? ბარათში ეწერა, რომ მისთვის ქალს დაერეკა და ეთხოვა, დამირეკოსო. დაეტოვებინა თავისი ტელეფონის ნომერი, სახელი და გვარი.

წუხანდელი ღამე მის მკლავებში რომ გაატარა, ახლა ეს სახელი უსიამოდ მოხვდა გულზე. უფრო მეტიც. ბარათი ლიფტში გახსნა და კითხვაში თავისი სართულიც დაავიწყდა და ოთახის ნომერიც, მაგრამ დამირეკეო, ეს თხოვნა მისთვის სიტყვის გატეხას; უსინდისობას, ორგულობას ნიშნავდა. თვითონ წუხანდელი ფიცი არ გაუტეხავს, ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მათ აერთიანებდა, ქალი კი ამ ფიცის გატეხით მთელ ქვეყანას შერწყმოდა ისევ. ასეთი გრძნობა შეჰყვა თავის ოთახში. გაფრენამდე უნდოდა გამოეძინა. იმედგაცრუებული მასთან დარეკვას არ აპირებდა. შავი ლაქის ფეხსაცმელები გაიხადა და იმედის გაცრუებისაგან უეცრად მოერია დაღლილობა, თუმცა ცოტა კიდეც უხაროდა, იმედი რომ გაუცრუვდა. ეს გრძნობა თავისუფლებას ანიჭებდა — ახლა ისიც იმ უსახელო ქალების რიცხვში ითქვიფებოდა, მხოლოდ მამაკაცი რომ სჭირდებათ ხოლმე. ბარათი მხოლოდ ახლა წაიკითხა. გულდასმით, რათა ერთხელ კიდევ დასწყვეტოდა გული და მასზე აღნიშნული დრო შეამჩნია — 19. 10. თავის შეცდომას მიხვდა — ეს თხოვნა გუშინდელი იყო. ამ ამბავმა ხელახლა თავდაყირა დააყენა ყველაფერი. დრო გამოთვალა — 19. 10, გუშინ ამ დროს სწორედ მისკენ მიეშურებოდა. ამ ბარათში რომ ქალის თხოვნა ეწერა, ის ქალი ამ სახით აღარ არსებობდა და არც არასოდეს იარსებებდა. ეს იყო ყვითელკოსტუმიანი, ნაშუადღევს ცარიელ ბარში ტაბურეტზე წამოსკუპული უცნობი ქალი. ეს მკვდრეთით აღდგომა რაღა საჭირო იყო? ბარათი მოჭმუჭნა და კალათში ჩააგდო და ქალზე კი არა, გული დრო-ჟამზე მოუვიდა. დრო-ჟამი ყველგან და ყოველგვარ წვრილმანებში იჩენდა თავს, დრო-ჟამმა რომ არ გაგვასწროს, არ იქნება, იგი ყოველ წვრილმანში გვახსენებს თავის წარმავალობას. შავი კოსტუმი ჩემოდანში ჩადო, მომჩვარული სახელოები გულზე მიცვალებულივით დაუკრიფა, ზემოდან შავი შარვალი დაადო, მერე საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, საათი მაჯიდან მოიხსნა და ამ დროს კვლავ დაინახა დაჭმუჭნილი ბარათი, ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მისგან დარჩენოდა, საკუთარი ოცნების გარდა. ბარათი გაშალა, გაასწორა და ერთხელ კიდევ შეამოწმა. ეს მისი ხელი არ იყო, მის ხელსაც კი არ იცნობდა. თითქოს ერთბაშად ერთმანეთში აირია ის, რისიც ეშინოდა და ის, რისი იმედიც ჰქონდა და მაინც შემოაწვა ნაღველი, რომ **მას** დღეს არ დაურეკავს, დღეს არ უთხოვია, სასწრაფოდ დამირეკეო, 19. 10 მხოლოდ გუშინ შეიძლებოდა ყოფილიყო. გარეთ, ქუჩაში ისევ დგანდგარებდა პნევმატური ბურღი, მაგრამ **მას** რომ ყურებში ედგა, ის სიჩუმე იმ ბურღზე უფრო ძლიერად ხმაურობდა. ეს **მისი** სიჩუმე იყო. საკუთარი სიჩუმე კი არა, რითაც დატკბებოდა, არამედ **მისი** სიჩუმე. რა მოხდება, ახლა რომ დაურეკოს და დაარღვიოს **მისი** სიჩუმე? იჯდა და ხელი ტელეფონის აპარატზე ედო. ლოგინი გაშლილი ჰქონდა, მაგრამ ჯერ არ მიჰკარებოდა. ბოლოს წამოვარდა და შხაპს შეუდგა... დღემდე ქალი **არ** შეხვედრია, პირველივე სიახლოვისას **რომ** არ დაეჯერებინოს, ამ კაცს ვუყვარვარო, მაგრამ ყოველი ქალი, რომელიც მართლა შეუყვარდებოდა, ადრე თუ გვიან ეტყოდა, ყველა მამაკაცისა არ იყოს, სიყვარულისა შენც არაფერი გაგეგებაო... წყალი თქრიალით დასდიოდა თავზე, ტელეფონმა რომ დარეკა. ერთი წუთით შეყოყმანდა, მერე ყოყმანი დასძლია და ისევ წყალს შეუშვირა თავი, მაგრამ წკრიალი არ წყდებოდა და იძულებული გახდა ყურმილი მაინც აეღო (თქვენ გკითხულობენ, ერთი წუთით, ახლავე შეგაერთებთო). გული აუძგერდა, გამხიარულდა და

ტელეფონმაც დაიჩხაკუნა. ალო? იდგა ადამივით შიშველი, გაწუწული და ელოდა, ტელეფონი როდის დარეკავდა. გულაძგერებულს ენა ჩავარდნოდა. მისი ხმა ველარ წარმოედგინა. ამ წუთში ყოველგვარ ფიცს გასტეხდა, ოღონდ კი ქალი ენახა. ამ დროს შეამჩნია, რომ ფარდები გაწეული იყო და ალბათ გარედან კარგად მოჩანდა, მაგრამ აპარატს მანამდე არ მოსცილებია, სანამ მამაკაცის ხმა არ გაიგონა. ის კაცი, შეთანხმებისამებრ, სასტუმროს ჰოლში უცდიდა.

დიახ, მოვდივარო, მიუგო წყნარად.

ვიქნები თუნდაც განტენბაინი.

წარმომიდგენია:

ჩემი ცხოვრება ვინმე დიდ მსახიობ ქალთან, რომელიც მიყვარს. ამიტომ ვაჯერებ, ბრმა ვარ-მეთქი და ჩვენი ბედნიერებაც ამაზეა დამყარებული.

ერქვას მას თუნდაც ლილა.

ქვეყანას წმინდა წყლის სიგიჟედ ეჩვენება, მსახიობი ქალი და ბრმა ბლიცების შუქში რომ ვდგავართ და ხელს ვაწერთ. ხალხი (ამას სახეზე ვატყობ, როცა გვილოცავენ) ჩვენს ცოლ-ქმრობას, დიდი-დიდი, ერთი ზაფხულის ვადას უდებს, ოღონდ ის ვერ გაურკვევიათ, ჩვენს შორის მაინც რომელი იმსახურებს თანაგრძნობას, ლილა თუ განტენბაინი.

ჩვენისთანა ბედნიერი ალბათ წყვილი არ იქნება ამ ქვეყანაზე.

წარმომიდგენია:

ლილა თავიდანვე მატყუებს (თუ მაინცდამაინც გვინდა ეს უსაშველოდ სულელური სიტყვა ვიხმაროთ), მაგრამ არ იცის, რომ ყველაფერს ვხედავ და ბავშვივით უხარია, როცა აეროპორტში დავხვდები ხოლმე. მე დამხვდურთა ტერასაზე ვიცდი, ჩემს შავ ხელჯოხზე დაყრდნობილი, სათვალეც მიკეთია და ყვითელი სამკლავურიც. იგი ხელს არ მიქნევს, როცა მგზავრების ბრბოში მოაბიჯებს ბეტონის ფართო ბილიკზე, რაღა თქმა უნდა, არც მე ვუქნევ ხელს, რათა სიხარულისაგან როლიდან არ გამოვიდე. ვხედავ მამაკაცს, რომელსაც მისი პალტო მოაქვს, ლილა კი აქეთ-იქით იხედება და თან იმ კაცს მკლავზე ეკონწიალება, აი, ახლა კი დამინახა. ვხედავ, რომ ასეა. შემდეგ ისინი ქვევით, საბაჟოში უჩინარდებიან. მე არასოდეს არ ვკითხავ ლილას, ის კაცი ვინ იყო-მეთქი. ლილა ხომ მას არასოდეს ახსენებს ჩემთან, ხოლო მე როლი თუ არ დავთმე, ისე ვერ ავუხსნი, საიდან ვიცი საერთოდ მისი არსებობა. როცა ვეკითხები, ჩემი ლილა მთელი ამ ბარგი-ბარხანის, ჩანთების, პალტოების, ქოლგის, ილუსტრირებული ჟურნალებისა და სხვა ათასგვარი წვრილმანის თრევას როგორ აპირებს-მეთქი, მაწყნარებს, დარდი ნუ გაქვს, ქალს მშველელი ყოველთვის გამოუჩნდებაო. ხანდახან საბაჟოში საქმე ჭიანურდება. ლილა აქ არაფერ შუაშია. მე მიყვარს აეროდრომზე ლოდინი, სიამოვნებით ვუყურებ რეაქტიულ თვითმფრინავებს, სულ ერთია, წვიმს თუ არა, მსიამოვნებს რადიორეპროდუქტორების გრიალი, სამყარო აქ მიზნებითაა სავსე: ვენა, ქაირო, შტუტგარტი, ლისაბონი, კარაკასი, პრაღა, ლონდონი, ნიუ-იორკი... სანამ საბაჟოს მოსაცდელ დარბაზში გავიდოდე, რა თქმა უნდა, ვამოწმებ, ყველაფერი წესრიგში მაქვს თუ არა, სარკესთან მივდივარ და ჰალსტუხს ან მარცხნივ მო-

ვიქცევ ან მარჯვნივ, რათა ლილამ მისალმების პირველი ქარტეხილის შემდეგ კვლავ შესძლოს მისი გასწორება.

რა თქმა უნდა, გულს ბაგა-ბუგი გაუდის.

ლილასთან ერთად სხვებიც უცდიან საბაჟო შემოწმებას, მათაც თავიანთი ცოლები თუ ქმრები ელოდებათ. ისინი მინის ტიხარს იქიდან ცდილობენ მუნჯურად ლაპარაკს, ასეთი რამ მე და ლილას არ გვჭირდება. ბოლოს და ბოლოს, ლილას ჯერიც დგება. ლილას მძიმე პალტო ყოველთვის ერთსა და იმავე მამაკაცს მოაქვს, მაშინაც ეს კაცი ახლავს, როცა ლილა გათვალისწინებულზე ერთი დღით გვიან მოფრინავს ხოლმე. თავს რაღად იქნევს? ესღა გვაკლია, საბაჟოს ბიჭ-ბუჭა მოხელეებს ბარგი აერიოთ. რა ბედნიერებაა, რომ ვიღაც მფარველობს ჩემს ლილას! სხვა მამაკაცებს მხოლოდ თავიანთი საკუთარი ბარგი ენაღვლებათ. ახლა ვხედავ, რომ ისინი ერთმანეთს ეთხოვებიან: ეთხოვებიან უამბოროდ. ვითომ ბოლომდე არ სჯერა ლილას ჩემი სიბრმავე? შემდეგ ის კაცი წინ გამივლის, ლილა კი ამჯერად პალტოთი, ჩანთებითა და ილუსტრირებული ჟურნალებითაა დატვირთული და მასზე უფრო ნელა მოაბიჯებს. ის კაცი გვერდზე რომ ჩამივლის, ყოველთვის სახეს მარიდებს ხოლმე და ამიტომ მის სახეზე ვერაფერს მოგახსენებთ. როგორ მობორძიკობს ლილა! მე კი შეგებებაც არ შემიძლია — მანეკენივით ვდგავარ, სანამ მის ტუჩებს არ ვიგრძნობ ლოყაზე. მერე ვეუბნები: შენა ხარ? და მის ბარგი-ბარხანას ხელს ვავლებ. რამე ხომ არ დაგრჩა? ლილას იმის დროც კი არა აქვს განზე მოქცეული ჰალსტუხი გამისწოროს. თავის მზიდავს ხომ არ ეძებს? იგი ათ ნაბიჯზე მოგვყვება უკან, მინდა ლილას მზიდავი დავანახო და ვეკითხები, მზიდავი ხომ არ აგიყვანია-მეთქი. არა, ლილას მზიდავის დარდი არ აწუხებს. ფილმის გადაღებებმა როგორ ჩაიარა-მეთქი, ეს კითხვა ნაადრევად მომივიდა, ამაზე მერე ვისაუბრებთ ალბათ. ლილა მთხოვს, ერთი წუთით მომიცადე, ადგილიდან არ დაიძრა, თორემ ვეღარ გიპოვიო. გაზეთის, მხოლოდ გაზეთის ყიდვა მინდაო. მეც ადგილიდან არ ვიძვრი, მანეკენივით ვდგავარ, მისი პალტოთი და ქოლგით ხელდამშვენებული და ყველას ფეხებში ვებლანდები. ლილას ალბათ რამე დაავიწყდა. იმ კაცს ნამდვილად გაასწრებს ავტობუსი, ჩვენს მანქანში კი ვერ ჩაჯდება, უხერხულია. დავინახე, როგორ შეშინდა იგი, ხელი ჯერ მარცხენა ჯიბეზე იტაცა, მერე მარჯვენაზე, თავი გააქნია. ძებნა განაგრძო, არ ვიცი რას ეძებს. ამ სცენას როგორც ფილმს ისე ვუყურებ: არც თუ დაუძაბავად, ცნობისმოყვარეობაც არ მაკლია. ადამიანს ფილმის დაწყებისას რომ აქვს ხოლმე, იმ იმედით. ან ახლა გაირკვევა რამე ან ახლაო. ყველაფერი ისე ხდება როგორც ფილმში. ეკრანზე ადამიანები მარტონი არიან, მათ ვხედავ, მაგრამ მათთან მაინც არა ვარ. მე მხოლოდ თანაგრძნობა შემიძლია, მაგრამ მაინც გარეშე მეთქმის, მე არაფერი მეხება და ამიტომ არც ვღელავ. ლილას პასპორტი მასთან ხომ არ დარჩა? მე მზიდავზე მეტი მოთმინება მაქვს. სწორად მივხვდი! ახლა ისინი იცინიან. რა თქმა უნდა, ლილას პასპორტი (ჩემთვის ეკითხა) მის საკუთარ ხელჩანთაში დევს. მეც რომ გავიცინო, არ ივარგებს. მზიდავს ამინდის ამბავს ვეკითხები, რომ ყურადღება ჩემსკენ გადმოვატანინო, თავს წინასწარ ვიზღვევ, ვაითუ ლილამ და იმ კაცმა, რომელსაც ახლა მართლა გაასწრო ავტობუსმა, პასპორტის პოვნისაგან გახარებულებმა ერთმანეთი გადაკოცნონ. ჯერ არც ისე თავისუფალი ვარ, როგორც ვისურვებდი. ნამდვილად წამიხდებოდა გუნება, ამ მზიდავს (ანუ საზოგადოებას) ნიშნი

რომ მოეგო, შენზე მეტს ვხედავო. ლილა დაწყნარდა და მკლავში ხელი მომკიდა. ვგრძნობ, რომ ლილა ამ წუთში კვლავ მე მეკუთვნის მთლიანად. იშოვე გაზეთი? ვეკითხები ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე, მაგრამ იგი ახლა ჩემს წინა შეკითხვაზე მპასუხობს, გაიზელგაშტაიგში რა ამბავი იყო-მეთქი, რომ ვკითხე. ოხ! ჩვენ ახლა მის მანქანას ვეძებთ. მანქანას კარგად ვხედავ, მაგრამ ლილას თურმე ზუსტად ახსოვს, რომ იგი უფრო შორსა ჰყავს დაყენებული და მეც ალარ ვედავები. აქეთ-იქით ვაწყდები, სახემოღუშული მზიდავი სულაც არ არის სიცილის გუნებაზე. აი! ამბობს ლილა, აგერ არა დგას! მე არ ვეუბნები, აი, ხომ ხედავ-მეთქი! ასეთი წვრილმანი ჯიბრიანობაა, დიდ სიყვარულს რომ უთხრის ძირს. შემდეგ მანქანაში ლილა საჭესთან ზის, მე კი ვიცი, რომ უბედნიერესი მიჯნური ვარ ამქვეყნად.

იმედია განტენბაინი არასოდეს დათმობს თავის როლს, ეს როლი მისთვის რწმენას ნიშნავს. რა ნაზი და ალერსიანია ხოლმე ლილა, გასტროლებიდან რომ ბრუნდება! მუხლზე ჩამოუჯდება და გულღიაობაში ტოლს არ უდებს, სიყვარულად იღვრება. რადგან არ არსებობს მზერა, რომელსაც შეეძლო გაეჯიქებინა და მატყუარად ექცია იგი. ასე ბედნიერი არც ერთ მამაკაცთან არ ყოფილა ლილა, არც პირფერობა სჭირდება, რადგან არავინ უთვალთვალებს ეჭვით ალსავსე თვალით. მერე შავ სათვალეს მხსნის, რომ განტენბაინს თვალები დაუკოცნოს და ვგრძნობ, რა ჭეშმარიტია ეს სიყვარული, რადგან ლილას განტენბაინის მოტყუება არ სჭირდება. ხედავთ, რა ფიანდაზად გაშლა სცოდნია ლილას! სხვასთან ნამდვილად ვერ გავძლებდი, მეუბნება ლილა და მეც მჯერა. მართალია, ყოველთვის ია-ვარდით არ იქნება ჩვენი ცხოვრება მოფენილი, მაგრამ ასე ცხოვრება მაინც ღირს.

ბრმას თვალში ნაცარს ვერ შეაყრი.

მე ჩემს თვალებს არ ვენდობი.

მის ჩემოდანზე ელვა შესაკრავი მხოლოდ ნახევრადაა გახსნილი და იქედან გადმოცვენილი ნივთები დერეფანში ყრია: სცენარები, წერილები, ფეხსაცმელები. ყველაფერი დიდხანს ეყრება ასე, მაგრამ განტენბაინი არაფერს იტყვის. ლილა რომ მალაზიებს მოივლის, ჩვენი ბინა ქალალდების კალათას ემსგავსება და ვიცი, არც მილაგდება, სანამ განტენბაინი არ აკრეფს კანაფებს და ქალალდებს და არ გადაყრის. თანაც სიტყვასაც არ იტყვის. ლილას ჰგონია, წესრიგი თავისით მყარდება, სწამს, რომ არსებობენ კეთილი შინაური გნომები და განა ეს გულისამაჩუყებელი არ არის?

რას მიქვია წესრიგი!

ვინც სამყაროსთან არ არის შერწყმული, იმას სჭირდება წესრიგი, რომ არ დაიღუპოს. ლილა კი სამყაროსთან შერწყმული გახლავთ.

ლილა ლამაზია. ამას რაღა თქმა უნდა, ბევრი ეუბნება. განტენბაინი თავისებურად ეუბნება, ლამაზი ხარო, თვალებს ხუჭავს, თითებით უვარცხნის თმას და კოცნით უვსებს ლავიწის ღრმულებს.

ლილა სარკის წინ ზის.

— ღმერთო ჩემო, მაგვიანდება, — წუხს ლილა.

ყელსაბამს ვერ პოულობს.

— რომელი საათია? — კითხულობს იგი.

ლილა დაგვიანებას ვერ მოიშლის, აქ განტენბაინი ვერაფერს გახდება, ლილას ურჩევნია დააგვიანდეს, ვიდრე უყელსაბამოდ გავიდეს გარეთ. ბინა განტენბაინმა დაალაგა ჩუმად და იცის, სადაც არის მისი ყელსაბამი.

რიკი ლილა უყვარს, გამოსაჩენ ადგილზე უდებს ყელსაბამს და ლილაც პოულობს.

— აი სად ყოფილა! — ამბობს იგი.

ასე გვარდება ყველაფერი.

როგორლაც გვარდება.

წარმომიდგენია:

ზოგჯერ სტუმრები გვყავს. ამ დროს უფრო მიჭირს, რადგან სხვები მაკვირდებიან. მაგალითად, როცა ლილა ვერ ხედავს, რომ საფერფლეები დასაცლელია, რომ სამწუხაროდ, შავ ყავასთან ერთად სუფრაზე შაქრის მოტანა დაგვიწყებია, რომ ჩვენს ძაღლს (ვითომ ძაღლიც გვყავს), რომელიც მაგიდის ქვეშ მოკალათებულა და ხვრინავს, ვერავითარი წვლილი ვერ შეაქვს იმ საკითხის გარკვევაში, ერნსტ იუნგერმა სახე იცვალა თუ არა, მაშინ სიფრთხილე მმართებს, რომ თავი არ გავცე, არ ავდგე და პირთამდე გავსებული საფერფლეები არ დავცალო. ვილაც ჯოისზე იწყებს ლაპარაკს. მე ძაღლს ვაფერები (ტაქსას თუ დოგს?). ვხედავ, ჩვენი სტუმრები როგორ დაეძებენ თვალით შაქარს, მე კი ვდუმვარ, რადგან ჩემი ბრმის სათვალის წყალობით არ მჭირდება ვითვალთმაქცო, „ფინეგანის აღაპი“ მეც წაკითხული მაქვს-მკითქი. როდის დასცლიან საფერფლეებს? ვილაცამ ბენი ახსენა, არც ეს გამკვირვებია. კაფკას რიგი უკვე წავიდა. ლილას ფართოდ გაუხელია მშვენიერი, დიდი, ლურჯი თვალები! იგი ვერ ხედავს, ეს შეუპოვარი ვაჟბატონი, ახლა ყოველ სიტყვაზე ბრეჰტის დიად მაგალითს რომ იშველიებს, როგორ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს იმ კაცს, სულ უკანასკნელ ხანამდე რაიხში ლიტერატურის საქმეებს რომ განაგებდა. რა თქმა უნდა, მეც ისე მიჭირავს თავი, თითქოს ამას ვერც მე ვხედავდე. ეს ძნელი ასატანია. დრო ვიხელთე, ავდექი და საფერფლეები დავცალე... შემეშინდა ჩემი საქციელით თავი არ გამეცა, აბა წარმოიდგინეთ ბრმა, რომელიც ხედავს, რომ საფერფლეები დასაცლელია. ლილას შაში არა მაქვს. ლილა ასეთებს უკვე შეჩვეულია. მხოლოდ სტუმრების მეშინია, ისინი ჯერ არ მიცნობენ. სამზარეულოში ვდგავარ, საფერფლეებს ვცლი და გულს ბაგა-ბუგი გააქვს. გარედან მესმის:

— გვითხარით, ლილა, ის მართლა ბრმაა?

— თავგამეტებით ცდილობს, რომ არავინ შეატყოს სიბრმავე, — ამბობს ლილა, — მეც ისე მიჭირავს თავი, თითქოს ვერაფერს ვატყობდე.

— სულ ვერ ხედავს, თუ?..

— პირდაპირ გასაოცარია, — ამბობს ვილაც, — როგორ ხვდება, რომ აკვირდებიან. თვითონ თუ ლაპარაკობს, მხოლოდ მაშინ გრძნობ, მართლა რომ ბრმაა, არა? რომ გაცხარდება, მაშინ ხომ ძალიან ეტყობა სიბრმავე, აი, როგორც ამას წინ გაცხარდა.

(...ლაპარაკი იყო ლიტლ როკზე).*

— თქვენ მართალი ხართ, — ამბობს ის ბატონი, რომელსაც ახლა ელმოუჩენია ბრეჰტი, — პირდაპირ გასაოცარია, აქ რომ ზის და თავის ძაღლს ეფერება, ისეთი გრძნობა გიჩნდება, თითქოს გაკვირდებაო.

— ასეა, არა?

— რამდენი ხანია ბრმაა?

— რაც ერთმანეთს ვიცნობთ, — უბრალოდ ამბობს ლილა, — ჯერ მეგონა, ხუმრობს-მეთქი. — სიჩუმე. — თქვენთვის არასოდეს მომიყოლია ეს ამბავი?

— არა!

და ლილა ჩვენს ამბავს ჰყვება, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო თავშესაქცევად ჰყვება და მეც სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე. მით უფრო დაწვრილებით ჰყვება ამბავს, რაც უფრო ნაკლებად სარწმუნოა იგი. ჩვენი პირველი შეხვედრა კარგ ანეგდოტს ჰგავს: როგორ შემოდის მის საგრიმიორაში განტენბაინი, აღფრთოვანების ნიშნად ხელში ყვავილები უჭირავს, მოხუც პირისფარეშს რომ არ დაერწმუნებინა, ბრმა არისო, ლილა არც შემოუშვებდა ოთახში. ლილა ის-ის იყო გრიმს იშორებდა, პერანგისამარას მხრებზე პენუარი ჰქონდა მოსხმული. ბრმა? სახეზე ზეთი მესვა და ალქაჯს ვგავდიო (ასე ამბობს ლილა ყოველთვის). ბრმაა? — კითხულობს ლილა, მაგრამ სანამ კარგად დაფიქრდებოდეს, ბრმა როგორ შეიძლება იყოს ჩემი თამაშით აღფრთოვანებულიო, განტენბაინი უკვე კარებში დგას. ბრმები ასეთი შეუპოვარნი არიან, იგი ვერ ხედავს, შემოსვლა რომ არ შეიძლება, ვერც პირისფარეშის ღიმილჩამქრალ სახეს ხედავს. დგას თავისთვის, ხელში ვარდები უკავია, სამი ცალი ვარდი, და ამბობს, პირდაპირ აღფრთოვანებული ვარო. უნდა დაუჯერონ, მეტი რა გზაა. თან სწორედ იმ საღამოს (ამასაც ყოველთვის ამბობს ლილა) ჩვეულებრივზე უარესად ვთამაშობდი, პირდაპირ საშინლად ვთამაშობდიო. განტენბაინმა არ იცის, ვარდებს რა უყოს. ლილა საგრიმიორო სარკის წინ ზის, სახეზე, როგორც ვთქვით, ზეთი უსვია და თმაგაშლილ ალქაჯს ჰგავს. მოსულს საცოდავად მოყანყალებულ საგარძელს სთავაზობს. პირისფარეში ვარდებს ართმევს ბრმას. განტენბაინი ხელზე ჰკოცნის ქალს (ამას ლილა ჩემი თანდასწრებით არ ამბობს ხოლმე) და შემაძრწუნებელია, თავის შეცდომას რომ ვერც ამჩნევს. შემდეგ ლილა განაგრძობს მოყოლას, როგორ ზის სტუმარი მოყანყალებულ საგარძელში და იუნესკოზე ლაპარაკობს ჭკვიანურად. ეს არის პირველი სტუმარი მის საგრიმიოროში, რომელიც თვალებს კი არ აცეცებს, მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებისადმი იჩენს ინტერესს. ამ დროს ლილა მისი თანდასწრებით ჯერ თმას ივარცხნის, შემდეგ კი იცვამს, დიახ, თხუთმეტი წუთის შემდეგ ბრმასთან თავს ისე გრძნობ, თითქოს მასთან ჯვარდაწერილი იყოო, დასძენს ლილა. ვიღაც ბრიყვულად იცინის... მე სუფთა საფერფლეები შემომაქვს. სიჩუმეა. ვხედავ, როგორ უკვირს ყველას, განტენბაინი საფერფლეებს მაგიდაზე რომ ალაგებს, ერთს აქ, ერთს იქ და მათ ფინჯნებს და ჭიქებს კი არ ეჯახება. რატომ არა სვამთო, კითხულობს იგი და ცარიელ ჭიქებს ავსებს, განტენბაინს უყურებენ, კარგად ვატყობ, ვინ ეჭვით უყურებს და ვინ არა. ვისაც ეჭვს შევატყობ, იმას

* ლიტლ როკი — არკანზასის შტატის (აშშ) მთავარი ქალაქი, სადაც 1957—58 წ.წ.-ში რასისტები გამოვიდნენ იმის წინააღმდეგ, რომ ზანგ ბავშვებს თეთრკანიანებთან ერთად ევლოთ სკოლაში.

ისე პირთამდე ვულიცლიცებ ჭიქას, რომ სასმელი გადმოიღვაროს. ასეთი ფანდები სულ უფრო და უფრო იშვიათად მჭირდება. ამ დროს ვილაც მუზილზე გადადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი გარემოება:
მე ლილას ხარჯზე ვცხოვრობ.
მიზეზი:

თითქმის არ არსებობს წყვილი, თუნდაც განშორებისას მაინც რომ არ აღმოეჩინოს, ცოლსა და ქმარს შორის ფულის საკითხი ვერასოდეს ვერ გადაიჭრებაო და გული მწარედ არ სტკენოდეს. აქ ის ბედნიერი წყვილი არ იგულისხმება, ცოტა ფული რომ აქვს. ასეთ შემთხვევაში ცოლსა და ქმარს შორის არც დგება ფულის პრობლემა. ეს პრობლემა მხოლოდ მაშინ წამოიჭრება, როცა ორივე საკმარისად იღებს ერთის სამყოფ, მაშასადამე, როგორც ფიქრობენ ხოლმე, ორივეს სამყოფ ფულს. საერთო სალარო, სადაც ორივე დებს და საიდანაც ორივე იღებს ფულს, ბევრს შემოუღია, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებაში ეს ცდა მარცხით მთავრდება ხოლმე, რადგან საზოგადოება, დაწყებული საჩუქრის მომლოდინე პერსონალით და დამთავრებული სახელმწიფოთი, უწინდებურად მამაკაცს უშვერს ხელს...

წარმომიდგენია:

ლილა და განტენბაინი რესტორანში არიან, დიახ, ლილა, რომელიც, მაშასადამე, მე მარჩენს. ოფიციანტს მოაქვს ანგარიში. ინებეთ. ვხედავ თეფშზე მორცხვად დაკეცილ ანგარიშს და ბრმის როლს ვთამაშობ, ქალივით ვაგრძელებ ლაპარაკს (ვიქცევი ისე, როგორც ქალები იქცევიან ანგარიშის მოტანისას), ლილა ამ დროს ხელჩანთას ეძებს და ფულს იხდის, მე კი ენას არ ვაჩერებ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ოფიციანტი ხურდის დასაბრუნებლად რომ მოდის, ვეკითხები, სიგარები თუ გაქვთ-მეთქი. ამასაც დრო მიაქვს. მოკლედ, ვსაუბრობთ. ლილა დიდებული ქალია, მამაკაცივით სდუმს, ფულზე კრინტსაც არა სძრავს და ამრიგად, მართლა შეიძლება განვაგრძოთ საუბარი. მე დიდი-დიდი ერთი კითხვა დამცდეს: დანახარჯი ხომ გადავიხადეთ-მეთქი. ხანდახან მართლა მეპარება მხედველობიდან ეს მომენტი, რახან ანგარიშის გასწორება აღარ მევალება. ლილა თავის ბავშვობის ამბებს მიყვება, მე კი ამ დროს სიგარას ვირჩევ და თან მისი ბავშვობის ამბებს ინტერესით ვუგდებ ყურს. სანამ სიგარას ბოლოს წავაჭრიდე, ლილა იძულებულია ისევ ამოიღოს საფულე და სიგარის საფასური გადაიხადოს, თორემ სიგარების გამყიდველ ბიჭს, ბოლოს და ბოლოს, არაფრად ენაღვლება ლილას ბავშვობა და აქედან ფეხს არ მოიცვლის. წარმოდგენა არა მაქვს, რა ღირს ჩემი სიგარა, მხოლოდ ის ვიცი, რომ მის საფასურს გადაიხდიან, არხეინად ვუგდებ ყურს, ბავშვობაში კიდევ რა და რა გადახდენია ლილას თავს და თან სიგარას ვაბოლებ. ტაქსიდან რომ გადმოვდივართ, ვამბობ ხოლმე: დახე, წვიმას გადაუღია-მეთქი! ლილა კი ამ დროს კვლავ თავის ხელჩანთაში იქექება, დანახარჯს იხდის და მასვე აკისრია გადაწყვიტოს, ზედმეტი რამდენი აჩუქოს მძღოლს. მე მის ხელს ველოდები. როცა ფოსტას ანგარიშების მეტი არაფერი მოაქვს, ვამბობ, დღეს ფოსტა საერთოდ არ მიმიღია-მეთქი! ანგარიშებზე მხოლოდ მაშინ ვლაპარაკობთ, როცა რაიმე უჩვეულოს წავაწყდებით ხოლმე. ბინის ქირა, ტელეფონის, ელექტრონის, გათბობის, ნაგვის გატანის, სატრან-

სპორტო სამსახურის რეგულარული გადასახადები, მოკლედ, ყველაფერი, რაც თვიდან თვემდე მეორდება, არც უჩვეულოა და არც სალაპარაკოდ ღირს, ისევე, როგორც ანგარიშში ჩასაგდებად არ ღირს სიბერის უზრუნველსაყოფი სავალდებულო დაზღვევის შესატანები. თუ ლილა მინ არ არის, მაშინ ფულს უჯრიდან ვიღებ. ლილა ანგარიშს არა მთხოვს, მაგრამ მე მაინც მოვახსენებ ხოლმე, როცა უჯრა დაცარიელდება. ლილა ან შეშფოთდება, ან არა. ჩვენს შორის ფულთან დაკავშირებული პრობლემები რომ არ წამოიჭრას, მე არც შემოსავალს ვკითხულობ და არც გასავალს, მაგრამ მაინც მეცოდება ბუნებით ხელგაშლილი ლილა, ხანდახან იძულებული რომაა, ფულის მომჭირნედ ხარჯვაზე იფიქროს. მე პატივს ვცემ მის გრძნობებს. უარს ვამბობ სიგარეტზე და უკმაყოფილებას არ ვამჟღავნებ, რადგან ვიცი, არსებობს მოსახლეობის ფენები, სიგარას საერთოდ რომ არ ეწევიან. ლილამ იცის, რომ მე მზად ვარ ყველაფერი მოვიკლო. თუკი მაინც მომიტანს მთელ ყუთ სიგარეტს, ხეირიანიც რომ არ იყოს, მაინც მოვწევ. განა ლილამ უკეთ არ იცის, რისი ყიდვა შეგვიძლია და რისი არა? მე რომ უსათუოდ მჭირდება სმოკინგი, ეს ჩემი იდეა არ გახლავთ და სანამდეც შემიძლია, მანამდე გავძლებ უსმოკინგოდ. ისე, სიმართლე თუ გნებავთ, არც იმ სმოკინგის შესაფერი ლაქის ფეხსაცმელები მაქვს. აი, კბილის ექიმთან კი აუცილებლად წასასვლელი ვარ, საჭირო არ არის იმის თქმა, როგორ მაწუხებს ეს ამბავი. ამ საკითხზე საერთოდ არ ვლაპარაკობთ. ჩემი ლილა რამდენს ღებულობს, არ ვკითხულობ. ეს თვითონაც არ იცის ლილამ. მე მხოლოდ იმას ვხედავ, რამდენს მუშაობს და წამდაუწუმ ვუმეორებ, ერთი კარგი არდადეგები არ გაწყენდა-მეთქი. ნამდვილად არ აწყენდა. ლილას რომ დასვენება სჭირდება, ამას ბრმაც კი დაინახავს. ლილა ხან მეტს მაძლევს ჯიბის ფულს, ხან ნაკლებს, მაგრამ იმისთვის მაინც მყოფნის, დაბადების დღეზე ან საშობაოდ ისეთი რამ ვუსახსოვრო, თავისთვის რომ ვერ გაიმეტებდა. ლილას ასეთ დროს ყოველთვის გული უჩუყდება და მე თმაზე ვკოცნი ხოლმე. როცა სხვა ქალთან ვარ (ხომ შეიძლება ასეც მოხდეს), დანახარჯს არავინ მიხდის. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც ჩვენი როლები მთლიანად მაინც არ იცვლება. რაც უფრო დარწმუნებულია ქალი, რომ სხეულით მოვაჭრედ არა თვლი, მით უფრო იოლად გაპატიჟებინებს თავს. ეს ქვეყანა ასეა და ამაზე მეცინება. სხვათა შორის, ეს დანახარჯი მინაზღაურდება — სხვა კაცთან რომ მოხვდება, არც ლილა ამბობს დაპატიჟებაზე უარს. აბა რა სასიამოვნოა ყოველი ფინჯანი ყავის, ყოველი ტაქსის, ყოველი მეგარდერობე ქალის, ყოველი გაზეთის, ყოველი კინოსა და ავტოსადგომის ქირის ყოველი საათის გასასტუმრებლად თვითონ რომ უნდა ჩაიყოს ჯიბეში ხელი. ზოგჯერ ლილა მეცოდება და ვთაღლითობ— უჩუმრად ვიხდი ხოლმე ფულს. ლილა ამას ვერასდროს ვერ ამჩნევს, ის ხომ ნამდვილი ქალია, მერე რა, რომ დამოუკიდებელი ადამიანია. თაღლითობაში ძალიან ღრმად ვერ შევტოპავ, მეშინია, ლილას დამოუკიდებლობის გრძნობა არ წავართვა. ლილამ არ იცის, მე რომ ბანკში საკუთარი ანგარიში მაქვს და და მეც არასოდეს გავუმხელ, თორემ ყველაფერს ბოლო მოელება. უფრო ნათლად რომ მოგახსენოთ: ჯერ ჩემი ანგარიშიდან საკუთარი დანახარჯი არ გამისტუმრებია. მე ლილა მინახავს. მან იცის ეს და საკმარისია. ჩემი საიდუმლო ანგარიშიდან ისეთ უმნიშვნელო საყოფაცხოვრებო ხარჯებს ვისტუმრებ, სალაპარაკოდაც რომ არ ღირს — ძაღლის გადასახადი იქნება ეს თუ შემთხ-

ვევითი ჯარიმები, რომლებიც ლილას გააღიზიანებდა, მანქანისათვის ზეთის გამოცვლა თუ სხვა რამ. ამას დაამატეთ კიდევ საფოსტო მარკები, ათასნაირი შესაწევარი, მათხოვრებისთვის, ბარგის მზიდავებისათვის ნაჩუქარი ფული და ხსნის არმიის შესაწევარი—მოკლედ, უმნიშვნელო ხარჯებს ვისტუმრებ. არ შემიძლია ვუყურო, ქალი იძულებული რომაა მამაკაცივით სულ ჯიბეზე გაიკრას ხელი. პრინციპის დასაცავად ისიც კმარა, რომ ლილა მარჩენს და მმოსავს. ხოლო მე მის სარჩენად და შესამოსად, მისი კოსმეტიკისათვის, მისი და ჩვენი სიამოვნებისათვის თითსაც არ ვანძრევ. ლილა რომ იტყვის, მოდი, დღეს ასთაკვები მივირთვათო, მე მხარს ვუბამ. ვითომ მამაკაცმა რატომ უნდა გადაწყვიტოს, ფუფუნების უფლება როდის შეიძლება მივცეთ თავს? ყოველ ადამიანს სხვადასხვა დროს მოუვლის ხოლმე თავის გალაღების სურვილი და ამიტომ ერთმა მეორეს უნდა აუბას მხარი. ლილა იმ მამაკაცივით უგუნურია, რომელიც დანახარჯს იხდის. მაგრამ ხომ იხდის! ვისაც არაფერი ეხარჯება, ის რომ გამოიჩენს გონიერებას, ყველას გუნება უფუჭდება, მე ამას ვერიდები, თუმცა ყოველთვის არ მეხალისება სხვისი ხათრით ასთაკვების ჭამა. მაგრამ ვინც სხვის კისერზე ცხოვრობს, ის იმ სხვას უნდა დაემორჩილოს კიდეც. მე სხვის კისერზე ვცხოვრობ. ლილას ეს ბედნიერებას ანიჭებს.

ჩვენ მხიარულად ვცხოვრობთ.

კონცერტზე ვხედავ, რომ ქალბატონი ბატისტვინა კიბიდან გვითვალთვალებს და საუბარში ვურთავ: თუ იცი, ჩვენი ბატისტვინა რასა იქმს-მეთქი (ლილას სულ არ აწუხებს ბატისტვინას დარდი), იმედია, აქ არ იქნება! ამის თქმა და ლილა სახელოზე მქაჩავს, მოდი და ნუ გაგეცინება, აგერ არა დგასო? მე ისე ვიცინი, ვითომ არ მჯეროდეს და ამასობაში სხვა კიბისაკენ მივემართებით.

ლილას ჩემი მეექვსე გრძნობისა სჯერა. სადღაც წაუკითხავს, ბრმა თავის საკუთარ სახლში გზას ყველა თვალხილულზე უკეთ იგნებსო. ბრმა არც კარის სახელურს ააცდენს ხელს და არც ონკანს. მას შველის სივრცის შეგრძნების უნარი, რომელიც ერთ სანტიმეტრშიაც არ ატყუებსო. ამ შეგრძნების წყალობით ბრმა ანგელოზივით დაფოფინებს ოთახში, არც არაფერს წამოედება და არც არაფერი უტყდება. ეს ამბავი, ცოტა უფრო მეცნიერული ენით ეწერა თურმე ერთ ამერიკულ ჟურნალში. ამის დამწერ პროფესორს ათასზე მეტი ცდა ჰქონია ჩატარებული. ლილამ წამიკითხა ის სტატია და მეც ამ სტატიას ვეყრდნობი. მხოლოდ მაშინ მიჭირს, მოკლე ჩართვის გამო ჩვენი ბინა რომ ჩაბნელდება ხოლმე, მეც ისევე მიჭირს, როგორც ყველა თვალხილულ ადამიანს, რომელიც ვერაფერს ხედავს, რადგან სახლში უკუნეთია გამეფებული. მაგრამ რახან უკუნეთია, ვერც ლილა ხედავს ჩემს გასაჭირს და როცა ბოლოს სანთლით ხელში გამოვეცხადები, კვლავ ანგელოზის სადარი ვარ მისთვის.

წარმომიდგენია:

ლილა კაბას ყიდულობს და განტენბაინი თან უნდა ახლდეს, თითქოს ის რომ გვერდით ეყოლება, კაბას უფრო იოლად აირჩევს და მეც, ერთადერთმა მამაკაცმა, ლამის დავაღამო პატარა, მაგრამ მდიდრულ, მთელი მსოფლიოს გემოვნებიანი ქალებისაგან აღიარებულ მაღაზიაში. ვზივარ კოსტუმებისა და სარკეების ალყაში მოქცეული და იმ სარკეებში ვიყურები, ვხედავ განტენ-

ბაინს, რომელსაც შავი ჯოხი მუხლებშუა უდევს და მუქი სათვალე უკეთია. ვხედავ, რომ განტენბაინი უფრო დახვეწილა მას შემდეგ, რაც სხვას ვარჩენინებ თავს. ამას ლილას უნდა ვუმადლოდე, საზოგადოებაში გამოსული ბრმა მამაკაცი. ლილა ახლა მორიგ მოდელს იზომებს, რიგით მეხუთეს, რომელიც განტენბაინის განაჩენს ელოდება, სული კბილით მიჭირავს, ოღონდ მოდელი კი არა, განტენბაინის განაჩენი მაინტერესებს. ამ საქვეყნოდ აღიარებული მაღაზიის მეპატრონე ქალბატონი გამყიდველი როდია, იგი ხელოვანი და თან მეგობარი გახლავთ. მართალია, ცოტა სისქე უშლის ხელს, რომ თავის მუშტრებს ტოლი არ დაუდოს ელეგანტურობაში, მაგრამ მაინც საზოგადოებაში გამოსული მანდილოსანი ეთქმის. იგი ლილას მუშტრად როდი თვლის, როგორ გეკადრებათ, დასავით ექცევა, ისეთ გემოვნებიან და გამოცდილ ქალად თვლის, ვისაც უნარი შესწევს მისი აღტაცება გაიზიაროს. თვითონ კი ტყავიდან ძვრება, რომ დაგვანახოს, მე ხომ სხვა არაფერი მინდა, ოღონდ იმ მოდელით მოგვრილი უანგარო და გულწრფელი სიხარული გამიგოთ, ლილა სწორედ ახლა რომ ჩაიცვამსო. მოკლედ, ეს ქალბატონი, რომელსაც მე ვერ ვიტან, აღტაცებულია განტენბაინით. ყველა კაცი როდი დახარჯავს ამდენ დროს ქალისათვის, გინდა მეუღლე იყოს და გინდა საყვარელი. მე და ლილას ცოტა არ იყოს გვეხამუშება ჩვენი სიყვარულის ასე სააშკარაოზე გამოტანა. ქალბატონი ახლა ფარდას ხურავს. იგი დარწმუნებულია, მე იმ ფასებს ვერ ვხედავ, ლილა ვითომ ჩემგან დაფარულად ბანკნოტების მთელი დასტით რომ ანაღდებს. ეს ქალბატონი იჩემებს, ადამიანებს კარგად ვიცნობო და წარმოდგენა კი არა აქვს, ვინ ვის ინახავს. ამიტომ მის თვალში მე არა მარტო ყველაზე მომთმენი, არამედ ყველაზე დიდსულოვანი კაციც ვარ მათ შორის, ვისაც კი ოდესმე თამბაქოს ბოლით შეუმჭვარტლავს მისი პატარა, მაგრამ მდიდრული მაღაზია, რომელიც რა თქმა უნდა, ატელიედ ან Boutique[1]-დ არის მონათლული. სანამ ლილა ფარდის უკანაა, გამყიდველი ისე მექცევა, თითქოს ბრმა არ ვიყო. აი ნახავთ!— მეუბნება იგი და ჩემთვის ერთი ფინჯანი ყავის მოსატანად მოპირდაპირე კაფეში აგზავნის მსახურს, რომ აღტაცების უნარი არ მომიჩლუნგდეს. აი, ნახავთ! რა ქნას, ეს მისი ამოჩემებული ფრაზაა. მაგრამ ფარდის უკან ლილასაც რომ ისევე უჭირავს თავი, ვითომ მთელი ეს სანახაობა მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სიამოვნებისათვის იყოს მოფიქრებული?! ყავას ვწრუპავ და ისე ვზივარ, ვითომ ფაშა ვიყო, მთელი ჰარამხანისათვის ვყიდულობდე ტანსაცმელს და ლილა მხოლოდ მანეკენობას მიწევდეს. წინ მიდევს აბრეშუმის ნიმუშებით გამოტენილი უზარმაზარი ალბომი და არ ვიცი, რა მოვუხერხო. ჩემს სიბრმავეში არავის ეჭვი არ ეპარება, პირიქით, მხოლოდ მაგრძნობინებენ, ხომ ხედავთ, მაინც ანგარიშს გიწევთო. რა თქმა უნდა, სათვალეს არასოდეს არ ვიხსნი. როცა საჭიროა, სათვალიდან ალმაცერად ვიყურები და ქსოვილის ფერს ვარჩევ. ასე ყურებას დიდხანს ვერ ვუძლებ, თავბრუ მეხვევა და ამიტომ სათვალიდან მხოლოდ გადამწყვეტ წუთებში ვიჭყიტები.

— იცი, გადავწყვიტე, ეს კოსტუმი ვიყიდო, — მეუბნება ლილა.

— ძალიან კარგი.

— დარწმუნებული ვარ, არ ინანებთ, — ენას ატარტალებს ქალბატონი,—

[1] მაღაზია, სადაც იყიდება მხოლოდ ერთ ეგზემპლარად დამზადებული ნივთები (ფრანგ.).

ხომ გითხარით, ეს კოსტუმი დიორთან ვნახე თუ არა, მაშინვე თქვენ გამახსენდით, მადამ განტენბაინ...

ახლა კი გამოვიჭყიტე სათვალიდან.

— აბა, ვის უნდა ეცვას ეს კოსტუმი, თუ არა თქვენ, მადამ განტენბაინ!— მესმის ქალბატონის ხმა, — აი, საყელო კი, როგორც გითხარით...

ჩემი აზრით, კოსტუმი არ ჩაიცმევა.

— იცი, გადავწყვიტე, ეს კოსტუმი ვიყიდო, — მიმეორებს ლილა.

განმეორება იმის ნიშანია, რომ ლილა მტკიცედ ვერა დგას თავის აზრზე და შველა სჭირდება. ლილას აქვს გემოვნება, მაგრამ ყოველი ადამიანის მსგავსად ჩამომავლობაც აქვს. ვთქვათ, ლილა ბანკირის ქალიშვილია. რა თქმა უნდა, მაშინ ყოველნაირი საყელო შეაკრთობს, რომელიც მეტისმეტად დააქალებდა და ყოველთვის სისადავეზე ეჭირებოდა თვალი. ანდა, ვთქვათ, ლილა ელზასელი მეწვრილმანის ქალიშვილია. მაშინ უხდება თუ არ უხდება, ყველაფერს დარბაისლურს დაეხარბება და გადამწყვეტ მომენტში ფერების გარჩევის უნარსაც დაკარგავს. ჩემი ვალია, ლილას მივეშველო. უყვარს თუ არა ლილა ბატონ დიორს, რომელმაც ეს მოდელი მაინცდამაინც მისთვის შექმნა, არ ვიცი. მე კი მიყვარს ლილა, ბანკირის ქალიშვილი იქნება იგი, მეწვრილმანის თუ პურიტანელი მღვდლისა, ეს უკანასკნელიც შეიძლებოდა წარმოგვედგინა. მე ვეუბნები:

— ძალიან კარგი.

— იცი, მხოლოდ შემოტეხვა სჭირდება...

ქობაზე ქინძისთავებს აბნევენ.

— ყვითელია? — ვეკითხები მე.

— არა, — მპასუხობს ლილა, — ღვინისფერი.

ქალბატონი, დაიკო, ხელოვანი იძულებულია ქვედატანის შემოსატეხად ჩაცუცქდეს და თვითონ კაბა ლამისაა შემოასკდეს ტანზე. იგი აღფრთოვანებულია, თურმე ნუ იტყვით, ჩემს ლილას პირდაპირ ხატავს ეს კოსტუმი, მე ვხედავ, რომ ლილა ქინძისთავების შიშით ძლივს ინძრევა, მაგრამ მაინც ცდილობს სარკისაკენ გააპაროს თვალი და ყველა ქინძისთავის ჯიბრზე დაიჯეროს დაუჯერებელი.

— ღვინისფერია? — ვეკითხები მე, — ბურგუნდული ღვინის ფერი?

— ჰო, ასე ვთქვათ.

— ჰო, ეს ფერი გშვენის, — ვამბობ მე.

ძნელია ბრმა კაცის ცოლობა!

— მართლა ბურგუნდული ღვინისფერია, თუ? — ვეკითხები მე.

ბრმა განტენბაინი იხსენებს სხვადასხვა წითელ ფერს, მისი აზრით ლილას ლია წითელიც მოუხდებოდა და ნაზი აგურისფერიც, დაშვენდებოდა მუქი წითელიც, აი, დამჭკნარი ვარდი რომ არის, ისეთი, ოდნავ ჩაბინდული, თუ რაღაც ამდაგვარი. მას ვითომ უყვარს წითელი ფერი. მოაგონდებოდა ერთადერთი წითელი ფერი, რომელიც არ მოუხდებოდა ლილას: წყალწყალა, ყალბი, ქიმიური, ლიმონათისფერი წითელი. სიჩუმე ჩამოვარდა. მოაგონდებოდა, რომ წითელია სისხლი, წითელია განგაშის ფერი, წითელია თუნდაც აფეთქების ადგილზე გამოკიდებული ალამი, წითელია თევზის პირი, ამომავალი ან ჩამავალი მთვარე და მზე, წითელია ცეცხლი, წითელია ცეცხლში გავარვარებული რკინა, ხანდახან მიწაც წითელია და დახუჭული ქუთუთოებიდან დანახული დღეც,

წითელია ტუჩები, წითელია კოროს ყავისფერ, მწვანე და რუხ ბეიზაჟებზე დახატული ლეჩაქი, წითელია ჭრილობები, ყაყაჩო, სირცხვილი და მრისხანება, ბევრი რამ არის წითელი. პლუში თეატრში, ასკილი, რომის პაპი, ჯორიდაზე აფრიალებული ქსოვილი, ეშმაკიც წითელი იქნება ალბათ, მწვანე ფერიდანაც წითელი ფერი გამოსჭვივის, დიახ, წითელი ფერთა ფერია განტენბაინი-სათვის!

კაბა შემოტეხილია.

— იცი, ეს ლიმონათისფერი წითელი არ არის, — მეუბნება ლილა.

მე სიგარეტს ვეწევი და ვიცდი.

— არა, — ამბობს ქალბატონი, — ღმერთმა დაგვიფაროს!

მე ვეწევი და ვიცდი.

— იქნებ მაინც ლიმონათის ფერია? — ეკითხება ლილა ჩაცუცქულს და თან სარკეში იყურება.

— არა, რას ბრძანებთ!

სარკეში ვხედავ, როგორ გაფაციცებულია ლილა.

— შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, — მოუთმენლად გადმომძახის გამყიდველი (იგი ყველა მამაკაცს ბრმად თვლის), — შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, — ახლა ლილას მიმართავს იგი, — ბატონი აღფრთოვანებული დარჩებოდა, თქვენი დანახვა რომ შეეძლოს.

ვინაიდან ბრმა ვალდებული არ არის აღფრთოვანდეს, მე კითხვებს ვუსვამ ლილას და ისიც მტკიცედ მპასუხობს. ოღონდ ასეთ სიმტკიცეს სარკეში ვერ იჩენს.

მაგალითად, მე ვეკითხები:

— მეტისმეტად სადა ხომ არ არის?

კოსტუმი კი მეტისმეტად გადაპრანჭულია.

— არა, — მეუბნება ლილა, — სწორედ მაგას ვერ იტყვი.

მე ვეწევი.

— თუ შეიძლება, ერთხელ კიდევ მოვიზომებ ყვითელს... — ხმადაბლა ამბობს ლილა.

იქნებ ლილამ უკვე დიდი ხანია იცის, რომ ბრმა არა ვარ და ამ როლს სიყვარულის გამო მანებებს?

წარმომიდგენია:

ლილა პალტოგაუხდელი შემოდის სცენაზე. მიმდინარეობს რეპეტიცია. ლილა ლედი მაკბეტის რეპეტიციებს გადის. მე ჩაბნელებულ ლოჟაში ვზივარ, ფეხები წინა საკარძელზე მიწყვია და ესპანურ თხილს ვაკნატუნებ. ნაჭუჭები იატაკზე რომ არ დავყარო, თხილს პიჯაკის ჯიბეში, ესე იგი ბრმად ვამტვრევ. ნაჭუჭები ჯიბეში მიგროვდება და ნაჭუჭების გროვაში თხილის ამოძებნა სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. დირექციამ, დიდი სიამოვნებით არა, მაგრამ მაინც დამრთო რეპეტიციაზე დასწრების ნება. სამაგიეროდ, ლილას, რომელსაც ამ თეატრში ყველაფერი გაუდის, ალბათ სხვა რაიმეზე ეტყვიან უარს. ალბათ დირექციას უკვირს, ამ ბრმა კაცს რა მინდა რეპეტიციაზე. ეს ლილამ ისურვა. მისი აქ ყოფნა მეხმარებაო, ამბობს იგი... ამგვარად: პალტოგაუხდელმა ლილამ სცენაზე გაიარა, ისე მიესალმა ყველას და ისე მიიღო საპასუხო სალამი, ვითომც არ დაეგვიანებინოს. როგორ ახერხებს ლილა ამას, არ ვიცი.

ჩვენ თითქმის დროზე მოვედით თეატრში, ლილამ ისევ ვერ იპოვა თავისი საათი და მეც აღარ გამოვუჩინე, რომ ერთხელ მაინც მოვსულიყავით დროზე. ალბათ მსახიობების შემოსასვლელ კართან რომ მივიდა, მაშინ მიხვდა, არ დამიგვიანიაო, მერე ან კიბეზე შეჩერდებოდა ან კარისკაცთან წერილებს მოიკითხავდა, არ ვიცი, ეს კია, რომ ლილამ მაინც მოახერხა დაგვიანება. ჩვენ ვიცდით, რეპეტიციის წინ სიჩუმეა დარბაზში, სცენის სიღრმიდან ჩაქუჩის კაკუნი ისმის. სიჩუმეა. რეჟისორი პულტთან დგას და თანაშემწეს რაღაც საჭირო, მაგრამ არა საშურო საკითხზე ეთათბირება. ეს აუცილებელია, რათა არც მას და არც მომლოდინე მსახიობებს არ გაუჩნდეთ გრძნობა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ლილას ელოდებიან. იგი საცაა გამოჩნდება, მან ხომ გაიარა სცენა, იგი უკვე თავის საგრიმიოროშია. სიჩუმეა. შემდეგ რეჟისორის ლანძღვა-გინება აღწევს ჩემს ლოჟამდე. ლილა განზრახ როდი აცდევინებს ხალხს, თანდაყოლილი ნიჭი აქვს ასეთი. ისინი იცდიან. ლილასათვის რომ მეთქვა რაც გავივონე, არ დამიჯერებდა. მას არასოდეს მოუსმენია ასეთი ლანძღვა-გინება, პირიქით, ლილა შემოვა თუ არა, ყველანი მოჯადოებულებივით შესცქერიან და ფარ-ხმალს ჰყრიან. მაშასადამე, მე ვიცდი და კვლავ ესპანურ თხილს ვაკნატუნებ, რადგან ლოჟაში მოწევა აკრძალულია, თხილს ვაკნატუნებ და ვიცდი...

ლედი მაკბეტის გამოსვლა.

ლედი მაკბეტს ჯემპრი აცვია, მაგრამ მისი გჯერა...

მართალია, განტენბაინი ვერ ჩაერევა საქმეში, როცა რეჟისორს სულელური იდეა მოსდის თავში — არც ერთი რეჟისორი არ მიიკარებს ბრმის სიტყვას — მაგრამ მე მაინც ვეხმარები ლილას, საიდუმლოდ, რეპეტიციის შემდეგ.

მაგალითად:

რეჟისორს საერთოდ მახვილი თვალი აქვს, მაგრამ ამჯერად თავში მოსდის სულელური იდეა: ლილა ზედ რამპასთან მიჰყავს, როცა ის მოლანდებულ სისხლს იწმენდს ხელებიდან. გადაწყვეტა ახლებურია, გეთანხმებით, მაგრამ არაფრად არ ვარგა. მიკვირს, რეჟისორი ამას რომ ვერ ხედავს და კვლავ ჩემს ესპანურ თხილს ვაკნატუნებ, ლილა კი რეჟისორს ემორჩილება. ესე იგი, ზედ რამპის კიდეზე დგას... რეპეტიციის შემდეგ სადილზე ვეკითხები, რატომ ამოიღეს-მეთქი ექიმი და გადია, რომლებიც შექსპირს გამოყვანილი ჰყავს ამ ცნობილ სცენაში? ეს კითხვა შეიძლება ბრმამაც დასვას, რადგან ექიმისა და გადიის ხმა არ გამიგონია. მართალია, მათ სათქმელი ბევრი არა აქვთ, მაგრამ იქვე დგანან, სანამ ლედი ბოდავს გაშმაგებული. ისინი სწორედ იმიტომ ამოიღეს, რომ სათქმელი ბევრი არაფერი აქვთო, მესმის პასუხად. ამ საკითხზე მე რას ვფიქრობ, ამის გამოთქმა ძნელი არ არის, მაგრამ როგორ გინდათ განტენბაინმა (ისე, რომ არ გამოამჟღავნოს, რასაც სხვა ხედავს, იმას მეც ვხედავო) თავისი შთაბეჭდილება გაუზიაროს ადამიანს, ვინც იდეებს დაუბრმავებია და სწორედ ამ წუთში ფილე-მინიონს მიირთმევს? თავი რომ არ გავცე, ოფიციანტს ვეკითხები, ფილე-მინიონი თუ გაქვთ-მეთქი... შემდეგ რეპეტიციაზე, როცა ჩემი ლედი კვლავ გამოდის სცენაზე, შანდალს ზედ რამპის კიდეზე დგამს და ხელებს იბანს არა ექიმისა და გადიის თანდასწრებით, რომლებიც შექსპირმა მალულ მოწმეებად გაიაზრა, არამედ ხელებს იბანს მხოლოდ და მხოლოდ მაყურებლის წინაშე, მე თვალებს ვხუჭავ და ჩემს შთაბეჭდილებას ისე ვამოწმებ. განსხვავებას აშკარად ვგრძნობ. როცა ლილა სახლში სწავლობდა როლს და

არ იცოდა, რომ განტენბაინი გადიასა და ექიმივით მალულად უსმენდა, იგი თავის შიშთან მარტოდ დარჩენილი ადამიანივით მეტყველებდა და შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. ახლა კი ვუსმენდი და ესპანურ თხილს ვაკნატუნებდი არხეინად. იგივე ტექსტია, იგივე ხმა და მაინც ის არ არის. იმიტომ, რომ იგი ახლა რამპასთან დგას, არც ექიმი უგდებს ყურს და არც გადია, რომლებსაც გონდაკარგული ქალი ვერ ხედავს, იგი მარტო დგას რამპასთან და მას კრიტიკა და მაყურებელი უგდებს ყურს. ეს ლილას უნდა ვუთხრა. შენ ოქსფორდელთა ჯგუფის[1] წევრივით მეტყველებ, რომელსაც თავისი სულიერი ტანჯვა საზოგადოების წინაშე ნომრად გამოაქვს და მაყურებელს მთქნარებას ჰგვრის-მეთქი, ვეუბნები ლილას შესვენებაზე. ამ დროს რეჟისორიც გვიახლოვდება და ლილას აწყნარებს. რეჟისორსაც ვეკითხები, თქვენც ხომ არ გეჩვენებათ, რომ ლილა ოქსფორდელთა ჯგუფის წევრი ექსჰიბიციონისტი ქალბატონივით მეტყველებს და მისი ხმა ისე ისმის, თითქოს ზედ რამპის კიდეზე იდგეს, დიახ, ზედ რამპის კიდეზე...

ისინი ხანდახან სცვლიან ხოლმე მიზანსცენებს.

ოლონდ განტენბაინს არაფერს ეუბნებიან: უნდათ მისი სმენა შეამოწმონ... რეპეტიციის შემდეგ მუდამ მსახიობების გამოსასვლელ კართან ვიცდი შავ ჯოხზე დაყრდნობილი და თავი ისე მიჭირავს, თითქოს საქვეყნოდ ცნობილ მსახიობებს არ ვიცნობდე, თავიდან ისინიც ისე ჩამივლიდნენ, თავსაც არ დამიქნევდნენ. უპატივცემლობის გამო არა — ბრმისათვის რა მნიშვნელობა აქვს, თავს დაუქნევენ თუ არა? დიდი-დიდი, რომელიმეს გვერდით ჩავლისას ეთქვა, თქვენი მეუღლე ახლავე გამოვაო. რა აქვს მსახიობს ისეთ კაცთან სალაპარაკო, ვისაც იგი არასოდეს უნახავს სცენაზე? შემდეგ შემეჩვივნენ და თავს მიკრავენ, მაგრამ სამწუხაროდ, როლიდან გამოსვლის შიშით, მე ვერ ვპასუხობ სალამზე. ვდგავარ საფრთხობელასავით, სალამზე პასუხს არ ვიძლევი, მაგრამ იმას კი კარგად ვამჩნევ, როგორ იზრდება მათი მოწიწება, მოწიწება უფრო ჩემი სმენის წინაშე. ერთხელ ერთი მსახიობი გამომელაპარაკა და მკითხა, მესამე აქტში, შეთქმულნი შვიდი მეტრით რომ აღარ არიან დაცილებულნი ერთმანეთს, ეს სცენა მართლა უფრო ბუნებრივად ხომ არ ჟღერსო. ეტყობა, ლილას წამოსცდა ჩემი ნათქვამი. იგი თავს მაცნობს:

— მე მაკდუფი გახლავართ.

— დიახ, — ვეუბნები მე, — დღეს ეს ადგილი სხვაგვარად ჟღერდა.

— ხომ ხედავთ? — ამბობს მაკდუფი.

— თქვენ როგორ გგონიათ, — მეკითხება მეორე და ვხედავ, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ბრმა განტენბაინს მიმართავს, — როგორ გგონიათ, გაცილებით უკეთესი არ არის, უკეთესი კი არა, უფრო სწორი არ იქნება, რომ მან, — იგი მესამე მსახიობზე მითითებს, — კუდიანებს არ შეხედოს, რადგან კუდიანები მხოლოდ მე მეჩვენება?

მე ხმას არ ვიღებ.

— თუ თქვენ სხვაგვარად ფიქრობთ? — მეკითხება იგი და აგონდება, რომ ვერ ვხედავ. — მე მაკბეტი გახლავართ.

მეც ვაცნობ თავს:

— განტენბაინი.

---

[1] თანამედროვე რელიგიური მიმდინარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ხელს ართმევენ ბრმას.
— მე ბანკო გახლავართ, — მეუბნება მესამე.
— მოხარული ვარ, — ვპასუხობ მე.
ლილა ყოველთვის ყველაზე ბოლოს გამოდის.

წარმომიდგენია:

ხანდახან განტენბაინობანა მბეზრდება და ბუნების წიაღს მივაშურებ ხოლმე. ნაშუადღევს გრიუნევალდში ვარ, ვაგროვებ ფიჭვის გირჩებს და რამსიშორეზედაც ძალა შემწევს, კრუმე ლანკეში ვისვრი. პაჩი, ჩვენი ძაღლი, მოყავისფრო, ბუშტუკებიან, მდორე წყალში ხტება. მე ვხედავ წყალში მოტივტივე გირჩებს, ძაღლი კი მეტისმეტი თავგამოდებისაგან მათ ვერ ხედავს და წყალში ფართხალებს. მე მეორე გირჩს ვისვრი და გაწვდილი ხელით ვუჩვენებ, რომ ძაღლი ამაოდ არ დაშვრეს, ისიც პირს ავლებს გირჩს და უკან ბრუნდება. წყლის ზედაპირზე ორი ყური, გირჩიანი დრუნჩი და ერთი წყვილი თვალი მოჩანს... მიყვარს ეს პატარა ტბები, მოგონებები, ხოლო ბერლინის საქმე მართლა როგორ მიდის, განტენბაინს ამის დანახვა სულაც არ სჭირდება... გამიგონია, ცხოვრება დუღს და გადმოდუღსო... წყლის ზედაპირზე წყვილი თვალი მოჩანს, ოთხი ფეხი კი უჩინრად ფათქუნებს წყალში, ეს არის პაჩი, ბრმის სამეგზუროდ ჯერ კიდევ გაუწვრთნელი ძაღლი. პაჩი ჯერ საამისოდ უნდა გავწვრთნა, ხოლო ძაღლის წვრთნა, ბუნებრივია, მაშინ შემიძლია, როცა ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ არის, აი თუნდაც, დილით გრიუნევალდში, როცა ლილა რეპეტიციაზეა ხოლმე თეატრში. სამუშაო იქაც ბევრია და აქაც. ის სცენა, პაჩმა თავისი ბრმა პატრონის შავი ჯოხი რომ უნდა იპოვოს, ჯერ კიდევ არ გამოგვდის. ნეტავ მაცოდინა, ეს ძაღლი სულელია თუ მეტისმეტად ჭკვიანი? ახლა იგი ნაპირზე გამოდის და პირით ფიჭვის გირჩი უჭირავს. შემდეგ ბუჩქებში დასუნსულებს, კუდს აქიცინებს, ქსუტუნებს, სილაში დაგდებული გირჩის წინ ჩერდება, ტანს იბერტყავს და ბეწვიდან ღვარად ჩამოსდის წყალი. ყოჩაღ, პაჩ, ყოჩაღ! ჯერ იქამდე არ მივსულვარ, რომ ჩემს ძაღლს ამაზე უფრო გრძლად გავუბა საუბარი. გზას დავადექი. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ არის! მივდივარ და თან ჩემი შავი ხელჯოხით ვითომ ბეისბოლს ვთამაშობ. აი აბე: ფიჭვის გირჩი მარცხენა ხელში მიჭირავს, ბრმის ჯოხი მარჯვენაში, გირჩს ჰაერში ავაგდებ და ჯოხს მივაყოლებ ხოლმე...

ათი დარტყმიდან შვიდს მაინც ვახვედრებ და გატყორცნილი გირჩის საპოვნელად პაჩი ბრანდენბურგულ სილაში დაკუნტრუშობს. გულიდან ლოდი მცილდება. დროდადრო მჭირდება ასეთი თამაში. კათოლიკეებს საიდუმლოსაგან თავის დასახსნელად აღსარება მოუგონიათ — დიდებული წესია. ცოდვილი მუხლს მოიყრის და ისე დაარღვევს დუმილს, რომ ადამიანებს არ გაენდობა, შემდეგ წამოდგება, ხალხში გაერევა, კვლავ თავის როლში შევა და აღარ მოუვლის უგუნური სურვილი, ვინმეს გადაუშალოს გული. მე კი მხოლოდ ეს ძაღლი გამაჩნია და სულიერ მამასავით მინახავს საიდუმლოს. პირველი სახლები გამოჩნდება თუ არა, პაჩს ზურგზე ვუსვამ ხელს და ვეფერები. ყოჩაღ, პაჩ, ყოჩაღ! ჩვენ ისევ თოკით ვებმებით ერთმანეთს. გირჩობანას თამაში დამთავრებულია! პაჩს ყველაფერი ესმის. პირველსავე სანაგვე ურნაში ვაგდებ გასართობად წამოღებულ ბროშურას (წიგნებს ვკითხულობ, რათა ადამიანები თა-

ვიანთი ნააზრევით ვიცნო) და კვლავ ისე მივაბიჯებთ, როგორც ბრმასა და მის ძაღლს შეჰფერის. „ბიძია თომას ქოხთან“ მეტროში ჩავდივართ.

ყავას კურფიურსტენდამზე ვსვამთ:

ჟურნალისტები, მსახიობები, კინოოპერატორები, ერთი დოქტორი, ყველა ჯურისა და ჭკუის თაყვანისმცემლები... ხანდახან მოთმინება აღარ მყოფნის და გული მომდის — ეს ვაჟბატონები მხოლოდ იმიტომ მთვლიან ბრმად, ლილას ქმარი რომ ვარ. ადვილი მოსათმენი არ არის, ყველას რომ ვალდებულად მიაჩნია თავი ინფორმაცია მოგაწოდოს:

— ლილა დიდებული ქალია!

მე ძაღლს ვეფერები.

— თქვენ არ იცით, რა დიდებული ცოლი გყავთ, — მეუბნება მეორე.

პაუზა.

რა უნდა თქვას ამ დროს ლილამ?

ან მე რა უნდა ვთქვა?

ლილა ჰალსტუხს მისწორებს.

მე ვხედავ:

ლილას ყველა ეარშიყება, ვისაც კი თვალები აქვს და ამ დროს თვალები თავიანთ რქის სათვალეებზე უფრო შუშისებრი უხდებათ. ლილას თავის დაცვა არ შეუძლია და ისინიც ან ხელზე ჰკიდებენ ხელს, ან მკლავზე, მე კი ვიცი, რომ ლილას ეს არ სიამოვნებს, მაგრამ იმ ვაჟბატონებს როგორ გავაგებინო? ახლა გაზეთის კითხვა რომ დავიწყო, ყურადღებასაც არავინ მომაქცევს, ისე თამამად გრძნობენ თავს ჩემს გვერდით. რატომ იციან შეყვარებულმა მამაკაცებმა ასე გამოშტერება? მე ფეხზე ვდგები. რა მოხდაო, ისე მეკითხება ყველასაგან თაყვანცემული ლილა, რომ თაყვანისმცემლებიც ატრიალებენ ჩემსკენ კისერს. არაფერი! ლილას პალტო ჩამოუცურდა სავარძლიდან და ამას ვერავინ ხედავს. მე ვამბობ:

— მომიტევეთ, ბატონო დოქტორო, მაგრამ ამდენი ხანია მანდილოსნის პალტოზე გიდგათ ფეხი!

— ოჰ! — ამბობს იგი, ფეხს კი იღებს, მაგრამ აქედან არავითარი დასკვნა არ გამოაქვს. იგი ლილას უხდის ბოდიშს, ქმარი რომ ბრძაა, ამ რწმენას ვერაფერი შეურყევს.

ხანდახან არ მეადვილება ჩემი როლი.

მაშინ ჩემს თავს ვეუბნები, უპირატესობანი, შენი როლის უპირატესობანი არ დაგავიწყდეს, არ დაგავიწყდეს, არც დიდი და არც მცირე უპირატესობანი-მეთქი. ბრმის გაცურება შეუძლებელია... ზოგი მწერლის როლს თამაშობს. მისი სახელი წიგნით ვაჭრობის ყოველთვიურ ცნობარში შეუჩერებლივ მიილტვის ზევით, უფრო სწორად, თავში უდგას წიგნების სიას, რადგან სხვა სათაურები, ჩვენს შორის დარჩეს და, სათვალავში ჩასაგდები არც არის. მისი სახელი სწორედ იქ ნანობს, სადაც ჯერ კიდევ არ შეიძლება ბესტსელერზე ლაპარაკი, ზუსტად ლიტერატურული მოვლენის უკიდურეს საზღვარზეა მისული, ოღონდ მას არ ეცოდინება, რომ ის ცნობარი შეიძლება წაკითხული მქონდეს და სუფრაზე განტენბაინს ეს ერთადერთი კაცი ელაპარაკება. მეც ასევე ერთადერთი ადამიანი გახლავართ, ვინც ვალდებული არ არის, იცნობდეს მის შემოქმედებას. მე ყველას, ვისაც კი სჭირდება, გამოჩენილი ადამიანივით ვექცევი.

— ხომ ხედავთ, — ამბობს გამოჩენილი კაცი...

პაჩს მეტისმეტად ადამიანური ამბები მაინცდამაინც არ ეპრიანება და საბელით მიჭირავს, რომ ხელიდან არ დამისხლტეს, თან ვხედავ, როგორ აცეცებს ეს კაცი თვალებს, ვინმე არ გვისმენდესო, როცა ბრმა განტენბაინს საკუთარ თავზე ელაპარაკება. კარგად ვხედავ: ეს კაცი სერიოზულად მეკიდება, რადგან იცის, რომ განტენბაინი არაფერში შეეკამათება, ჰოდა, რაკი ეს კაცი ამჟამად გამოჩენილი გახლავთ, ერთბაშად სხვებიც სერიოზულად მეკიდებიან. ახლა თურმე განტენბაინმა უნდა თქვას, როგორი აქვს მას წარმოდგენილი გერმანიის მომავალი, დიახ, მხოლოდ და მხოლოდ განტენბაინმა. შიში მიპყრობს. სულ არ მინდოდა სერიოზულად მომკიდებოდნენ, მაგრამ ისინი მაინცდამაინც ბრმებს ეკიდებიან ასე სერიოზულად.

— რა აზრისა ხართ ამ ვითარებაზე?

თავს ისე ვიკატუნებ, ვითომ დასავლეთი არასოდეს მენახოს, ხოლო აღმოსავლეთის ამბავი თავისთავად იყოს გარკვეული... შემდეგ, მანქანაში, როცა ლილა კვლავ გასაღებს დაეძებს, ხელჩანთას ვაწვდი. დავინახე, ლილას ხელჩანთა სავარძელზე რომ დარჩა. ახლა შეგვიძლია დავიძრათ და თავგზადაკარგულ დოქტორთან შამპანური დავლიოთ, ასე ვთქვათ, მოწმეების გარეშე: ლილამ და დოქტორმა და მე. თავგზადაკარგული დოქტორი უკან ზის და ისე ატარტალებს ენას, თითქოს მე მხოლოდ ბრმა კი არა, მუნჯიც ვიყო. მე ლილას გვერდით ვზივარ და ვხედავ მის მხარზე დადებულ ხელს. ის ხელი ლილასადმი თანაგრძნობითაა განმსჭვალული და პრესაში გამოქვეყნებული ერთი ბრიყვული კრიტიკული წერილის გამო ნუგეშს სცემს ლილას. გულქვაობა იქნებოდა, სულ არ ამომეღო ხმა, რადგან კრიტიკა მართლაც მეტისმეტად უსამართლო და აგდებული გახლდათ. მე ჩემს ბრმა ხელს სხვა ხელზე ვადებ (ის ხელი გედეჰტნისკირჰედან მოყოლებული ლილას სუსტ მხარზეა დანდობილი) და ვამბობ: გულთან ახლოს ნუ მიიტან ამ ამბავს, ლილა! მანქანაში დუმილი ისადგურებს.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

აი, რა ვისწავლე თეატრში:

მსახიობს, რომელიც კოჭლს განასახიერებს, ყოველ ნაბიჯზე კოჭლობა არ სჭირდება. საკმარისია მხოლოდ საჭირო მომენტში იკოჭლოს. რაც უფრო მეტ სიძუნწეს გამოიჩენს, მით უფრო დამაჯერებელი იქნება მისი კოჭლობა. მთავარია იმ საჭირო მომენტს მიაგნოს. როცა იგრძნობს, მიყურებენო და მხოლოდ მაშინ ჩაჰკრავს ფეხს, ამას სიმულანტობად ჩაუთვლის ყველა, თუ გამუდმებით ითრევს ფეხს, მაშინ გვავიწყდება, რომ ის კოჭლია. თუ ხანდახან თავს მოგვაჩვენებს, სულაც არ ვკოჭლობო და მაშინვე წაიკოჭლებს, როგორც კი თვალს მოვაცილებთ, მაშინ გვჯერა მისი. მივიღოთ ეს სახელმძღვანელოდ! ხის ფეხი ნამდვილად გამუდმებით კოჭლობს, ოღონდ ჩვენ ასე გამუდმებით ვერ ვამჩნევთ ამას. ამიტომაც მართებს თავის მოჩვენების ხელოვნებას მხოლოდ შესაფერი მომენტების დაჭერა. დიახ, მთავარია მხოლოდ მოულოდნელი მომენტების დაჭერა. უეცრად რომ გაგვახსენდება, ეს კაცი კოჭლიაო, სირცხვილი დაგვწვავს, მისი მძიმე ხვედრი რომ დავივიწყეთ, და სწორედ ამ სირცხვილის გამო გვჯერა მისი... ასე რომ, სიმულანტს გამუდმებით კოჭლობა სულაც არ სჭირდება. ხანდახან თამამად შეუძლია შეისვენოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ვარაუდით, განტენბაინის ძველი გატაცება ჭადრაკია. მერე რა, ჭადრაკსაც მოევლება.

გააკეთე სვლა? ვეკითხები პარტნიორს.

ერთი წუთით, ერთი წუთით! მპასუხობს იგი.

მე ვიყურები და ვიცდი...

ჰო, გამოვედი, ამბობს ჩემი პარტნიორი.

მერე?

b1:a3, მიპატაკებს იგი.

მაშ მხედრით გამოდიხართ, არა? ვამბობ მე.

ვინც ჯერ მიჩვეული არ არის, რომ დაფა ზეპირად ვიცი, სახტად რჩება. მე ჩიბუხს ვტენი და თან ვამბობ, მაშ მხედრით გამოდიხართ, არა?

ყველაზე უფრო ის აოცებთ, რომ ფიგურებს ხელით არ ვეხები და მაინც მახსოვს, როგორ არიან განლაგებულნი. მერე ჩიბუხს ვუკიდებ და ვამბობ:

f8:a3.

ჩემს პარტნიორს იმედი ჰქონდა, რომ კუ აღარ მახსოვდა და თავი შეირცხვინა — მხედარიც დაჰკარგა და სინდისიც. მე ვხედავ, როგორ ცუღლუტობს იგი.

აბა? გვეკითხება ლილა, ვინ იგებს?

განტენბაინი! ვითომ მხიარულად ამბობს ჩემი პარტნიორი, მაგრამ ნერვიულობას ვერ ფარავს, ვხედავ მის თითებს, ჩუმად რომ ითვლიან ფიგურებს. ვერაფერი გაუგია. წინათ ჩემი პარტნიორი ყოველთვის მიგებდა, ჩემს ცოდნას კი ჭადრაკის დარგში არაფერი მომატებია. მას მხოლოდ უკვირს, ფიქრით თავს არ იწუხებს, მხოლოდ უკვირს.

გააკეთე სვლა? ვეკითხები მე.

ჩემი პარტნიორი მგონი ველარაფერს ხედავს.

კარგი, ამბობს იგი, b2:a3!

ჩემს პარტნიორს მართლა ბრმა ვგონივარ.

e5:a1, ვთავაზობ მე. ჩემი პარტნიორი საკუთარი ხელით აგდებს დაფიდან თავის ეტლს, ჩემს ლაზიერს აყენებს თავისი მეფის ხაზზე, თავს აკანტურებს, ფიქრობს, იქნებ განტენბაინი საქმის კურსში არ იყოსო და თვითონ ამბობს:

ქიში!

ლილას ვეუბნები, ახლა ხელს ნუ შეგვიშლი-მეთქი, მაგრამ გვიანლაა. ჩემი პარტნიორი თავის მეფეს მუცელზე აწვენს, რასაც მე წესით ვერ უნდა ვხედავდე. მე ვიცდი და ჩიბუხს ვაბოლებ.

შამათი! მიცხადებს იგი.

როგორ?

შამათი! მიმეორებს კვლავ.

მე ფენომენი ვხდები.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ლილა თავის წერილებსაც კი აღარ ინახავს, ვილაც უცხო მამაკაცის წერილებს. განტენბაინმა ის წერილები რომ წაიკითხოს, ჩვენი ცოლ-ქმრობა დაირღვევა. განტენბაინი არ კითხულობს იმ წერილებს. დიდი-დიდი ზედ საფერფლე ან ვისკის ჭიქა დადგას, რომ ფურცლები ქარმა არ ააფრიალოს.

ალბათ როლიდან არასდროს არ გამოვალ. რის მაქნისია მხედველობა! შეიძლება განტენბაინი ზოგჯერ ვერ მოერიოს თავის უზარმაზარ სიყვარულს და სახიდან ჩამოიგლიჯოს ბრმის სათვალე, მაგრამ მაშინვე ხელებს აიფარებს თვალებზე, თითქოს თვალები სტკიოდეს.

— რა მოგივიდა?

— არაფერი, — ვამბობ მე, — არაფერი, ძვირფასო...

— თავი ხომ არ გტკივა?

ლილამ რომ იცოდეს, ვხედავ, მაშინ ჩემს სიყვარულში შეეპარებოდა ეჭვი და ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადამექცეოდა, მაშინ მამაკაცი და ქალი ვიქნებოდით და არა წყვილი. მხოლოდ ერთმანეთისაგან სათუთად დაფარული საიდუმლო აქცევს ქალსა და მამაკაცს წყვილად.

ასე ბედნიერი ჯერ არც ერთ ქალთან არ ვყოფილვარ.

ხანდახან ლილა უეცრად აფორიაქდება და აწრიალდება, რადგან აშკარად აგვიანდება სადღაც და სახლიდან გასვლისას იტყვის, პარიკმახერთან უნდა წავიდე, თმები ალქაჯივით მაქვს გაწეწილი. შემდეგ ლილა საპარიკმახეროდან შინ ბრუნდება (მისი პარიკმახერი ცნობილია იმითაც, რომ კლიენტებს დიდხანს ალოდინებს). მე პირველი შეხედვისთანავე ვატყობ, რომ ლილას თმას პარიკმახერის ხელი არ მიჰკარებია. მერე ლილა ვითომ სხვათა შორის მიამბობს ქალაქის ჭორებს, სწორედ ისეთს, როგორსაც საპარიკმახეროში მოისმენს კაცი, ოღონდ ხაზს სულაც არ უსვამს, ეს ამბავი, საშრობელას ქვეშ რომ ვიჯექი, მაშინ მოვისმინეო. ასეთ შემთხვევებში არასოდეს ვეუბნები, ლილალაინ, რატომ ცრუობ-მეთქი. ეს ალერსიანად, ან თუნდაც ხუმრობით რომ მეთქვა, ლილა გამინაწყენდებოდა. იგი განტენბაინს შეეკითხებოდა, როგორ გაივლე გულში, რომ პარიკმახერთან არ ვყოფილვარ, შენ ხომ ჩემს თმას ვერ ხედავო. მე ვხედავ ლილას თმას, ოღონდ არა მგონია, ლილა ალქაჯს ჰგავდეს. ამგვარად, არაფერს ვამბობ, არც ხუმრობით და არც ისე. განა აუცილებელია ვიცოდე, სად იყო ლილა ნაშუადღევის ოთხი საათის შემდეგ? თუ თქმაა, მხოლოდ გვერდით ჩავუვლი, თმაზე ხელს არ ვახლებ და ისე ვეტყვი, რა დიდებულად გამოიყურები-მეთქი. მაშინ იგი არ მკითხავს, განტენბაინი ამას საიდან ასკვნისო. ვინც არ უნდა უთხრას ეს, ლილას მაინც გაეხარდება. მეც ხომ გულწრფელად ვეუბნები. ლილა სწორედ მაშინ გამოიყურება მართლაც დიდებულად, როცა პარიკმახერთან არ არის ნამყოფი.

ლილაც არასოდეს ყოფილა ასე ბედნიერი.

ჩვენს ბინაში გაჩენილ ყვავილებზე მხოლოდ მაშინ ვლაპარაკობ, როცა ვიცი, უფრო სწორად, როცა ლილასგან ვიცი, ვისი გამოგზავნილია ისინი. მაშინ მიუკიბ-მოუკიბავად შემიძლია ვუთხრა, შენი დირექციისაგან მოძღვნილ ჯადვარებს ახლა კი დროა სანაგვეში გადავუძახოთ-მეთქი და ლილაც მეთანხმება. ოღონდ ხანდახან რომ ყვავილები გამოჩნდება, ისინი მირჩევნია არ ვახსენო. იმ ვარდებს თვითონ ლილაც არ ახსენებს, ოცდაათი გრძელღეროიანი ვარდის სურნელება მთელ ბინას ავსებს, მაგრამ მე ხმას არ ვიღებ. როცა რომელიმე სტუმარი წამოაყრანტალებს, რა დიდებული ვარდებიაო, მე ყურს ვარიდებ. ლილას არც ახლა სჭირდება თქვას, ვინ მოუძღვნა ეს ყვავილები. როცა მესმის, ვარდები ამან და ამან გამომიგზავნაო, ვერ გამიგია, რატომ აქამდე არ დასძრა ლილამ ამაზე კრინტი, მე ხომ სამი დღეა უკვე, რაც ამ ყვავილებს ვხე-

დავ. ვარდები მისი ხელოვნების უწყინარ თაყვანისმცემელს მოუძღვნია. ლილას ამ დროს სახელები არ შემოაკლდება. მის ხელოვნებას ბევრი ეთაყვანება. მათ განტენბაინიც ეცოდებათ, ლილას ხელოვნებას რომ ვერ ხედავს, და ლილაც. ისინი ამ ქალს მხოლოდ მისი ხელოვნების გამო არ ეთაყვანებიან, მის ადამიანობასაც უხრიან ქედს — ლილას უყვარს ქმარი, რომელიც მის ხელოვნებას ვერ ხედავს. ამიტომ უძღვნიან ვარდებს თუ სხვა საჩუქარს. მე ახლა-დროს არ ვეკითხები ლილას, ეს კოპწია სამაჯური ვინ გისახსოვრა-მეთქი. რას დავინახავ და რას არა, ეს ტაქტის საქმეა. საერთოდ, ცოლ-ქმრობაც ალბათ მხოლოდ ტაქტის საკითხი გახლავთ.

ხანდახან ლილა, როგორც ყოველი გონებაგახსნილი ქალი, სულიერ წონასწორობას ჰკარგავს. ჯერ გუნება შეეცვლება. მამაკაცი, რომელიც თავს ბრმად არ ასაღებს, ცოტა ხნის შემდეგ შეეკითხებოდა ცოლს, რა მოგივიდაო. ჯერ ალერსიანდ შეეკითხებოდა, შემდეგ მკვახედ, რადგან ქალი სდუმს, თანაც უფრო და უფრო ხმამაღლა სდუმს, რომ გუნება არ გამოუკეთდეს. შემდეგ მამაკაცი დამნაშავედ გრძნობს თავს, თუმცა არც იცის, მართლა დააშავა თუ არა რამე.

— მე გაწყენინე?

— თქვი, ბოლოს და ბოლოს!

— რა მოგივიდა?

და ასე შემდეგ.

ალერსიანად შეეკითხები თუ მკვახედ, კვლავ დაუყვავებ თუ უყვირებ მოთმინებიდან გამოსული, სულ ერთია, ქალი მტანჯველი სიჩუმის შემდეგ ხმადაბლა და უკვე სატირლად ათრთოლებული ხმით გეტყვის, არაფერიაო, და შენი შეკითხვები დაძაბულობას მაინც ვერ განმუხტავენ, მათი წყალობით მხოლოდ უძილო ღამე შეიძლება გერგოს წილად. რაკი ლილა მეტყვის, თავი დამანებეო, უსიტყვოდ ავიღებ ბალიშს, სასტუმრო ოთახში გავალ და ლოგინს იატაკზე გავიშლი. მაგრამ სულ ცოტა ხანში ლილას ხმამაღალ ქვითინს გავიგონებ და ნახევარი საათის შემდეგ ლილასთან დავბრუნდები. ახლა გულამომჯდარი მართლა ვეღარ შესძლებს ლაპარაკს, მე კი ლილას დაშოშმინებაში ისე გავშმაგდები, რომ ყვირილზე გადავალ და გარიჟრაჟამდე მე გამოვალ მტყუანი. ხოლო მეორე დღეს ისე ვთხოვ პატიებას, მისი უგუნებობის მიზეზს მაინც ვერ გავიგებ და ლილაც მაპატიებს...

განტენბაინი ასეთი ამბებისგან დაზღვეულია.

ლილას უგუნებობას მე ვერ ვხედავ, სხვისი უგუნებობის ცქერა კაცს ფარხმალს აყრევინებს. მე ბრმად ვლაქლაქებ და ასევე ბრმად ვდუმვარ, ვერ კი ვამჩნევ, რა უეცრად ჩაჩუმდა ლილა — მაშინ შესაძლოა ჩემმა სიბრმავემ აიძულოს გულწრფელად მითხრას, რამ გაუფუჭა ამჯერად გუნება. აი, ამაზე კი შეიძლება ვილაპარაკოთ.

განტენბაინი ბრმის სათვალეს სარეცელზე იხსნის, მაგრამ არც აქ გამოდის როლიდან.

ქალი და მამაკაცი.

ლილას ალბათ ბევრი მამაკაცი უნახავს, ასეთებიც და ისეთებიც. უნახავს ხელმოცარულნიც, რადგან ისინი ისეთ რამეზე დებენ თავს, რასაც ქალი მაინცდამაინც პირველ რიგში არ ელოდება; უნახავს მოძალადეებიც, ვნებით კი არა,

ნებით აღგზნებულნი, და პატივმოყვარეებიც, სწორედ პატივმოყვარეობის გამო რომ ეცარებათ ხელი, უნახავს უგერგილონიც, ბრიყვებსაც შეიძლება გადაჰყროდეს სადმე, ვთქვათ, ვინმე იტალიელ მეთევზეს, მაგრამ მეტწილად მაინც გონებაგახსნილ მამაკაცებთან ექნებოდა საქმე, თუნდაც ნეგროპათებთან, რომლებსაც ლილას თვალების დანახვაზე ელეთ-მელეთი მოსდით ხოლმე. ისინი თვალდახუჭულნი ჰკოცნიან ლილას, რომ აღტაცებისაგან დაბრმავდნენ, მაგრამ ისინი ბრმები არ არიან, მათ ეშინიათ, სმენა დახშული აქვთ, მათ ხომ ბრმის ხელები ვერ ექნებათ, ისინი მზად არიან მტლად დაედონ, მაგრამ თავდავიწყება აკლიათ, სინაზესაც იჩენენ, მაგრამ მათი სინაზე ბრმისას ვერ შეედრება. ბრმის სინაზე ყოველგვარი შიშისაგან გათავისუფლებს, რაც კი შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს, როცა სხვის მზერას გრძნობს ხოლმე. ბრმა გარე სამყაროდან არ მოდის შენთან, იგი თავის ზმანებასთან ერთ არსებადაა ქცეული, იგი სხვა ქალებს არ გადარებს, არც ერთი წამით არ გადარებს სხვებს, მას თავისი კანისა სჯერა...

ქალი და მამაკაცი.

მხოლოდ მეორე დილით, როცა ლილას ჯერ კიდევ სძინავს ან თავს იმძინარებს, განტენბაინს ძილი არ დავუფრთხოო, განტენბაინი ჩუმად იკეთებს სათვალეს, რომ ლილა არ დააეჭვოს. მხოლოდ ერთმანეთისაგან სათუთად დაფარული საიდუმლო აქცევს მათ წყვილად.

წარმომიდგენია:

განტენბაინი სამზარეულოში დგას. ლილა სასოწარკვეთილია. ვერ იტანს, განტენბაინი, მისი ქმარი, მუდამ სამზარეულოში რომაა დაყუდებული. ლილა შეგეცოდება. უბრალოდ ვერ დაუჯერებია, რომ დედამიწის ზურგზე აღარც ერთი სუფთა ფინჯანი აღარ არსებობს, აღარც ერთი. სადმე წავიდეთო, ამბობს ლილა, რომ კეთილ გნომებს დაუტოვოს ასპარეზი. სახლიდან გამოვდივართ... ლილა სიბინძურეს ვერ იტანს, ჭუჭყი პირდაპირ ბოლოს უღებს. ნეტავ დაგანახა, რას დაემსგავსა ჩვენი სამზარეულო, მეუბნება ლილა. ლილა ხანდახან თუ შევა სამზარეულოში და ერთ-ორ ჭიქას ან ერთ-ორ კოვზს გარეცხავს, განტენბაინს კი მაინც მამაკაცურად უჭრის ჭკუა და მიაჩნია, რომ საქმე სერიულად უფრო სწრაფად წავა. იგი ერთ საათს დაჰყოფს სამზარეულოში, ყველა კოვზს, ფინჯანს და ჭიქას ან სტვენა-სტვენით დარეცხვას ან ჩუმად და ერთხანს თავისუფალი იქნება.

კარგად იცის, ყოველთვის შეიძლება ან კოვზი დასჭირდეთ ან ჭიქა, უფრო ჭიქა სჭირდებათ ხოლმე, თუნდაც ერთი იყოს, მაგრამ გაუზინთავი. სამზარეულოში ლილა თუ გავა, განტენბაინი მაინც ვერ ისვენებს, იცის, ლილას დიასახლისობა არ ემარჯვება. უფრო მეტიც: ისიც იცის, რომ ქალს პრაქტიკული რჩევა არ უნდა მისცე, ამით მხოლოდ გულს ატკენ და საქმეს კი არაფერი ეშველება. რა ქნას? საყვარელ ქალთან ცოტა მოქნილობა თუ არ გამოიჩინე, უსიყვარულობა დაგბრალდება. არსებობს ერთადერთი გამოსავალი: ქალის უგერგილობაში მამაკაცმა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული მომხიბლაობა უნდა დაინახოს, თუმცა განსაკუთრებული აქ არა არის რა. მაინც რა ქნას? სანამ ციდან დიასახლისი არ ჩამოუვარდებათ, მანამდე არაფერი ეშველებათ. მერე რა, რომ ლილა სულითა და გულით სწუხს, როცა ხედავს, როგორ ტრიალებს სამზარეულოში წინსაფარაფარებული განტენბაინი, რო-

გორ გააქვს ყოველდღე ნაგვის ვედრო, როგორ ჰყრის ცარიელ ბოთლებს, და დაჭმუჭვნილ გაზეთებს, ბროშურებს, მიყრილ-მოყრილ კანაფებსა და პომადადამჩნეული ნამწვავებით გავსებულ საძაგელ ქერქებს ფორთოხალისას...

მგონი, ვიპოვე გამოსავალი!

ლილას ნამდვილად არ უნდა, განტენბაინი, მისი ბრმა, ჭურჭელს რეცხავდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჭურჭელი არამც თუ თავისით არ ირეცხება, არამედ სამზარეულოშიც კი არ გადის თავისით, ხოლო თუ სამზარეულო სპეციალურ მაღაზიაში გამოტანილივით კრიალებს, მაშინ ჰგონია, მალულად მესაყვედურებიანო და სახე ეღრუბლება. ამიტომ განტენბაინმა გადაწყვიტა, მთლიანად აღარასოდეს დაალაგოს სამზარეულო. ვაღიარებ, რომ სამზარეულოს გაკრიალებაში ნამდვილად ურევია მამაკაცური ღვარძლისა და საკუთარი თავისადმი მდაბალი მამაკაცური სიბრალულის ნიშანწყალი, მაგრამ ეს აღარ მოხდება! განტენბაინი ახლა ერთ თეფშსა და კოვზსაც კი აღარ რეცხავს, როცა ლილა სახლშია, მხოლოდ საიდუმლოდ საქმიანობს და მაშინაც იმდენს აკეთებს, რაც თვალში არავის ეცემა: სამზარეულო ისე გამოიყურება, თითქოს მისთვის არავინ იკლავდეს თავს და შეხეთ, მაინც ყოველთვის მოიძებნება კიდევ რამდენიმე ჭიქა და რამდენიმე სუფთა დანა, მოიძებნება სწორედ იმდენი, რამდენიც საჭიროა. ახლა აღარც საფერფლეები კრიალებს საყვედურივით, ოღონდ შიგ ფერფლი აღარ ყრია გროვად, ინდის ხურმის საძაგელი კურკებიც აორთქლებულა, აღარც ღვინის ჭიქების წებოვანი რგოლები ჩანს მარმარილოს ტაბლაზე, უკანასკნელი კვირის ბროშურები და ჟურნალებიც ისე გამქრალა, თითქოს, ბოლოს და ბოლოს, თვითონვე შეეგნოთ თავიანთი სიყვითლედადებული სიძველე. განტენბაინი კი ლილას სარწეველაში ჩაბრძანებული ხვდება და სიგარას აბოლებს, ლილასაც გულზე ეშვება, რომ განტენბაინს სავალდებულოდ აღარ მიაჩნია, მიხედოს სამზარეულოს.

— ხომ ხედავ, — ამბობს ლილა, — თურმე ასეც შეიძლება ცხოვრება. ყოველდღიურობას მხოლოდ სასწაულის წყალობით ვუძლებთ.

მიყვარს სექტემბრის დილა, ნამიანი, მორუხო-მოცისფრო დილა, მზე თითქოს კვამლს ამოფარებიაო, სოფლური სახლები სიფრიფანა ქაღალდისაგან გაკეთებულს ჰგვანან. ტბა ლაპლაპებს, გაღმა ნაპირი ნისლშია გახვეული, შემოდგომაა, შემინულ სათბურებს შორის ვდგავარ, პაჩი თოკით მიჭირავს, ვდგავარ სოფლური ბაღის კვლებს შორის, სათვალე მოხსნილი მაქვს, რომ ყვავილების ფერი კარგად გავარჩიო, ყვითელი სამკლავური კი ჯიბეში ჩავიჩურთე, რომ ამ თავაზიანმა მებაღემ არ იფიქროს, დამჭკნარ ყვავილებს შევატყუებო. მისი დანა ტბასავით ლაპლაპებს. იყოს დეზურები, თუ რაც ჰქვია, ვეთანხმები მე, რამდენ ღეროზეც დავუქნევ თავს, იმდენს ხვდება დანის პირი და წყნარი ჩხაკუნით იჭრება ყვავილები ლილასათვის, ჩხაკ, ჩხაკ, ჩხაკ, მებაღეს მკლავი ევსება ცისფერი დეზურებით, დანას მანამდე გაუდის ჩხაკუნი, სანამ არ ვეუბნები, კმარა-მეთქი. კიდევ მინდოდა რამდენიმე ყვითელი ფერის ყვავილი დამემატებინა, თუმცა არა, ყვითელი კი არა, ცოტა უფრო მკრთალი ფერისა, ცოტას წითელ ქოლგებსაც შევურევდი, ასტრებსაც, ჰო, კიდევ გეორგინებს, დიახ, ბურგუნდული ღვინისფერ გეორგინებს, ბურგუნდული ღვინისფერს უხვად შევურევდი, უხვად...

დღეს ლილა საგასტროლო მოგზაურობიდან ბრუნდება.

ნეტავ იცოდეს, როგორ ტკბება განტენბაინი წუთისოფლის მკრთალი თუ ხასხასა ფერებით, როცა იგი სამოგზაუროდაა წასული და როგორ ატყუებს ყოველი ღერი ყვავილით, რომელსაც ხედავს!

მისი თვითმფრინავი 15. 40 მოდის.

შინ ყვავილებს ლარნაკში ვაწყობ, უკან ვიხევ, კისერს გვერდზე გადავიგდებ და უსათვალოდ ვამოწმებ, ფერები კარგადაა შეხამებული თუ არა. ყვავილებს ახლა სხვანაირად ვაწყობ, მე ხომ დრო მაქვს, მონატრების დღეები მძიმედ მიიზლაზნება, საათები კიდევ უფრო მძიმედ, მიყვარს ყვავილების ჩალაგება-გადმოლაგება და ლოდინი. თუმცა მშვენივრად ვიცი, რომ ლილა დაპირებულზე გვიან შეიძლება ჩამოვიდეს, ადრე კი არა, მაინც ვნერვიულობ. რაღად გვინდა ეს სიფრიფანა, შრიალა ქაღალდის ღრუბლები, რაღად გვინდა ეს ყლორტები, მოვიცილოთ თავიდან! საქმეს რომ ვრჩები, თერთმეტი რეკავს, უკანასკნელად კიდევ უსათვალოდ ვავლებ თვალს ყვავილებს: აღტაცებული ვარ, თავის ქება აუგიაო, ნათქვამია, მაგრამ ჩემს გემოვნებას მაინც აღტაცებაში მოვყავარ. ყვავილები შემომელია, ახლა საქმე აღარაფერი მაქვს და ალბათ სტვენას მოვყვები. ისე ვარ აფორიაქებული, რომ ვერ დავჯდები და გაზეთს გულს ვერ დავუდებ. ამიტომაც არ ვჯდები, ერთი-ორჯერ დავიხარე და ხალიჩაზე დაცვენილი ყვავილების ფურცლები ავკრიფე. ამასაც მოვრჩი. ვიცი, რომ ლილა ჯერ თვითმფრინავშიაც კი არ ზის და მეოთხედ და მეხუთედ ვიხრები, რადგან მოუსვენარ დეზურებს ისევ ჩამოსცვენია ცისფერი ფურცლები, ალბათ ლილა ჯერ კიდევ ლოგინში წევს და მეშინია, თვითმფრინავმა არ გამოასწროს. ფეხზე ვდგავარ, პირში სიგარეტი გამიჩრია, მოკიდება კი დამვიწყებია, რადგან ხან საათს შევყურებ და ხან ყვავილებისაკენ გამირბის თვალი. ხან რომელიმე ტოტი მეჩხირება თვალში, ხან ქოლგა, ხანაც ფერი. ფერების შეხამება ბრმა შემთხვევითობას სულაც არა ჰგავს, ასე კი უნდა იყოს. ჩემი აზრით, აუცილებლად ასე უნდა იყოს. მინდა ლილამ შემდეგ, შინ დაბრუნებისთანავე კი არა, შემდეგ, როცა ეს ოთახი კვლავ აივსება ჩანთებით, ილუსტრირებული ჟურნალებითა და ხელჩანთებით, ისე გაიხაროს, რომ განტენბაინის შექება არ დასჭირდეს, პირიქით, თვითონ უნდა მიამბოს, რა მშვენიერია შემთხვევითობა. დიახ, ზოგჯერ რამდენიმე საათი დამჭირვებია, რომ ყვავილები ასე ლამაზად და ბუნებრივად დამელაგებინა. ისევ ვშლი თაიგულს, ისევ დაფარფატებენ ყვავილების ნამიანი ფურცლები, ლამაზად ეშვებიან ხალიჩაზე ყვითელი და ცისფერი ფანტელები. ბრმის სათვალე, რა თქმა უნდა, სულ ხელთა მაქვს, რომ ლილა მოულოდნელად არ წამომადგეს თავზე. როცა თაიგულის ასაღებად ორივე ხელი მჭირდება, მაშინ ბრმის სათვალე კბილებით მიჭირავს, ყურები იმ ბავშვივით მაქვს დაცქვეტილი, ჩუმად რომ იკოკლოზინებს ყელს და სული ფეხებში ეპარება...

მე მგონი, ლილა ნამდვილად მიყვარს.

მეორე დღეს ვღებულობ მის დეპეშას: ჩამოვალ მხოლოდ პარასკევს 10.45. მე კი ვხვდები, რომ შემოდგომის ნისლის გამო ბუნების წიაღში დავეგმილი გადაღება გადაიდებოდა, მაგრამ ჩემი თაიგული, სამწუხაროდ, უკვე მომჭკნარი გახლავთ. კვლავ ვკრეფ ხალიჩიდან ღამით ჩამოცვენილ ფურცლებს, ყველაზე უფრო გეორგინებს გასჭირვებიათ და მდუმარედ ჩაუჭინდრავთ მძიმე თავები. დარჩენილ ყვავილებს კიდევ ერთხელ ვალაგებ, მაგრამ არაფერი გამომდის... მე ვხედავ: ჩემს თაიგულს ეტყობა, რომ გუშინდელია

და ახლა უსიტყვო საყვედურივით დევს ლარნაკში. ლილას გუნება წაუხდება მის დანახვაზე, თუმცა მე არც არაფერს ვეტყვი და არც არაფერს შევეკითხები. ეს თაიგული ალალბედზე შეკრულს აშკარად აღარ ჰგავს. ამიტომ თაიგულს მანამდე ვაგდებ, სანამ აეროპორტში წავიდოდე. რა თქმა უნდა, სანაგვე ვედროში არ ვაგდებ, სადაც შეიძლება ლილამ მოჰკრას თვალი, თაიგულს სარდაფში ვისვრი, იქ უჩუმრად დაჭკნება, ძველი ილუსტრირებული ჟურნალების ქვეშ მოქცეული. საქმე ისე უნდა მოვაწყო, თითქოს არც გამხსენებოდეს ყვავილები, ესე იგი, სანამ აეროპორტში წავიდოდე, ლარნაკი უნდა გამოვრეცხო კიდეც.

ლილას თვითმფრინავი უკვე მიწაზეა.

განტენბაინს კინალამ დააგვიანდა (უკანასკნელ წუთს კიდევ კიბეებზე გაუხდა ყვითელი და ცისფერი ყვავილების ფურცლები ასაკრეფი) და მე ვხედავ: კვლავ ის მამაკაცი მიათრევს საბაჟოსაკენ ლილას ბარგი-ბარხანას. პაჩი წკმუტუნებს, როცა უცხო მამაკაცი და ლილა, მისი ქალბატონი, მისივე ბრმა პატრონისაგან ხუთი მეტრის მოშორებით ემშვიდობებიან ერთმანეთს. ჩემს სულელ ფინიას ძლივს ვაკავებ.

იმედი მაქვს, არასოდეს ვიეჭვიანებ.

გაგრძელება იქნება

პარეირ სევპაკი

ლექსები

სიმხურვალით თარგმნა მიმი შაჰნაზარეა

სალამი

— სალამი! —
ვამბობ ამ სიტყვას ისე,
ბეჭდიან პასპორტს გიწვდიდე თითქოს,
გაცნობდე ავტობიოგრაფიას
ანდა ანკეტას გივსებდე სრულად...

და ვისურვებდი
დიდის სურვილით:
ეს ერთადერთი სიტყვა
პასპორტად
მთელ ქვეყანაზე ყველას ჰქონოდეს!

და ვისურვებდი
დიდის სურვილით:
ეს ერთი სიტყვა ახალ, ჭეშმარიტ
„სეზამ, გაიღე!"-დ რომ ქცეულიყო.

— სალამი! —
გემებს
ან მატარებლებს
ანდა თვითმფრინავს თავს დაუკრავდი
და შეხვიდოდი შიგ ისე მშვიდად,
გეჩვენებინოს თითქოს ბილეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ს ა ლ ა მ ი! —
უცნობ ქალს მიმართავდი
და ისიც უმალ შეგიყვარებდა,
ანდა მღიმარი გეტყოდა მორცხვად,
სხვა შენზე ადრე მომესალმაო!..

— ს ა ლ ა მ ი! —
ნათელ ცას მიმართავდი
და მაცოცხლებელ ნამს გაპკურებდა.

— ს ა ლ ა მ ი! —
მომცდარ მიწას ეტყოდი
და მოსავლის ზღვად გადიქცეოდა!

— ს ა ლ ა მ ი! —
თავად სიკვდილს ეტყოდი
და ისიც უმალ მიგიხვდებოდა,
რომ შენთან მოსვლა
იჩქარა ძლიერ!..

— ს ა ლ ა მ ი! — ყველგან ისმოდეს როგორც
ნაღდი, ახალი... „სეზამ, გაიღე!"
და მაშინ დათვსაც თუ მიმართავდით

— ს ა ლ ა მ ი! —
ისიც თქვენი ბავშვისთვის
მსწრაფლ სათამაშოდ გადიქცეოდა,
რასაც მომართვაც კი არ სჭირდება
და არც უბრალო რამე აფუჭებს!
ასევე გველი — მოხუცებისთვის გადიქცეოდა
ხელჯოხად, ხოლო
ნიანგი — ყუთად, შიგ ნაირ-ნაირ სათამაშოებს
რომ ინახავენ,
კაჩხა კი, კაჩხა — ველურ ირემად,
ქარიშხალი კი — სცენაზე ცეკვად,
კაცი კი, კაცი — ჭეშმარიტ კაცად!..

შეუძლებელი არც რაა ქვეყნად,
თუკი ქვეყანას სიკეთე მარადავს,
ჩვენს ბაგეზე რომ ქცეულა

ს ა ლ მ ა დ!
მაშ ასე, თითქოს გიწვდიდე პასპორტს,
გაცნობდე ავტობიოგრაფიას
ანდა ანკეტას გივსებდე სრულად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ს ა ლ ა მ ი! —
შენდა
— ს ა ლ ა მ ი! —
თქვენდა,
ჩემო ძვირფასო უცნობ-ნაცნობნო!
მთელ ქვეყანაზე, შეუძლებელი
დე შესაძლებლად იქცეს ყველასთვის,
იქცეს ყველასთვის ხვალ ანდა დღესვე —
სულ ერთადერთი სიტყვით:

— ს ა ლ ა მ ი! —

სხივური სნება

სულაც არ არის ეს სხივური სნება ახალი,
რვა ათას რვაას წლისა გახლავს, ჩემო კეთილო;
სულაც არ არის ეს სხივური სნება ახალი!

ეს სნება სჭირდათ ძველ ინდოელთ,
ძველ ელადელებს.
სწორედ ამ სნებამ დააბრმავა თვით ჰომეროსიც.
და საფლავებში სწორედ ამავ სნებით ჩავიდნენ —
ჩვენი შექსპირი! ნარეკაცი — თქვენი!
და ყველა,
ყოველი, ვისაც დედამიწის სფეროთა ტოლი
ფილტვები ჰქონდა, ანდა გული — ისეთი დიდი,
ამხელა ფილტვთა გულად ქცევა ვისაც შეეძლო...

ნურც გადამდები გეგონებათ! — ეს სნება მხოლოდ
დედის მუცლიდან თუ დაჰყვებათ ადამიანებს!

სხივური სნება ხვედრი გახლავთ მხოლოდ იმათი,
ვინც შვიდი ათას შვიდ ფერს ხედავს ცისარტყელაში,
ვით მელოდიას,
გიჟურ სრბოლას მოლეკულათა,
ვინც აყურადებს შიგან ცულთა, შიგან ურთა,
ვისაც მაშინაც ეყურება მათი ხმა, როცა,
როცა ისინი კერპებივით უბრად... არიან!...

სხივური სნება ხვედრი გახლავთ მხოლოდ იმათი,
ვინც შავ კამეჩშიც პიანინოს ხედავს მოარულს,
რომელიც მათთვის, მხოლოდ მათთვის აღვიძებს ჰანგებს!..

სხივური სნება ხვედრი გახლავთ მხოლოდ იმათი,
ვინც ფორუმს, ზვართნოცს უხეშ ლოდში ხედავს! სალ კლდეში —

აჯანტას, გელართს და ელორას! სუფთა ტილოზე —
მაგდალინას და საიდუმლო სეროობას!
ხოლო,
ხოლო ყოველი ახალგაზრდის სულის სიღრმეში —
მთვლემარე ჰამლეტს, ფხიზელ ოტელოს!...

ამ სხივურ სნეებით იტანჯვიან მხოლოდ ისინი,
მარტოობაში ვისაც მთელი კაცობრიობა
თავის წინ უზის სასაუბროდ!.. —
მხოლოდ ისინი, —
ვინც დედამიწის ბრუნვას გრძნობენ ლანჩებით,
ხოლო
ხელისგულებით — საკუთარი ფესვების გადგმას,
მაშინაც, როცა ჰაერში აქვთ ხელისგულები!..
მხოლოდ ისინი,
ვინც ვერა და ვერ შეიყვარა
ყოველი დროის ყველა მეფე! და მათ ღუპავენ
არა ციხეში, არა მხოლოდ გადასახლებით,
არამედ... კარზე მიყვანით და...
ყალბ სიყვარულით...

სულაც არ არის ეს სხივური სნება ახალი!..

ამოცანა მთელი მსოფლიოს გამოთვლით მანქანებსა და ზუსტ ხელსაწყოებს

ითვლით და ითვლით!..

მაშ ითვალეთ! —
რა ტალღა არის
ან რამდენ წამში რამდენ გრამ სისხლს აბრუნებს გული,
მორცხვი ქალწულის ლაწვებისკენ რომ დაძრას, რაიც
იმ თერმობირთვულ ეფეთქებას თუ იწვევს, რასაც
ჩვენ, გულუბრყვილოდ, შეფაკვლას რომ ვუწოდებთ ჯერაც?!
და კოსმოსური რა სხივების დინება ხვდება
ჩვენს თვალებს, დიახ, ატმოსფეროდ ქცეულ ჩვენს თვალებს,
როცა ისინი სხვათა თვალებს ეფეთებიან?
და ეს ორმხრივი დასხივება ჩვენი გულისთვის
სახიფათოა თუ, პირიქით,
სასარგებლოა?

ითვლით და ითვლით!..

მაშ ითვალეთ! ხელისგულებით
რამდენ კილოვატ ენერგიას მივცემდით ბავშვთა

აბრეშუმივით თმას და თმაზე უფრო რბილ ხელებს,
საგრფოთ მოქნილ ტანს, ბებიების მხრებს სუსტს და მოლოლილს
და ენერგია, რაც იმათგან ჩვენც მიგვიღია,
რამდენით მეტი
ან რამდენით ნაკლები არის?

არადა, ითვლით, ითვლით და ითვლით...

გამოითვალეთ, გთხოვთ, აგრეთვე გამოითვალოთ,
მის სიცოცხლეში თუნდაც ერთმა, ერთმა ჩვენგანმა
ვნების წყურვილით თუ რამდენ ქალს ჩასჭიდა თვალი,
შეცბუნებულმა რამდენს წმინდა შეავლო მზერა
და კიდევ რამდენს — შეხვდა მხოლოდ ძმური სინაზით...
ბრძანეთ აგრეთვე სამყოფელი იმ ქალთა, რომელთ
ღრმა სიყვარულით შეყვარება შეეძლოთ ჩვენი,
მაგრამ ვაი რომ. ისე მოხდა, ველარსად შევხვდით.
დაგვისახელეთ იმ ბავშვების რიცხვი, რომლებიც
ჩვენ, სიცოცხლეში... კიდეც უნდა გვყოლოდა, მაგრამ
არც გვეყოლა და, სამწუხაროდ, არც გვეყოლება!
და კიდევ — რიცხვი იმ ბავშვების, რომლებიც თითქოს
ჩვენი რომ უნდა ყოფილიყვნენ
და არ არიან!...

არადა, ითვლით, ითვლით და ითვლით...

ის კი არადა,
წესიერად ისიც არ ვიცით,
თუ რა აცინებს ადამიანს?! რატომ იცინის
მხოლოდ ის
და სხვა სულიერი — ქვეყნად არც ერთი!
მაშ მოგვახსენეთ ტალღათ რიცხვიც ჩვენი სიცილის,
გვიჩვენეთ მისი ათასგვარი ნაირფეროება,
გაგვაგებინეთ კიდევ ისიც, და კიდევ ისიც,
თუ რა ასხვავებს ჩაცინება ჩაქირქილებას...

მაშ ელექტრული უმძლავრესი მაგ თავის ქალით,
ციკლოპურ თვალით და სხივური მძლავრი საცეცით
თქვენ მწუხარების ანალიზსაც მოახერხებდით
და მისგან ალბათ იმ უხილავ კვამლს მიიღებდით,
რომელსაც სწორედ მწუხარება გამოჰყოფს მუდამ
და სად და როგორ ჰქრება ხოლმე, კაცმა არ იცის!..

არადა, ითვლით, ითვლით და ითვლით...

დაასახელეთ აბა ახლა ის წელიწადიც
(დაახლოებით მაინც, ზუსტად თუ ვერ შეიძლებთ!).

როცა ჩაგრული აღსდგებიან ქვეყნად ხალხები
და მიეზღვებათ ოდეს მჩაგვრელთ სამაგიერო,
თორემ მრავალნი,
უთვალავი საუკუნეა,
(თუმც უმოწყალოდ ღვთისგან სასო გადაეწურათ)
ისევ ელიან,
ჯერჯეროობით ისევ ელიან...
თქვენ ხომ ახალი ღმერთები ხართ ახალი დროის,
თქვენი იმედი მაინც ჰქონდეთ! —
თქვენ ნუ შეცდებით!..

გამოითვალეთ
და გვითხარით იმ ხიდთა რიცხვი,
ერთმანეთთან რომ აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნებს
და გადავლილი რომ გვქონოდა,
ჩვენც გვსურდა, მაგრამ
არც გადგვივლია ჯერჯეროობით და ვერც გადვივლით...

განსაზღვრეთ რიცხვი
ზმანებათა, იმ ოცნებათა,
ამ სიტყვებით რომ მოინათლნენ ქვეყნად იმიტომ,
მხოლოდ იმიტომ,
ახდენა რომ არ უწერიათ...

და უეჭველი მოგვახსენეთ იმ ეჭვთა რიცხვი,
რითაც ჩვენ ხშირად სიმწიფეში შევსულვართ, ხოლო
უფრო ხშირად კი ნაადრევად დავმჭკნარვართ, ვაგლახ!..

გატეხილ გულთა გვამცნეთ ბზარი!..
და იმედია,
რომ იგი მაინც ელვის ბზარს არ დაემგვანება!..

და გვაზიარეთ გაცრუებულ იმედთა ხაზსაც,
ჩვენს ცხოვრებას რომ პარალელად ასდევნებია;
და სამწუხაროც,
სამწუხაროც სწორედ ის არის,
პარალელები ერთმანეთს რომ, მგონი, არ ჰკვეთენ!..

იმ საათების ბრძანეთ რიცხვი აურაცხელი,
ჩვენმა ძნელმა თუ იოლმა დრომ რომ შეიწირა
რალაც რიგებში,
სადღაც გზებში,
და ჭრელაჭრელა,
მრავალენოვან გაზეთების კითხვა-ფურცვლაში!
ცისმარე დილით
შავ-წითელი სათაურები

ზარბაზნებივით თვალებში რომ მოგჩერებიან!..
წყალქვეშა ნავით სულში სურვილთ ჩაძირვა რომ სურთ!..
და ჩვენს ძაღლვებად დაჭიმული წითელ სისხლისგან
წყალბადის ბომბით
თეთრი წყალის მიღება რომ სურთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყოველივე ამის შემდეგ. ისიც გვიბრძანეთ,
თუ კიდევ რამდენ ტონა ატომს ააფეთქებენ,
რომ ააფეთქონ დედამიწის გულიც ოლად!..
და, რა თქმა უნდა,
ისიც უნდა გამოითვალოთ,
რა იარაღის დაბადების შემდეგ შესძლებენ,
რომ დედამ შვილის დაბადება ველარ შეიძლოს.
ამდენს თუ შესძლებთ, გამოითვლით ალბათ იმასაც,
სასოწარკვეთას რა წონა აქვს; შემდგომ ამისა
მხოლოდ ერთი რამ თუ დაგრჩებათ განსამარტავი:
რა სასწაულმა ან რა ძალამ გადაგვარჩინა,
სასოწარკვეთის სიმძიმისგან მახვილ სოლივით
ჩარჭობილები რომ არა ვართ მიწაში კისრით?!

მაშ მეგობრულად აგვიხსენით ისიც,
ქვეყანას
თუ რამდენ წელში ერთხელ მაინც მოევლინება
ყმაწვილი იგი
ანდერსენის გრძნეულ ზღაპრიდან,
რომლისაგანაც მეფეებმა უნდა შეიტყონ
სიშიშვლე თვისი...
და გთხოვთ ისიც, დასძინოთ ისიც,
სიშიშვლეს თვისას
შეიტყობენ ოდეს მეფენი,
შეიმოსვიან?.. თუ, პირიქით,
მათი შემოსვის
მსურველთ თუ, უფრო ზუსტად, მორცხვებს აიძულებენ,
იცხოვრონ ასე, —
ახვეული თვალებით ქვეყნად...

და იქნებ გვითხრათ,
ბეთჰოვენის სიყრუვე ვითომ
უკავშირდება იმ შემზარავ,
მძლავრ აფეთქებებს,
ახლა რომ ხდება დედამიწის ზემოთ თუ ქვემოთ?!
და თუ კავშირი არის,
მაშინ, გთხოვთ, განგვიმარტოთ,
ამიერიდან აურაცხელ ბეთჰოვენებით

გავიხარებთ თუ, ამ ქვეყანას, უბრალოდ რომ ვთქვათ,
მხოლოდ და მხოლოდ ყრუთა რიცხვი შეემატება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოითვალეთ, ბოლო თხოვნა ჩემი ეს არის,
თუ როგორ, რა გზით,
რა კეთილი მანქანის ძალით
არის შესაძლო კაცის კაცად დარჩენა ჯერაც,
ან კიდევ — მხოლოდ კაცის კაცად ქცევა ხელახლა?!

ჩემი გატაცება

რა? გატაცება?!
განსაცვიფრებლად ჰგავს გულის წასვლას:
სულ მცირე ხანი
გრძლად მეჩვენება...

რწმენის სიმბოლო

მეცა მაქვს ჩემი რწმენის სიმბოლო —
სხარტია იგი
და მახსოვს მუდამ:
— უსახლკაროდ რომც დარჩე, გიჯობდეს —
ხელოვნებაში ზედსიძედ... ყოფნას!

მცდარი სიტყვა შეცდომის შესახებ

„მე არ მივმართავ არავის,
მაგრამ სადღაც რაღაცა შეცდომა არის“
უ. საროიანი

გაგიქებული — გაზაფხული.
ჰაერი — მთვრალი.
ისეთი შუქი განფენილა, ვერ შეიცხადებ,
მხოლოდ ნათლით რომ დაორსულდეს... თვით უშვილოც კი!..
მაგრამ მე ჩემს ტვირთს, აუტანელს, ვეწევი მაღლა,
ჩემი თავის და ჩემი გულის ტვირთს,
რომლის ქვეშაც
რვარიგად ვათრევ შვიდსახიერ ჩემს სხეულს ახლა.

ვათრევ.
არ ვფიქრობ! —
ჩემი ფიქრიც სწორედ ეს არის.

არ ვისმენ!
არ მსურს, საიდანმე ხმა რამ ჩამესმას!
მაგრამ ჩემშიც და ჩემს იროგვლივაც ერთთავად ისმის —
„სადღაც რაღაცა შეცდომა არის“.

...რაღაც შეცდომა დედამიწის ღერძშია სწორედ, —
სწორად არ გადის... რაღაც მრუდედ უჭირავს გეზი!..

რაღაც შეცდომა ნათელსაც კი ახლავს, ნათელსაც —
უნდა ჰქონოდა სიმძიმე და წონა ნამდვილად!

სარწმუნოება მცდარი თუა, ეს უკვე ვიცით,
მაგრამ თვით რწმენაც ხომ არ არის მთლად შეუმცდარი?!

რაღაც შეცდომა ჭეშმარიტსაც კი ახლავს, — რასაც
ჭეშმარიტს ვარქმევთ, შემოწმებას მოითხოვს ისიც!

სისხლიც, სისხლიც კი შემცდარია: მაშ რად იღვრება?
და თუ იღვრება, მერე რატომ, რატომ დედდება?!

ჭიქას თუ ხელი სასომიხდით სწვდება, ღვინოც კი
შემცდარი გახლავთ, —
ყელში რატომ გადადის მაშინ?!

წყალთა შეცდომა
ვარდნა არის მათი — მუდმივი!..
ზემოდან ქვემოთ
ეშვებიან,
ზემოდან — ქვემოთ!

არც ლანჩა არის შეუმცდარი —
გვწყვეტს დედამიწას.

მცდარია მიწაც, —
იყიდება და ყიდულობენ.

მცდარია ცეცხლიც, —
მაშ ეს კვამლი რა ჯანდაბაა?!

შეცდომა გახლავთ დადუმება, —
ფრთებს გვაცლის იგი.
ხოლო გულწრფელი ლაპარაკი... მთლად შეცდომაა.

მაშ რითი, როგორ, რანაირად განესხვავება
შლაგბაუმი და ჰორიზონტი ერთმანეთს, როცა
ერთი თუ — ფეხებს და მეორე მზერას გვიკეტავს?!

შეცდომა გახლავთ მსხვრევაც,
რადგან, ასე მგონია,
მიწისმზომელი თუ სარგებლობს ამგვარ დაყოფით...—
დაქუცმაცება, მსხვრევა მხოლოდ ფორმებს ამრავლებს!

ასე გასინჯეთ, შეცდომაა იმათი ცდაც კი,
ვინც შეცდომების გასწორებას გულწრფელად ცდილობს,
რამეთუ ამ დროს უნებლიეთ თვითონვე სცდება
და ასერიგად შეცდომები ერთვის შეცდომებს!..

თავი და თავი შეცდომა კი, უეჭველია,
კაცის სხეულს სჭირს:
ერთი თავით აბა რას იზამს,
როცა ცხოვრება უშეცდომო ასე ძნელია?!

მაშ რა გამოდის:
სიყვარულიც,
წვაც,
სიძულვილიც
შეცდომა არის?! შეცდომაა?! (გადაირევი!);

დიახ, შეცდომა გახლავთ ასე განსჯის სურვილიც
და ეს ლექსიც ხომ... შეცდომაა, დასტურ, პირველი!

გზისპირა გალახი

ბედი მქონია —
არასოდეს
მე კალენდარში
ჩემი მრისხანე საუკუნე არ ამრევია!
და ვერც ვერასდროს ვერ შევიძელ (ვერ შევიძელი...),
ვქცეულიყავი იმ წარმავლის ხელში რუპორად,
რომელიც იყო წარმატების ტოლფასოვანი!..

ბედმა მარგუნა —
ვყოფილიყავ ყველასთან ერთად;
მაგრამ — არასდროს მათთან,
ყველას, ყველას სახელით
ვინც ყვიროდა და ღრიალებდა და ვისაც მუდამ
მოწმედ მოჰყავდა ყველა ერთად!
თუმცა ეს „ყველა“
მხოლოდ სახელი იყო, თორემ ჩირად არ ღირდა!..

ბედმა მარგუნა —
ხშირად მხოლოდ ტარს ვწოვდი კალმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუმცა ხშირად მხოლოდ ასე ვივსებდი... მუცელს,
კალამი მაინც არასოდეს გამიყიდია...

ბედი მქონია —
ისე როგორც აი იმ... ბალახს,
გზის ნაპირას რომ ამოსულა:
მუდმივ ბეკნაში
მე ღეროს ნაცვლად, იძულებით ღრმად ფესვს ვიდგამდი!..

ცალთვალა

ქვეყანას ცალი თვალით ვუყურებ
(მეორე თვალი შუშის მაქვს), მაგრამ
ცალი თვალითაც ბევრ რამეს ვხედავ,
ხოლო მეორით —
უფრო მეტს,
რადგან
მე საღი თვალით მხოლოდ ვხედავ... და,
ხოლო დავსილით... ვოცნებობ მუდამ...

შეხვადოგა...

როს საღამოს მიდრეკილი მზე ოქროს სავარცხლად ერჭობა ღრუბლებს
და სუსტი ქარი როცა ლეკვივით ჩერდება ყოველ ადამიანთან,
ყოველ გორმახთან, ბუჩქთან თუ ხესთან, შემოურბენს და დაყნოს-დასუნავს,
და ახალგაზრდა... სუსხი როდესაც თავის ჭეშმარიტ ძალას გვიჩვენებს,
უკმაყოფილოდ აგვაბუზღუნებს და გვაკვრევინებს ხალათის ღილებს,
როს ხავერდივით ბინდი ჩამოდის და მიყუჩდება ყეფა დღიური,
ხოლო სინათლე აქა-იქ თითქოს ძველთაძველ ნაყშის ფორმას ღებულობს,

კვლავ მიამიტად ვიქცევი ხოლმე,
მჯერა სიმართლის და მეჩვენება,
და მეჩვენება, რომ ბუნებრივი (ჩემი...) სიკვდილით უნდა გავთავდე...

მიმფუხრის ქამი

დღემ გაიხადა მორთულობა
ზანგი ქალივით,
მიიღო თვისი ჭეშმარიტი ფერი, — გაშავდა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალლა ვარსკვლავნი
ლეკვებივით
ჩაცუცქდნენ ისევ.
აცივდა.
მერე აინთება სინათლეები.

ცოდვაა ამ დროს
სხვა რაიმე საქმით გართობა,
მოფერება და სიყვარულიც კი ცოდვა გახლავთ.

დაე მოძალდეს მდუმარება ზამბარის მსგავსი
და იწყოს სუნთქვა ისე მძლავრად,
რომ თავისთავად... სამზარეულოს ჭურჭელმაც კი იწყოს ზრიალი,
რომ ჩვენთა ყურთა მღვიმეებში ღამურებივით
ძილად მიიქცნენ ხმები, ხმები და ჩვენს სულებში
გამოიღვიძონ ღმერთებმა, რომ თავად ღმერთებმა
ბნელს და სიცივეს, სუსხს და მრუმეს ჩვენც შეგვარიგონ...

რა კარგი არის,
სიყვარულის გარეუბნებში
რომ არ იცხოვრე, მხოლოდ ცენტრი რომ იცი მისი.

რა კარგი არის,
შენი თმების ახლებურ ტალღას
ძველი სიკეთის სუნი... რომ სძევს —
ფერი სპეტაკი!..

რა კარგი არის, რომ მიზიხარ გვერდით უჩუმრად —
სინდიოფალას მსგავსად...
და შენს სოველ თვალებში
პატარ-პატარა ხოხბები რომ სხდებიან ახლა...
თუმცა... ეჰ... ალბათ... სინათლეებს ანთებენ უკვე...

სიხარბის ფასი

საჭიროა კი, მუდამ გვერდით რომ მყავდე?! —
რატომ?!
...და მე ვეწევი,
ეს სიხარბე, სისხლისგამშრობი,
მწარე კვამლივით რომ როგორმე განვდევნო ჩემგან;
და ვცდილობ, რაც მაქვს, კმაყოფილი ვიყო იმითაც,
და რაც მაქვს, განა ცოტა არის?!
უფალო ღმერთო,
ხომ ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად ცოტა არ არის?

მაგრამ ცხოვრების მტვრიან ჩარხზე, როგორც ჩანგალზე,
ჰკიდია ხარბი სურვილები
და ჩვენ გვიხმობენ.
მაგრამ ცხოვრების მტვრიან ჩარხზე, ვით ბასრ ჩანგალზე,
ჰკიდია ჩვენი დაფლეთილი სული და სულის
პატარ-პატარა ნაფლეთები კონწიალობენ...
მე არ მსურს, მექცეს ილუზია ნაფლეთ სუდარად
და მერე ქვეყნის მტვრიან ჩარხზე იკონწიალოს!
მე შენ მიყვარხარ,
შენთან ერთად... — შეუძლებელიც —
კმაყოფილებად წოდებული, რომელსაც ჩვენი
ყოფიერება ვერც იტანს და ვერც ეგუება.
მაშ რა ვქნათ?!
როგორ შევიყვაროთ ჩვენ ერთმანეთი
ისე...
...რომ მეტი არაფერი აღარ გვინდოდეს?!

ვით მოლალატე, საკუთარი სურვილი უნდა
მაგრად დავლურსმოთ ოთხი ლურსმნით და შემდგომ ამის
საკუთარ ტკივილს ოთხი ტაფა თაფლი წავუსვათ
და ვყლაპოთ, როგორც სასარგებლო წამლის აბები —
განმკურნებელი, თუმცა მწარე და უამური!
ჩვენი ფიქრები ერთ კვადრატად უნდა გამოვჭრათ,
საკუთარ სისხლით დავაწეროთ —
„მეტია, რაც მაქვს“ —
ხელისგულებზე დავიჭედოთ და ყოველ წამში
ჩავხედოთ ჩუმად, ვით მოსწავლემ უცოდინარმა...

უჰაერო ზარქვეშ

გაგიქებული რომელიღაც
ზამთრის ფრინველი
საღამო ხანის მოახლებას ლოცვას აღუვლენს
და არც კი იცის,
მოახლებულ ყოველ საღამოს
რომ მოაქვს ჩემთვის მათრობელა შენი სურნელი
და ყველა ჩიტის მოძახილში შენი სახელის
მსგავსი მარცვლების აღმოჩენას რომ ვცდილობ მხოლოდ!...

მთელი დღე თოვდა
და ეს თოვა (თითქოს საქვეყნო)
შორით შორს
თოვლის ერთ ბადეში გვხვევდა ორთავეს.
და მდუმარება ახლა უკვე ისე სველია,

ისეა მძიმე, როგორც ჩემი ფეხსაცმელები
ან — შენი პალტო.

ეჰა, მძიმე ეს მდუმარება!
თითქოსდა ახლა მოდგა ვილაც ცნობისმოყვარე,
მოდგა და ჩუმად ვებერთელა ეს მდუმარება
ვით უჰაერო, ჩაყანგული ვეება ზარი
ცხოვრებასა და მთელ ქვეყანას
თავზე დაამხო,
ცდიდესო თითქოს —
ჩვენი გული ასეთ ყოფაში
თუ კიდევ რამდენ ხანს გაუძლებს, როდის გასკდება!..

სიბნელე ახლა ლაკმუსივით იწოვს სინათლეს.
ზამთრის ტყეს თითქოს ტეტანუსი შეჰყრია სნებად.
მისანდობს რასმე,
იმედით რომ ხელი ჩავჭიდო,
ჩემს იქით ვეძებ.
ვერაფერი ვერ მიპოვია.
შენ არ ხარ...
და... მე უნებლიეთ ვბურტყუნებ ახლა,
ყრუდ ვბუზღუნებ და კარგად მესმის, თუ ფრინველები.
ამგვარად რისთვის ქვითქვითებენ; ისინი ახლა
იფხრიწებიან ან სკდებიან შემხუთველ ზარქვეშ,
ჩემი ბუზღუნიც ისეთივე სკდომაა სწორედ,
მთლად უჰაერო იმავ ზარქვეშ დატანებული...

თითქოს დასრულდა ცდა და ახლა
ამ დასასრულის
ყოვლად სარწმუნო სიგნალები მაცნე ქარს მოაქვს;
ტეტანუსიან ამ ტყეს იგი დაჰმართებს ბნედას,
აცახცახებს ფანჯარაზე,
კარქვეშ ან თოვლზე,
თავადაც თითქოს ბნედიანი იყოს მავანი!...

სიბნელეს უკვე კუბში აჰყავს თავისი თავი,
მძიმე სიმრუმეს ურევს თოვლის სისპეტაკეში,
ღებულობს რაღაც გაურკვეველ უფერულობას
და ცხოვრებას თუ ადამიანს,
ასე გასინჯეთ,
ადამიანის სუნთქვასაც კი ამ ფერს გადასდებს;
და ულიმღამო როს ეს ფერი სუნთქვასაც ხვდება,
ადამიანებს ძილი იპყრობთ,
რათა... ცხოვრების
უფერულობა ფერად-ფერად სიზმრებით ღებონ.

მაგრამ მე ძილი სულაც არ მსურს.
მბრუნავ და მბრუნავ
დედამიწაზე, ვით ვეება სალესავ ქვაზე,
ჩემს ღამეს ვლესავ, ვაფხიანებ ჩემეულ ღამეს,
რამეთუ მუდამ ალესილი დამირჩეს გრძნობა
და ჭრას ის გარსი, სიყვარულს რომ ისევ უბრუნებს
ბრუნვად თვისებას, რათა ისიც იყოს ბრუნვადი...

ვიდრე ჯერ კიდევ სიყვარული ჩემი შორს არის

ჩემი ახალი სიყვარული ვიდრე ჯერ კიდევ
შორს არის ჩემგან, სმენით ვუსმენ,
მაგრამ ვერ ვხედავ,
ვითარცა ტყეებს შეფარებულ მგალობელ ფრინველს...

ჩვენს შორის ერთი

ჩვენს შორის ერთი აქ არ არის, უეჭველია...
ჩვენს შორის ერთი —
ან მე, ან შენ;
შენ თუ აქ არ ხარ,
მაშ როგორ ხდება,
რომ შენ მუდამ
ჩემთან ხარ მაინც,
ჩემთან — ოთახში,
ჩემს თითებქვეშ
და ჩემს ბაგეზე.
მე თუ აქ არ ვარ,
როგორ ხდება,
რომ შენთან არ ვარ,
შენთან — ოთახში,
შენს თითებქვეშ
და შენს ბაგეზე;
მართალი, ალბათ,
ის თუ არის,
რომ ორთავენი — არც შენ და არც მე — აქ არა ვართ,
მე იქ ვარ, სადაც
შენა ხარ, ხოლო
შენ იქა ხარ, სადაც რომ მე ვარ.
ასე მიველტვით ერთმანეთს და შენ ჩემკენ მოხვალ,
ხოლო მე — შენკენ

და... ვერა და ვერ შევხვედრივართ
ერთმანეთს... აი, ეს რამდენი წელიწადია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომენატრება თოკი

შეუცნობლობა
როცა გულში ჯაღჯაღებს ისე,
ვითარცა სათლი —
ამომშრალი ჭის სიღრმეებში,
ერთ მაგარ თოკს თუ მოვინატრებ, რათა (ღმერთმანი,
ყულფის შეკვრა და ჩამოხრჩობა არ მიფიქრია!)
ამომიყვანოს, — ავსებული თუ აღუვსები, —
ეს სულერთია, ოღონდ მაღლა ამომიყვანოს.
ნამდვილად რომ გძულს,
ხომ არსებობს ისეთი სიღრმეც?!

ბედნიერების ლაურეატი

მყობადი უფრო მალე მოდის, აწმყო კი, აწმყო,
განშორება რომ ეძნელება, გვშორდება ვიდრე.
ასე მოსულხარ... შენც და,
ახლა
მე, დაბნეული,
შეშფოთებული ვიღიმები და ვიღიმები,
გადავქცეულვარ მთლად ღიმილად —
ვითარცა ბუდა...

და მიკვირს,
გული მომდის კიდეც,
ბედნიერების
რომ არ არსებობს მთელი ქვეყნის არც ერთ კუთხეში
კონკურსი, თორემ ასეთი რამ რომ ყოფილიყო,
ლაურეატის გვირგვინს ნაღდად მე დამადგამდნენ.
და მერე, ალბათ,
ყველა ჩემსკენ თითს მოიშვერდა,
კეთილი შურით დამიწყებდა ყველა ყურებას
და კეთილ შურით მოიჩლექდა ენას:
„შე!.. ხე!.. დეთ!..
ყვე!.. ლა!.. ზე!.. უფ!.. ლო!.. ბედ!.. ნი!.. ე!.. ლი!..
აი ეს არის“.

...ქვეყნად ყველაზე ბედნიერი კაცი ლაპარაკს
როდესაც იწყებს, სტიქიაც კი ყურს უგდებს... ხოლმე,
ტყუილ-უბრალოდ ნუ იფიქრებ, თითქოსდა გარეთ
ჩვეულებრივი იყოს თოვა...
ასე არ არის,
ახლა, უბრალოდ, მე „სიყვარულს“ ვაბრუნებ ფიქრში

და ჟღერს ეს ბრუნვა — ვით ბრძანება —
რათა იბრუნოს
ამ მსხვილფანტელა თოვლმაც ნათლად და დიდებულად,
და ჩემ ფეხთა ქვეშ მშრალი თოვლის ჭრიალი მაბნევს,
მუდამ ერთ რამეს რომ მახსენებს,
რაიც ადვილად
არ მოგდის აზრად და ხანგრძლივი ფიქრის წყალობით
თუ მიიღწევა: უცაბედად გაივლებ აზრად,
რომ სიხარულით გულიც ზუსტად ასე ჭრიალებს...

ტყუილ-უბრალოდ ნუ იფიქრებ, — თითქოსდა ნისლი
დაბლიდან მაღლა მოუყვება ხეობას ისე,
თითქოს ქვემოდან წამოსული იყოს ჩანჩქერი.
ასე არ არის,
ეს მე ვდგავარ ხეობის თავზე
და ვსუნთქავ ისევ და... სინაზის სიტყვებს ვაბრუნებ.

ტყუილ-უბრალოდ ნუ იფიქრებ, რომ გაზაფხულის
სუნი აიღე უკვე და ჰა, კვლავ მოწეულა
ჟამი დნობისა და საცაა ისევ და ისევ
შეუმჩნევლად ხეზე უნდა დასკდნენ კვირტები.
ასე არ არის, —
ეს მე ვნათლავ ისევ სიყვარულს —
კვლავ მოახლებულს — ჩემი თბილი სუნთქვის ემბაზში
და სწორედ ამის გამო არის, რომ ამ წარმართმა
ზამთარმა უკვე აიკიდა გუდა-ნაბადი
და გამღნარ თოვლის ნიაღვრებს რომ მისდევს ძუნძულით.
და სწორედ ამის გამო არის — ხეთა შტოებსაც
ჩვილი ბავშვივით ღრძილები რომ დაუსკდათ უკვე
და კვირტები რომ კბილებივით გამოაჩინეს.

და გაზაფხული უფრო ადრე, ადრე შემოდის,
ვიდრე ზამთარი მიდის, წასვლა რომ ეძნელება...
შენც, სიყვარულო, სწორედ ასე, ასე მოსულხარ,
მოსულხარ ჩემი სურვილით თუ ჩემი ბრძანებით,
რაც სხვა არარა არის, ვიდრე ზმნა „სიყვარულის“
ულლება, ვიდრე ულლებაა ზმნა „სიყვარულის“...

კოცონი ყინულზე

ნება მომეცით,
ვაზიარო ყველა თქვენგანი
მარად თანმდევი სასოების იმ სიტკბოებას,
რომლის ჭაშნიკი არასოდეს არ გაგისინჯავთ!
იგემეთ იგი,
ამოევლეთ თხემით ტერფამდი
შიგ — ღვთისმოსავის ყმაწვილური გულუბრყვილობით,
რადგან — სიმდიდრე ჩვენი — მხოლოდ დარდი არ არის!..
და არც ტანჯვაა — დაფარული ჩვენი მარაგი!..
რადგან — არ ნიშნავს სხვას არაფერს საგონებელი,
თუ არ ძიებას გამოსავლის!
რადგან ცხოვრება — რაც უნდა იყოს — არ იშურებს ჩვენთვის სივრცეებს,
ვითარცა მთების მწვერვალები — იმ თვალსაწიერს,
იმავე მთების ფერხთა ქვეშ რომ ჩერდება თითქოს!
რადგან ჯერ ყველა თქვენთაგანი მიყვარს და მერმე —
ყოველთა შემდგომ —
საკუთარი თავიც... აგრეთვე!

მაშ ასე,
ველი თქვენს თანხმობას,
რომ გაზიაროთ
დიდი ხნის ნაცნობ სასოების იმ სიტკბოებას,
ჩვენს გუშინდელ და
ჩვენს დღევანდელ უძლურებას რომ
მიმართავს — „შესდექ!“ — მოზიდული ყველა სადავით!..
...და ჩვენი ტანის უფესვო ხის ამოუხსნელი
და იდუმალი ცდა გარკვეულ ნაყოფს იძლევა:
სიცილს
და ღიმილს,
ღიმილსა და
კმაყოფილებას
და „ღმერთო ჩემო დიდებულოს“
ძახილის ძალას...

და ღმერთს დიდება,
რომ თვალები, ჩვენი თვალები
ყვავთა და ბუთა საბუდარი არ არის მხოლოდ,
არამედ სკაა, სკაც — სხივსავსე!
ხოლო ყურები —
წყვილი ფუღურო ადამის ძის ფორმის ხის ტანზე, —
გულისტკივილის აკლდამები როდია მხოლოდ,
ღრმა ბუდეც არის,

ათასგვარი, ათასნაირი
საამო ჰანგით ავსებული.

და ღმერთს დიდება,
რომ ჩვენც ისევე, ჩვენც ისევე — ვით ოკეანეს —
ხელგვეწიფების თვითგანწმენდა!

და ღმერთს დიდება,
რომ ხმათა, ხმათა მომძლავრება ღამეს კი არა,
დღეს ადგამს გვირგვინს, დღეს შობს, დიახ!

და ღმერთს დიდება,
თუკი ჩვენს სულში ფოთოლცვენის თვე იქუფრება,
არის აგრეთვე ვარსკვლავთცვენის დღეთა სუფევაც... —
ვარსკვლავთცვენისა...

მირიადი დიდება შენდა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნევილ შიუტი

პასტორალი

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა **ზურაბ გემაზაშვილმა**

ნევილ შიუტი (1899—1960) ცნობილი ინგლისელი მწერალია. მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა საზღვაო ავიაციაში. ლიტერატურული მოღვაწეობა ნ. შიუტმა დაიწყო სათავგადასავლო რომანების სერიით — „მარაზანი" (1926 წ.), „საიდუმლო მფრინავი" (1928 წ.) და სხვა. მრავალფეროვანია ნ. შიუტის შემოქმედება. რომანში „სახმელებელი" (1930 წ.) აღწერილია 30-იანი წლების დიდი ბრიტანეთის ეკონომიური კრიზისი. ომის წინააღმდეგაა მიმართული რომანი „გამოცდა" (1939 წ.), სადაც მწერალმა გაბედულად იწინასწარმეტყველა გერმანელ ფაშისტთა თავდასხმა ინგლისზე. ნ. შიუტის კალამს ეკუთვნის დეტექტიური ნაწარმოებებიც „მიახლოება ნაპირთან" (1940 წ.). ამ მოთხრობის გმირი ინგლისელი მფრინავი ლამანშზე იბრძვის. რომანში — „გამელენელი მეთაგვე" ფაშისტების მიერ ოკუპირებული საფრანგეთის ცხოვრებაა აღწერილი. განსაკუთრებით საინტერესოა რომანი „ჭადრაკის დაფა" (1947 წ.), სადაც აღწერილია ზანგი ჯარისკაცის ტრაგიკული ბედი, მისი დისკრიმინაცია თეთრკანიანთა არმიაში.

ნ. შიუტის მრავალი ნაწარმოები ეკრანიზებულია, — ფართოდაა ცნობილი მისი ფანტასტური რომანი „ნაპირზე" (1957 წ.), რომლის მიხედვითაც გამოჩენილმა რეჟისორმა ს. კრეიმერმა შექმნა შესანიშნავი ფილმი „უკანასკნელ ნაპირზე". ამ ნაწარმოებში ნ. შიუტი მკაცრად ილაშქრებს ატომური ომის წინააღმდეგ, მთელი სიცხადით აჩვენებს მკითხველს ატომური ომის კატასტროფულ შედეგს. ავსტრალიაში შემთხვევით შემორჩენილი რამდენიმე ადამიანი, რომელნიც უკვე დაავადებულნი არიან რადიაციით, გმირულად, ამაყად, ღირსეულად ეწირებიან იმ გამანადგურებელ ომს, რომელსაც ატომური ომი ჰქვია.

ნევილ შიუტი ღრმა ფსიქოლოგიური გააზრებით, დიდი სიფაქიზით ხატავს, ერთი შეხედვით, უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანთა ურთიერთობას. მოთხრობა „პასტორალი" ამის შესანიშნავი მაგალითია.

●

ქერვეზამ ველოსიპედი კედელს მიაყუდა და სადარბაზო შესასვლელთან ზარი დარეკა. მუხის კარი ხნიერმა ქალმა გაღო, რომელიც წინა საუკუნის მოახლესავით გამოწყობილიყო — მაქმანიანი წინსაფარი ეკეთა და არშიანი თავსაფარი ეხურა.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმა ქერვეზა. — მისის კარტერ-ჰეისის ნახვა თუ შეიძლება?

— სამწუხაროდ, მისის კარტერ-ჰეისი შინ არ გახლავთ, მადამ, — თავაზიანად უპასუხა მოახლემ.

ქალიშვილი შეწუხდა.

— თავს არ მოგაბეზრებდით, მაგრამ შორიდან ჩამოვედი, მისის კარტერ-ჰეისი მართლა არ ბრძანდება შინ?

მოახლემ ამჯერად უფრო მკვახედ მოუჭრა:

— ქალბატონი დღეს არავისთვის არ გახლავთ შინ, მადამ!

— ძალიან გთხოვთ, იქნებ ერთი წუთით მაინც მიმიღოს, — შეევედრა ჟერვეზა. — მთელი ათი კილომეტრი გამოვიარე ჰარტლეი მაგნადან, მისის კარტერ-ჰეისი რომ მენახა. თუ დღეს ვერ ვნახე, მაშინ ხელმეორედ უნდა ჩამოვიდე. ეს კი ორ გზობაზე ოცი კილომეტრია.

— დიახ, მადამ, მართლაც შორი მანძილია, — თავაზიანად შენიშნა ხნიერმა მოახლემ.

— ჰო, ძალზე შორია, — ჩაფიქრებით წაილაპარაკა ჟერვეზამ. — იქნებ ხთხოვოთ, რომ მხოლოდ ერთი... სულ ერთი წუთით მიმიღოს.

— მისის კარტერ-ჰეისი შეუძლოდაა, მაგრამ მაინც ვთხოვ, რაკი ასე შორიდან ჩამოსულხართ. მიბოძეთ თქვენი სადარბაზო ბარათი.

— სამწუხაროდ, თან არა მაქვს, — უპასუხა ჟერვეზამ, — ასე გადაეცით, მისს რობერტსონს უნდა-თქო თქვენი ნახვა. მე დიდხანს თავს არ შევაწყენ.

— გიცნობთ?

— არა...

— შემობრძანდით, მადამ.

ჟერვეზა სადარბაზოში შევიდა, ხნიერმა მოახლემ კარი გულდაგულ ჩაკეტა.

— ქარი ისევ ქრის, — თქვა დარბაისელმა მოახლემ და ახლა უკვე დედობრივი სინაზით გაუღიმა ჟერვეზას. — თქვენ აქ მომიცადეთ ცოტა ხანს, მე ახლავე გავიგებ, მიგიღებთ თუ არა მისის კარტერ-ჰეისი.

მან სწრაფი ნაბიჯით გაიარა სადარბაზო.

ჟერვეზამ მიმოიხედა. სადარბაზოში ქაფურის, იატაკის საღებავისა და ძველი ტყავის სუნი იდგა, როგორც ლორდთა ყველა ჟამგადასულ პალატებში, სადაც ყველაფერი ძველ ყაიდაზეა შემორჩენილი. მაგიდაზე ვერცხლის ლანგარი იდო, შიგ სადარბაზო ბარათები ელაგა. მის გვერდით გაპრიალებული შანდალი და ასანთი მოჩანდა. კედელზე დიდი ბირმული გონგი ბრწყინავდა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. კედლებზე რამდენიმე გახუნებული, დრომოჭმული გრავიურა ეკიდა. ძველ, ხის ჩარჩოში ჩასმულ მომცრო შუშის ყუთში გლუვლულიანი ზარბაზნის ჭურვი იდო. ჟერვეზა კარგად იცნობდა ასეთ სახლებს.

ხანშიშესული მოახლე დაბრუნდა.

— წამობრძანდით, მადამ, — უთხრა მან.

ჟერვეზა უსიტყვოდ გაჰყვა. ოთახის ყველაზე შორ კუთხეში ფართე ვენეციური სარკმელი შეამჩნია, საიდანაც ტყის პირი და პატარა ტბა მოჩანდა. ერთხელ იმ ტყეში პიტერთან ერთად ისეირნა. ამ ტყის დანახვამ გამბედაობა შეჰმატა.

ჟერვეზამ თვალით მოძებნა სახლის პატრონი. წელგამართული, მაღალი, ხნიერი მანდილოსანი ბუხართან იჯდა სავარძელში და მისკენ იცქირებოდა.

სადა, თეთრსაყელოიანი შავი კაბა ეცვა. ჭაღარა თმა გულდაგულ ჰქონდა გადავარცხნილი და უკან უბრალოდ დამაგრებული.

კარი წყნარად მიიხურა. ჟერვეზამ გაუბედავად იკითხა:

— მისის კარტერ-ჰეისი თქვენ ბრძანდებით? ჩემი გვარია რობერტსონი. დიდი სიკეთეა თქვენი მხრივ, რომ მიმიღეთ.

მოხუცმა ქალბატონმა ერთობ თავაზიანად უპასუხა:

— შემოდით, ჩემო გოგონა, ნუ დგახართ კარებში. რა გქვიათ?

— ჟერვეზა... ჟერვეზ-ლორა.

იგი ბუხარს მიუახლოვდა.

— ეტყობა, დედათქვენი მაშინ ტენისონს კითხულობდა. ღმერთო ჩემო, რა ტანისამოსი გაცვიათ?! ეგ ფორმაა?

— დიახ, ეს სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ფორმაა. მე ლეიტენანტი ვარ, — თქვა და მაშინვე ენას კბილი დააჭირა, სიტყვამრავლობა არ გამომივიდესო.

— კეთილი. აბა, შემობრუნდით, ერთი გვერდიდანაც შემოგხედოთ, — თქვა მისის კარტერ-ჰეისმა და ტერფით თხემამდე შეათვალიერა ქალიშვილი.

ჟერვეზა ნელ-ნელა შებრუნდა. იგრძნო, რომ კალმახზე თევზაობის ნებართვას ამის წყალობით უფრო მალე ჩაიგდებდა ხელში. ეტყობა, მოხუცმა ლედიმ კარგ თვალზე შეხედა.

— მე მიმაჩნია, რომ საშინელი ჩასაცმელია, მით უმეტეს ქალისთვის, — მტკიცედ წარმოთქვა მოხუცმა მანდილოსანმა. — თუმცა ეგეც კი გიხდებათ, კარგ კაბაში ხომ პირდაპირ მომხიბლავი იქნებით. ალბათ ძალზე ახალგაზრდა ხართ.

— ოცდაერთისა ვარ, მისის კარტერ-ჰეის.

— თვითონ აპრიალებთ მაგ ღილებს?

— არა, მორიგე. თუმცა მეც ვაპრიალებდი, ვინემ ოფიცერი გავხდებოდი.

— მერე თქვენ ხომ ლედი ხართ? განა მოსამსახურე პერსონალთან ერთად ცხოვრობდით?

— არც ისე ურიგოა, ყველამ ასე დაიწყოს, — იწყინა ჟერვეზამ.

— მე კი მგონია, რომ თქვენნაირ ქალიშვილს ეს სრულიად არ შეჰფერის. ვინ იცის, რას არ გასწავლიდნენ. ახლა კი თქვენ მეთაურობთ იმ ხალხს და ცდილობთ ისე არ მოხდეს, რომელიმეს ბავშვი ეყოლოს, არა?

— ეგ მე არ მევალება. მე ხომ რადიოტექნიკის ოფიცერი გახლავართ, იმ გოგონების მეთაური, რომლებიც რადიოსადგურებსა და სატელეფონო ხაზებზე მუშაობენ. საყოფაცხოვრებო საქმეებს სხვები განაგებენ. მაგრამ ხანდისხან ჩვენც უნდა წავახმაროთ ხელი.

— დეილმა გადმომცა, თუმცა ჰარტლეი მაგნადან ჩამოხვედით. ეგ თქვენი თვითმფრინავებია, ღამით თავზე რომ გადაგვიფრენენ ხოლმე?

— შეიძლება ჩერვიკის აეროდრომიდანაც იყოს. ისინი დაფრინავენ რუერის ტრასაზე.

— თქვენც დაფრინავთ?

— არა, მე მიწაზე ვრჩები და რადიოთი ვუკავშირდები მათ.

— რისთვის გნებავდათ ჩემი ხილვა?

— მე მინდა ჩვენს ერთ-ერთ ეკიპაჟზე მოგელაპარაკოთ. ისინი ბომბდამშენებით დაფრინავენ გერმანიაზე. ყველას გაგიჟებით უყვარს თევზაობა. თევ-

ზის ჭერის დრო კი გავიდა და ამიტომაც საშინლად მოიწყინეს, ნერვიულობენ, აღარ იციან, რა ქნან. იქნებ ნება დართოთ უქმე დღეებში თქვენს ტბაში კალმახზე ითევზაონ.

კარი წყნარად გაიღო.

— დეილ, გეთაყვა, ჩვენს სტუმარს ჩაი მოართვი, — უთხრა ხანდაზმულმა ლედიმ.

კარი ისევ უხმოდ მიიხურა. მოხუცი ქალბატონი ჟერვეზას მიუბრუნდა:

— ორი წლის წინ, სანამ ჩემი ვაჟიშვილი ფრონტზე წავიდოდა, კალმახის ლიფსიტები გაუშვა ტბაში, ჩემს ჩამოსვლამდე უკვე წამოიზრდებიან და მათზე თევზაობა კარგი იქნებაო, — რატომღაც მკვახედ თქვა მან. — ამიტომ მე არავის ვრთავდი ნებას ჩვენს ტბაში ეთევზავა.

ჟერვეზას იხტიბარი წაუხდა. ელისონმაც სწორედ ასევე აუხსნა, ამიტომაც აქ აღარ უნდა მოსულიყო. თავის მხრივ ეს მოხუცი ქალი სრულიად მართალი ბრძანდებოდა. ჟერვეზამ იგრძნო, მთელი ღამე ენად რომ გაკრეფილიყო, მაინც ვერაფერს მიაღწევდა, უბრალოდ წყლის ნაყვა იქნებოდა.

— მაპატიეთ, — თქვა მან. — ეგ არ ვიცოდი. ჩვენს ბიჭებს ძალიან უნდოდათ... და მეც ვიფიქრე...

— ჩემო კარგო, — თქვა მოხუცმა ქალბატონმა. — თქვენ ამბობთ, ვილაც ბიჭებიო. მე არც კი ვიცი, ვისზე მელაპარაკებით.

— ეს თვითმფრინავის ეკიპაჟია, — წყნარად უპასუხა ჟერვეზამ. — ბიჭები, რომლებიც ბომბდამშენებს მართავენ. ყოველ თვითმფრინავში ხუთი კაცია.

— ხუთი კაცი?

— დიახ.

— ეგენი ბომბავენ რურს? ძალზე მამაცი ბიჭები ყოფილან, რაკი უკუნეთ ღამეში იმ სიშორეზე დაფრინავენ.

ეს აზრი ჟერვეზას ეოცა, ახლებურად ეჩვენა. ისე იყო ამას მიჩვეული, რომ არც არაფრად აგდებდა.

— დიახ, ისინი ძალზე მამაცები არიან, — წყნარად თქვა მან. — ძალზე გულადები.

— ჰოდა, ისინი ნერვიულობენ? მგონი, ასე თქვით, არა?

— ღამე ფრენა საშინლად მოქმედებს ნერვებზე, — უპასუხა ჟერვეზამ.

კარი ისევ უხმოდ გაიღო და ხნიერი მოახლე შემოვიდა. იგი გორგოლაჭებიან მაგიდას მოაგორებდა. მაგიდაზე ვერცხლის ჩაიდანი, სიფრიფანა ფაიფურის სერვიზი, ნამცხვარი, პური და კარაქი ელაგა. მან ქალბატონს და სტუმარს სულ ახლოს მიუდგა მაგიდა, ისე რომ საუბრისათვის ხელი არ შეუშლია.

— ღამე არ გავა, რომელიმე ეკიპაჟი არ დაიღუპოს, მაგრამ ვინც რჩება, ისევ მიფრინავს. ეს რამდენიმე თვეა ასე გრძელდება. ეკიპაჟის წევრები კარგი მეგობრები არიან, შესანიშნავად იციან ერთმანეთის ხასიათი, იმიტომ რომ ერთი მთლიანი სხეულივით მუშაობენ.

მოხუცმა ლედიმ თავი დაუქნია.

— ჩემი ვაჟიშვილი ყოველთვის ამბობს, პოლოს კარგი გუნდი მეგობრებისაგან უნდა შედგესო, — ჩაილაპარაკა მან. — თქვენ ამისი თქმა გსურთ?

ჟერვეზას თითქოს ცივი წყალი გადაასხეს. მას წარმოდგენა არ ჰქონდა პოლოზე, მაგრამ სხვათა შორის მაინც თქვა:

— სრული სიმართლეა.

— კარგია... მაგრამ თევზაობა აქ რა შუაშია? დაშაქრულ ჩაის მიირთმევთ?

— გმადლობთ. როგორც კი დროს იხელთებდნენ, ყოველთვის სათევზაოდ დადიოდნენ, სანამ თევზის ჭერა შეიძლებოდა: თავს იქცევდნენ, სეზონის დამთავრების შემდეგ კი აღარაფერი შემორჩათ გულის გადასაყოლებლად. ერთმანეთს დაუწყეს კინკლაობა: გადაიღალნენ ბიჭები... საშინლად გაოიზიანებულნი არიან, — ჟერვეზა გაჩუმდა. შემდეგ ისევ განაგრძო, — ამას შეცდომებიც მოყვა... წინა აფრენაზე კინალამ დაიღუპა მანქანა.

მოხუცი ლედი გაოცებული მიაჩერდა.

— მაშასადამე, თქვენ გგონიათ, თუ ჩემს ტბაში ითევზავებენ, ის ძველი მეგობრობა აღდგება?

ჟერვეზა ოდნავ შეცბა. იგი არაფრით არ ელოდა, რომ ასე ჩქარა მიუხვდებოდნენ გულისნადებს.

— სწორედ მაგას ვფიქრობდი.

— ვინ არის ეგ ხალხი? ეკიპაჟს მეთაური ჰყავს?

— ჰყავს, — თავი დაუქნია ქალიშვილმა. — კაპიტანი პიტერ მარშალი. დანარჩენი სერჟანტები არიან, რადიოტექნიკოსის გარდა. იგი კაპრალია.

— მაშასადამე, ყველანი ერთად დადიან სათევზაოდ? ოფიცერი, სერჟანტები და კაპრალი?

— დიახ.

— უცნაური ამბავია, — წაილაპარაკა მოხუცმა ლედიმ.

სანამ იგი აკანკალებული ხელით ჩაის დაასხამდა და ქალიშვილს კარაქიან პურს შესთავაზებდა, სიჩუმე ჩამოვარდა. ჟერვეზამ შეამჩნია, რომ დიასახლისმა თავისთვის ბაცი ჩაი დაისხა, არც შაქარი ჩაიყარა და არც რძე დაუმატა.

— თქვენი შეყვარებული რომელია?

ჟერვეზას კინალამ ფინჯანი გაუვარდა ხელიდან.

— არც ერთი! — ფიცხად შესძახა მან.

— კარგი. მაშ რომელს უყვარხარ?

ქალიშვილი ერთხანს დუმდა. არ უნდოდა ტყუილი ეთქვა ამ მოურიდებელი მოხუცი ლედისათვის. გარდა ამისა, არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ იმ მიზანს მიაღწევდა, რისთვისაც აქ ჩამოვიდა.

— პიტერ მარშალს, — უგუნებო ღიმილით მიუგო მან.

— ოფიცერია? მეთაური?

— დიახ.

— ცოლად გაყვებით?

— არ ვიცი...

ეს ნამდვილი წამება იყო. ჟერვეზა სირცხვილის ოფლში გაიწურა.

— სასწრაფოდ გადაწყვიტეთ ეგ საკითხი. დიდხანს არ ალოდინოთ, ჩვენს დროში თქვენ არა გაქვთ დიდი ფიქრისა და ყოყმანის უფლება.

ამის გასაგებად ნამდვილად ღირდა ოცი კილომეტრის გამოვლა, — გაიფიქრა ჟერვეზამ, მაგრამ უცებ აზრს თავი ველარ მოაბა, სათქმელი ყელში გაეჩხირა და არჩია კარაქიანი პურის დიდი ლუკმა მოეკბიჩა, რათა დუმილით მიეჩქმალა უხერხულობა. ჟერვეზამ იგრძნო, როგორ შეეფაკლა ღაწვები.

მოხუცი ლედი ხელჯოხს მისწვდა, წელი ძლივს აიტანა და რის ვაივაგლახით წამოდგა ფეხზე.

— ჩემი ვაჟიშვილი დიდად აფასებს ავიაციას, — თქვა მან. — მე მის ბოლო წერილს გიჩვენებთ, რომელიც გასულ კვირას მივიღე.

დიასახლისმა ოთახი გაიარა და საწერ მაგიდას მიუახლოვდა. ჯიბიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო, ერთ-ერთი შეარჩია და მაგიდის უჯრა გამოაღო. იმავე ჯიბიდან სათვალე ამოიღო და გაიკეთა. წერილების დასტიდან ერთი ფურცელი ამოაძრო და ჩუმად დაიწყო კითხვა.

— დიახ, ეს არის, — წყნარად თქვა მან. — სულ ავიაციაზე წერს, მფრინავ ხალიჩებზე. სასაცილო შედარებაა — ომი და მფრინავი ხალიჩები.

იგი თავის ადგილას დაბრუნდა და ბუხართან სავარძელში ჩაესვენა. დიდი გულისყურით გადაათვალიერა წერილის სამი გვერდი, შემდეგ ისევ მეორე გვერდს დაუბრუნდა და ჟერვეზას გაუწოდა.

— აი, მგონი, ეს ადგილია, წაიკითხეთ, ჩემო კარგო.

ჟერვეზამ წერილის ფურცელი გამოართვა. ოკრობოკრო ხელნაწერის გარჩევა გაუჭირდა. მისი ავტორი თითქოს მთლად გადაჩვეულიყო წერას, ან მაგიდად საბარგო მანქანის ძარა თუ ბენზინის ცარიელი კანისტრა გამოეყენებინა.

„ავიაციამ ბრწყინვალედ ისახელა თავი, მის დაუხმარებლად წინ ვერ ასოდეს წავიწევდით. მთელი დღე შეუსვენებლივ დაფრინავდნენ მოწინავე ხაზზე, ბომბავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც წინ გვეღობებოდა. ეს პირდაპირ სასწაულია, ჯადოსნური ხალიჩის სასწაული, როგორც ტენდერი ეძახის. მაგრამ ძალიან ძვირად კი დაუჯდათ. გერმანელებს უამრავი მსუბუქი საზენიტო არტილერია აქვთ. ამ ბოლო დღეებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა დამტვრეული „ჰარიკეინები“ და „კიტიჰოუკები“, მთელი გზა მოფენილი იყო მათი ნამსხვრევებით... კაბინებში ჯერ ისევ მოჩანდა მფრინავთა გვამები... გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევენ. თუ ტუნისიაკენ გავარღვიეთ ფრონტი, ეს მხოლოდ ავიაციის წყალობა იქნება... ისინი საკუთარი სიცოცხლის ფასად გვიკაფავენ გზას“.

ჟერვეზამ ფურცელი დაუბრუნა.

— გმადლობთ, რომ ეს წერილი წამაკითხეთ, — თქვა მან.

მოხუცმა ლედიმ ფურცელი წერილთან ერთად კონვერტში ჩადო და ფრთხილად დადო მაგიდაზე.

— ჩემი ვაჟიშვილი რომ აქ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, დაგეხმარებოდათ, — თქვა მან. — თუ თქვენს ეკიპაჟს ტბაზე თევზაობა ნამდვილად უშველის, არა მგონია, ჩემს ვაჟიშვილს უარი ეთქვა. ბოლოს და ბოლოს, ტბაში სხვა ლიფსიტებს გავუშვებთ.

— ძალიან დიდ სიკეთეს იზამთ, მისის კარტერ-ჰეის. ყველა ხარჯს ჩვენ ვიკისრებთ.

— ნუ გგონიათ, მთელ ავიაციას შემოვუშვებ და პარკსა და ყვავილნარს გადავთელინებ. ჩამომიწერეთ მაგ ეკიპაჟის წევრთა გვარები და მე მოწვევას გამოგიგზავნით.

მან ჟერვეზას უბის წიგნაკი და ფანქარი გაუწოდა.

ქალიშვილმა ჩამოწერა გვარები და მისამართებიც. მოხუცმა ლედიმ უბის წიგნაკი ჩამოართვა და სიას თვალი გადაავლო.

— პილოტი სერჟანტი ფრენკი, — წაიკითხა მან. — ძალიან უცნაური სახელია. ინგლისელია?

— დანიელია, — თქვა ჟერვეზამ, — სულ ახალგაზრდა. ომამდე სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. უფროსი შტურმანია და ამავე დროს კაპიტან მარშალის მოადგილე.

— საკვირველი ამბავია.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ჟერვეზა უკვე წასასვლელად მოემზადა. მოხუცმა ლედიმ შეაჩერა.

— ამ კაპრალებსა და სერჟანტებს ანკესები აქვთ?

— არა, მაგრამ თქვენ მაგაზე ნუ შეწუხდებით, — მიუგო ჟერვეზამ. — თვითონვე იშოვიან ყველაფერს. ფული საკმაოდ აქვთ.

— მგონი, ვილაცამ მითხრა, ახლა შეუძლებელია ანკესების შოვნაო. თქვენც მათთან ერთად ითევზავებთ?

ჟერვეზას გაეღიმა:

— მე ერთი-ორჯერ ვცადე... ძუა წარამარა მებურდებოდა. ახლაც არ ვიტყოდი უარს, რომ შეიძლებოდეს.

მოხუცი ლედი ისევ მისწვდა თავის ხელჯოხს და ნელ-ნელა წამოდგა.

— წამობრძანდით საჭურვლის ოთახში, — თქვა მან. — იქ ანკესებიც უნდა იყოს.

დიასახლისმა ნელა გადაჭრა ოთახი და ჰოლში გავიდა. ჟერვეზა მიჰყვა. მოხუცი ლედი დაბალ კართან შეჩერდა და გააღო. ისინი პატარა ოთახში შევიდნენ.

აქ ყველაფერს მტვერი დასდებოდა. ხის თაროზე რამდენიმე თოფი იყო ჩარიგებული, კედლებზე შალითებში ჩაწყობილი რვა თუ ათი ანკესის ჯოხი ეკიდა.

მოხუცი ლედი კედელს მიუახლოვდა.

— ეს კალმახისთვისაა, — წყნარად თქვა, — ესენიც. ეს სპინინგი აქ არ გამოდგება, არც ის ორი, — ზუთხის საჭერია, აი, კიდევ კალმახებისთვის.

გადარჩეული ანკესები მან მაგიდაზე დაალაგა.

— ძუა ალბათ აქ არის... ჰო, აქაა.

— დიდი სიკეთეა თქვენის მხრივ, მისის კარტერ-ჰეის, — თქვა ჟერვეზამ, — მგონი, ძალიან შეგაწუხეთ...

— თქვენი მეგობრები თუ ვერ იშოვიან სათევზაო იარაღს, მაშინ რაცა გვაქვს, ამით გადით იოლას. მხოლოდ ერთი პირობით, თან არ გაიყოლოთ.

— მაგას რა თქმა უნდა, — წამოიძახა ჟერვეზამ. — დარწმუნებული ხართ, ქალბატონო, თქვენი ვაჟიშვილი ნებას დაგვრთავდა?

— დიახ, ამ ანკესებით ჩვენი მეგობრები თევზაობდნენ ხოლმე, როცა გვესტუმრებოდნენ. — იგი გაჭირვებით დაიხარა, კარადა გააღო, ტყავის ჩემოდანი გამოიღო, მაგიდაზე დადო და სახურავი ახადა. წითელი მაუდის სარჩულიან ბუდეში მომცრო ანკესი იდო მთელი თავისი მოწყობილობით.

— ეს ჩემი ვაჟიშვილის ანკესია. თქვენ თუ ჩამოხვალთ, შეგიძლიათ ამით ითევზაოთ. ძალიან მსუბუქია. ოღონდ არ მინდა, თქვენს გარდა ვინმემ მოჰკიდოს ხელი... ოდესღაც, თქვენხელა რომ ვიყავი, მეც ასეთი ანკესებით ვთევზაობდი... ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო...

— თქვენი ვაჟიშვილი არ გაწყრება, მის ნივთებს რომ ვიხმართ?

— პირიქით, კმაყოფილი დარჩებოდა... ისე რომ შეგიძლიათ ყველაფერი მოიხმაროთ, რაც აქ არის, — თქვა მოხუცმა ლედიმ. მან თანამიმდევრობით

გახსნა ყველა შალითა. — დეილს მე გავაფრთხილებ. იგი შემოიყვანს აქ თქვენს მეგობრებს. ჩამოდით, როცა მოახერხებთ.

დიასახლისი ისევ ჰოლში დაბრუნდა.

— ახლა კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს, ჩემს ასაკში ადამიანი ჩქარა იღლება. გმადლობთ, რომ მესტუმრეთ, ჩემო ძვირფასო.

— თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, მისის-კარტერ-ჰეის, გმადლობთ, — თქვა ჟერვეზამ.

— არ ღირს მადლობად, იმ ყმაწვილკაცს კი თუ ნამდვილად გაჰყვებით ცოლად, მოიყვანეთ და მაჩვენეთ.

ჟერვეზამ უხერხულად ჩაიცინა, გამოეთხოვა და ფრთებშესხმულივით დაბრუნდა ჰარტლეიში.

შტაბში, თავის მაგიდაზე პატარა ბარათი დახვდა, მისტერ ელისონს დაუტოვებია.

ჟერვეზა ტელეფონთან ჩამოჯდა და ნომერი აკრიფა.

— ყური მიგდეთ, მისს რობერტსონ,—ჩაესმა ყურმილში. ელისონის ხმა— ერთი-ორი სიტყვა მინდა გითხრათ იმ ხალხზე, ვისაც ის პარკი და ტბა ეკუთვნის. მე რომ თქვენ ადგილას ვყოფილიყავი, იქ ახლა ფეხს არ მივადგამდი.

— რატომ?

— მომისმინეთ ბოლომდე. გახსოვთ, რომ გითხარით, სახლის პატრონს ვაჟიშვილი ჰყავს-მეთქი ჯარში, ბრიგადის გენერალი, დიახ... ჰოდა, იგი ტუნისში დაიღუპა... მოხუცმა ლედიმ ეგ ამბავი მხოლოდ გუშინ შეიტყო.

□

ოლეგ ოსადჩი

უკეთესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ნინო ხოფერიამ

ახალგაზრდა პროზაიკოსმა **ოლეგ ოსადჩიმ** 1973 წელს დაამთავრა მოსკოვის ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული მწერალთა ორწლიანი უმაღლესი კურსები და ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. კუიბიშევში. იგი ათამდე პროზაული კრებულის ავტორია. 1976 წელს „სოვეტსკი პისატელმა" გამოსცა მწერლის მოთხრობების მოზრდილი კრებული — „ნაძვის, თხმელისა და ვერხვის შრიალი..."

გთავაზობთ ერთ მოთხრობას ამ კრებულიდან.

მთარგმნელი

●

დაცხავებული კატარლა ნაპირს მძიმედ მიადგა. შებოლილი თევზივით გამურული კატარლა სამი კვირა მოათრევდა სათავიდან უშველებელ ტივს, ახლა კი მაშვრალი კაცივით მინდობოდა ნაპირს და სულს ითქვამდა.

ტივზე ისლით გადახურული ქოხი იდგა, იქ მეტივეები ცხოვრობდნენ. შესასვლელთან ქალის საცვლები ეკიდა. იქვე პატარა ქერა ბიჭს ფეხები წყალში ჩაეყო და თევზაობდა.

— ნახვამდის, ძია! — მიაძახა ბიჭმა ხანშიშესულ, ოდნავ მოკუზულ კაცს, მხარზე ზურგჩანთა რომ მოეგდო და ნაპირისაკენ მიალაჯებდა. კაცმა უკან მიიხედა, თავი დაუკრა და გზა განაგრძო. ბიჭუნამ ზურგჩანთას გააყოლა თვალი. „მთელი სამი კვირა ჩვენთან ცხოვრობდა, ნეტა ახლა საითლა მიდის?"

კაცმა სოფლისაკენ კი არ აიღო გეზი, ნაპირს დაუყვა, მერე ტყისკენ მიმავალ გზაზე გადაუხვია. ნაბიჯი მძიმე ჰქონდა, თითქოს უშველებელ ტვირთს მიათრევსო. მიწა ამომშრალი ჭაობივით უტორტმანებდა ფეხქვეშ.

ტყეში ბინდი წამოეწია. ამ დროს უკვე ბილიკს მიჰყვებოდა. მერე ბილიკიც დაეკარგა და შამბნარში გზა ჯიქურ გააგრძელა. სადღაც ახლომახლო ნადირმა გაიშლიგინა. შემკრთალმა მიაყურადა — „დათვია თუ ცხენ-ირემი?"

ისევ მიაგნო ბილიკს და შვებით ამოისუნთქა. შეჩერდა. სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, ასანთის ალმა თვალი მოსჭრა. როცა ისევ შეეჩვია სიბნელეს, მაშინღა შენიშნა მუხნარის სიღრმეში მკრთალი, მოყვითალო შუქი. „რო-

გორც იქნა... მეტყევის ჯიხური!“ გაიფიქრა სიხარულით და სინათლეს მიაშურა.

კარები ღია დახვდა, სახელდახელოდ გამოჩორკნილ ჯორკოზე ბებლიური ასაკის მოხუცი იჯდა, წეკოს აპლაკუნებდა და თავისთვის ჩხირკედელაობდა.

— ვინ არის? — მოტრიალდა მოხუცი.

— ვერ მიცანი? — გაეპასუხა შემოსული, — მე ვარ, მამაჩემო, მე!

მოხუცმა ლამპა კარს მიანათა.

— ნიკიტა!

— ჰო, მე ვარ.

— ესე იგი ცოცხალი ხარ. — ლამპის შუქი მოფარფატე ჩრდილებით ავსებდა ოთახს. — საიდან?

— ჩრდილოეთიდან, ბოროვსკი თუ გაგიგია, თევზს ვიჭერდი იქ.

— აქამომდე სადღა იყავი?

— კოლონიის მერე? ბევრი ადგილი გამოვიცვალე,—ნიკიტამ ზურგჩანთა მოიხსნა და ჯორკოზე მძიმედ დაეშვა, — კამჩატკაზე გახლდი, იქაც თევზს ვიჭერდი.

— რატომ ჩამოხვედი?

— ისე, მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობდით, მომენატრეთ კიდეც. შენ კი ალბათ ამომშალე ცოცხალთა სიიდან და დამივიწყე, არა?

— აბა როგორ, შენს სასახელო საქმეს რა დამავიწყებდა?

— მას მერე რამდენმა წყალმა ჩაიარა, ეჰე-ჰე? ვიღას ახსოვს? — ნიკიტამ ზურგჩანთის თასმები შეათამაშა. — დედილო მოკვდა?

— დიდი ხანია. თხუთმეტი წლის წინათ. შუალამეზე მიაბარა უფალს სული. დილით ტყის შემოვლიდან რომ დავბრუნდი, ვხედავ, მაგიდის ფეხებთან წევს იატაკზე, საწოლიდან ჩამოცურებულა, გვერდით დაუმთავრებელი წინდა ეგდო, ქსოვდა ალბათ. სოფელში აღარ წამიყვანია, ეზოს ბოლოს სამი არყის ხე რომ დგას, იქ დავმარხე. ამ ეზოში გაატარა წუთისოფელი და აქვე იწვესმეთქი. მეც აქ უნდა დავიმარხო.

— დაბერებულხარ.

— სიბერეში რა ხეირია.

— სანადიროდ თუ დადიხარ?

— ეხ, რაღა დროს ჩემი ნადირობაა!..

— ამდენ საქმეს როგორღა უძღვები?

— ვახერხებ. პენსიასაც მაძლევენ. იოლად გავდივარ.

შუალამეა. დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ნიკიტას თვალები ეხუჭება.

— ვასკა კრივოი სად არის?

მოხუცმა გაოცებისაგან პირი დააღო, წამწამები დააფახულა:

— ანიუტკაზე ანდა ეგორიჩზე აღარაფერს იტყვი?

— ვასკაზე მაშინ ხმა არ ამომიღია, განა არ იცი, მეგობრები ვიყავით, ენა როგორ მომიბრუნდებოდა.

— სტყუი! კომენდატურაში ვასკას რომ აწამებდნენ, მაშინ სად იყავი? გეტყვი, თუ გინდა, სადაც იყავი! უკანა კარიდან გაიპარე, თვალებში რომ არ შეგეხედა. ვასკამ სიკვდილის წინ ბარათი გამომიგზავნა. წავიკითხე — თვალებს არ ვუჯერებდი...

— რა მექნა ... ისე გამოვიდა ... კომენდანტი მემუქრებოდა... პირველსავე ჭიშკარზე ჩამოგკიდებ, მეკავშირეს თუ არ დაასახელებო. ფულს და ძროხას მპირდებოდა. სიკვდილი ვის უხარია? აი, შენ როგორ დაბერდი, საუკუნეს უკაკუნებ, მაგრამ რომ გკითხონ, სიკვდილი თუ გინდაო, უპასუხებ, ცოტა ხანს კიდევ მაცალეთო. მე კი მაშინ რამდენის ვიყავი? ცხრამეტი წლის, გესმის, ცხრამეტის...

— პატიოსნად სიკვდილი ჯობია...

— ისევ წარსულს მახსენებ? რით ვერ დაივიწყე? ოცდაათი წელია ტყეღრე ვხეტიალობ. სასჯელი მოვიხადე — გამათავისუფლეს... მეგონა, გაგიხარდებოდა ჩემი მოსვლა... სეინერზე ცოტაოდენი ფული დავაგროვე, რვა ათას მანეთამდე... ვიფიქრე, ახალ ცხოვრებას დავიწყებდით, შენ კი...

მოხუცი ჩუმად იჯდა თავისთვის ბნელ კუთხეში, სახე არც კი უჩანდა. ნიკიტამ ერთბაშად დაღლილობა იგრძნო, ქუთუთოები დაუმძიმდა, თავი უნებურად საწოლისკენ გადაუვარდა და მაშინვე ჩაეძინა. მოხუცი დიდხანს ათვალიერებდა შვილს, ყურადღებით უსმენდა მის ხამუშ-ხამუშ სუნთქვას.

გათენდა. სიბნელე თითქოს ოთახის კუთხეებმა შეიწოვეს.

— ნიკიტა, ადექი!

ნიკიტა შეიშმუშნა, თვალები ხელისგულებით მოიფშვნიტა და მოხუცს მიაჩერდა.

— ადექი, წასვლის დროა.

— სად?

მოხუცი კარისაკენ მიტრიალდა...

— დედაჩემის საფლავი მაინც მანახე.

მოხუცმა თავი ჩაქინდრა. მერე კარი გამოაღო, მოაჯირს დაეყრდნო და შვილს გამოსძახა:

— წამოდი!

ნიკიტა მამას მიჰყვა. ბილიკმა არყის ხეებისკენ გაუხვია.

— აი, აქაა! — მიუთითა მოხუცმა მუხის ჯვრებზე. ბალახით დაფარულ საფლავებზე ორი ჯვარი იდგა, მაღალი, საგულდაგულოდ შეკრული...

— აი, მაშასადამე, აქ წევს, — მოხუცმა ხვნეშით ამოაძრო საფლავის ბორცვიდან რძიანა.

— ეს ვინლაა? — ნიკიტა მეორე საფლავს მიაშტერდა.

— ზედ აწერია... კითხვა ხომ არ დაგავიწყდა? აქ შენი საფლავია, აი, ამ ჯვრის ქვეშ. როგორც კი გავიგე შენი უკეთურობის ამბავი, მაშინვე დავდგი. ხედავ, როგორ გაშავდა? ისე მაგარი კია, კიდევ ას წელს გაძლებს. დედაშენიც გვერდზე მოგიწვინე. მახსოვს, მოვდიოდით ორივე შენს საფლავზე და ვიდექით, ჩუმად ვიდექით ხოლმე. ის ხანდახან წამოიტირებდა...

— კი, მაგრამ, მე ხომ ცოცხალი ვარ?

— არა, სულიკო, არა! იმ ქვეყნიდან არავინ ბრუნდება. — მოხუცი ისევ დაიხარა რძიანას ამოსაგლეჯად. როცა გაიმართა, ნიკიტა აღარ ჩანდა, იგი ტყეს შერეოდა, სადაც განთიადის თეთრი ფთილები ბოლავდა.

□